



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ე /
1979 / 3

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4 · 1979

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1979

ქურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ მ ჯ ა ძ ე ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII.79; შეკვ. 2725; ანაწყოების ზომა 7×111/2;
ქაღალდის ზომა 70×1087/16; ნაბეჭდი თაბახი 16,80; სააღრიცხვო-სავაჭრომცემლო
თაბახი 16.30; უე 14564; ტირაჟი 2100;
ფასი 1 ზან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ლ. მენაბდე, რუსთველი ევროპის ქვეყნებში	5
გ. არაბული, ზოგი რამ ნანუჩას შესახებ	15
ნ. ჯიშკარიანი, ძველი ქართული სასულიერო და საერო-სახოტბო პოეზიის ურთი- ერთიმართების ზოგიერთი საკითხი	23
თ. დვინიაშვილი, ვაჟა-ფშაველა მხატვრული სიმართლის შესახებ	39
ნ. ცხოვრებოვი, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის ზოგიერთი საკითხი	47
ვ. აბრამიშვილი, ნიკო ხიზანაშვილის ფსევდონიმები	61
თ. გოგოლაური, ფშაველი მოლექსე ქალი პელაგია ზურაბაშვილი	70
მ. ფათეძე, საგანმანათლებლო იდეების გავრცელების წანამძღვრები ირანში XIX საუკუნის შუა წლებში	79
ლ. კვიციანიშვილი, „გალობა“ სიტყვის ეტიმოლოგია და სემანტიკური პარალე- ლიზმები	85
ნ. მირიანაშვილი, რუხი ფერის ამსახველი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში (ლექსიკონების მიხედვით)	94
ლ. ბასილაია, ა. ასოს დაწერილობის საკითხისათვის XI—XIII საუკუნეთა მხედ- რულ წერილობით ძეგლებში	107
კ. კულაშვილი, მახვილი ქვემოიშერულში	114
ო. კახანაძე, მარტივი წინადადების ავტომატურ ანალიზთან დაკავშირებული ზოგი- ერთი საკითხი	123
ი. მელიქიშვილი, მარცვლის აგების ზოგადი პრინციპი და ხშულთა განაწილება CVC ტიპის ძირებში საერთო ქართველურსა და საერთო ინდოევროპულში	132

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ტ. გელეწავა, ქართული ლიტერატურულ-მწიგნობრული კულტურის ისტორიიდან	145
ა. ხინთიბიძე, გალაკტიონის რითმა თორმეტომეულში	156
ა. ბარამიძე, ა. გვახარია, ლ. მენაბდე, ლენინგრაძელი კოლეგების ახალი ნაშრომები	170
ა. ცანავა, ფ. ზანდუკელი, ქართული ფოლკლორისტიკის შენაძენი	173

ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	175
ახალი წიგნები	191

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Л. В. Менабде, Руставели в европейских странах	5
Г. Х. Арабули, О личности Наууча	15
Н. Ш. Джишкариани, Некоторые вопросы взаимодействия древнегрузинской духовной и светской гимновой поэзии	23
Т. А. Гвиниашвили, Взгляды Важа-Гшавела на художественную правду	39
Н. Цховребов, Некоторые аспекты сравнительно-типологического исследова- ния поэзии Галактиона Табидзе	47
В. И. Абрамишвили, Псевдонимы Н. Хизанашвили	61
Т. И. Гоголаури, Пелагея Зурабашвили — стихотворец из Пшави	70
М. М. Фатemi, Предпосылки распространения просветительских идей в Иране в середине XIX века	79
Л. С. Квирикашвили, Этимология слова «გალობა» (galoba) и семантиче- ские параллелизмы	85
Н. Г. Мирианашвили, Лексика, обозначающая серый цвет в грузинском и русском языках (по словарям)	94
Л. С. Базиана, К вопросу написания буквы а в светских письменных памятниках XI—XIII веков	107
К. М. Кублашвили, Ударение в нижнемерском говоре	114
О. Г. Капанадзе, Некоторые вопросы автоматического анализа простого предложения в грузинском языке	123
И. Г. Меликишвили, Общий принцип строения слога и структура корня в общекартвельском и общендоевропейском	132

Критика и библиография

Т. Т. Геленава, Из истории грузинской литературно-культурной деятельности	145
А. Г. Хинтибидзе, Рифма Галактиона Табидзе (в двенадцатитомном издании)	156
А. Г. Барамидзе, А. А. Гвахария, Л. В. Менабде, Новые работы ленин- градских коллег	170
А. Цанава, П. Зандукели, Вклад в грузинскую фольклористику	173

Хроника и информация

В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Ви- тязь в барсовой шкуре»	175
Новые книги	191



ლევან მინაბაძე

რუსთველი ევროპის ქვეყნებში

I. ბელგია. რუსთველის შესახებ ბელგიაში გამოქვეყნებული მასალებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ნ. ვეტინივარის ნარკვევი გამოჩენილი ქართველი ქალების — თამარისა და ქეთევანის შესახებ, რომელიც ბრიუსელის უნივერსიტეტის ჟურნალში დაიბეჭდა 1905 წელს¹. ნ. ვეტინივარი ცნობილი ქართველი მოღვაწის დ. ყიფიანის (1814—1887) ვაჟია — ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი (1846—1905), რომელიც წლების მანძილზე ცხოვრობდა ბრიუსელში და მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა². მან ზოგადად მიმოიხილა XII—XIII საუკუნეთა საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და კულტურულ-ლიტერატურული ვითარება, მოიხსენია რუსთველი და დაიმოწმა ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“³.

შემდეგ უნდა დავასახელოთ ბელგიელი ქართველოლოგი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი ჟერარ გარიტი, რომელიც კარგა ხანია გულმოდგინედ იღვწის ძველი ქართული სულიერი კულტურის შესწავლისა და მისი ფრანგულენოვან სამყაროში პოპულარიზაციისათვის⁴.

94491

ჟ. გარიტი სტუმრად იყო საქართველოში რუსთველის იუბილზე (1966 წ.). სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს რუსთველისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე (30. IX. 1966).

რუსთველის საიუბილეო დღესასწაულიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ჟ. გარიტმა გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომლითაც თავის თანამემამულეებს გააცნო საქართველო, ქართული ენა, ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურა⁵. წერილში ჟ. გარიტი შეეხო ქართულ ლიტერატურასაც, რომელიც „ქრისტიანულ აღმოსავლეთში“ „ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და დიდ ლიტერატურად“ აღიარა. ამ ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლიაო რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ — „უკვდავი პოემა, რომელშიც ნათლად ჩანს ქვეყნის კულტურული ცხოვრება“. ჟ. გარიტმა ბელგიელ მკითხველებს მიაწოდა ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ „არაჩვეულებრივ პოპულარობაზე“, ხელნაწერებზე, თარგმანებზე და ა. შ. და დასკვნის სახით ამცნო: „იგი მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული“⁶.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ „ვეფხისტყაოსანზე“ საუბარია აგრეთვე ბელგია-სსრ კავშირის საზოგადოების ჟურნალში („ბელგია-სსრ კავშირი“) გამოქვეყნებულ წერილში („ხალხთა მეგობრობა“)⁷.

II. პოლანდია. 1931 წელს პოლანდიურ ენაზე დაიბეჭდა ნორვეგიელი ლიტერატურათმცოდნის ევგენია კიელანდის მოზრდილი წერილი „ერთი პოეტი და მისი ქვეყანა. რუსთველი და საქართველო“ (თარგმანი ნორვეგიულიდან)⁸. ამ წერილით, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმანსაც შეიცავდა⁹, პოლანდიელი მკითხველი გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნია ქართველ პოეტსა და მის პოემაზე. რა გამოძახილი მოჰყვა ე. კიელანდის წერილს პოლანდიელთა შორის, ჩვენთვის უცნობია.

მარტინს სახ. საქ. სსრ
საქართველო
თბილისი

ჩვენი თხოვნით ჰოლანდიაში რუსთველზე გამოქვეყნებული მასალების ძებნას შეუდგა რ. სმიტი (ლაიდენი). მან მხოლოდ ის გვაუწყა, რომ რუსთველი ვაკვრით იხსენიება ჰოლანდიურ ენციკლოპედიაში¹⁰.

სხვათა შორის, რუსთველის საიუბილეო დღესასწაულში თბილისში მონაწილეობდნენ ჰოლანდიელი ქართველოლოგები — ლაიდენის უნივერსიტეტის პროფესორი არტ კიუპერსი და ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ებელინგი¹¹, მაგრამ ქართველ პოეტზე, რამდენადაც ვიცით, არც მათ დაუბუქდავთ რამე.

III. **ესპანეთი.** 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო დღესასწაულში თბილისში მონაწილეობდა ესპანელი მწერალი პლია-ი ბერტრანი, რომელმაც 27 დეკემბერს სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის რუსთველისადმი მიძღვნილ პლენუმზე¹². ესპანელი ხალხის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა პლენუმის მონაწილეებს, აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა, კერძოდ, მისი აღმადგრთოვანებელი და შთამაგონებელი მოწოდებების დამრავლები და წარმმართველი როლი ფაშიზმის წინააღმდეგ გამაწყვეტ ბრძოლაში. „საქართველოს გენიალური პოეტის“ „უკვდავი პოემის“ დღესასწაულზე ესპანელმა სტუმარმა აღგვითქვა, რომ ესპანურ ენაზე აამეტყველებდა „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ, სამწუხაროდ, თავისი ჩანაფიქრი ვერ განახორციელა.

„ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე თარგმნა რამდენადმე დაგვიანდა. მართალია, რუსთველის პოემის ესპანურად ამეტყველების სურვილი კარგა ხანია შეიმჩნევა და თარგმნის რამდენიმე ცდაცაა ცნობილი, მაგრამ საქმის დაგვირგვინება უკანასკნელ ხანამდე არ მოხერხდა.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დამდეგს მადრიდის ერთ-ერთ ლიტერატურულ ჟურნალს გამოუქვეყნებია „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური პროზაული თარგმანის ნაწყვეტები¹³; 1945 წელს ჟურნალ „ინტერნაციონალური ლიტერატურის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების ესპანური პროზაული თარგმანი, რომელიც ეკუთვნოდა ახალგაზრდა ესპანელ პოეტს, მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ესპანური ენის ლექტორს ხოსე ანტონიო დიკოს¹⁴; რუსთველის საიუბილეო დღეებში ჟურნალ „საბჭოთა ლიტერატურის“ ესპანურ სერიაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური პოეტური თარგმანის ნაწყვეტები¹⁵.

არც ერთი ცდა წარმატებით არ დაგვირგვინებულა. ადრე თუ უკანასკნელ ხანს თარგმნილი ნაწყვეტების დონე მკითხველ საზოგადოებრიობას ვერ აკმაყოფილებდა; თარგმანში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი ორიგინალის თემატურ-მინაარსობრივი სიმდიდრე, იდეურ-აზრობრივი სიღრმე, მხატვრულ-ლიტერატურული ღირსება. „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანის არარსებობა კი მწკვედდ იგრძნობოდა (ესპანური ენა ხომ მრავალი ქვეყნის სახელმწიფო ენაა!). ხარვეზის შევსება ითავა ჩილელმა მწერალმა გუსტაავო დე ლატორე ბოტარომ, რომელმაც გაიცნო ჩვენი ხალხის ისტორია და კულტურა, შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა, გამოიყენა რუსთველოლოგთა ნაშრომები და წლების მანძილზე მუშაობის შედეგად გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური პროზაული თარგმანი¹⁶, რომელიც შესრულებულია დედნის საფუძვლიანი ცოდნითა და სიყვარულით, მაღალი წიგნიერი კულტურითა და დახვეწილი ლიტერატურული ვემოვნებით. ამ თარგმანმა დიდი მოწონება დაიმსახურა და საყოველთაო აღიარება პოვა¹⁷.

რუსთველის საიუბილეო დღესასწაულში თბილისში 1966 წელს მონაწილეობდნენ ცნობილი ესპანელი პოეტი რაფაელ ალბერტი და მისი მეუღლე, პოეტი მარია ტერეზა ლეონი, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის ზეიმსაც ესწრებოდნენ. მათ ჩამოსვლისთანავე განაცხადეს: „ოცდაათი წლის წინათ ვიყავით ამ დალოცვილ ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი რუსთველი. მაშინ აქედან გაგვეყვა რუსთველის პოეზიის შესანიშნავი სურნელი. ახლა ბედნიერები ვართ, რომ ჩამოვედით გენიალური პოეტის 800 წლისთავის ზეიმზე“¹⁸.

რ. ალბერტიმ სიტყვები წარმოთქვა რუსთველის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე ახალციხეში (28. IX. 1966)¹⁹, მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმზე,²⁰ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს რუსთველისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე (30. IX. 1966), სადაც განაცხადა: „დღეს მე ვლაპარაკობ იმ ესპანელთა სახელით, რომლებიც 30 წლის წინათ წინ აღუდგნენ საერთაშორისო ფაშისტურ შეთქმულებას. ჩვენ შორს ვცხოვრობთ ესპანეთისაგან, ჩვენი იბერიისაგან, მაგრამ არც ერთი წუთით არ ვაშორებთ მას თვალს და ვხედავთ ახალ თაობას, რომელიც აგრძელებს ჩვენ მიერ დაწყებულ ბრძოლას. მშვიდობის დაცვის საქმე კეთილი ნების ყველა ადამიანის მოვალეობაა და დაე რუსთველის ლექსი იყოს ჩვენთვის — რაინდული დაშნა, რომელზედაც ყველა საჭაროდ დაედებთ ფიცს, რომ ვიბრძოლებთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის“²¹.

რ. ალბერტის სიტყვა, რომლის მხოლოდ ნაწყვეტი დავიმოწმეთ, გამსჭვალული იყო ქართველი პოეტის უსაზღვრო პატივისცემითა და მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის წარმოჩენის სურვილით.

რუსთველის იუბილეს დღეებში საქართველოს სტუმრები იყვნენ აგრეთვე ესპანელი პროზაიკოსი ხუან გოიტისოლო და პოეტი ხოზე ლუის პაჩეკო²², რომლებმაც სიტყვები წარმოთქვეს მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმზე²³.

ბ. პაჩეკომ ბედნიერებად მიიჩნია, რომ „რუსთველის მიწა-წყალზე სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის წარმოგზავნილები ძმადნაფიცები გახდნენ და სამეგობროდ ხელი გაუწოდეს ერთმანეთს“, რომ „ამ წმინდა მიწაზე დაახლოვა დიდმა პოეტმა რუსთველმა“, რომელიც არა მარტო საქართველოს პოეტია, არამედ „ყველა ხალხისათვის ახლობელი და ძვირფასია“. „შოთას გენია ეკუთვნის ყველა ხალხს“, რადგან იგი „უმღეროდა მამაცობასა და სიკეთეს, უმღეროდა ადამიანთა ყველაზე საუკეთესო თვისებებს — იმ თვისებებს, რომლებიც ყველგან და ყველა დროში ამკობდა და შეამკობს ადამიანს, შთაუწერგავს მას რწმენას, ძალასა და სიამამაცეს“²⁴.

ქართველმა საზოგადოებრიობამ კმაყოფილებით მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბასკურ ენაზე თარგმნას შეუდგა ბასკური ენის აკადემიის წევრი შაბიერ კინტანა²⁵, რომელიც ქართული კულტურის გაცნობისა და ქართველოლოგიაში ცოდნის გაღრმავების მიზნით ახლახან საქართველოს ეწვია.

ცოტა ხნის წინათ საქართველოში იყო ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრი გილერმო დიას პლაია, რომელმაც თავისი შთაბეჭდილებები თანამემამულეებს გააცნო ჟურნალ „აბცის“ ფურცლებზე. ესპანელმა სწაველელმა პატივით მოიხსენია რუსთველის პოემა, რომელიც „არა მარტო ეპიკური სიმღერაა,

არამედ მთელი მორალური კოდექსია“, დაიმოწმა მისი ბრძნული გამონათქვამები²⁶.

უკანასკნელად უნდა აღვნიშნოთ, რომ ესპანურენოვანი მკითხველებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველმა რუსთველოლოგებმა (კ. ჭიჭინაძემ, გ. იმედაშვილმა, ა. ბარამიძემ, ს. ციაოვილმა, ნ. ნათაძემ და სხვ.)²⁷, რომლებმაც თავიანთი ნაშრომები ესპანურ ენაზე გამოაქვეყნეს.

IV. **ნორვეგია.** როდესაც სკანდინავიის ქვეყნებში რუსთველის შესახებ გამოქვეყნებული მასალების შეკრებას შეგუდექით, უპირველეს ყოვლისა მიემართეთ გამოჩენილ ნორვეგიელ ქართველოლოგს, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს ჰანს ფოგტს²⁸. 1967 წლის 27 სექტემბერს მას შემდეგი შინაარსის წერილი გავუგზავნეთ: „დიდად პატივცემულო ბატონო ჰანს! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტი ამზადებს კრებულს „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“. მიმდინარეობს შეკრება, თარგმნა და შესწავლა იმ მასალისა, რომელიც დაიწერა რუსთველისა და მისი პოემის შესახებ მსოფლიოს ხალხთა ენებზე. პირველ ტომებში უნდა დაიბეჭდოს ის მასალა, რომელიც გამოქვეყნებულია ევროპულ ენებზე. ჩვენი სურვილია, კრებულის გარეთ არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი ნარკვევი, წერილი თუ შენიშვნა ძველი თუ ახალი დროისა. ამ სურვილის განხორციელებაში თქვენ უაღრესად დიდი როლის შესრულება შეგიძლიათ.“

ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, თუ თქვენ მონაწილეობას მიიღებთ კრებულის შედგენაში. ვიმედოვნებთ, გამოხეხარებით ჩვენს წამოწყებას და აღმოგვიჩენთ დახმარებას თქვენი თუ სხვა ავტორების შრომების მოწოდებით.“

ნორვეგიელმა სწავლულმა მალე (19. XII. 1967) გვიპასუხა: „არა მგონია, რომ სკანდინავურ ენებზე ჩამე მნიშვნელოვანი შოთაზე დაწერილა, მაგრამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიემართე კითხვით, იციან თუ არა რამე ამ დარგში და პასუხის მიღებისთანავე შეგატყობინებთ“.

რამდენიმე თვის შემდეგ პ. ფოგტმა გვაცნობა, რომ მიაკვლია ნორვეგიელი კრიტიკოსის ე. კიელანდის წერილს, რომელიც, მისივე დახმარებით, მალე მოგვაწოდა ოსლოს უნივერსიტეტმა.

ე. კიელანდის მოზრდილი წერილი „ერთი პოეტი და მისი ქვეყანა. რუსთველი და საქართველო“²⁹ შეიცავს როგორც მსჯელობას საქართველოს წარსულსა და კულტურაზე, რუსთველსა და მის პოემაზე, ისე „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების პოეტურ თარგმანს (ინგლისური პროზაული ტექსტიდან) ნორვეგიულ ენაზე³⁰. ასე რომ, ე. კიელანდი არა მხოლოდ ნორვეგიულ ენაზე რუსთველის შესახებ გამოქვეყნებული პირველი წერილის ავტორია, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ (ნაწყვეტების) მთარგმნელიც (საგულისხმოა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ე. კიელანდის წერილი იმავე წელს ითარგმნა და დაიბეჭდა ჰოლანდიურ ენაზე³¹. ამ გზით ჰოლანდიელბმაც მიიღეს მშობლიურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები)³².

ე. კიელანდის წერილში საუბარია პრომეთესა და არგონავტებზე, ნინოსა და დავით აღმაშენებელზე, განსაკუთრებით თამარის ხანაზე, როდესაც განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ქართულმა კულტურამ. სწორედ მაშინ „იფეთქა პოეტურმა ძალამ“, მაშინ შეითხზა „ქართული ლიტერატურის შედევრი — შოთა რუსთველის დიდი რომანი „ვეფხისტყაოსანი“ — პოეტური

ქმნილება, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, როგორც ფირდოუსის სპარსეთისათვის, დანტეს იტალიისათვის, ანდა „კალევალას“ ფინეთისათვის.

ე. კიელანდმა ნორვეგიელ მკითხველებს მოკლედ მოუთხრო რუსთველის ცხოვრების ვაზზე, გააცნო „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი და გმირთა სამყარო; საილუსტრაციო მასალით უჩვენა, რომ „რუსთველის პოემაში უხვადაა ლირიკული ეპიზოდები, სიცოცხლით აღსავსე სახეები, მწუხარე და ნაღვლიანი მომენტები, რელიგიური ექსკურსები, იუმორი“.

ე. კიელანდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსთველმა დიდება მოუტანა მშობელ ხალხს — მისი სახელი საერთაშორისო არენაზე გაიტანა. მცირერიცხოვანი ხალხის შვილის (რუსთველის) მხრივ ეს ე. კიელანდს დიდმნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა. „რუსთველისა და მისი ქმნილების ისტორია გვიჩვენებს, — წერდა მკვლევარი ქალი, — თუ რა შეუძლია გაუკეთოს პოეტმა თავის სამშობლოს, როცა მას შესწევს უნარი ხორცი შეასხას მის მისწრაფებებსა და მაღალ მორალურ წარმოდგენებს ისეთ ლამაზსა და ძლიერ ფორმაში, რომელიც ღირსახსოვარი და ძვირფასი ხდება არა მარტო რჩეულთა ჯგუფისათვის, არამედ ხალხის უბრალო წარმომადგენლებისთვისაც“.

1966 წლის შემოდგომაზე რუსთველის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ეწვია ჰ. ფოგტი. 28 სექტემბერს მან სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე და ნორვეგიელი ხალხის საღამო გადმოსცა ჩვენ ხალხს, დიდ პატივად მიიჩნია რუსთველის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობა და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ „უდიდეს მგოსანს“ პატივს სცემენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ სხვა ხალხებიც. რუსთველოლოგიის თანამედროვე დონით აღფრთოვანებულმა მეცნიერმა ჩვენი ამ მიმართულებით გაჩაღებული კვლევამბებითი მუშაობა მიიჩნია „წარსულის სიყვარულად“, აგრეთვე „სურვილად, რომ შოთა მომავალშიც ცოცხალ ძალად დარჩეს ქართულ ეროვნულ ცხოვრებაში“³³.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ჰ. ფოგტის პატარა წერილი „ჩაუქრობელი გენია“³⁴, რომელიც მან დაბეჭდა „ქართველი ხალხის, საბჭოთა საქართველოს ყოველი მშრომლის დიდი ზემის“, „დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საიუბილეო დღესასწაულის ჟამს. წერილში მან აღნიშნა: „ქართული პოეზიის რაინდის“ სახელი „ძვირფასია არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ ჩვენი სამყაროს სხვა ხალხებისათვისაც. ძვირფასია იგი ჩემთვისაც, ეროვნებით ნორვეგიელისათვის“.

ქართული კულტურის მცოდნისა და პირუთენელი დამფასებლის, ქართული ენის ცნობილი სპეციალისტის დასკვნით, „რუსთველის პოემამ სამართლიანად ბოვა საერთაშორისო აღიარება. იგი უყვართ და მას კითხულობენ საფრანგეთსა და ინგლისში, იტალიასა და ნორვეგიაში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიაში, მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე იმის გამო, რომ ამ პოემის იდეები სიყვარულზე, ძმობასა და მეგობრობაზე თანხმიერია უბრალო ადამიანთა ყველაზე სანუკვარი გრძნობებისა და აზრებისა“.

წერილის დასასრულს ჰ. ფოგტმა კვლავ წარმოაჩინა რუსთველის სიღიადე, მისი მაღალჰუმანური იდეალების ცხოველმყოფელობა და მარადიულობა. დავიმოწმებთ მეცნიერის კიდევ ერთ ციტატას: „რვა საუკუნე გვაშორებს ჩვენ იმ ეპოქას, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შოთა რუსთველი,

მაგრამ დღესაც კი ბრწყინავს ჩაუქრობელი გენია ქართველი ხალხის დიდი შვილისა, რომელსაც შორეულ დროში უძღვნა საოცარი ჰიმნი ადამიანის სულის სილამაზეს, ხალხთა ძმობასა და მეგობრობას“.

გარკვეულ ინტერესს იწვევს მარტინ ნავის წერილი „შოთა რუსთველი და თამარ მეფე“³⁵, რომელშიც საუბარია ქართველი პოეტის იუბილეზე, პ. ფოვტის მონაწილეობაზე ამ დიდ ზეიმში და ა. შ., განსაკუთრებით კი კნუტ ჰამსუნის (1859—1952) „თამარ მეფეზე“.

1974 წ. შემოდგომაზე თბილისში იმყოფებოდა ნორვეგიელი პოეტი ქალი ელენ კრაგი, რომელსაც განზრახული აქვს თავის თანამემამულე პოეტ ქალთან ოსე მარია ნესესთან ერთად თარგმნოს ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები უძველესი ხანიდან დღემდე. საქართველოს მწერალთა კავშირში სტუმარს მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინეს — რუსულ და უცხო ენებზე გამოცემული ქართველი პოეტების (კერძოდ რუსთველის) თხზულებანი გადასცეს, საუბრები ჩაუტარეს და ა. შ.³⁶ ვიმედოვნებთ, ე. კრაგი შეასრულებს დაპირებას და ნორვეგიელ მკითხველებს მიაწვდის ქართული პოეზიის ანთოლოგიას, რომელშიც საპატიო ადგილი დაეთმობა რუსთველს.

V. ისლანდია. 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობდა ცნობილი ისლანდიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჰალდორ ლაქსნეი, რომელმაც 27 დეკემბერს სიტყვა წარმოთქვა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის რუსთველისადმი მიძღვნილ პლენუმზე (თბილისში)³⁷. მან რუსთველის პოემაში დაინახა და იგრძნო „არა მარტო ეპოქის წარმტაცი გმირობა, არამედ მარადიული ღირსების, ხალხის სიბრძნის, ერთგულების, მეგობრობის, არაჩვეულებრივი სიყვარულის შესანიშნავი გამარჯვებაც“.

სიტყვაში, რომელშიც აღტაცებაა გამოხატული „მსოფლიო კულტურის ჭეშმარიტ ზეიმში“ მონაწილეობის გამო, პ. ლაქსნესმა აღნიშნა ანგარიშგასაწევი კულტურული შეხების წერტილი ისლანდიელებისა ქართველთა კულტურასთან: ისლანდიის „ოქროს საუკუნე“ ემთხვევა ქართული კულტურის გაფურჩქვნის ხანას; როდესაც „რუსთველი თავის უკვდავ პოემას წერდა, ისლანდიელი სკალდები თხზავდნენ თავიანთ საგებსა და ედებს, რომლებიც ამჟამად წარმოადგენს ჩრდილოეთის შესანიშნავ კულტურულ მემკვიდრეობას“.

პ. ლაქსნესმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ იუბილე „მთელი საბჭოთა კავშირის კულტურის დღესასწაულად“ იქცა. ეს ფაქტი, მისი დასკვნით, რუსთველის პოემას, — „ახლობელს ყველა ეპოქის ხალხებისათვის“, — „საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის საკუთრებად ხდის“. საპატიო სტუმარმა აღგვითქვა, რომ თანამემამულეებს მოუთხოვრებდა „გენიალურ პოემასა და დიდებულ იუბილეზე“. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია სამშობლოში დაბრუნებულმა მწერალმა რა გააკეთა ამ მიმართულებით.

VI. დანია. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით 1961 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა დიდი დანიელი მეცნიერი, ფიზიკოსი, ატომის თეორიის ფუძემდებელი, კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი შემქმნელი ნილს ბორი, რომელიც იყო საქართველოშიც, გაიცნო ჩვენი ქვეყანა და ხალხი³⁸. იგი ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს, სადაც წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასეთი სათაურით დაიბეჭდა: „მიყვარს რუსთველი და მისი სამშობლო“³⁹. ამ სიტყვაში დანიელმა სტუმარმა გამოხატა დიდი პატივისცემა ჩვენი კულტურისადმი. კერძოდ ქართულ პოეზიაზე მან შემდეგი

თქვა: „მე ახალგაზრდობიდანვე მიყვარდა რუსთველი და მისი სამშობლო, მისი მშობელი ხალხი, მიტაცებდა ამ დიდი მოაზროვნის იდეები.

მე ვიცოდი, რომ საქართველო პოეზიის ქვეყანაა. საქართველოში გამომგზავრების წინ ერთხელ კიდევ გადავიკითხე შოთა რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ასეთი გამოჩენილი ადამიანი ერს ჭეშმარიტად შეუძლია იამაყოს. მე ვიცოდი, რომ ახლა ტარდება დიდი ქართველი პოეტის ვაჟ-ფშველას იუბილე. მისი ნაწარმოებებიც გადავიკითხე (რასაკვირველია ის, რაც თარგმნილია ინგლისურ ენაზე) და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, უდიდესი პოეტები ჰყავს“.

მომდევნო ხანიდან უნდა მოვიხსენიოთ გამოჩენილი დანიელი მწერალი და მხატვარი ჰანს შერფიგი, რომელიც იყო საქართველოში, გაეცნო ჩვენს ხალხსა და კულტურას და შთაბეჭდილებანი გამოაქვეყნა ცალკე წიგნის სახით — „ცისკრის ქვეყანა. ლიტერატურული მოგზაურობა საქართველოში“⁴⁰. წიგნში რუსთველი არა ერთგზის იხსენიება⁴¹. დავიმოწმებთ ერთ ნაწყევტს: „ქართული ენა თითქოს საგანგებოდ პოეზიისათვისაა შექმნილი. ესაა ენა შოთა რუსთველისა, ენა თამარის ეპოქის მწერალთა და ფილოსოფოსთა. ამ დიდებული მანდილოსნის დროს ქართულმა რენესანსმა მიადწია თავის აყვავებას ორი საუკუნით ადრე, ვიდრე ეს იტალიაში მოხდებოდა. „ვეფხისტყაოსანი“ დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ ასი წლით ადრე დაიწერა“.

უკანასკნელად იმასაც აღვნიშნავთ, რომ რუსთველის საიუბილეო დღესასწაულში (1966 წ.) მონაწილეობდა დანიის მწერალთა კავშირის პრეზიდენტი იორგენ პეტერსონი⁴². საფიქრებელია, სამშობლოში დაბრუნებული მწერალი თანამემამულეებს მიაწვდიდა ცნობებს რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“.

VII. ფინეთი. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ქვეყნიდან მხოლოდ ორიოდე ფაქტია ცნობილი. სახელდობრ, 1966 წ. შემოდგომაზე ფინეთის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარეს გ. ძოწენიძეს გამოუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „საქართველოს სახელოვანი შეილის — ჰუმანიზმის მარადიული იდეების მგზნებარე მქადაგებლისა და მომღერლის შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავის გამო თქვენ, ბატონო თავმჯდომარე, და თქვენი სახით ქართველ ხალხს გულითადად გილოცავთ ფინელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით“⁴³.

საგანგებო მსჯელობის საგნად შეიძლება გავხადოთ მხოლოდ ერთი წერილი — ფინელი ჟურნალისტის ერკი კაუპილას „შოთა რუსთველის ქვეყანაში“⁴⁴, რომელიც რუსთველის საიუბილეო დღეების უშუალო შთაბეჭდილებითაა დაწერილი. მასში საუბარია „საქართველოს უკვდავ პოეტზე“, „დიდ ადამიანზე, რომლის ნაწარმოები მსოფლიო კულტურის ფასდაუდებელ განძად ქცეულა“, იმ ზეიმზე, რომელმაც „განსაკუთრებულ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე“. ე. კაუპილამ დაწვრილებით აღწერა ახალციხეში რუსთველის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი და საყოველთაო ზეიმი, თანამემამულეებს მიაწოდა ბიოგრაფიული ცნობები რუსთველზე, კმაყოფილება გამოთქვა, რომ საქართველოში იყო იმ პერიოდში, როდესაც „ქვეყანა აღნაშნავდა იუბილეს ისეთი იშვიათი ადამიანისა, რომლის ქმნილება ავტორის სიკვდილის შემდეგ საუკუნეების მანძილზე გულით უტარებია მშობელ ერს და დღესაც თვლის მას მაცოცხლებელ ძალად“.

მართალია, — განავრძობს ე. კაუპილა, — ბიოგრაფიული ცნობები, ქვე-

ლი საბუთები რუსთველზე დაკარგულია, მაგრამ „ყველაზე ძლიერი ისტორიული საბუთი თვით პოემაა“, რომელიც ავტორს „რენესანსის წინამორბედად“ წარმოგვიდგენს. რუსთველი „ამკვიდრებს სრულიად ახლებურ ურთიერთობას ადამიანთა შორის“. იგი „ევერობის რენესანსის წარმოშობამდე 200 წლით ადრე თავის მშობლიურ ქვეყანაში უკვე რენესანსის იდეალების მქადაგებლად გვივლინება“.

ე. კაუბილა სწორ ცნობას აწვდის თანამემამულეებს, როდესაც აღნიშნავს, რომ მიუხედავად არაჩვეულებრივი სიდიადისა, რუსთველი არაა ქართული ეროვნული კულტურის ფუძემდებელი; ქართული კულტურა ძალზე ძველია; რუსთველი ამ მალალი კულტურის სახელოვანი მწვერვლია; იგი „ეროვნული ძლიერების წყაროა“; მისი პოემა „მთელ ქართველ ერს ეკუთვნის“.

VIII. შევცია. შევციიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ შევდურ ჟურნალში გამოქვეყნებული ერთი სპეციალური წერილი რუსთველზე⁴⁵. მასში საუბარია 800 წლის პოეტის უკვდავ თხზულებაზე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იდეურ-აზრობრივი სიღრმით, მახვილგონივრული აფორიზმებით. პუმანიზმის დიდი მომღერალი დანტეზე გაცილებით ადრე მოღვაწეობდა, — ვკითხულობთ წერილის დასასრულს. ჟურნალმა გამოაქვეყნა ი. თოიძის ნახატების რეპროდუქციები — რუსთველის პორტრეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ორი ილუსტრაცია, აგრეთვე ი. თოიძის სურათი და პატარა წერილი მის შესახებ⁴⁶.

დამოწმებული ლიტერატურა

1. N. Vetrinar [Kipiani], La Géorgie et deux grandes Géorgiennes dans le passé: la Reine Tamar, la Reine Kéthevane, Liège, 1905 (Extrait de la Revue de l'Université de Bruxelles, 1905, Avril).

2. ლ. გაბუნია, ნიკოლა ვეტინარი — ნიკო ყოფიანი, „ლიტერატურული საქართველო“, 23. VII. 1971, № 30 (1771); ჯ. ქორჩილაძე, ვინც „მარსელითა“ ქართულად ააქლდა, „საშობლო“, III. 1976, № 5 (1388).

3. N. Vetrinar [Kipiani], La Géorgie..., გვ. 11.

4. მ. თარხნიშვილი, ქართული კულტურის ცენტრის დაარსება ბელგიაში, „ზედი ქართლისა“, 1949, № 4, გვ. 27—28; Долгожданная встреча, «Вечерний Тбилиси», 26. IX. 1966, № 226 (4064); ს. თურნაძე, ჟერარ გარიტი, „საშობლო“, 10. VII. 1970, № 13 (245).

5. G. Garritte, La Géorgie: grandeur d'une petite nation, «La libre Belgique», 16—19. XII. 1966, № 350 —353.

6. «La libre Belgique», 17—18. XII. 1966, № 351—352.

7. ლ. ხუბულური, ბელგიაში, ერაყში, „საშობლო“, VII. 1973, № 13 (318).

8. E. Kieiland, Ein dichter en zijn land. Rustaveli in Georgië, «Wetenschappelijke Bladen», 1931, № 5, გვ. 224—241.

9. იქვე, გვ. 233—239.

10. Geörgie, Grote Winkler Prins. Encyclopedie in 20 delen, VIII, Amsterdam—Brussel, 1969, გვ. 230. ამ ენციკლოპედიის წინა გამოცემის შესახებ იხ. შ. ნანდორიშვილი, უცხო ენციკლოპედიათა ლაფსუსები, „ლიტერატურული საქართველო“, 13. XII. 1968, № 58 (1635).

11. სალამი რუსთველის სტუპრებს! „კომუნისტი“, 25. IX. 1966, № 219. (13603); სტუპ-მართოყვარე საქართველოში, „თბილისი“, 26. IX. 1966, № 226 (4071).

12. პ. ბერტრანის სიტყვა გამოქვეყნდა სხვადასხვა სათაურით: ვადავთარგმნი ესპანურ ენაზე „ვეფხისტყაოსანს“, „კომუნისტი“, 30. XII. 1937, № 299. (5100); „საბჭოთა აქარა“, 1. I. 1938, № 1 (4904); ჩემი სიტყვა (ესპანელი პოეტის პ. ბერტრანის სიტყვიდან), „ახალგაზრდა კომუნისტი“, 30. XII. 1937, № 298 (3298); Его дыхание живет бессмертным пламенем. «Заря Востока», 29. XII. 1937, № 299 (4320); За великое будущее человечества, «Вечерний Тбилиси», 29. XII. 1937, № 300; Во имя будущего человечества, «Литературная газета», 5. I. 1938, № 1 (708).

13. А. Февральский, Руставели и Н. Бараташвили на испанском языке, «Заря Востока», 7. IV. 1946, № 72 (6706).
14. «La Literatura Internacional», 1945 № 12, გვ. 17—25.
15. «Literatura Sovietica», 1966, № 9, გვ. 126—129.
16. Shotha Rustaveli, El Caballero de la Piel de Tigre. Traducción G. De la Torre, Santiago de Chile, 1964.
17. ლ. მენაბდე, რუსთველი ამერიკაში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 3, გვ. 53—57.
18. გულთბილი შეხვედრები საქართველოს მიწა-წყალზე, „კომუნისტი“, 28. IX. 1966, № 221. (13605).
19. გუმინწინ ახალციხეში, „ლიტერატურული საქართველო“, 30. IX, 1966, № 40 (1521).
20. «Иностранная литература», 1967, № 2, გვ. 212; „მნათობი“, 1967, № 3, გვ. 112.
21. „კომუნისტი“, 1. X. 1966, № 224 (13608); „თბილისი“, 1. X. 1966, № 231 (4076) (დაბეჭდილია საქედესის წერილში — „პოეტის უკვდავება“); „ლიტერატურული საქართველო“, 7. X. 1966, № 41 (1522) (დაბეჭდილია საქედესის წერილში — „ქართული კულტურის დღესასწაული“); «Заря Востока», 1. X. 1966, № 226 (12770); «Вечерний Тбилиси», 1. X. 1966, № 231 (4069), (დაბეჭდილია საქედესის წერილში — «Бессмертие поэта»).
22. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! „კომუნისტი“, 27. IX. 1966, № 220 (13604); „თბილისი“, 27. IX. 1966, № 227 (4072).
23. «Иностранная литература», 1967, № 2, გვ. 205—206, 229—230; „მნათობი“, 1967, № 3, გვ. 104, 129—130.
24. X. Пачеко, [Гений Шота принадлежит всем народам], «Заря Востока», 2. X. 1966, № 227 (12771). (რუბრიკა — «О витезях грузинского стиха»).
25. გ. ჩანტაძე, ბასკები წაიკითხავენ „ეფფხისიტყაოსანს“, „კომუნისტი“, 21. VIII. 1977, № 195 (16935); ბასკურ-კავკასიური პრობლემა, „ლიტერატურული საქართველო“, 17. II. 1978, № 8 (2111); შ. ძიძიგურაძე, მოგზაურობა ბასკეთში (1977 წლის ივლისი), თბ., 1977, გვ. 47—48; შ. კინტანა, ქართველებმა გული გადამიშალეს, „კომუნისტი“, 23. VIII. 1978, № 172 (17216); „საშობლო“, VIII. 1978, № 15 (1389).
26. ბედნიერი გზით ვეგლოს! „საშობლო“, X, 1977, № 20 (1368).
27. K. Chichinadse, Shota Rustaveli y su poema, «La Literatura Internacional», 1945, № 12, გვ. 10—16; G. Imedachvili, Sobre la traducción al español de «El Caballero de la Piel de Tigre», წიგნში: Shotha Rustaveli, El Caballero de la Piel de Tigre. Traducción G. De la Torre, Santiago de Chile, 1964, გვ. 13—16; A. Baramidse, Gloria de la poesia georgiana, «Literatura Sovietica», 1966, № 6, გვ. 119—126; S. Tsaishevili, Padre de la poesia georgiana, «Cultura y vida», 1966, № 9, გვ. 16—19; N. Natadze, S. Tsaishevili, Shotha Rustaveli y su poema, Tbilisi, 1966.
28. ი. მურადელი, ჰ. ფოგტი ქართველი მეგონა, ეთილიის უნივერსიტეტი, 13. I. 1962, № 2 (355); მ. კოპიტიძე, ხამსტუმარი სასურველი, „ახალგაზრდა ჟურნალისტი“, 15. X. 1966, № 1 (58); ი. მერაბელიძე, ქართული კულტურის მეგობარი, „კომუნისტი“, 14. X. 1971, № 237 (15147); „ქართული ენის გრამატიკა“ ფრანგულ ენაზე, „საშობლო“, 22. X. 1971, № 20 (175); ი. მერაბელიძე, ქართველოლოგი ჰ. ფოგტი 70 წლისა, „ლიტერატურული საქართველო“, 24. VIII. 1973, № 33 (1878); „საშობლო“, IX. 1973, № 17 (322); R. L. fon, En l'honneur du soixante-dixième anniversaire du caucasologue et linguiste. H. Vogt, «Bedi Kartlisa» XXXII (1974), გვ. 23—25.
29. E. Kielland, En dikter og hans land. Rustaveli in Georgia, «Samtiden», 1931, № 1, გვ. 82—96.
30. იქვე, გვ. 89—93.
31. E. Kielland, Een dichter en zijn land. Rustaveli in Georgië, «Wetenschappelijke Bladen», 1931, № 5, გვ. 224—241.
32. იქვე, გვ. 233—239.
33. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 208; „კომუნისტი“, 30. IX. 1966, № 223. (13607). იხ. აგრეთვე «Bedi Kartlisa», XXIII—XXIV (№ 52—53), 1967, გვ. 94.
34. X. Фогт, Немеркнущий гений, «Заря Востока», 30. IX. 1966, № 225 (12769).
35. M. Nag, Sjota Rustaveli og dronning Tamara, «Friheten», 1. X. 1966.
36. მისანი: ქართული პოეზიის თარგმანა, „ლიტერატურული საქართველო“, 25. X. 1974, № 43 (1938).

37. ჰ. ლაქსნესის სიტყვა გამოქვეყნდა სხვადასხვა სათაურით: სკანდინავიის მწერლის ჰ. ლაქსნესის სიტყვიდან (ისლანდია), „კომუნისტი“, 31. XII. 1937, №300 (5101); შესანიშნავი დღესასწაული (სკანდინავიის მწერლის ჰ. ლაქსნესის სიტყვიდან), „ახალგაზრდა კომუნისტი“, 30. XII. 1937, № 298 (3298); Праздник подлинной культуры, «Заря Востока», 29. XII. 1937, № 299 (4320). იხ. აგრეთვე «Вечерний Тбилиси», 29. XII. 1937, № 300. სიტყვის ნაწყვეტი მრავალგზის დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში («კომუნისტი», 17. I. 1965, № 13 (13134); 25. IX. 1966, № 219 (13603); „ლიტერატურული საქართველო“, 23. IX. 1966. № 39 (1520) და სხვა).

38. Э. Андронокашвили, Три дня с Н. Бором, «Литературная Грузия», 1969, № 2—3, გვ. 187—192; № 4, გვ. 175—184; ვ. ახალაია, ნ. ბორი და საქართველო, „საშობლო“, XI. 1975, № 22 (1379).

39. ნ. ბორი, მიყვარს რუსთველი და მისი საშობლო, „კომუნისტი“, 16. V. 1961, № 111 (12025). სიტყვის ნაწყვეტი მრავალგზის დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში („ლიტერატურული საქართველო“, 23. IX. 1966, № 39 (1520); «Литературная Грузия», 1966, № 9—10, გვ. 112 და სხვა.)

40. Н. Scherfig, Morgenrødens Land, København, 1971. იხ. [T. A b d e e v a], Лучший современный писатель Дании, «Иностранная литература», 1972, № 2, გვ. 278—279; რას უწერს დანიელი მწერალი საქართველოზე, „ლიტერატურული საქართველო“, 7. IV. 1972, № 14 (1807); X. Шерфиг, Страна утренней зари, «Иностранная литература», 1972, № 12, გვ. 249—255; მისივე, В стране утренней зари, «Вечерний Тбилиси», 14. XII. 1972, № 291 (8457); მისივე, აღრე განთიადის ქვეყანა, „წიგნის სამყარო“, 14. II. 1973, №3 (111); ც. ჩიკვაშვილი, ძვირფასი შენაძენი, „თბილისი“, 17. XII. 1974. № 293 (6590).

41. Н. Scherfig, Morgenrødens Land, გვ. 8, 9, 30, 79, 113, 175—179.

42. სალამი თქვენ, ჩვენო მეგობრებო! „კომუნისტი“, 24. IX. 1966, № 218 (13602); Теплая встреча, «Вечерний Тбилиси», 24. IX. 1966, № 225 (4063).

43. „კომუნისტი“, 1. X. 1966, № 224 (13608); „თბილისი“, 1. X. 1966, № 231. (4076); „ლიტერატურული საქართველო“, 7. X. 1966, № 41 (1522); «Заря Востока», 1. X. 1966, № 226 (12770).

44. E. Kaupila, Shota Rustabelin rhaassa, «Kansan Uutiset», 16. X. 1966. №.280.

45. I. Lurrol, Sjota, ett 800—årsminne, «Nyheter från Sovjetunionen», 1966, № 17—18, გვ. 42—43.

46. «Riddaren i tigerskinnet» illustrationer, იქვე, გვ. 43.

ზემოდასახელებულ ევროპელ მოღვაწეთა წერილები და გამოთქვებში დაიბეჭდა კრებულში — „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (II, თბ., 1978, გვ. 168, 218—226, 269, 279—282). ჩვენს წერილში გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის მასალები, რომელთა ნაწილი კაბინეტს ვადასცესტ. ავდეევამ (მოსკოვი), თ. ვასახურდიამ, ჯი. მეგრელიძემ, რ. სმიტამ (ლაიფენი), პ. ფოჯტამ (ოსლო), ოსლოს, სტოკჰოლმისა და ჰელსინკის უნივერსიტეტებმა, თარგმნეს ო. გოლიაძემ, ი. დავითაშვილმა, მ. ჩხაიძემ, ნ. ქაღვიშვილმა.

Л. В. МЕНАБДЕ

РУСТАВЕЛИ В ЕВРОПЕЙСКИХ СТРАНАХ

Резюме

В статье проанализированы материалы о Руставели и его поэме «Витязь в тигровой шкуре», опубликованные в Бельгии, Нидерландах, Испании, Норвегии, Исландии, Дании, Финляндии и Швеции. Показано, как познакомились читатели этих стран с грузинской поэмой.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრა წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

გიორგი არაბული

ზომი რამ ნანუჩას შესახებ

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევისა და შესწავლის დროს არაერთხელ ყოფილა მოხსენიებული სახელი ნ ა ნ უ ჩ ა, როგორც სახელი ერთ-ერთი ინტერპოლატორისა. ყველაზე ადრეული ცნობები ამის შესახებ თვით პოემის ხელნაწერებში გვაქვს. მაგალითად, 1660-იან წლებში გადაწერილ ნუსხაში B¹ (Q—1082), 2070-ე სტროფის წინ არის ასეთი სათაური: „ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქუა ეამსა სიკვდილისასა, ნ ა ნ უ ჩ ა ს ჩამატებული მას უკან“. ავთანდილის აღნიშნული ანდერძის ავტორად ნანუჩას ასახელებენ სხვა ხელნაწერებიც, მაგ., B⁷, გადაწერილი დაახლოებით 1710 წ. („ანდერძი ავთანდილისა ეამსა სიკვდილისასა, ნ ა ნ უ ჩ ა ს ნათქვამი“), აგრეთვე B¹⁰ B¹³ C⁶, ოდნავ განსხვავებული ფორმულირებით. აღნიშნულ ხელნაწერებში ეს ანდერძი შეიცავს 16 სტროფს (2070—2078, 2050—2056, ს. ყუბანეიშვილის 1956 წ. გამოცემით)¹. მას მოსდევს ავთანდილის მეორე ანდერძი „ტფილელის იოსების გამოთქმული“ (B¹).

B¹ („ზაზასეულ“) ხელნაწერში სხვადასხვა ადგილას 21 სტროფთან გადამწერის ხელით დასმულია ინიციალი ნ, რასაც მკვლევრები იმის მანიშნებლად თვლიან, რომ ეს სტროფები ნანუჩას ეკუთვნის. ამ მხრივ დიდად საინტერესოა H—757 (C³) ხელნაწერი, გადაწერილი 1671 წ. მასში ბევრ სტროფთან მიწერილია: ნ ა, ნ ა ნ, ნ ა ნ უ ჩ ა და ა. შ. ეს მინაწერები თვით პოემის გადამწერს არ ეკუთვნის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გაკეთებული ეს მინაწერები, თვით ის ფაქტია საყურადღებო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ჩანართისა და დანართების ავტორად ნანუჩა არის გამოცხადებული.

აქ დასახელებულ ხელნაწერებში არსად არის ნახსენები ნანუჩას გვარი ან თანამდებობა. ეს გარემოება იმის საბუთად გამოდგება, რომ ჩვენთვის უცნობი ვინმე ნანუჩა იმ დროისათვის ისე ცნობილი ყოფილა ან პოეტობით, ან თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, რომ არავენ ჩათვალა საჭიროდ მისი გვარის აღნიშვნა.

ასევე იქცევა მეფე არჩილიც; თანაც იგი ისე დაბეჯითებით საუბრობს ნანუჩაზე, თითქოს მხოლოდ იგი იყოს ერთადერთი მიმბაძველ-შემმატებელი რუსთველისა:

„ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
 საბარალოს ვერ შეუწყევია, წმინდა რამ აღმღვრევია...“²

არჩილზე და „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებულ ხელნაწერებზეც უფრო ადრე, 1647 წელს, მამუკა თავაქარაშვილი „ზაზასეულის“ შესავალში ახსენებს ვინმე „მ ა ნ უ ჩ ა რ მ წ ე რ ა ლ ს“, რომელიც პოეტი ყოფილა³. მკვლევრებს მაინცათ, რომ ეს „მანუჩარ მწერალი“ იგივე ნანუჩაა.

ამ პიროვნების შესახებ დამატებითი ცნობა წარმოადგინა თეიმურაზ ბაგრატიონმა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში. წერილში მარი ბროსესადმი იგი აღნიშნავს, რომ ნანუჩა გვარად ც ი ც ი შ ვ ი ლ ი იყო, „ქართლის თავადთაგა-

ნი“ და რომ მას გიორგი მეთერთმეტის დროს უნდა ეცხოვრა, ე. ი. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში. აი უფრო სრულად მისი აზრი: „ციცისშვილი ყოფილა ერთი, ქართლის თავადთაგანი, იმას მეტი სახელი ნანუჩა რქმევია. იგი ნანუჩა ციციშვილი ვახტანგ მეფეზე უწინ ყოფილა. ვეჭვოვ, გიორგი მეთათორმეტისა ქართლის მეფისა შანავაზ მეფისა, ბახუტას შვილის დროსა ყოფილა. იმას მოუგონია და თითონ გაუკეთებია ეგ ლექსები და ვეფხისტყაოსნისათვის შეურთავს. და ვისაც იმისის ვეფხისტყაოსნიდამ გადმოუწერია აღარ გაუსინჯავთ, თუ ველარ გაუსინჯავთ, და ისე შეეცდომით ჩაუწერიათ. იქნება რომ ის ნანუჩა ციციშვილი დიახ კარგი კაცი ვინმე იყო, ღმერთმა აცხონოს! მაგრამ დიახ ცული პიტიკოსი ბრძანებულა“. თ. ბაგრატიონი იმავე წერილში ჩამოთვლის ხელნაწერებში დაცული პოემის ბოლო ცამეტ თავს („ტარიელისაგან პინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“ და სხვ.), რომლებიც მას ნანუჩას შეთხზულად მიაჩნია. თ. ბაგრატიონი „ომიანიანის“ ავტორადაც ნანუჩას თვლის⁴.

აქვე გავაანალიზოთ თ. ბაგრატიონის ცნობა. მისი ნათქვამიდან ჩანს, რომ თეიმურაზმა ზუსტად არ იცის ნანუჩას ცხოვრების დრო და არც მისი ბიოგრაფია. „იქნება... დიახ კარგი კაცი ვინმე იყო“, — ამბობს იგი. ვერ იქნება სწორი თეიმურაზის ვარაუდი, რომ ნანუჩას გიორგი მეთერთმეტის დროს უნდა ეცხოვრა (გიორგი XI ქართლს განაგებდა 1676—1688 წწ.). არც ის მართლდება, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა დამატების ავტორი ნანუჩა არისო⁵. ძალაში რჩება მხოლოდ ის აზრი, რომ ნანუჩა მეტსახელი იყო ერთ-ერთი ციციშვილისა. ამის გამაბათილებელი საბუთი ჯერჯერობით არა ჩანს.

მ. ბროსემ გაიზიარა თ. ბაგრატიონის ცნობა და 1841 წ. გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში თითქმის ზუსტად გაიმეორა ის.

ზაქარია ჭიჭინაძეც დაახლოებით ამავე წერდა. მისი სიტყვით, „ნანუჩა ციციშვილი ცხოვრობდა 1670 წელს (უნდა გავიგოთ: 1670 წლის ახლოს ან 1670-იან წლებში. — გ. ა.) ეს იყო ქართველი მწიგნობარი, მცოდნე სხვადასხვა ენებისა და მწერლობისა. ...მას როსტომ მეფის მახლობლე სამეფო საქმეებში დიდი ადგილი ეკავა...“⁶ ამ მსჯელობაშიც აშკარა ანაქრონიზმია: როსტომი გარდაიცვალა 1658 წელს. ზ. ჭიჭინაძე კი წერს: ნანუჩა ციციშვილი 1670-იან წლებში ცხოვრობდა და... როსტომის დროს სამეფო საქმეებში დიდი ადგილი ეკავაო.

აკად. კ. კეკელიძემ შენიშნა, რომ ზ. ჭიჭინაძე სათანადო საბუთებს არ ასახელებს და მისი განცხადება სინამდვილე ვერ იქნება, რადგან ნანუჩას იხსენიებს, როგორც წარსული დროის მწერალს, მეფის მდივანი მამუკა, პოეტი მე-17 ს. მეორე მეოთხედისა. მაშასადამე, ის მამუკაზე ადრე ცხოვრობდაო, — აღნიშნავს კ. კეკელიძე და მიუთითებს, თუ ვინ უნდა ვიგულისხმოთ ამ სახელის ქვეშ: „მას ჩვენ ვხედავთ მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ათეულში. მეფე თეიმურაზს გიორგი სააკაძის სპარსეთში გაქცევის შემდეგ ის მიუგზავნია გიორგის დედის თამარისათვის ქაიხოსრო ჯავახიშვილის საქმის გამო შუაქაცად“⁷.

მართლაც, ქაიხოსრო ჯავახიშვილთან სასისხლო საქმის გარჩევის დროს გიორგი სააკაძეს უთქვამს: „ბატონმან თეიმურაზ ბატონს დედაჩემს მ ა ნ უ - ჩ ა რ მიუგზავნა, რომე ქაიხოსრო თქუენის შვილისაგან ბევრსა ჩივისო და გავებრჭევო“⁸. გ. სააკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასისხლო საქმე გააჩნია ქართლის მეფემ სვიმონ II-მ 1620 წლის 15 აპრილს. ამ განჩინებაში აღნიშნული მანუჩარის გიორგი სააკაძის დედასთან მიგზავნა მომხდარა 1615—1619 წლებს შორის⁹.

კ. კეკელიძის სწორედ ეს ფაქტი ჰქონია მხედველობაში, როცა წერდა: ნანუჩას მე-17 ს. მეორე ათეულში ვხედავთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოხდა სხვადასხვა სახელის ან სახელისა და მეტ-სახელის გაიგივება და ერთ პიროვნებადმედ დაყვანა. კ. კეკელიძის აზრით, არჩილის მიერ დასახელებული „ნანუჩა“ არის ის პიროვნება, რომელსაც გიორგი სააკაძე „მანუჩარი“ სახელით ახსენებს, ხოლო მამუკა მდივანი „მანუჩარი მწერალს“ უწოდებს.

კ. კეკელიძე, როგორც ჩანს, იზიარებს თ. ბაგრატიონისაგან მომდინარე ცნობას ნანუჩას ვინაობის შესახებ, რადგან მას ასე ახსენებს: „...ნანუჩა ანუ მანუჩარი ციციშვილი, პოეტი დაახლოებით XVII საუკუნის პირველი მეხუთედისა“¹⁰.

ნანუჩას მე-17 ს. პირველი ნახევრის მოღვაწედ თვლის იუსტინე აბულაძეც, მამუკა მდივნისა და არჩილის ცნობებზე დაყრდნობით¹¹. ალ. ბარამიძის აზრით, „მოღვაწეობდა ეს ნანუჩა ან მანუჩარი მე-16—17 საუკუნეთა მიჯნაზე“¹².

მკვლევართა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან დავას არ იწვევს მხოლოდ ის ფაქტი, რომ 1615—20 წლებს შორის ქართლში იყო ვინმე მანუჩარი. მისი საქმიანობისა და მწერლობასთან დამოკიდებულების თაობაზე რაიმე საბუთი არავის მოუტანია. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ამ პიროვნების გაიგივება არჩილის მიერ ნახსენებ ნანუჩასთან მხოლოდ სახელთა გარეგნულ (ბგერწერულ) მსგავსებას ემყარება.

რაც შეეხება თ. ბაგრატიონის ცნობას ნანუჩას ციციშვილობის შესახებ, ეს დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, მაგრამ იგი მინც ანგარიშგასაწევი, რადგან ეს ცნობა ემყარება ლიტერატურულ ტრადიციას, რაც კარგად იყო დაცული ქართლისა და კახეთის მეფეთა კარზე.

ნანუჩას ვინაობის უფრო დაზუსტება და მისი ბიოგრაფიის აღდგენა არავის უცდია. ვფიქრობთ, რომ ამის შესაძლებლობა ამჟამად არსებობს. შემდგომი კვლევა, ჩვენი აზრით, უნდა დაემყაროს იმ ფაქტს, რომ ინტერპოლატორს ნანუჩა ან მანუჩარი ერქვა და მოიძებნოს ამ სახელის მქონე სავარაუდო პრეტენდენტები მე-16—17 საუკუნეების სხვადასხვა სახის დოკუმენტებში.

ჩვენ ვცადეთ ეს და კვლევამ ასეთი შედეგი მოგვცა: სახელი ან მეტსახელი ნანუჩა არსად დასტურდება. ჩვენ ვერ ვნახეთ იგი ქართულ ონომასტიკაში და წერილობით ძეგლებში, ამ ერთი ცნობილი გამონაკლისის გარდა (არჩილის პოემა „გაბაასება“...). ამიტომ უნდა დაეუშვათ, რომ „ნანუჩა“ იყო მეტსახელი ან შინაური სახელი (როგორც თ. ბაგრატიონი გადმოგვცემს), ხოლო ოფიციალურად ამ პიროვნებას მანუჩარი უნდა რქმევოდა¹³.

მე-16—17 საუკუნეებში ცხოვრობდა სხვადასხვა გვარის რამდენიმე მანუჩარი, თუმცა არც ერთი მათგანი პოეტობით ან, საერთოდ, სამწერლო მოღვაწეობით ცნობილი არ არის. მაგალითად:

1. მანუჩარ დადიანი, სამეგრელოს მთავარი 1590—1611 წლებში¹⁴.
2. მანუჩარ „ქალაქის მოურავი“, 1646 წლის საბუთში¹⁵.
3. მანუჩარ თუმანიშვილი, მორდარი (მეფის ბეჭდის მცველი) 1638, 1654 — 1658, 1666, 1669, 1673 წლების საბუთებში¹⁶.
4. მანუჩარ ჯავახიშვილი, 1682 წლის საბუთში¹⁷.
5. სამცხე-ჯავახეთის მფლობელთა — ჯაყელების — გვარში იყო რამდენიმე მანუჩარი. მათგან პირველი იყო ქაიხოსრო I ათაბაგის ძმა, რომელიც 1515—16 წლებში ათაბაგობას ეცილებოდა ძმისწულს ყვარყვარე III-ს¹⁸.

2. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 4

64446

6. მანუჩარ II, იგივე მუსტაფა ფაშა, ათაბაგისა და ხან ფაშას ტიტულით ფლობდა სამცხე-ჯავახეთის ნაწილს 1570-იანი წლებიდან 1600-იან წლებამდე, გარდაიცვალა 1607 წლის ახლო დროში¹⁸.

7. მანუჩარ III-მ (მანუჩარ II-ის შვილი და სვიმონ მეფის დისწული) 1608 წელს 16 წლისამ მიიღო ათაბაგობა შაჰ-აბასისაგან. იგი 1620-იან წლებამდე უმკლავდებოდა ოსმალების შემოტევას. ბოლოს მაინც იძლია მათგან, 1624 წ. ოსმალებს გამოერიდა და „მოვიდა ახალდაბას“. 1625 წელს მონაწილეობდა მარაბდის ომში. 1628 წელს იგი მოწამლა ბიძამ, ბექამ (საფარ ფაშამ)¹⁹.

ვერც ერთი მათგანი ვერ მიიჩნევა იმ პიროვნებად, ვისაც ვეფხისტყაოსნის „შემატება“ ან გაგრძელება მიეწერება, ამიტომ უნდა ვენდოთ თ. ბაგრატიონის ცნობას და ისევ ციციშვილების გვარში ვეძებოთ ჩვენთვის საინტერესო პიროვნება.

მე-17 ს. ისტორიულ საბუთებსა და სამართლის ძეგლებში ციციშვილთა გვარში გვხვდება **ორი მანუჩარი**.

ზაქარია კათალიკოსის მიერ 1623—30 წლებში გაცემულ შენდობის წიგნში ვკითხულობთ: „იე შენდობის წიგნი [მო]გეც შენ, ციციშვილსა ბა[ა]დურს, მანუჩარს და შვილთა თქვენთა ნასყიდასა, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე შენის განაყოფის სისხლში გარეულყავ და კათალიკოზისაგან შეუნდობელი იყავით. ასლამაზის სისხლშიგანც გარეულ იყავ...“¹⁹

1626-32 წლების ერთ-ერთ „განჩინებაში“ ციციშვილი მანუჩარ მოხსენიებულია „ბრჭეთა და მეშულთა“ შორის, მეფე თეიმურაზთან ერთად²⁰. ეს დოკუმენტი საფუძველს გვაძლევს, რომ მანუჩარი მეფის კარის სასამართლოს („დივანის“) წევრად მივიჩნიოთ.

1638 წლის საბუთში მანუჩარი უკვე „სახლისუხუცესად“ არის მოხსენიებული²¹. ასევეა 1640 წლის საბუთშიც: „...დავსხედით ჩუენ... ციციშვილის სახ[ლთხ]უცის პატრონის მანუჩარისა და მისის განაყოფის პაპუნას საქმის გასა [რჩევათ]“²². ამავე საბუთის მიხედვით, საქმის გარჩევაში მონაწილეობდნენ მანუჩარის ძმები ბაადურ და ყაია: „სახლისუხუცესმან მანუჩარ, ბა[ა]დურ და ყაიამან ასრე უპასუხეს...“ დასახელება ასეთი თანამიმდევრობით ხდება რამდენიმეჯერ. უურადლებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ზაქარია კათალიკოზის მიერ გაცემულ შენდობის წიგნში ვერ ბაადური იყო ნახსენები, შემდეგ — მანუჩარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბაადური უფროსი ძმა მანუჩარისა. წინამდებარე განჩინებაში კი პირველ რიგში მანუჩარს ასახელებენ, ალბათ მისი თანამდებობის გამო. მათ ჰყოლიათ მეოთხე ძმაც—ზაზა²³.

სახლთუხუცესია მანუჩარი 1646 წლით დათარიღებული ორი საბუთის მიხედვითაც²⁴.

მანუჩარ ციციშვილი გვხვდება კიდევ 1679 წლის საბუთში; გიორგი XI-ის მიერ ხელმოწერილ განჩინებაში ვკითხულობთ: „ციციშვილების ქაიხოსროვ[ი]ს, იასეს და მანუჩარის და მისი განაყოფის ზა[ა]ლის სარჩელი და საჩივარი გავიგონეთ...“²⁵. აქ მანუჩარი ჩანს, როგორც ქაიხოსროვისა და იასეს უმცროსი ძმა და საბუთში შემდეგ მისი სახელი აღარ ფიგურირებს.

მე-18 ს. დასაწყისის ორ საბუთში მანუჩარი ნახსენებია როგორც ყაიას შვილი. ამრიგად, იგი ამისწულია მე-17 ს. პირველ ნახევარში მცხოვრები მანუჩარისა.

რამდენადაც „მანუჩარის“ პიროვნება ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებთან მიმართებაში გვიანტერესებს, აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ეს — 1670-

იან წლებში ჯერ კიდევ ახალგაზრდა მანუჩარ ციციშვილი ვერ იქნება ავტორი ავთანდილის იმ ანდერძისა, რომელიც შესულია 1660-იან წლებში გადაწერილ („ზაზასეულ“) ვეფხისტყაოსნის ხელნაწერში. მით უფრო, რომ ეს ანდერძი არის უფრო ადრინდელ ხელნაწერშიც (მხედველობაში გვაქვს სამეფო სახლის ხელნაწერის ყველაზე ძველი ნუსხა — C¹ (H—2074)²⁶.

დავუბრუნდეთ პირველ მანუჩარ ციციშვილს, რამეთუ იგი ერთადერთი რჩება „ნანუჩაობის“ პრეტენდენტად. სასამართლო განჩინებების მიხედვით, მანუჩარის პიროვნებას ვეცნობით 1610-იანი წლებიდან. იგი ყოფილა „ქვემო ციციშვილების“ გვარიდან; ჰყავდა ძმები: ბაადური, ზაზა და ყაია. 1610-იან და 1620-იან წლებში მანუჩარს თეიმურაზ I-ის ახლოს ვხედავთ, იგი მონაწილეობს ქართლის თავადების სასისხლო საქმეების გარჩევაში²⁷.

შაჰ-აბასის მიერ მეფე ლუარსაბის დატყვევებისა და სპარსეთს წაყვანის (1614 წ.) შემდეგ, როდესაც „ქართუელნი უპატრონოდ დარჩენ“, მანუჩარი და მისი ძმები და მათი განაყოფები, ქაიხოსრო და მერაბი, ადგილ-მამულზე დაობდნენ. რამდენჯერმე მოხდა ერთმანეთზე დაცემა „ლაშქრით“, ცემა-ტყევა, „ჯალაბების თრევა“ და სახლ-კარისათვის ცეცხლის წაკიდება. 1623 წლის შემდეგ, ახლო ხანში, ზაქარია კათალიკოსის შუამავლობით შერიგდნენ, მაგრამ ერთმანეთის მტრობა მაინც გულში ედოთ. ქაიხოსრომ ბაადური შინ დაპატიჟა და ღალატით მოკლა დაუპირა. ამის საპასუხოდ ბაადურმა და მანუჩარმა დახოცეს ძმები ქაიხოსრო და მერაბი²⁸.

ერთიანად ამოწყვეტის შიშით ქაიხოსროს შვილები: პაპუნა, ხოხონა, მათი „ერთი ძმა და ერთი და“ სპარსეთს წასულან (სადაც ადრე თვით ქაიხოსროც იყო). იქ მათ, ალბათ, მფარველი ან „სამართლის გამჩენი“ ეგულებოდათ. როგორც ჩანს, ამის შემდეგ მანუჩარმა და მისმა ძმებმა უფრო შეიმატეს ყმა და მამული.

ეს ამბები მომხდარა იმავე ზაქარიას დროს, რომელიც 1623—30 წლებში იყო კათალიკოსად. მას შენდობის წიგნი მიუცია ბაადურისა და მანუჩარისათვის ამ მკვლელობის გამო²⁹.

ქართლში მეფედ როსტომის მოსვლის (1632 წ.) შემდეგ მანუჩარი მას მიმხრობია და სასახლის ერთ-ერთი მოხელეც გამხდარა. როგორც ვთქვით, იგი სახლთუხუცესად იხსენიება 1638 წლიდან 1646 წლამდე. აქვე ვეცდებით დავაზუსტოთ, თუ ვისი სახლთუხუცესი იყო მანუჩარი. ცნობილია, რომ მე-16—17 საუკუნეებში ქართლისა და კახეთის სამეფოებში სახლთუხუცესი იყო მეფის კარის პირველი მოხელე. მას მეფის სახლთუხუცესი ეწოდებოდა. მის გარდა „თავისი სახლთუხუცესი ჰყავდა აგრეთვე დედოფალს, კათალიკოსს, თავადებს და მსხვილ ეკლესია-მონასტრებს“³⁰.

მანუჩარი საბუთებში იხსენიება მეფის ან კათალიკოსის შემდეგ, როგორც „სახლთუხუცესი“ ან „სახლისუხუცესი“. ერთ საბუთში კი, სადაც ორი „სახლთუხუცესი“ გვხვდება, ჯერ მანუჩარია და მის შემდეგ — „კიდევ სახლთუხუცესი ბარათაშვილი ბატონი ყაფლან“³¹. ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მანუჩარი იყო მეფის (როსტომის) სახლისუხუცესი. რომელ წლამდე იყო იგი ამ თანამდებობაზე, ზუსტად არ ვიცით. ამის მიახლოებით დასადგენად უნდა მოვიხმოთ შემდეგი ფაქტები: განჩინებაში, რომელიც 1654—58 წლებით თარიღდება, ჩანს „სახლთუხუცესი ჩოლოყასშვილი ბიძინა“³², ხოლო 1656 და 1657 წლებში, სახლისუხუცესად იხსენიება ციციშვილი ყაია³³. ყაია კი მანუჩარის უმცროსი ძმა იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ყაიამ ეს სახელო მიიღო მანუჩარის

გარდაცვალების ან თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ³⁴. მანუჩარის ცხოვრებიდან კიდევ ის ვიცით, რომ 1640 წელს როსტომ მეფემ გააჩნია მისი და პაპუნა ციციშვილის სასისხლო საქმე და მტრები შეარიგა. ყოფილი მოსისხლეები შემდეგ დამოყვრებულან კიდევაც: მანუჩარის ქალიშვილი ანა (ანუკა) შეურთავს პაპუნას ვაჟს ზაზას³⁵. ეს უნდა მომხდარიყო 1650-იან წლებში.

ვიწინდნ 1650-იანი წლების დოკუმენტებში მანუჩარ ციციშვილი აღარ ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ამ დროს გარდაცვლილია, ხოლო ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობის გათვალისწინებით იგი დაბადებული უნდა ყოფილიყო 1590-იან წლებში³⁶.

ახლა რაც შეეხება მის პოეტობას. არჩილი ნანუჩას რომელიმე ცალკე თხზულებას არ ასახელებს. იგი აღნიშნავს მხოლოდ, რომ ნანუჩას „ვეფხისტყაოსანში“ „ბევრი რამ ჩაურევია“. თანაც საკმაოდ მკაცრად აფასებს მის ნამოღვაწარს: „ს ა ბ რ ა ლ ო ს ვ ე რ შ ე უ წ ყ ვ ი ა, წ მ ი ნ დ ა რ ა მ ა უ მ დ ვ რ ე ვ ი ა“, „ს ი რ ე გ ვ ნ ე მ ი თ მ ო რ ე ვ ი ა“. ამავე თავში ამბობს: „კარგადა ვთქვა ყველაკი, არ მგონია ვნანუჩაო!“

არჩილი ზოგიერთი სხვის მიმართაც ასეთივე სიმართლის მთქმელია. მაგ., ნანუჩას შემდეგ ახსენებს ფავნელიშვილს:

„ჯალაგსა ფავნელისშვილსა არვინ ათხოვს ყურსაო,
მას ვერცხლი დაუშხვრევია და ველარ დაუყურსაო“.

გავისხენოთ კიდევ ფეშანგზე ნათქვამი: „ფეშანგ ფაშვი-ბერტყასძემ ახლა თქვა ფირმალიანი... მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი“. ამით შორის ნანუჩა მაინც ყველაზე მეტად არის დაგმობილი.

ვფიქრობთ, ამაში ნანუჩას სუსტი პოეტობის გარდა, მისდამი არჩილის დამოკიდებულებას განსაზღვრავს მისი (არჩილის) პოლიტიკური ორიენტაცია.

საქართველოში მე-17 ს. 30—40-იან წლებში ორი საპირისპირო ბანაკი იყო: როსტომის მომხრეთა და თეიმურაზის მომხრეთა. არჩილს, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, თეიმურაზის პოზიცია და მისი მოქმედება მოსწონს. აი, რას წერს იგი: „მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჩელთ ამბავი თვითმნახავთა და თან-ნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა. არა ხოტბა — არამედ მართალი... ვითაც ამჟამად ასე სახელის მძებნელი კაცი არ გამოსულა, რომ მეფე თეიმურაზ, და მისი სახელი და სარჩელი არ დავკარგე და ბევრისგან უმცირესი ვთქვი“³⁷.

არჩილის მამა, ვახტანგ V, დიდად დავალებული იყო როსტომ მეფისაგან. როსტომმა აირჩია ვახტანგი თავის მემკვიდრედ და სიცოცხლეშივე დაუთმო სამეფო ტახტი. აქედან დაიწყო მუხრანის ბაგრატიონების მეფობა ქართლში. მიუხედავად ამისა, როსტომის, როგორც მეფის, მოღვაწეობა არჩილის პატივისცემისა და ქებას ვერ იმსახურებს (აღბათ როსტომის სპარსოფელური პოლიტიკის გამო). არჩილს თეიმურაზი ურჩევნია, როგორც მტერთან აშკარა და შეურთიგებელი მეზობალი. ასევე საპირისპირო ბანაკში აღმოჩნდა როსტომის უპირველესი კარისკაცი მანუჩარ ციციშვილი.

არჩილის თვალში მანუჩარს უარყოფითად გამოაჩენდა აგრეთვე მისი ნათესაობა ზაზა ციციშვილთან. როგორც ვიცით, სარდალი ზაზა ციციშვილი მოკლეს მეფისადმი ურჩობის გამო, უშუალოდ არჩილის ძმის, გიორგი XI-ის, ბრძანებით. ამ ამბის შემდეგ ზაზას დანაშაული კვალიფიცირებული იქნებოდა როგორც ღალატი მეფისა და ქვეყნის წინაშე, ხოლო მისი ახლო ნათესავები სამეფო სახლის მტრებად ჩაითვლებოდნენ.

ამ ურთიერთობათა ფონზე გასაგები უნდა იყოს არჩილის დაუზოგავი კრიტიკა ნანუხას, იგივე მანუხარ ციციშვილის მიმართ.

მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა ნანუხას პოეტური ნიჭის არჩილისეულ შეფასებას, პოემის ტექსტის შესწავლისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ეკუთვნის მას ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართებიდან. ამ საკითხს სხვა დროს განვიხილავთ.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. სხვა ხელნაწერები არ მიუთითებს, რომ ეს ანდერძი ნანუხას ნათქვამია, მაგრამ სტროფთა რაოდენობა და რიგი ასეთივეა $B^6 C^4 C^5 D^4 D^5$ -ში. 2050—56 სტროფებს ტარიელს ანდერძის ნაწილად წარმოგვიდგენს C^5 . B^5 -ში კი ისინი ორივეგან არის — ტარიელისა და ავთანდილის ანდერძებში. სხვა ხელნაწერებიდან ზოგი დაზიანებულია, ზოგში კი ანდერძები სულ არ არის.

2. ა რ ჩ ი ლ ი, გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა, სტროფი 26. არჩილს ამ პოემის წერა უნდა დაეწყო 1664—1675 წლებში (კახეთში მეფობის დროს), ხოლო დაასრულა 1681 წელს.

3. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუსტ. აბულაძის რედაქციით, ტ. I, ტფილისი, 1916, გვ. 4.

4. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორი, H—22, ფ. 12r—14r. (ციტატა დამოწმებულია ს. ყუბანეიშვილის წიგნის მიხედვით: ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, I, თბილისი, 1966, გვ. 52).

5. იხ. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბილისი, 1970, გვ. 27—28.

6. ზ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში, გვ. 15.

7. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1958, გვ. 367.

8. ქართული სამართლის ძეგლები, I V, ი. დოლიძის რედაქციით, თბილისი, 1972, გვ. 63.

9. ეს ამბავი უფრო ადრე, ლუარსაბის მეფობაში რომ მომხდარიყო, მაშინ თეიმურაზი არ ჩაეყოფა ქართლის თავადების საქმეში (ლუარსაბ მეფე შაჰ-აბასმა დაატყვევა 1614 წლის ოქტომბერ-ში).

¹⁰ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. წიგნი, გვ. 367.

¹¹ შ. რ უ ს თ ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქციით, ტფილისი, 1914, გვ. VII—IX.

12. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1966, გვ. 285.

13. შეადარეთ: ვახტანგ და ბახუტა. თეიმურაზ მუხრანბატონის ძეს — ვახტანგს, რომელიც ქართლის მეფე გახდა შაჰნავაზის სახელით, ახლობლები თურმე ბახუტას ეძახდნენ (ესეც თ. ბაგრატიონისაგან ვიცით).

14. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 142.

15. დოკუმენტები, I, ხ. ნერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 30—31.

16. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 215; IV, გვ. 115; დოკუმენტები, I, გვ. 43.

17. დოკუმენტები, I, გვ. 70.

18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 97, 125—152, 304—310.

19. ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970, გვ. 490.

20. ქართული სამართლის ძეგლები, IV, თბილისი, 1972, გვ. 66.

21. იქვე, გვ. 72.

22. იქვე, გვ. 76—77.

23. იქვე, გვ. 80.

24. იქვე, გვ. 85, 691.

25. იქვე, გვ. 143.

26. მისი ვადაწერის თარიღი ზუსტად არ ვიცით, მაგრამ იგი არ ცდნოს ცოდება მე-17 ს-ის შუა წლებს. თუმცა აკად. ა. შანიძე 1966 წელს გამოცემულ წიგნში „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ (გვ. 237) სივანეზობდ აღნიშნავს, რომ ამ ხელნაწერს „თარიღი აღარ შენორჩენია, მაგრამ გამოკვეულია, რომ ისიც მე-17 საუკუნისაა, უფრო ზედმიწევნილობით: მე-17 საუკუნის მეორე ნახევარი“, და მიუთითებს ს. ორდანიშვილის გამოკვლევაზე — ვეფხისტყაოსნის ეგრეთ წოდებული „უძ-

ველსი ხელნაწერისა «შესახებ (ნარკვევები, თბილისი, 1964, გვ. 3—18), სადაც ს. ორდანიშვილი წერს, თითქოს, H—2074 ხელნაწერში იყოს ი. ტფილელის მიერ შეთხზული ავთანდილის ანდერძი და ამის მიხედვით თელის ამ ხელნაწერს მე-17 ს. მეორე ნახევარში გადაწერილად.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დასკვნა აშკარა შეცდომაზეა დაფუძნებული, რაც მოულოდნელია ისეთი დაკვირვებული მკვლევარისაგან, როგორც ს. ორდანიშვილი იყო. აღნიშნული შეცდომა გაანალიზებულია ს. ცაიშვილის წიგნებში: ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბილისი, 1957, გვ. 27—29; ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 112—113. საკითხის ეს სწორი შეფასება მხედველობიდან გამორჩენია აკად. ა. შანიძეს.

ამ ხელნაწერის კალიგრაფიის, საწერი მასალის, რედაქციული შედგენილობისა და საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ვითარების გათვალისწინებით დგინდება, რომ იგი გადაწერილია ქართლში როსტომის მეფობის დროს. ეს ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს მარიაშვილის დედოფლის დაკვეთით 1630—40-იან წლებში.

27. ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 63, 66.

28. იქვე, გვ. 76—82.

29. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 490.

30. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 233.

31. ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 85.

32. იქვე, გვ. 115.

33. იქვე, გვ. 99, 102.

34. ქართლის მეფე როსტომი 1658 წ. გარდაცვალა, მაგრამ უკვე 1656 წლიდან სამეფოს ფაქტურად ვახტანგ V (შაანავაზი) მართავდა. ამიტომ ჩნდება ვარაუდი, რომ ყაიას, რომელიც სახლთუხუცესად პირველად 1656 წ. იხსენიება, ეს სახელო ვახტანგისაგან უნდა ჰქონდეს ნაბოძები. მას შემკვიდრებობით უნდა მიეღო მეფის სახლთუხუცესობა.

35. საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1450, დავთარი 51, საბ. № 70; შდრ. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, თბილისი, 1949, გვ. 317.

36. 1615—25 წლებში, როცა ციციშვილების ორი სახლი ერთმანეთს არბევდა, მანუჩარი და მისი მომდევნო ძმა, ზაზა, სრულსაკოვანი, ცოლიანები ჩაანახ, ხოლო უმცროსი, ყაია, ამ წლებში დაბადებულა. (ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 80). მანუჩარსა და ყაიას შორის შუალედი, სულბეგერი, 20 წელი რომ ჩათვალოთ, მანუჩარი 1595—1605 წლებში დაბადებული გამოდის.

37. არჩილი, გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა, შესავალი.

Г. Х. АРАБУЛИ

О ЛИЧНОСТИ НАНУЧА

Резюме

В статье дана попытка установить личность одного из интерполяторов «Витязя в барсовой шкуре» Нануча. Приведены не использованные исследователями доныне документы, на основании которых выясняется, что Нануча — прозвище князя Манучара Цицишвили, жившего в первой половине XVII века. Он был домоправителем (гофмейстером) царя Ростова в 1638-1646 гг.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული შ. რუსთაველის «ვეფხისტყაოსნის» აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა «ვეფხისტყაოსნის» აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ

ნოზომვან ჯიჰაკარიანი

ძველი ქართული სასულიერო და საერო-სახოტბო პოეზიის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი

1. ძველი ქართული სახოტბო პოეზიის ყოველმხრივი შესწავლა (იგულისხმება ჩახრუხადისა და შავთელის მსოფლმხედველობა, ანუ სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, ლიტერატურული წყაროები, პოეტიკა, მხატვრული მეტყველების სტილი, ქართულ სასულიერო ჰიმნებთან და სპარსულ ყასიდებთან მიმართება და სხვ.) მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოა. ძველი ქართველი მეხოტბენი ენციკლოპედიურად განსწავლული პიროვნებანი იყვნენ და საგანგებო განათლებაა საჭირო, რათა ჩავწვდეთ იმ ლიტერატურულ ატმოსფეროს, რითაც იკვებებოდნენ ჩვენი დიდი პოეტები.

ძველ ქართულ სახოტბო პოეზიაში აღბეჭდილია ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი ის, რაც XII საუკუნის ქართულ აზროვნებასა და პოეტური კულტურის ტრადიციას უკვე მოპოვებული და შეთვისებული ჰქონდა.

აქ უნდა გავიხსენოთ აკად. კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ ქართული საერო მწერლობის წარმოშობას ერთგვარად განაპირობებდა ძველი ქართული სასულიერო მწერლობა (პაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია), კ. კეკელიძის აზრით, „საეკლესიო მწერლობის მძლავრმა განვითარებამ X—XI საუკუნისათვის შექმნა ყოველმხრივ დამუშავებული და ჩამოყალიბებული ქართული ლიტერატურული ენა, რომელსაც შეეძლო გადმოეცა ადამიანის სულის, გრძნობისა და გონების მოძრაობის ყოველგვარი ნიუანსი“, ხოლო „...საერო მწერლობაში შესაძლებელი გახდა აგიოგრაფიული ბელეტრისტიკისა და საეკლესიო ჰიმნოგრაფიის ლიტერატურულ-კომპოზიციური ხერხებისა და ელემენტების გამოყენება“¹. კ. კეკელიძე სასულიერო და საერო ლიტერატურის ურთიერთობას შეეხო სხვა შრომებშიც².

2. **არქიტექტონიკა.** ქართული ჰიმნოგრაფიის ზეგავლენის კვალზე საერო პოეზიის მიმართ პირველად მ. ჯანაშვილმა მიუთითა³. ხოლო XII საუკუნის სახოტბო პოეზიის მიმართ 1945 წ. გ. იმედაშვილმა. მკვლევრის დაკვირვებით, პოეტური შეჭირვებისა და უძღურების აღიარება, ვედრება ღვთისადმი შემოქმედებითი ძალის მოცემისათვის, ქებად მოწოდება და სხვ. საერთო ყოფილა ჰიმნოგრაფებისა და მეხოტბეებისათვის⁴. ჰიმნოგრაფიის ზეგავლენის შესახებ სახოტბო პოეზიის არქიტექტონიკაზე კვლავაც გ. იმედაშვილმა მიუთითა თავის წერილში „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები X ს. ქართულ ჰიმნოგრაფიაში“. როგორც ცნობილია, ჰიმნი თავისი შინაარსით ხოტბას განეკუთვნება. მასში შექმნილია ქრისტე, ღვთისმშობელი, ანგელოზები, წმინდანები, მოწამეები. საერო პოეზიაში ქების ობიექტი შეიცვალა, ქრისტესა და წმინდანებს შეენაცვლენ ამქვეყნიური პიროვნებანი, მოკვდავი ადამიანები; საერო პოეზიის ყურადღების ცენტრში, სასულიეროსაგან განსხვავებით, იდგა ადამიანი თავისი სიყვარულითა და სიძულვილით, ყოველდღიური ცხოვრებითა და ვნებებით.

პირველად აკად. ნ. მარმა გარკვია „თამარიანის“ ცალკეულ ხოტბათა არქიტექტონიკის საკითხი. მისი დასკვნა ამგვარია: „თამარიანის“ ცალკეული ხოტ-

ბები შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: 1. შესავალი: ა) მიმართვა ლეთისადმი ან (პოეტ-ფილოსოფოსთა) მოწვევა თამარისადმი მალაღფარდოვანი ქების სათქმელად, ბ) ქების ობიექტი; 2. შინაარსი; 3. დასკვნა. შედგება ორი ნაწილისაგან: ა) პოეტი უარს აცხადებს თამარის ქებაზე. ბ) მისი ქება არ ძალუძს მსოფლიოს არც ერთ ბრძენს⁵.

მეტ-ნაკლებად ამგვარივე კონსტრუქციული აღნაგობა აქვს X ს. ქართულ სასულიერო ჰიმნებსაც.

საილუსტრაციოდ მოგვეყვას იოანე (ივანე) მინჩხის ერთი საგალობელი. იოანე მინჩხს მიეკუთვნება გიორგი მეფის საგალობელი („გალობანი გიორგისნი“)⁶, რომელიც იწყება შესავლით. ეს შესავალი წარმოადგენს ვედრებას ქრისტესადმი, რათა „აღმოსთქუას ქებაი მოწამისა გიორგისი“. (აქ ძალუენებურად მოაგონდება მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები: „ჰე, ღმერთო, ერთო, ... მომეც მიჯნურთა სურვილი...“).

დაყოფა (შესავალი, ქება, დასკვნა, დასასრული) პირობითია:

ა) შესავალი:

„მოეც სინათლე
გონებასა ჩემსა, ტკბილო იესუ,
და გულსა ცნობაი გონიერად გამგონე
ბრძაბა განმამბრძნობელო უფალო,
რომელმან მოეც სიტყუაი უსშსა, შობითგან უტყუესა,
იგივე მადლი, სახიერ,
მომეც უღირსსა ამას,
რათა აღმოვსთქუა ქებაი
შენისა მოწამისა გიორგისი.

ბ) შესავალს უშუალოდ მოსდევს საკუთრივ ქება. როგორც ბერძნულ სასულიერო პოეზიაში, ქართულშიაც ჰიმნის ამგვარი არქიტექტონიკა სისტემის ხასიათს ატარებს. ქ ე ბ ა:

„ვითარცა ვარდი
სურნელითა ფერითა შუენიერთთა
გამოშინდი ეკალთაგან უნაყოფოთა, (და. ა. შ. და ა. შ.)

გ) დასკვნა:

„მკუთნეს ქარნი იგი
საშინელნი განსაცდელთანი —
გოდოლსა სულისა
წმიდისა აღშწნებულსა,
წმიდისა მას მოწამესა
და ზღუდესა მორწმუნეთასა,
ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცე მისი
რამეთუ დამყარებულ იყო
არ ქვასაა ზედა, არამედ
კლდესა ზედა ქრისტის მცნებათასა“.

მიმართვა ლეთისადმი ანუ ქებად მოწოდება, რაც ასე დამახასიათებელია საერო ხოტბებისათვის, ანალოგიას პოულობს სასულიერო ჰიმნებთან.

ასე მაგალითად, იოანე მტბევიარი თავის ერთ-ერთ ჰიმნს ამგვარად იწყებს: „მოვედით მორწმუნენო. ვაქებდეთ სამ გოჯამოვანსა ღმერთსა მამასა ძით“ ან „მოვედით ყოველნი ერთობით მორწმუნენო...“ „მოვედით დღეს, მორწმუნენო, და ვიხილოთ ქოვაბი...“ „მოვედით მორწმუნენო. სოვლიერთთა ქებითა ერთობით შევასხმიდეთ ღმრთის მეტყოველებისა თავსა...“⁷. შღრ. „აბდულუმესია“:

„შემოკრბით, ბრძენო, ათინელთ ძენო,/თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულ-სა... (2, 1)⁸. „თამარიანინ“: „მო, ფილოსოფნო, სიტყვათა არსნო,/ თამარს ვაქებდეთ გულისკმეირსა!“ (I, I)⁹.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ქებად მოწოდების ტრადიციას „თამარიანინს“ ცალკეულ ხოტბებში სამყაროს შექმნის პოეტური სურათი ცვლის ხოლმე. ქებად მოწოდებისა და აღნიშნული ეს უკანასკნელი პოეტური ხერხი ხშირად ენაცვლება ერთმანეთს და ერთგვარ კანონზომიერებას ქმნის.

სამყაროს შექმნის პოეტური სურათით იწყება „თამარიანინს“ ერთ-ერთი მცირე ხოტბა (VI), რომელიც არქიტექტონიკულად ჩამოჰყავს სასულიერო ჰიმნებს, კერძოდ, ზემოთ განხილულ იოანე მინჩხის საგალობელს.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: XII საუკუნის ქართული სახოტბო პოეზია ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილა.

როგორც ცნობილია, საერო მწერლობამ სასულიერო მწერლობისაგან მიიღო დახვეწილი ლიტერატურული ენა და აითვისა მდიდარი პოეტურ-გამომსახველობითი ხერხები. „თამარიანინსა“ და „აბდულმესიანის“ კლასიკურობა და მონუმენტურობა უთუოს ხდის იმ საკითხს, რომ ჩვენში ამ დროისათვის სახოტბო პოეზიას ტრადიცია გააჩნდა. (სახოტბო პოეზიის წარმოშობა, ისევე როგორც საერთოდ საერო პოეზიისა, თანხვედბა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანას (1189—1125 წწ.)).

X საუკუნის ქართულ სასულიერო ჰიმნებსაც მეტ-ნაკლებად ძველი ქართული სახოტბო პოეზიის მსგავსი აგებულება აქვს.

კონკრეტული მაგალითების გაანალიზების შედეგად დასტურდება, რომ ქებად მოწოდების პოეტური ხერხი საერო მეხოტბეებისა და ჰიმნოგრაფებისათვის ერთნაირი ყოფილა. უფრო სწორად, მეხოტბეებს ეს პოეტური ხერხი სასულიერო პოეზისაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩახრუხაქესთან ხოტბის შესავალში ქებად მოწოდების პოეტურ ტრადიციას ხშირად ცვლის სამყაროს შექმნის პოეტური სურათი. აღნიშნული ორივე პოეტური ხერხი „თამარიანინში“ ხშირად ენაცვლება ერთმანეთს და ერთგვარ კანონზომიერებას ქმნის. მიუხედავად ხოტბის ამგვარი არქიტექტონიკული სიასლოვისა ჰიმნებთან, ძველ ქართველ მეხოტბეებთან გვხვდება ასევე ქების აგების ვარიაციული სხვადასხვაობა. ხოტბის კონსტრუქცია, არქიტექტონიკა ყოველთვის არ ემთხვევა ნ. მარის მიერ აღნიშნულ სქემას.

3. ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თანხვედნები და რემინისცენციები.

წინასწარ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. მართალია, მეხოტბეების ზოგიერთ მხატვრულ-პოეტურ სახეს ანალოგია ეძებნება ჰიმნოგრაფებთან, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ორივენი, მეხოტბეებიცა და ჰიმნოგრაფებიც, ერთი საერთო წყაროდან სარგებლობდნენ.

მოსალოდნელია, რომ ძველ ქართველ მეხოტბეებს ბიბლიურ-ქრისტიანული მწერლობის მხატვრული სახეებით სარგებლობის ორი გზა ჰქონოდათ: 1. საკუთრივ ბიბლიური წიგნები და 2. შუალობითი გზა — ქართული ჰიმნოგრაფია.

ამის დასაბუთება სათანადო მაგალითების მოყვანით შესაძლებელი ხდება.

ასე მაგალითად, როგორც ჰიმნოგრაფიაში, ასევე სახოტბო პოეზიაში გავრცელებული ეპითეტების „ფინიკისა“ და „ნაძვის“ წყარო ფსალმუნია:



„მართალი, ვითარცა ფინიკი აღყვავნეს,
და ვითარცა ნაძვლიანი სისაი განმრავლდეს“ (91, 12, ფსალმუნი).

ამ თქმას იმეორებს მიქელ მოდრეკილი:

„ვითარცა ფინიკი აღყვავნე შენ მაღლითა და ვითარცა ნაძვლიანი სისაი აღმაღ-
ლდა სახელი შენი“. (პ. ინგოროყვა, სასულეორო პოეზია, გვ. 202).

„აბდულუმესია“ (1, 72): „ნაძვილიანი თ, სარო ერმონით,
ფინიკად ზრდილი ენგადიმისად“¹⁰.

გარდა შუალობითი გზისა, ძველ ქართველ მეხოტბეებსა და ჰიმნოგრაფებს აქვთ მრავალი შეხების წერტილი. ვგულისხმობთ როგორც მხატვრულ სახეთა, ასევე ლექსიკის მხრივ მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა თანხედენასაც.

შვეთელის მრავალ მხატვრულ სახეს ეძებნება პარალელი ჰიმნოგრაფებთან:

„უსხეულონი ზეცისა ძალნი მისთვის იშვებენ სიხარულითა“ (IV, 22₄).

„წმიდათ მემწყობრე, მასთან მოსაგრე

ზეცისა ძალთა ხარ მოდასეცა“. (VIII, 58₄).

„ნათლად ცხორებდა, არ განშორებდა

ზეცისა ძალთა, გუნდთა ცხოველთა“, (X, 77_გ)¹¹.

იოანე მტბეერი: „რომლისა გან (ღმერთისგან) შიშითა ძრწიან ზეცისა ძალნი“.

„რაჟამს იხილეს ოჯახელოთა ძალთა ზეცისათა ჯორცითა მდგომარე
წყალთა შინა“ სიტყოვად დამაბეღელი ყოველთად შიშით ზარ განხდილნი ესრეთ ღალადე-
ბდეს... (გვ. 112)¹².

მსგავსი მაგალითების გავრცობა შეიძლებოდა, მაგრამ, ვგონებთ, ესეც საკმარისია. (ანალოგიური ხასიათის პარალელებზე ვრცელად აქვს მითითებული ივ. ლოლაშვილს. იხ. მისი „ძველი ქართველი მეხოტბენი“, წიგნი II, გვ. 155—256).

„აბდულუმესიანთან“ შედარებით „თამარიანში“ ნაკლებადაა მხატვრულ-ლექსიკური დამთხვევანი ჰიმნოგრაფებთან. ამჟამად მივუთითებთ ჩახრუხადის ერთ საინტერესო პარალელზე ჰიმნოგრაფებთან.

„ვინ აშენებრად, ვინ აშენებრად

თვალთ-შეუღგამი ნათლის მფენალი?“ (XI₁, 69₄).

მიქაელ მოდრეკილი: „რომელი მყოფარს ნათელსათოვალთ შეო-
ჯდგამსა უსხეულთა“¹³.

იოანე მტბეერი: „დაოკსაბამო და თოვალთ შეოჯდგამი ქერობინთა
მიერ ბაგასა პიროკტყოკთასამიწიწენების, რაითა ადამ აღმოიყვანოს დასუფეველ ღრს
ყოს მამისა თანა“¹⁴. „რომელი დამკვიდრებოვლ არს ნათელსა შინა თოვალთ
შეოჯდგამსა, რომელსა ვერ იკადრებენ თოვალთ შედგმად ზეცისა ძალნი. ქერაბინ
სერაბინი“¹⁵.

ჰიმნოგრაფიაში „თვალშეუღგამი ნათელი“ მიემართება იესო ქრისტეს. ქრისტეა „თვალშეუღგამი ნათლის მფენალი“. ჩახრუხადის ამ მხატვრული სახის გენეტიკურ კვლევა-ძიებას ჰიმნოგრაფებთან მივყავართ. ჰიმნოგრაფებისთვის ცნობილ და დამახასიათებელ ნათლის ტროპიკას საინტერესო ტრანსფორმაცია მიუღია საერო პოეზიაში.

„ითქმი უღამო, ტკილი და ამო

მოწყალეებისა ნაუფსკრულეველ“. (VII, 47_{as}).

„თუთ მნათობი ნათელი და უღამებელი“¹⁶.

„და უღამებელი მზე ქალწოვლისა საშობისაგან გამობრწყინებდალ მოვალს.
რაითა განანათლენს მან დაბნელებოკლინი“¹⁷.

„თვალშეუღდამი ნათელი“ და „ულამო ნათელი“ საგალობლებში მიემართება ქრისტეს და იგი ჰიმნოგრაფებისათვის ცნობილი და საყვარელი მხატვრული სახეა.

საინტერესოა, რომ ტროპი „ნათელი ულამო“ გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიაც“. ამ მხატვრულ სახეს რუსთაველთანაც ამგვარივე ტრანსფორმაცია განუცდია, რაც მეხოტბებთან. („თინათისს ჰკადრა შერმადინ ნათელსა მას ულა--მოსა“)18.

აქ ჩვენ მივაღწეით თამარის გაღმერთების საკითხს, მაგრამ ამის შესახებ ჯერმოთ.

შეიძლება დავასკვნათ: ძველი ქართველი მეხოტბენი ხშირად იყენებენ ქრისტიანულ მწერლობაში შემუშავებულ ბიბლიურ-ქრისტიანულ მხატვრულ სახეებს. ამ მხატვრულ სახეთა შეთვისება მათ შეეძლოთ ორი გზით — საკუთრივ ბიბლიური წიგნებიდან და ქართული ჰიმნოგრაფიიდან.

ძველი ქართული სახოტბო პოეზიის მრავალი მხატვრული სახე გენეტიკურად უკავშირდება სასულიერო პოეზიას. ასევე მრავალ მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულს ეძებნება პარალელი სასულიერო პოეზიასთან. ეს ეხება განსაკუთრებით „აბდულმესიანს“, რომელსაც „თამარიანზე“ უფრო მეტად ემჩნევა სასულიერო პოეზიის კვალი. მასში ძალუმად იგრძნობა ქართული ჰიმნოგრაფიის პულსი. „აბდულმესიანში“ გვხვდება სასულიერო პოეზიაში ხშირად ხმარებული მყარი ფრაზეოლოგიური ერთეული „ზეცისა ძალნი“, ან „უსხელონი ზეცისა ძალნი“, რაც შეათვლს ანგელოზთა მნიშვნელობითა აქვს ნახმარი. ჩახრუხაძესთან გვხვდება „ნათელი თვალშეუღდამი“, „ულამო ნათელი“, რაც სასულიერო პოეზიაში მიემართება ქრისტეს და იგი ჰიმნოგრაფებისათვის საყვარელი პოეტური სახეა. მაგრამ იმ მხატვრულ სახეებს, რომლებიც გენეტიკურად ჰიმნებიდან მოდის, სახოტბო პოეზიაში უმთავრეს შემთხვევაში გამოცლილი აქვს თეოლოგიური შინაარსი; ის მხატვრული სახეები, რომლებიც ჰიმნოგრაფებთან ქრისტეს (ღმერთს) მიემართებოდა, მეხოტბებთან ხოტბის პერსონაჟთა ქება-განდიდებას ემსახურება, ღმერთისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები გადმოტანილია ადამიანზე. ქების ობიექტები შემკულია იმავე ეპითეტებით, რა ეპითეტებითაც ჰიმნოგრაფები ქრისტეს აქებდნენ.

4. ღმერთი და ზოგიერთი ბიბლიურ-მხატვრული სახე მეხოტბებთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული საკმაო საბუთია იმის გასარკვევად, რომ ქართული პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ქართული ქრისტიანული მწერლობაა, კერძოდ, ჰიმნოგრაფია. ჰიმნოგრაფიის გარდა მეხოტბეებს უხვად უსარგებლიათ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით. თუ, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ საგანგებო და ღრმა კვლევა-ძიება სჭირდება ყოველგვარ ამის გარკვევას, მეხოტბებთან „ქრისტიანიზმი“ „შიშველი სახით“ არის დამრეგებული.

ღმერთის შესახებ მეხოტბეთა წარმოდგენა არ სცილდება ჰიმნოგრაფთა წარმოდგენას. ღმერთს მეხოტბეები მოიაზრებენ, როგორც XII საუკუნის ორთოდოქსი, ქრისტიანი პოეტი-მოაზროვნენი. ღმერთის შემეცნებისა და მისი არსის წვდომის საკითხში მეხოტბეები ღვანან ჰიმნოგრაფთა დონეზე. მათთვის ღმერთი არის სამყაროს შემქმნელი, ყოველი არსის შემოქმედი. იგი არსებით ერთია, ხოლო ბუნებით სამგვამოვანი. შავთელის მიხედვით ღმერთი არის „სამეხით ღმერთი, არსებით ერთი“, „უცოდველი“, „ყოველთ მხედველი“, „ზესთათვისების ზესთ არსი“, „მიუწვდომელი“, დაუსაბამო („დაუწყებელი“), „ნა-

თელი ერთი სამეხისა“ (64₁, 2, 3). ღმერთი არის „სამხატვანი“, სამსახვანი („ღმრთისა სამშისა...“) — მამა, ძე და სული წმიდა...

შავთელი თავის შემოქმედებაში იძლევა ძველი და ახალი აღთქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრულ პერიფრაზირებას. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ჰიმნოგრაფებთანაც. რამდენადაც გარკვეულია, რომ ჰიმნოგრაფთა პოეზიის ძირითადი წყარო ძველი და ახალი აღთქმის წიგნებია და ისინი მათ მხატვრულ იმიტაციას იძლევიან, ამიტომ მაგალითების სასულიერო პოეზიიდან მოყვანას საჭიროდ არ ვთვლით.

შავთელის პოეტური წყარო ბიბლია და ბიბლიური სიუჟეტებია.

„აბდულმესიანი“: «თქვა შემოქმედმან, ყოველ მოქმედმან:

„ვექნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“». (XI, 89). შლრ.: შესაქმე, (1, 26).

„უბრძანა ხისა კეთილ-სახისა

დაცვად ნაყოფი, ჰამად არ ოდეს.

უწყოდა ღმერთმან, მან სახიერმან:

თუ ჰამდეს, თვალნი ავხილვოდეს.

ურჩ ქემნეს ღმერთსა, უსმინეს მტერსა

მათ მზე წყვილად შეცვალვოდეს“». (XI, 90₂).

შლრ.: შესაქმე, I, 16—17; 3, 1—7 (პარალელებზე მიანიშნა ივ. ლოლა-შვილმა).

მაგრამ მეხოტბე პოეტს ძველი და ახალი აღთქმის უბრალო „პერიფრაზირება“ თუ გალექსვა კი არა აქვს მიზნად დასახული, ის, პირველ ყოვლისა, მეხოტბეა, ამიტომ ნაწარმოებში ყველაფერი თამარის ხოტბას ემორჩილება. ამ თავის (XI) ეს 6 სტროფი ერთგვარი ექსპოზიციანა, ლოგიკური წანამძღვარი იმისთვის, რომ ავტორმა მთავარი სათქმელი გვაუწყოს: ღმერთმა შექმნა „კაცი ხატად და მსგავსად თვისა“, სამოთხედ მიუჩინა სამყოფელი, უბრძანა ხისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არ ექამათ. ადამ და ევამ შესცოდეს, რის გამოც დაიმსახურეს განაპტიყება სამოთხიდან და ტანჯვა-წამება.

ქვეყანას მოევლინა ახალი მესია, ძე ღვთისა, რომელიც ეწამა ადამის ტომისთვის, ივნო და ამაღლდა ზეცად. მეორედ მოსვლის ჟამს, როცა ღმერთი „დაჯდეს განკითხვად სულთა ყოველთა, ოხვრიდენ ზღვანი, გრგვინვიდნენ ცანი, ზარი გამოჩნდეს ცეცხლთა შემწველთა“, მაშინ „ვილხინოს, თვით მიგავლინოს თქვენ უოხჰნოთა მათ საშვებელთა“ (XI, 94).

„ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა,

განწმენდით ქმნილსა, განბრწყინებულსა?

თვით მას ედემსა, ნათლად მიღვესა,

პირველვე შენთვის სახლად გებულსა,

სასუფეველსა ყოვლად ცხოველსა,

საფუფუნებლად თქვენთვის დასხმულსა,

გებლად ჭეოვნად, მარად სამოვნად

შენდა განკეთებით განაზადებულსა“». (XI, 94).

მთელი XI თავი არის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი იმისა, თუ როგორ შემოქმედებითად იყენებს მეხოტბე პოეტი თვით ისეთ წმინდა რელიგიურ წიგნებს, როგორცაა ძველი და ახალი აღთქმა (ანდა ბიბლიურ სიუჟეტებს) ქების ობიექტის განსაზღვრებად. ამავე დროს ეს თავი (XI) იქვემდებარებს მეორე, მეხოტბე პოეტისთვის დამახასიათებელ პოეტურ ამოცანასაც — ავლენს თავის დიდ განათლებასა და ნაკითხობას. ამავე დროს აქ მოცემულია იდეოლოგიური მომენტიც, თამარს — ადამიანურ სრულყოფილებას — სასუფეველში ყველაზე საბატიო ადგილი ექნება მიჩნეული.

ამ პატარა 7-სტროფიან ხოტბაში სამი სხვადასხვა პოეტური ამოცანაა გადაჯვარდინებული ერთმანეთთან, სამივე იშვიათი ლოგიკურობითა და ხელოვნებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ქების ერთ-ერთ მიუწვდომელ ნიმუშთან გვაქვს საქმე.

ასევე ქართული ქრისტიანული მწერლობა წარმოადგენს „თამარიანის“ ერთ-ერთ წყაროსაც. ასე მაგალითად: „თამარიანის“ VII თავში გაკრულად ლაპარაკია ბიბლიური პერსონაჟის აქარის შეცოდებაზე, რომელიც ქურდობისათვის ჩაქოლეს თანამემამულე ებრაელებმა. მაგ.:

„აჟა და ლოდნა! ამით ზედა ლოდნა
მის განძრევათა ელვათა ძვედ-
უბრძანა აქარს: „გაქვს! რაცა აქ არს,
სათნოა ღმრთისა მის განრისხევად“.
რა ქმნა ის აჟა, ქოლვით ისაჟა
მუნ მოხვეჭითა საკმართა ზღვევად. (VII, 41, 13, 14, 15).
„ნ ე ბ რ ო თ ს სჯობს ძალად,— ვთქვა შიშით მკრძალად, —
დ ე ბ ო რ ს ჰმატიან ახოვნებანი.
დანთჟა ა ბ ი რ ო ნ და თან ს ა ბ ი რ ო ნ —
ორგულთა დანთჟამს ძლიერებანი“. (XVI, 90, 11, 12).

თავიანთი ნიშანდობლივი თვისებებით მოცემული ეს ბიბლიური პიროვნებანი მიუთითებს იმის შესახებ, რომ ავტორი ამ პერსონაჟთა შესახებ მოთხრობილ წიგნებში ჩახედულია. ხოლო ბოლო, XVIII თავში პოეტურადაა მოთხრობილი ბიბლიური „შესაქმე“, კაცობრიობის ისტორია სამყაროს შექმნიდან თამარამდე.

როგორც ზეხდავთ, ძველ ქართველ მეხოტბეთა მსოფლმხედველობის გასარკვევად ასევე აუცილებელია უძველესი ქართული სასულიერო პოეზიის გავალისწინება. ღმერთი მეხოტბეების მიხედვით სამყაროს შემქმნელია და ყოველი არსის შემოქმედი.

თამარის მეოთხე ჰიპოსტასობის შესახებ არსებობს საყურადღებო გამოკვლევა, ამდენად ამაზე აქ არ შევჩერდებით (იხ. რ. ს ი რ ა ძ ე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1978 გვ. 163—207).

5. **ზოგიერთი პოეტურ-მხატვრული ხერხი.** საეკლესიო ჰიმნებში ქების ობიექტის სახე გახსნილია ერთი ასპექტით: ყურადღების სიმძიმის ცენტრი ჰიმნში გადატანილია შექმნილი პირის სულიერ მხარეზე, ამდენად ჰიმნში გმირის სახე მოცემულია სტატიკურად და აღწერით ხასიათს ატარებს.

საერო სახოტბო პოეზიაში მიიღო ჰიმნოგრაფიიდან ქების ობიექტის მხატვრული სახის გახსნის ეს ხერხი, რამდენადაც ეს მის მიზნებს შეეფერებოდა, მაგრამ ამას დაუმატა მეორე ასპექტი — გმირის სახის ჩვენება დინამიკაში, მოძრაობაში.

„აბდულუმესიანში“ გმირის მხატვრული სახის აღნიშნული ორი ასპექტი განაწილებული აქვს დავითს და თამარს. „ქების ამ ორი გმირის სახე სხვადასხვა ასპექტითაა გახსნილი მეხოტბის მიერ. პირველი — მოქმედებასა და მოძრაობაში, ომსა და მტერთა დაძლევაში; მეორე კი უფრო სტატიკურია, აღწერითი. იგი სიბრძნეს, სიმშვიდეს და სილამაზეს ასხივებს“¹⁹.

„თამარიანის“ ზოგიერთ სტროფში როგორც თამარის, ასევე დავით სოსლანის სახეები გახსნილია ორივე ასპექტით. მოვიყვანთ ცნობილ სტროფს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აქვს მეხოტბეს თამარის სახე სტატიკურად მოცემული:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, ვმანარნარი, პირ-მცინარი.
მზე-მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მიმდინარი.
მისთვის ქნარი რა არს?— ქნართ, არსის მთქნარი, უჩინარი.
ვარდ-შამანარი, შამბ-მალნარი. ღაწვე-მწყაზარი, შუქ-მდინარი. (III, 24).

დავითის სახე უფრო დინამიკურადაა გახსნილი „თამარიანში“, „ჰიპერ-ბოლოურადაა დახასიათებული მისი საგმირო საქმეები:

„ჯაჭვ-ქურთა მფრქველი გამოჩნდა ქველი
და აქილეუთა დაუწყო ძლებად;
მიწყით ომითა დაუშრომითა
თურქნი განასხა დაუყოვნებლად.
მან ათბავსა, ზვარაზშა მდევსა
კეთილ-გარჩევით სჯულ უღვა მცნებლად... და სხვ. (XVII, 98, 13; 14; 15).

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ „აბდულუმესიანს“ აქვს ტენდენცია დინამიკურობისაკენ, ხოლო „თამარიანი“ კი უფრო აღწერით ხასიათს ატარებს. ეს ფაქტიც ერთგვარად მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ „აბდულუმესიანი“ დაწერილია დავით სოსლანის საქებრად და ქების მთავარი გმირი დავით სოსლანი²⁰. შტრ.: ბასილი მთაწმიდელის ჰიმნს „გალობანი წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმი მთაწმიდელისანი“, რომელიც ადგილის სიმცირის გამო არ მოგვეყავს²¹.

ქების ობიექტის მხატვრული სახის გახსნის ერთ-ერთი ხერხია ერთი და იმავე ამბის, ნიშან-თვისების სხვადასხვა ვარიაციით გამოხატვა. ასე მაგალითად, ძველ ქართულ სახოტბო პოეზიაში თანმიმდევრობით არაა ჩამოყალიბებული ქების ობიექტის დამახასიათებელი თვისებები. მეხოტბე პოეტი სხვადასხვა დროსა და ადგილას უბრუნდება ერთსა და იმავე საკითხს და ვარიაციული სხვაობით იმეორებს ადრე ნათქვამს. როგორც ცნობილია, ავტორს ეს მონოტონურობისა და ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად სჭირდება, რადგანაც ავტორს სახოტბო პოეზიის მტკიცედ დადგენილი კანონები ბოჭავს (მეტრიკული ჩარჩოებით შეზღუდულია), ამიტომ მას ძირითადი აქცენტი აღნიშნულ მხატვრულ ხერხზე გადააქვს. ასევე შეზღუდულია მეხოტბე ხოტბის შინაარსობრივი მხრითაც. (ხოტბას ამბავი, ფაბულა არ უძევს საფუძვლად. იგი მხოლოდ ფაქტის მხატვრული კონსტანტირებით კმაყოფილდება). ყოველივე ამან (მეტრულმა და შინაარსობრივმა შეზღუდვამ) გამოიწვია, ალბათ, ამ მხატვრული ხერხის სისტემატ ქცევა მეხოტბეებთან.

როგორც ირკვევა, მეხოტბეთა ეს მხატვრული ხერხი ჰიმნოგრაფებთან პოულობს პარალელს. მიემართთ მაგალითებს: თამარის გარეგნობას ჩაბრუნხაძე პირველ თავშივე აღწერს, მაგრამ არაერთხელ უბრუნდება მას კვლავაც:

„ბროლისა ველსა, თვალ-უწყომელსა,
ინდონი ეყენეს დამონებულად.
შუქნი კრთებანი, ემუქვებანი,
ზუალ იჩინებს დაქადებულად.
გულსა ნებო, მზეო, ინებო,
თამარ ჩანს შენად რუსხა მკლებულად. (1, 5, 6, 7, 8).

ასე გრძელდება თამარის სილამაზის ჰიპერბოლური აღწერა ამავე თავის მე-4, 6, 7 სტროფებში. მაგრამ ამავე საკითხს უბრუნდება პოეტი II, III, IV, V, VII, X, XII, XIII, XIV, XVIII თავებში, ოღონდ სულ სხვა კუთხით და სხვადასხვა ვარიაციით აშუქებს მას (II—21, 22, 23; III—24; IV—25, 26, 28; V—29, 30, 31, 32; VII—39; 40, 42, 43, 44, 47, 48, 49, 50; X—62, 63, 64; XI—69, 70; XII—74; XIII—78; XIV—79; XV—83, 86, 87; XVI—89; XVIII—104).

იგივე სურათია „აბდულმესიანშიც“ — I თავშივე მოცემულია დავითის ქება:

„მწნე, ლობიერი, ქველი ძლიერი,
პაეროვანი, მტკიცედ მფლობელი,
შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი,
მტერთა ქვესკენლად დამამხობელი.
რიტორი ბრძენი, მეფეთა ძენი,
ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი“ . (1, 4, 2, 3, 4) და ა. შ.

ასევე მეორდება პოემის სხვადასხვა სტროფში: I (6); II (19); IV (30, 31, 32, 33, 34, 35, 37, 38); VI (49, 50); VII (52, 55); VIII (58); IX (70, 75); XII (98).

ეს მხატვრული ხერხი, როგორც აღვნიშნეთ, პარალელს პოულობს ჰიმნოგრაფებთან. მაგალითისთვის მოვიყვანთ მიქელ მოდრეკილის ჰიმნს — „დასდებელნი აღდგომისანი“:

„უბიწოთა მით ვნებთა, ქრისტე ღმერთო,
განკურნენ, მხსნელო, ვნებანი სოფლისანი,
რაჟამს ხორცითა აჰმალდი ჭვარსა ზედა;
დაეც სიმაღლე მტერისა მაცთურისა
და აღადგინე ბუნება კაცობრივი.
უსხეულოთა საღმრთოთა ბუნებთა
ეგე უხრწნელად, ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო,
რაჟამს დაიდევ, საფლავსა შეუცავო;
მოჰკალ სიკვდილი სიკვდილითა, უკვდავო,
და აღადგინენ მკვდარნი საფლავისაგან.
ურჩებისათვის აღამისისა მოჰკვედ
მეორე აღამ, ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო,
რაჟამს იხილე ძლეული დაცემულად;
აღადგინე დღეს აღდგომითა შენითა
და კვალად აგე პირველსა დიდებას“.

აქ მთლიანად არ მოგვეყავს ეს ვრცელი იამბიკო. ქების ეს დამახასიათებელი ნიშნები ვარიაციული სხვაობით მეორდება მთელ იამბიკოში. ანალოგიური მაგალითების გავრცობა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ეს სურათს ვერ შეცვლის (მაგალითად, მიქაელ მოდრეკილი, „დასდებელი წმიდისა აღდგომისანი“, დასდებელნი ნათლის ღებისა და წმიდისა მოწამისა ჰაბოისნივე“ და სხვ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII—X საუკუნეები, ტფილისი, 1913, გვ. 168—179, 183—190 და ა. შ.).

სახოტბო პოეზია ქების ობიექტის მხატვრულ სახეს ხან სტატიკური ასპექტით, ხან კი დინამიკური ასპექტით ხსნის. ეს ორი აღნიშნული მხატვრული ხერხი ძირითადი და წამყვანია ძველ ქართულ საერო ხოტბებში. ამ პოეტური ხერხის გარდა მეხოტბე ხშირად მიმართავს ხოტბითს ინტონაციას. ხოტბითი ინტონაცია ცნობილი პოეტური ხერხია, მას იყენებენ სპარსული ხოტბის დილოსტატებიც.

ძველ ქართველ მეხოტბეთათვის ცნობილი ეს პოეტური ხერხი დამახასიათებელი ყოფილა ჰიმნოგრაფებისთვის:

„მეფეთა სიმტკიცეო,
მთავართა დიდებაო,
უძღურთა ძლიერებაო,

მღაბალთა აღმამაღლებლო,
 გლახაკთა განმამაღლებლო²².

ა. გაწერელია ამგვარ ინტონაციას ხოტბით ინტონაციას უწოდებს. ხოტბითია ინტონაცია, როცა თითოეული ტაეპი ამალღებული მიმართვის ტონს შეიცავს და რამდენიმე სტრიქონის კადენცია საზეიმო ემოციის შემცველია. რიტმი ხასიათდება ძირითადი კომპონენტების (მეტრი, ტემპი და სხვ.) მკაცრი დაცვით, რაც ნაწარმოებს ხშირად ვერსიფიკაციული ხელოვნურობის დასაპყდევს (ჩახრუხაძისა და შავთელის ოდები)²³.

ცხადია, ამგვარი ხოტბითი ინტონაცია პირველ რიგში სახოტბო პოეზიას ექნება და აქვს კიდევაც, როგორც ამას ა. გაწერელია უთითებს. შავთელის ერთი ცნობილი სტროფის უბრალო გადაკითხვაც კი დაგვარწმუნებს, რომ აქ ე. წ. ხოტბით ინტონაციასთან გვაქვს საქმე. როგორც ეტყობა, ეს პოეტური ხერხიც ძველ ქართველ მეხოტბეებს ჰიმნოგრაფებისგან უმემკვიდრებიათ:

„შენ გონიერო, გულსხმიერო, თვით მეცნიერო, მეფევე ძლიერო,
 მიუხდომელო, მიუწვდომელო, მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო...“ (XII, 97 და ა. შ.)

„მეფევე მაღალო, ქცევა-მღაბალო, ლომისა მსგავსო ძალად და გულად“... და ა. შ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ძველ ქართველ მეხოტბეთა კიდევ ერთი პოეტური ხერხის შესახებ, რომელიც პარალელს პოულობს ჰიმნოგრაფებთან. ეს არის ქების ობიექტის დაბადების ღვთაებრივი წინასწარგანზრახულობის პოეტური დეკლარაცია.

ჩახრუხაძე თამარის შესახებ წერს, რომ მისი დაბადება ღვთის მიერ წინასწარგანზრახული იყო, რადგანაც ღმერთმა იგი აღამის ტომის „ქსნად“ მოავლინა:

„ქსნად აღამისად, შექმნად ამისად
 უწოდა ღმერთმან, თვით აღძრა ჳელი“. (X, 63, გ.)

ამ აზრის განვითარება „თამარისანს“ ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებშიც:

„ღმრთისაგან, ეგე, ოს თამარ ეგე
 ნაველოვნებად მისადენალი...“ (XI, 70, გ.)

შდრ.: „საშოითგანვე დედისაით წმიდა გყო შენ (ეფთვიმი)

სულმან წმლამან, სამკვიდრებულად თვისად
 გამოგარჩია შენ და აღგავსო სიბრძნითა...“²⁴.

შეიძლება დავასკვნათ:

ძველ ქართულ სახოტბო პოეზიაში ქების ობიექტის მხატვრული სახის გახსნის ერთ-ერთი ხერხია ერთი და იმავე ამბის, ნიშან-თვისების, საკუთრივ ქების სხვადასხვა ვარიაციით გამოხატვა. ძველ-ქართველ მეხოტბეებს ეს ხერხი მონოტონურობისა და ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად სჭირდებოდათ, რადგანაც ისინი სახოტბო პოეზიის მტკიცედ დადგენილი მეტრული კანონებით და შინაარსობრივი მხრით მეტად შეზღუდული არიან (ხოტბის ამბავი, ფაბულა არ უძეგს საფუძვლად, იგი მხოლოდ ფაქტის მხატვრული კონსტანტირებათ იფარგლება).

აღნიშნულმა მეტრულმა და შინაარსობრივმა შეზღუდვამ გამოიწვია, ალბათ, ამ პოეტური ხერხის სისტემად ქცევა მეხოტბეებთან. აღნიშნულ პოეტურ ხერხს ანალოგია ეძებნება ჰიმნოგრაფებთან და ამ უკანასკნელთაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული ძველ ქართველ მეხოტბეებს.

„თამარისანსა“ და „აბდულმესიანისთვის“ დამახასიათებელია ხოტბითი ინტონაცია. ეს პოეტური ხერხიც ჩახრუხაძესა და შავთელს ჰიმნოგრაფებისაგან უმემკვიდრებიათ.



საინტერესოა ერთი პოეტური ზერხი, რომელიც, მართალია, სისტემატურ ხასიათს არ ატარებს, მაგრამ მინც შეინიშნება მეხოტბეებთან. ესაა ქების ობიექტის დაბადების ღვთაებრივი წინასწარგანზრახულობის პოეტური დეკლარაცია, რომელიც ასევე პარალელს პოულობს ჰიმნოგრაფებთან და მათგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული ჩაზრუხაძესა და შავთელს.

6. მზის მხატვრული ფუნქცია მეხოტბეებთან და ჰიმნოგრაფებთან. ძველი ქართული სახოტბო პოეზია ქების ობიექტის სილამაზისა და ადამიანური სრულყოფილების გამოსახატავად ხშირად მიმართავს მზის მხატვრულ სახეს. ამის მრავალი მაგალითი იძებნება როგორც „აბდულმესიანში“, ასევე „თამარიანში“.

„ა ბ ღ უ ლ მ ე ს ი ა ნ ი“.

- „მზრდელ არს მონათა: ზეცით მონათა
ივლისის მუხმან ზედ ლომსა ჯდომით“. (1, 10₁)²⁵.
- „სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა...“ (1, 13_კ)²⁶
- „ხედვენ მზერთა. სწორავს მზე რითა?“ (11, 17_კ).
- „დოვლათ-სვიანად, სუფევს მზიანად,
შვილთა მნათობთა გარმოსაღლდვითა“ (11, 18_კ)²⁷.
- „არსება გმზეობს...“ (III, 25_კ).
- „მზე დაუვალი, მყის დაუვალი,
არს შეიდი მნათი მას ზედ მოჴამედ“ (IX, 72) და ა. შ.
- „თ ა მ ა რ ი ა ნ ი“:
- „გულისა ნებო, მზეო, ინებო,
თამარ ჩანს შენად რუსხა მკლებულად“ (3, 12-შესავალი).
- „თამარ! შენ გიძნობ, ასულად გიცნობ:
მზე დაუვალი, შუქ-მომფინარი!“ (II, 21_კ).
- „არსნი მზედ გმზობენ, შვიდნი გამკობენ...“ (II, 23₁₁).
- „ფერთ ამო მზე, გონებად მომზე...“ (VII, 46_{გგ}).
- „ითქმი უღამო...“ (VIII, 47, 38).
- „გწმობ, თამარ მზესა, უმზესად მზესა...“ (X, 62_კ).
- „ზეცსმან მზედ გიცნა...“ (XVI, 88_კ).
- „მზისა გმვენთან ნაგმვენებანი“ (XVI, 93₂₂) და ა. შ.

სახოტბო პოეზია პორტრეტულ შტრიხებს არ ხატავს, ქების ობიექტის მხატვრული სახის დეტალიზაცია მას არ ახასიათებს; იგი არ გადმოსცემს სახის ცალკეული ნაკვთების სილამაზეს. მისი ქების ობიექტი აბსოლუტური სილამაზის განსახიერებაა, ამიტომაც მეხოტბეები მხოლოდ მზეს იყენებენ თამარის სილამაზის გადმოსაცემად. „თამარიანსა“ და „აბდულმესიანში“ მზე ძირითადად ფიგურირებს როგორც ქების ობიექტის სილამაზის გადმოსაცემად მოხმობილი მხატვრულ-ასტრალური სახე. სხვა შემთხვევებში მზე, როგორც მატერიალურად არსებული ციური სხეული, მნათობი, გამოყენებულია ქების ობიექტთან შესადარებლად, მის ეპითეტად.

ცალკე უნდა შევეხოთ მზის მესამე ფუნქციას ძველ ქართველ მეხოტბეებთან.

სასულიერო პოეზია მზის მხატვრულ სახეს ღმერთის მეტაფორად იყენებს. ყველაზე მეტად გავრცელებული საერთო ეპითეტი ქრისტესი მზეა და მზესთან დაკავშირებული ნათელის ყოველგვარი ვარიაცია... მზე სინათლისა და სიკეთის ზოგადი სიმბოლოა, ღრუბელი, სიბნელე-ბოროტებისა და მწუხარებისა. მზის ჩასვლა, დაბნელება — სიკვდილისა და ბოროტების გამარჯვებაა, ისე როგორც მისი ამოსვლა — სიკეთისა და ქეშმარიტებისა. მზის ასეთი განსაკუთრე-

ბული როლი პოეტურ მეტყველებაში იმითია განპირობებული, რომ ის ღვთაების ეპითეტია, როგორც მარადი ნათელისა და ქემშარიტების სიმბოლოა...²⁸.

მზის ეს მესამე ფუნქცია — მზე — ხატი ღვთისა — ცნობილია მეხოტბეებისათვის, კერძოდ იოანე შავთელისთვის:

„ღმრთისა სამ-მზისა, ვინ ზესთ სამ ზისა.

— ეთერთ, სამყაროთ და ღრუბელთასა“. (I V. 28გ).

„ღვთისმეტყველებაში სამ მზეს მეტაფორულად უდარებენ სამ ჰიპოსტასს. მაგალითად, ბასილი დიდი წერს, რომ ღმერთი არის სამპიროვანი, ღმრთეება, როგორც სამი მზე ერთიმეორეში ჩასმული, ხოლო გრივოლ ნაზიანზელი ამბობს, რომ სამება — ერთ-არსება ესე არს ერთი და იგივე ღვთაება სამი პირით, თითქოს სამი მზე სავსებით გაერთიანებული (მზისმეტყველება, გვ. 74)²⁹.

„დოგმატიკურ და თეოსოფიურ თხზულებებში ხშირად მიმართავენ ღვთაებას, როგორც სამ მზეს; საინტერესოა, რომ ასევე ღვთაების ეპითეტად იყენებს სამ მზეს დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისანში“ და ამბობს: „მარტოო, სრულო, სამ მზეო, ერთ ცისკროვნებაო, განმინათლე მხედველობაი სულისაი, რაითა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაითა, სულითა ღმრთისაითა ძე გამოგვბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნოთა“ (ჩვენი საუნჯე, I, გვ. 521). აქ ღმერთი დახასიათებულია როგორც მარტივი, სრული, სამი მზე, ერთცისკროვნება, რომელიც სულის სახედველს შეაძლებინებს ღვთაების, ნათელის ხილვას. სამ მზეში უსათუოდ ღმერთის სამჰიპოსტასიანობაა ნაგულისხმევი. შესაძლოა, „ვეფხისტყაოსნის“ სამი მზის წყარო სწორედ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ იყოს, ამის თქმის საშუალებას სასულიერო პოეზიის სხვა ძეგლები იძლევიან, რადგან „სამი მზე“ მათში არ დასტურდება³⁰.

შავთელთან ამ შემთხვევაში მზე უცილობლად სამჰიპოსტასოვანი ღმერთის ხატია. თუ გავითვალისწინებთ იოანე შავთელის ფართო განათლებას საეკლესიო მწერლობის დარგში, მაშინ მისი ამ მხატვრული სახის წყაროდ გარდა „გალობანი სინანულისანისა“ შეიძლება მივიჩნიოთ ქრისტიანული ლიტერატურის სხვა, რომელიმე უფრო ადრინდელი ძეგლიც. ხოლო თვით შავთელის ეს მხატვრული სახე („ღმრთისა სამ-მზისა...“), ჩვენი აზრით, შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ „სამი მზის“ ერთ-ერთ წყაროდ მივიჩნიოთ „გალობანი სინანულისანისთან“ ერთად. უეჭველია, რუსთაველი ორივე ნაწარმოებს ჩინებულად იცნობდა.

მართალია, მზე მეტაფორის გარეშეც ქრისტეს დამოუკიდებელ ეპითეტს წარმოადგენს (გ. იმედაშვილი), მაგრამ, ცხადია, „თამარიანსა“ და „აბდულუმესიანში“ თამარის მიმართ ნახმარი ეპითეტი ან მეტაფორა ყოველთვის ღმერთის აღმნიშვნელი არაა. უმეტეს შემთხვევაში ეს მხატვრული სახე პოეტურ-ფიგურალური თქმის, ან მხატვრულ-ასტრალური წარმოდგენის ფარგლებშია, მაგრამ ცნობილია მყარი მეტაფორები, რითაც ღმერთს გამოხატავენ. ასე მაგალითად, „მზე დაუვალი“ იყო ქრისტეს აღმნიშვნელი მყარი მეტაფორა. ეს მხატვრული სახეც გამოყენებული აქვთ ჩვენს მეხოტბეებს:

„აბდულუმესია“: „მ ზ ე დ ა უ ვ ა ლ ი, მყის დაუვალი,
არს შედი მნათი მას ზედ მოწამედ“. (IX, 72გ).

„თამარიანი“: „თამარ! შენ გინობ, ასულად გიცნობ,
მ ზ ე დ ა უ ვ ა ლ ი, შუქ-მომფინარი“. (II, 21,გ).

შდრ.: „ნათელსა შორის უღამოსა ზბრწყინებამან
და უვალისა მზისა ეღვარებითა
უმიმწუხრო, მართალთა სამწებელსა თან,
მეგზულება მითხოვე უფლის, სვიმონ,
და აწისაცა ღვლვიანისა ზღვისა
შფოთთა მწვილობით ღირს-მყავ განწილდება! #21

მზეს მეხოტბებთან სამი ფუნქცია აქვს დაკისრებული. იგი სამი სახითაა ნაჩვენები სახოტბო პოეზიაში: მზე — ხატი ღვთისა; მატერიალურად არსებული მზე — მნათობი, რომელსაც უღარდება ქების ობიექტი; მზე — პოეტურ-ასტრალური სახე, როგორც ქების ობიექტის ეპითეტი.

ქართული სასულიერო პოეზია მზის მხატვრულ სახეს ღმერთის მეტაფორად იყენებს. მზე ქრისტეს ეპითეტია. შავთელთან გვაქვს ერთი შემთხვევა, როდესაც იგი მზეს სამპიპოსტასოვანი ღვთაების ხატად იყენებს („ღვთისა სამ-მზისა“...). სხვა შემთხვევაში მზე ძველ ქართველ მეხოტბებთან მხატვრულ-ასტრალური სახეა, ან მატერიალურად არსებული მზე-მნათობი.

7. ძვირფასი ქვები სასულიერო და სახოტბო პოეზიაში. აღსანიშნავია პიმნოგრაფიის განსაკუთრებული ინტერესი ძვირფასი ქვებისადმი. ძვირფასი ქვები სასულიერო პოეზიაში სიკეთის სიმბოლოებს წარმოადგენს. ანთრაქი, ოქრო და განსაკუთრებით მარგალიტი ჩვეულებრივ ვაჭრელებულ სახეს წარმოადგენს მათ შედარებებსა და ეპითეტებში. იოანე მტბევარი ასეთ შესანიშნავ მეტაფორულ სტროფს აგებს ქრისტეს შობის თემაზე:

„ქუეჯანი ვიდრემდე მეწამულ იქმნა ღღეს სისხლითა მით ჩჩლთითა
ხოლო წარმართთა ეკლესია აღიესო სულნელებითა საიდუმლოდ
და ვითარცა ანთრაქნი პატოსანნი
შეწირნა ღღეს ქრისტესსა. (გვ. იბ.)

პატიოსანი ქვებიც მცენარეთა მსგავსად უპირისპირდებიან, როგორც სიკეთის სიმბოლონი, ბოროტებას, შეცოდებას, სიცრუეს, უწმინდურებას:

„განბრწყინდა შედწილად ბრწყინვალედ
ვითარცა ოქრონი ბრძმედსა შინა. (გვ. პზ.)

ამრიგად, ოქრო, პატიოსანი ქვა სიმბოლოა ყოველივე იმ სიკეთისა, რაც რელიგიური განწმენდის მიზანია³².

სახოტბო პოეზიაში ამ ფუნქციას (ძვირფასი ქვა — სიკეთის სიმბოლო) ემატება საკუთრივ მხატვრული ფუნქცია, რაც მდგომარეობს მეფის სიდიადის დახატვაში. ეს ჩანს განსაკუთრებით „აბდულუმესიანში“:

„წყლად გთქვა ნილოსად, უსასყდლოსად
სამოთხით ჩვენდა ქანდაკებულად,
ოქროს ოფასად, ძნიად სიფასად
ყოვლად ყოვლთურთ ბიწუეუხებლად.
სიწმინდის ბრძმედსა თვის განსაწმედსა
გამოდნობილხარ ბიწუეუხებლად.
თვალად აღმასად, — გავნოს აღმა სად? —
საფუძველთ ზღუდედ წახანაგებულად. (VI, 42).

აქ თამარი შედარებულია ოქროს ოფაზთან, რომელიც განსაწმენდ „სიბრძნის ბრძმედში“ ბიწუეუხებლად გამოდნობილა. ამ შემთხვევაში, ცხადია, ოქრო იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც სასულიერო პოეზიაში — „სიმბოლოა ყოველივე იმ სიკეთისა, რაც რელიგიური განწმენდის მიზანია“ (გ. იმედაშვი-

ლი). და აქ კიდევ ერთხელ ხედებიან ერთმანეთს საერო და სახოტბო და სასულიერო პოეზია.

მაგრამ თუ სასულიერო პოეზიაში ძვირფასი ქვა მხოლოდ სიმბოლური აზროვნებისათვის გამოიყენებოდა, საერო (სახოტბო) პოეზიაში მას თავისთავადი მნიშვნელობაც აქვს. შავთელს ძვირფასი ქვები სჭირდება მეფის სასახლის ბრწყინვალეების აღსაწერად. ძვირფასი ქვების ეს უკანასკნელი (მეორე) ფუნქცია სასულიერო პოეზიაში იგნორირებულია, რადგანაც ჰიმნოგრაფები ამქვეყნიური სილამაზის აღწერით არ იყენენ დაინტერესებულნი.

საერთოდ „შავთელი თავის ნაწარმოებში“ „აბღულმესიანი“ ასახელებს შემდეგ ქვებს: ანდამატი, ანთრაკი, ბადაზშანი, ლივერიონი, სამარაგლო, სარდიონი, საფირონი, ბივრილიონი, ჯავარი³³.

„ვინც იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი

გოარი მათგან დანათვალთა;

რიყე თვალისა სწორ-ნათლისა;

წყალნი მგზებარობს შიგან ალითა.

ჩანს მარგალიტი, — ართუა ლიტი! —

ოდენ ბურთისა საბურთალითა.

აქვს ზარდაკშანი, მას ბადაკშანი

ლუსკუმებრ მათთვის დასაქრძალითა,

იაგუნდისა სხვა რა უნდისა?

ჯამები იყვის ლალ-ფირუზისა.

იყვის ჭურჭელთა სხვათ უცხო ფერთა

სიმრავლით დება, თვით ურიცხვისა.

ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი,

ზოდი ოქროსა, მისგან თლილისა.

ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა,

ქმანი ებნისა და წინწილისა“ (VI, 43, 44).

ზემოთ მოყვანილ სტროფებში აღწერილია სასახლის ღონი. აქ ძვირფასი ქვები ყოველგვარი სიმბოლოსაგან დაცლილია.

ძვირფასი ქვა სასულიერო პოეზიაში სიმბოლური აზროვნებისათვის გამოიყენებოდა. სასულიერო პოეზიაში ძვირფასი ქვები, როგორც სიკეთის სიმბოლონი, უპირისპირდება ბოროტებას, შეცოდებას, სიცრუეს, უწმინდურობას. ოქრო, პატიოსანი ქვა სიმბოლოა ყველა იმ სიკეთისა, რაც რელიგიური განწყვენდის მიზანია. სახოტბო პოეზიაში ამ ფუნქციას (ძვირფასი ქვა—სიკეთის სიმბოლო) ემატება საკუთრივ მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია. მეხოტბებთან, კერძოდ შავთელთან, ძვირფას ქვას თავისთავადი მნიშვნელობაცა აქვს. შავთელს ძვირფასი ქვები სჭირდება მეფის სასახლის ბრწყინვალეების აღსაწერად.

ამრიგად, ძვირფას ქვებს მეხოტბებთან გააჩნია, როგორც სიმბოლურ-ალეგორიული ფუნქცია, რასაც გენეზისის თვალსაზრისით ჰიმნოგრაფებთან მივყავართ, ასევე თავისთავადი მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. კ. კ. კ. ლ. ი. ძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 2.
2. კ. კ. კ. ლ. ი. ძე, სამოწმეო ცთუნების პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში, ერთდებე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, გვ. 13—22.
3. მ. ს. ა. ე. ე., რომანი „ტავრთმეიანი“ ძველ-ქართულ ლიტერატურაში, იქვე, გვ. 23—33. იხ.

ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე.: ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცენება და განვითარება, ნარკვევებში ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1975; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი. შოთარუს-თაველი—დავით გურამიშვილი, თბილისი, 1974, გვ. 200—208.

3. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საუნჯე მეთე საუკუნისა, ტფილისი, 1891, გვ. 51—52.

4. გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ლიტერატურული ძეგლები, ტ. III, თბილისი, 1945, გვ. 212.

5. Н. Я. М а р р, Древнегрузинские одошцы, ТР, СПб., 1902, გვ. 39.

6. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბილისი, 1965, გვ. 392.

7. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII—X საუკუნეები, ტფილისი, 1913, გვ. 51—67—131.

8. ძველი ქართული მეხოტბენი, II, იოანე შავეტელი, აბდულუნისა, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესახებ, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1964.

9. ძველი ქართული მეხოტბენი, I, ჩახრუხაძე — ქება მეფისა თამარისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1957.

10. სახობო და სასულიერო პოეზიის საერთო წყაროზე — ფსალმუნზე მიუთითა ი. ლოლაშვილმა. იხ. „აბდულუნისა“, თარგმანი და კომენტარები, გვ. 164.

11. „აბდულუნისა“ დასახ. გამოცემა.

12. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913.

13. იქვე, გვ. 172.

14. იქვე, გვ. 53.

15. იქვე, გვ. 85.

16. იქვე, გვ. 376.

17. იქვე, გვ. 71.

18. ს უ ლ ა ვ ა, რუსთაველი და ძველი ქართული სასულიერო პოეზია, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1977, გვ. 132—133 (ინახება ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში), აქვეა მოცემული ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაც.

19. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, „დავითისა და თამარის ქება“ (ე. წ. აბდულუნისა), ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, (XII—XVIII სს.), 1966, გვ. 100.

20. იქვე, გვ. 96—97.

21. ბასილი მთაწმიდელი, გალობანი წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმისი მთაწმიდელისანი; წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა), ტ. 6, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1978, გვ. 520—522.

22. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. 27.

23. ა. გ ა შ ე რ ე ლ ი ა, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1960, გვ. 166.

24. ბასილი მთაწმიდელი, გალობანი წმიდისა მამისა ჩვენისა ეფთვიმისი მთაწმიდელისანი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა), ტ. 6, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1978, გვ. 520.

25. ეს ასტრალურ-მხატვრული სახე უფრო გაშლილი სახით მოცემულია „ვეფხისტყაოსანში“.

26—27. ამ ასტრალურ-მხატვრულ სახეებსაც ეძებნება პარალელი „ვეფხისტყაოსანში“.

28. გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კლასიკური საგლობლის პოეტური მეტყველების ზოგი საკითხი, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისი, 1959, X, გვ. 160—164.

29. ნ. ს უ ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 143—144.

30. იქვე, გვ. 144.

31. ი ე ზ ე კ ი ე ლ ი, ვედრება სვიმონ საცერცელაძემდისადმი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა), ტ. 6, თბილისი, 1978, გვ. 537.

32. გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კლასიკური საგლობლის პოეტური მეტყველების ზოგი საკითხი, გვ. 175—176.

33. ნ. ქ ო ი ა ვ ა, ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის პოემაში, ენიმკის ზოანზე, ტ. III, თბილისი, 1938, გვ. 56.

Н. Ш. ДЖИШКАРИАНИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ВЗАИМОДЕЙСТВИЯ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ДУХОВНОЙ И СВЕТСКОЙ ГИМНОВОЙ ПОЭЗИИ

Резюме

Грузинская светская гимновая поэзия XII века возникла не на пустом месте. Светская литература получила в наследство от духовной литературы совершенный литературный язык и богатые поэтично-образительные средства. Духовные и светские гимны имеют в какой-то степени одинаковую архитеконику: вступление, собственно восхваление и заключение, хотя в то же время наблюдаются вариационные различия.

Большинство художественных образцов древнегрузинской гимновой поэзии генетически увязывается с духовной поэзией.

Параллели многим твердо устоявшимся фразеологическим единицам можно отыскать в духовной поэзии. Однако те художественные образы, которые генетически идут из гимнов, в светской гимновой поэзии лишены теологического содержания.

У одописцев художественные образы, которые гимнографы увязывают с именем Христа (бога), служили для восхваления отдельных персонажей, атрибуты, характерные для бога, переносились на человека.

Представления о боге у одописцев и гимнографов не различаются. Одописцы, подобно гимнографам, в этом вопросе не отходят от выработанной христианской догматикой точки зрения.

Согласно духовной поэзии, одним из средств раскрытия художественного образа объекта восхваления светской гимнографической поэзии является различное изображение одной и той же истории, а также интонация восхваления, поэтическая декларация божественно-предопределенного рождения объекта восхваления и т. д.

В грузинской духовной поэзии солнце — метафорическое изображение бога. Солнечный — эпитет Христа. У Шавтели есть пример того, как солнце является образом божества в тринной ипостаси. В других случаях у древнегрузинских одописцев солнце — художественно-астральный образ или же материально существующее светило.

Драгоценные камни у одописцев наделены символично-аллегорической функцией, которая с генетической точки зрения берет начало у гимнографов, так же как и сама по себе художественно-эстетическая функция.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთა-
 ველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
 ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-
 დემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

თაგარ ლვინიაზვილი

ვაჟა-ფშაველა მხატვრული სიმართლის შესახებ

ვაჟა-ფშაველა — მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, გენიოსი შემოქმედი — უარესად საინტერესოა როგორც თეორეტიკოსი-მოაზროვნე. მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც ერთი საინტერესო მოვლენა ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში. მან თავისი საღი ანალიტიკური გონების მეშვეობით ბევრი საინტერესო თეორიული მოსაზრება გამოთქვა, რომელიც დღესაც ინარჩუნებს თავის ძალასა და მნიშვნელობას.

ვაჟა-ფშაველა ლიტერატურული შემოქმედების ყველა ძირითადსა და მნიშვნელოვან საკითხს მატერიალისტური ესთეტიკის პოზიციებიდან იხილავს. რაც უფრო ღრმად ვაკვირდებით მის თეორიულ შეხედულებებს, მით მეტად ვრწმუნდებით, რომ ამ დიდი ხელოვნის მხატვრული შემოქმედება აღნიშნული პოზიციის გამოხატულებაა.

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი მხატვრულ სიმართლეზე დიდად მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი უშუალოდაა დაკავშირებული ტიპურობის საკითხის გაგებასთან ლიტერატურაში. ამ პრობლემას ვაჟა-ფშაველა განიხილავს როგორც ცხოვრების მოვლენების მხატვრული განზოგადების სპეციფიკურ ასპექტს. მაგრამ ვიდრე შევუდგებოდეთ მხატვრული სიმართლის შესახებ ვაჟა-ფშაველას შეხედულებათა გარკვევას, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად წარმოვადგინოთ მარქსისტული ესთეტიკის თვალსაზრისი მხატვრული სიმართლის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში მხატვრული სიმართლე განსაზღვრულია როგორც სინამდვილის სიმართლით წარმოსახვა, მოწინავე ესთეტიკური იდეალების პოზიციიდან წარმოსახული სინამდვილის შინაგან არსში ჩაწვდომა. ამდენად მხატვრული სიმართლის ცნება უპირისპირდება სინამდვილის როგორც მექანიკურ ასლგადაღებას, რაც არსებითაა ნატურალიზმისათვის და ხელოვნებაში ბურჟუაზიული ობიექტივიზმის გამოვლენას, სინამდვილისაგან დაშორებას, მის სუბიექტურ დამახინჯებას წარმოადგენს.

მარქსისტული ესთეტიკა მხატვრული სიმართლის წყაროდ მიიჩნევს ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხატვრულ სიმართლეს ცხოვრებისეული სიმართლე უდევს საფუძვლად. მხატვრული სიმართლე ეს არის მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების, გამოცდილების შემოქმედებითი გადამუშავება, რომელიც მხატვრულ სახეებში ყალიბდება და რასაც მძაფრი ემოციურ-ესთეტიკური შემოქმედების ძალა აქვს.

ცნობილია, რომ ბალზაკი და ტოლსტოი სხვანაირად, თავიანთი სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა საპირისპიროდ განასახიერებდნენ სინამდვილეს, ცხოვრების სიმართლის შესაბამისად წარმოსახვდნენ თავიანთ გმირებს.

ტოლსტოი ამბობდა, ჩემი გმირები ზოგჯერ ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებენო. ისინი აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ ადამიანები სინამდვილე-

ში, ცხოვრებაში და არა იმას, რაც მე მსურს. ტოლსტოისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხელოვანი სწორედ იმიტომაა ხელოვანი, რომ ის საგნებს ხედავს არა ისე, როგორც სურს მათი დანახვა, არამედ ისე, როგორადაც ისინი არსებობენ“.

მ. გორკიც ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამს. მისი აზრით, გმირებს არ შეიძლება უყარანხო, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, რადგან ყოველ მათგანს აქვს მოქმედების თავისი ბიოლოგიური და სოციალური ლოგიკა და ამ თვისებებით ავტორი მათ იღებს სინამდვილიდან, როგორც თავის მასალას, როგორც ნახევარფაბრიკატს, და ახდენს მის გადამუშავებას, გაშალაშინებას თავისი საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის მიხედვით.

ქეშმარიტებისაკენ მხატვრის სწრაფვას, მის სუბიექტურ სიწრფელეს ყოველთვის როდი მიეყვარათ ხელოვნების მაღალმხატვრულ. სინამდვილის სიმართლით ამსახველი ნაწარმოების შექმნამდე. მხატვრული სიმართლე მოთხოვს ფაქტების შემოქმედებით გააზრებას, განზოგადებას, ისეთი მხატვრული სახეების შექმნას, რომლებშიც ზოგადი მოცემული იქნება ინდივიდუალურის, ცოცხალი ერთეულის მეშვეობით. მხატვრული სიმართლე შეუძლებელია შემოქმედებითი გარდასახვის გარეშე. ცხოვრების განვითარების ტენდენციების გაგების გარეშე. მ. გორკის მიაჩნია, რომ მხატვრულ სიმართლესთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც მწერლის მიერ ფანტაზიით შექმნილი მოვლენები ცხოვრებისეულია და ამდენად დამაჯერებელია. მისი ახსნით, მწერლის ტალანტის ძალა და ხელოვანება იმაშია, რომ მან მხატვრულ სახეებში დამაჯერებლად და სწორად გადმოგვცეს ცხოვრებისეული სიმართლე.

შემოქმედება არის სინამდვილის არა ასლის გადაღება, არამედ ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნა, რომელიც პროექტირებული იქნება ემპირიულ სინამდვილეზე. ამიტომ მხატვრული შემოქმედების სფეროში მხოლოდ ისეთი მოვლენები უნდა იქნეს შეტანილი, რომლებიც სინამდვილის არსს გამოაველენენ.

ფაქტის სიმართლე, ე. ი. ფაქტის ცხოვრებისეულობა, ჯერ კიდევ არაა მხატვრული სიმართლე. მხატვრული სიმართლე ესაა ცხოვრების სიმართლის გადამუშავებულ-განზოგადებული გამოხატვა ხელოვნებაში.

მხატვრულ სიმართლესთან გვაქვს საქმე მაშინაც, როცა სინამდვილის მოვლენები ნაწარმოებში წარმოსახულნი არიან მათი ნამდვილი სახითა და შინაარსით, და მაშინაც, როცა დეფორმირებული არიან ისინი, ჰიპერბოლიზებულიად არიან წარმოდგენილნი. მხატვრული სიმართლე დაკულია მაშინაც, როცა შემოქმედი მიმართავს პირობითობის ხერხს, ხმარობს სიმბოლიკას, ფანტასტიკას, ალეგორიას, გაპიროვნებას (ვაჟა) და სხვ. შეიძლება ვთქვათ, რომ მხატვრული სიმართლე ისევეა დაკული ზღაპრებში, როგორც დიდი რეალისტების ბალზაკისა და ლ. ტოლსტოის ნაწარმოებებში.

ვაჟა-ფშაველასათვის სავსებით ნათელია, რომ ცხოვრების ფაქტების სიმართლე არ არის იგივე, რაც უნდა იყოს მხატვრული სიმართლე ლიტერატურაში. ამასთან, ვაჟას თვალსაზრისით ცხოვრების მხატვრული წარმოსახვა ისე უნდა ზღებოდეს, რომ ასახული მოვლენა ინარჩუნებდეს მის ნამდვილ არსს.

ვაჟა დიდ როლს ანიჭებდა შემოქმედის მხატვრული წარმოსახვის უნარს, „გამომგონებლობას“, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში დასაშვებად არ თვლიდა სინამდვილის დამახინჯებას, მის არასწორად წარმოსახვას. ამიტომ ამბობდა იგი: მწერლის ფანტაზია არაფერს არ უნდა ქმნიდეს ისეთს, რომელიც სინამ-

დვილეს არ შეესაბამებო. მწერალი, ვაჟას აზრით, უნდა გამოხატავდეს ცხოვრებას, უნდა იცნობდეს ცხოვრებას, მის შუაგულში ტრიალებდეს, „სული და გული“ მას სწორედ ამისათვის უნდა გააჩნდეს.

„მწერლის სულის და გულის ქონა იქიდამა სჩანს, აქვს რამე იდეალი, უყვარს რამე ამ ქვეყანაში, უნდა ქვეყნისათვის, ცხოვრებისათვის სიკეთე, თუ არა, თავი და თავი აზრი მიწის შვილთა, ჩემის ფიქრით, ცხოვრება უნდა იყოს, მისი სიავ-სიკეთე. მწერალი კიდევ, როგორც გამომხატველი ცხოვრებისა, უსათუოდ ამ წრეში უნდა ტრიალებდეს, მისი გრძნობა იმას უნდა დაჰფოფინებდეს, თვით ცხოვრებლიდანვე გამომდინარე, თვით ცხოვრებისაგან შობილი უამისოდ მწერალი უაზრო ხმაა, გაურჩეველი, გაურკვეველი, ყველასათვის გაუგებარი“¹.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მხატვრული სინამდვილე ვაჟას ესთეტიკურ ნაზრევში დაკავშირებულია ტიპურობის საკითხის გაგებასთან. მისი აზრით, პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა. ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ წერილში „რამე-რუმე“ გამოთქვამს უღაოდ მნიშვნელოვან და საკმაოდ საინტერესო შეხედულებებს აღნიშნული საკითხის ირგვლივ. იგი წერს: „პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტიპებსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს; მისაბაძავს, ისეთ ტიპებს, რომლის მსგავსნიც უნდა, რომ იყვნენ პოეტს ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოღებული ნაკლი...“

საზოგადოებაზე ნაყოფიერი ზემოქმედება აქვს პოეტისაგან შექმნილს ტიპებს; პოეტური მწერლობაც მაშინ არის ღონიერი, როცა მარტო ფრაზებით კი არაა საესე, არამედ ვპოებთ მასში ან დაქვეითებულს კაცს, პოეტისაგან დახატულს, ან დიდსულოვანს ადამიანს... პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა, — ისეთის ტიპებისა, რომლებიც უვარგისნია და მეორე, რომელნიც საჭირონია ცხოვრების გასაუკეთესებლად. ამიტომ იდიოკოდვა და ნაკლია მწერლებისა და პოეტებისა, თუ იმათ შეუძლიანთ და ვერა მხატვანე ახალგაზრდობის აღმზრდელს ტიპებს. თვითონ მწერლობაც ამისთანა შემთხვევაში სუსტი და უმარილა“ (გვ. 400).

ვაჟა-ფშაველას აზრით, მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში საკმაოდ ბევრი ცდილობდა ტიპური სახეების შექმნას, მაგრამ ეს ტიპები ნაკლებად შეესაბამებოდნენ ცხოვრების საჭიროებას. „ლუარსაბ თათქარიძის შემდეგ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ცხოვრების საჭიროების მიხედვით შექმნილ ტიპებს ვეღარა ვხედავთ... სხვა ახალს ტიპებს აღარ აუჩქროლებია ჩვენი საზოგადოება, ღრმად აღარ ჩაუფიქრებია თავის ყოფა-მდგომარეობაზე, მის არსებაში აღარ ატეხილა ორნაირს გრძნობათა ბრძოლა, რომლის გამოც დღევანდელი უვარგისობა განედევნა და ერთი ფეხი წინ წაედგა ჩვენს თვითცნობას და მოქალაქობრივობას. მაღლობა ღმერთს, — განაგრძობს ვაჟა — ჩვენ ლუარსაბის ნაანდერძევი უსაქმურობა, უმეცრება და კუჭის გაღმერთება დღეს უარყვავით, — ჩვენ თავს იმდენად არ დავამცირობთ, რომ მარტო ვსვამთ, ვჭამთ, ვეთალოთ ბუზები და ტახტზე ვივარავით. — არა, დღეს ჩვენ ვაცილებით ბევრით მაღლა ვსდგევართ ბეჩავს ლუარსაბზე, მაგრამ რანი ვართ, რას ველტვით, რა ძალი და ღონე გვაქვს, გულისა და ტვინისა, მაინც კი საჭიროა

¹ ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964, გვ. 135. ციტატები ყველაგან ამ ტომიდან მოგვეყავს, ამიტომ შემდეგში მხოლოდ გვერდს მივუთითებთ.

ვიცოდეთ, — უნდა აწონილი, შეგნებული გვექონდეს, საით, რაზე მივაპყროთ ჩვენი ძალ-ღონე. ამ შემთხვევაში ხელოვნება უნდა მოგვეშველოს“ (გვ. 40).

ვაქასათვის ნათელია, რომ ილია ჭავჭავაძემ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ შეძლო ცხოვრების მეტისმეტად მძიმე სურათების დახატვა. ამით მას სურდა წუმბეში ჩაფლული უგრძობელი ადამიანებისათვის ეჩვენებინა თავისი ცხოვრების ნამდვილი სურათი, მათი ყოფის სიმახინჯე და აუტანლობა. მხატვრული სახის განვითარებისათვის, მისი მოქმედებაში ჩვენებისათვის საჭიროა შესაბამისი გარემოსა და სიტუაციის შექმნა, რომელიც განაპირობებს მოცემულ ხასიათის მოქმედებასა და განვითარებას. დიდი და ძნელი ამოცანაა მწერლისათვის, ნათელყოს მისი გმირების მოქმედების საფუძველი; თანაც აჩვენოს ისე, რომ მკითხველმა დაიჯეროს, რომ მოქმედ პირს მოცემული სიტუაციისა და ხასიათის განვითარების შინაგანი ლოგიკის მიხედვით სხვაგვარი მოქმედება, სხვაგვარი საქციელი არ შეეფერებოდა. მოქმედი პირნი, რომელნიც მწერალმა ასპარეზზე გამოიყვანა, უნდა იყვნენ იმ სიტუაციასა და გარემოში, რომელიც მან შექმნა. სწორედ ეს ფაქტი შეუნიშნავს ვაჟა-ფშაველას „ოთორაანთ ქერიში“, როდესაც იგი ეხება კესოს და გიორგის ურთიერთობას, კერძოდ, „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემას.

„ნიჭიერება ეროვნულის მწერლისა იმითი გაიზომება თუ რამდენად ესმის თავის ქვეყნისა და ერის საჭიროება, მით, თუ რამდენად შეგნებული აქვს მისი უმთავრესი ნაკლი და რამდენად მაღლიანად ემსახურება ამ ნაკლის შევსებას სიტყვით თუ საქმით. იმ დროს, როცა „კაცია-ადამიანი“ დაიწერა, ჩატეხილს ხიდზე საუბარი უადვილო იქნებოდა. ამისთანა ქადაგებისათვის ნიადაგი არ იყო მაშინ და დღესაც კიდევ ბევრს „გვაროვანს“ სწყინს, როგორ თუ ვინცა გულხის ბიჭი ჰბედავს თავადიშვილის ქალის სიყვარულს და ისიც პასუხს აძლევს მის სიყვარულსო. მაგრამ რას იზამ და რას იტყვი იმის წინააღმდეგ, რომ სიყვარული კაცთა მაღალ-დაბლობაზე დაფუძნებულს სიჯიუტეს არ ემორჩილება... რას იზამთ, როცა ცხოვრების საჭიროება და გარემოება ამგვარს სიყვარულს, ამგვარს დაკავშირებას მოითხოვს. ეს საჭიროება თავს გაიტანს; ეს შეუნიშნავს პოეტს და კიდევ ამაშია მისი ძალა და ღონე. მას შეუნიშნავს, რომ „ჩატეხილი ხიდის“ გამთელების აზრი ბეუტავდა ჩვენს საზოგადოებაში, მან მოაგროვა ეს სხივები და სანთლად დაგვიდგა ბნელს ღამეში. ამგვარი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მაღალი ხარისხის ტიპები ღერძია ეროვნების ცხოვრებისა და სხვა წვრილმანი ტიპები კი მხოლოდ სოლებია ამ ღერძისა, მხოლოდ ერთს რომელიმე მხარეს აკმაყოფილებენ მკითხველის სულისას, და ერის უმთავრეს საჭიროებაზე ზედგამოჭრილი ტიპი კი მთელს კაცის არსებას სთხოვს პასუხს, მთელს კაცის არსებას მოიყვანს მოძრაობაში და მთელს მის გულგონების ყურადღებას მიიზიდავს. ესეთი ტიპი აზრია, იგი ბეღია ერისა და იმ ტომს ყველასათვის საყურადღებო და მიმზიდველი“. (გვ. 401—402).

ვაქას აზრით, „საკაცობრიო ტიპები“, როგორებიც არიან, მაგალითად, დონკი-ხოტი და ჰამლეტი, შექმნილია კაცობრიობის საჭიროების მიხედვით და მათში გამოიხატება კანონები ცხოვრებისა. „დონკი-ხოტი არის მეციხბერი სიმართლისა, ამისთვის თავგანწირვით მეგრძოლი, ხოლო ჰამლეტი ძიებისაგან მოპოებულის მჩხრეკელ-მრკვეველი, ანალიტიკოსი. ეს თვისება, ეს წესი საკაცობრიო საჭიროებაა, ყველა ქვეყნისა და ერისათვის მინიჭებული და არა მარტო ესპანელ-ინგლისელთა კუთვნილებაა“ (გვ. 402).

ვაჟა-ფშაველას აზრით, „საფუძველი მხატვრული ნაწარმოებისა“, შემოქ-

მედისათვის მასალის მიმცემი მხატვრული სახეების შესაქმნელად არის ობიექტური სინამდვილე, ბუნება და საზოგადოება. ამიტომ შემოქმედებითი წარმატების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად იგი მიიჩნევს ობიექტურ სინამდვილესთან სიახლოვეს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმის აუცილებლობას, რომ მხატვრულ ნაწარმოებში სამყარო მიგვანიშნებდეს, მოგვავიწყებდეს ობიექტურ სინამდვილეს, როგორც ბუნებას, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებას:

„ყველაფერი, რასაც ბუნებრივობა ეტყობა: სიძულვილი თუ სიყვარული, შური, მტრობა, სიმამაცე და სიმხდალე, ქველობა თუ სიძენწე და სხვ. და სხვ., იქ უსათუოდ პოუზიან. ყველაფერს თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მიზეზი, გარემოება. მწერალს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივს კანონს არ უმტყუვნოს, წესიერება ბუნებისა დაიცვას — ისე უნდა ვადმოგვეცეს სურათი, რომ არა ვსთქვათ — ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგია... ყველა ვნებას, ყველა გრძნობას თავისი ბუნება აქვს, თავისი აგებულება, საათი დაბადებისა, ხანა სიყრმისა, სიჭაბუკისა და სიკვდილისა, — ყველა ეს უნდა მხედველობაში ვიქონიოთ. იმიტომ არიან უკვდავი ქმნილებანი უკვდავთა ავტორთა, რომ ამ წესით არ ჰღალატობენ იმ ნაწარმოებთა მოხსენი“ (გვ. 397).

ცხოვრების სიმართლესა და მხატვრულ სიმართლეს შორის ურთიერთობის თავისებურებას ვაჟა-ფშაველა სხვა მაგალითებითაც ნათელყოფს. მაგალითად, მას ბუნება, საზოგადოებრივი ცხოვრება ის, რაც შთაავიწყებს და მასალას აძლევს მწერალს, მოაგონებს „მამას“, ხოლო მხატვრული ქმნილება „შვილს“. „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, — იხსენებს პოეტი ანდაზას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გონივრულ ანდაზაში „მამული“ ვაჟას მოაგონებს იმ საფუძველს, რომელმაც „შვილი“, ანუ მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სინამდვილე, ანუ ტიპები და სახეები, უნდა განაპირობოს და აცოცხლოს. მაგრამ ამავე დროს, „შვილი“, ანუ მხატვრული სიმართლე, უფრო მეტს გამომატველი უნდა იყოს. „ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო, — წერს ვაჟა, — არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება. მხოლოდ მწერალი უნდა უყურებდეს ცხოვრებას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ბუნების თვალეებით.

კაცთაგან გამოთქმულია ეს სიბრძნე: „ისა სჯობ მამულისადა — შვილი რო სჯობდეს მამასაო“. გაუკეთესება ცხოვრებისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, რასაკვირველია, როცა შვილი უკეთესი იქნება მშობელზე, მეტს ჰკვას, მეტს უნარს გამოიჩინოს“ (გვ. 396). ვიმეორებთ, აქ ვაჟა ავითარებს ბელინსკის ცნობილ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ხელოვნება არის ხელახლა შექმნილი სამყარო, ახალი სინამდვილე, მაგრამ უფრო ღამაში, უფრო სრულყოფილი და განთავისუფლებული ყოველგვარი შემთხვევითობისა და ზედმეტობისაგან.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ვაჟა-ფშაველა სტილის საკითხზე. „სტილს“ ვაჟა „ენას“ უწოდებს და განიხილავს მას როგორც მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთ კომპონენტს. იგი „სტილს“ მწერლის ინდივიდუალობის გამასაზღვრელად მიიჩნევს და წერს: „ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომია და, უკეთესად რომ ვსთქვათ, — მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „შე“ (გვ. 294). ვაჟა-ფშაველას აზრით, თუ ნიჭიერი მწერლის ერთ ან ორ ნაწარმოებს წაიკითხავთ, შემდეგ ამავე მწერლის ნაწარმოები ხელმოუწერლად რომ შეგხვდეს, ადვილად უნდა იცნო, თუ ვის კალამს ეკუთვნის იგი. რა ხდის ნაწარმოებს ადვილ საცნობად და რა ასვამს მას გან-

საკუთრებულობის დაღს? — სვამს კითხვას ვაჟა და უბასუხებს: „ეს გაზღავთ „ენა“, რაშია ც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი (მწერლის) სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება, ფესვები მწერლის ენისა, სტილისა, იქ არის ჩაწმანებული. მწერალს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფრაზოლოგია, საკუთარი წინადადებანი, საკუთარი სურათები, თუნდაც ისინი სხვის სურათებს ჰგავდეს, მაინც და მაინც თავისებურად უნდა იყოს გამოთქმული; მაშასადამე, ორიგინალობა უნდა ეტყობოდეს, ბეჭედი თავისებურობისა უნდა ესვას“ (გვ. 294).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ვაჟა-ფშაველა მწერლის ნიჭის გარეგან ნიშნებად თვლის, — იმას, თუ რა მოვლენა გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად და რა ღირებულებისაა ეს მოვლენანი, რამდენადაა დამოკიდებული ამ მოვლენებზე ბედი და უბედურება, სიავე და სიკეთე ადამიანთა ცხოვრებისა. რამდენად კარგად და ძლიერად გვიხატავს ამ მოვლენებს მწერალი, — ეს უკვე დამოკიდებულია იმაზე, თუ „რამდენად ესმის საკიბობოროტო კითხვები ამ ცხოვრებისა და რამდენად ძლიერად იგრძნო მათი მავნებლობა, თუ სარგებლობა“ (გვ. 295).

ვაჟა-ფშაველას აზრით, „ცხოვრების და ბუნების გარეშე წარმოუდგენელია მწერალი, როგორც ყოველი სულიერი და უსულო არსება; წარმოუდგენელია ნიჭიერი მწერალი, გენიოსი, უიმისოდ, რომ იმას არ აწუხებდეს ტკივილები ადამიანთა ცხოვრებისა“. თუ მწერალი, შემოქმედი ყოველივე ამას მოკლებულია, მაშინ იგი ვაჟას თქმით „მკვდარი და არარაობაა“. „შეიძლება გენიოსების ნაწარმოებში ეს ადამიანთა ცხოვრების ტკივილები მკითხველს თვალში არ ეჩხიბებოდეს, როგორც რეკლამა, მაგრამ, აბა, მოჩიჩქნეთ, ღრმად ძირი მოუთხარეთ, ჩაიხედეთ კარგად, იქ რაოდენ ცრემლის ზღვას დაინახავთ, ადამიანთა უბედურების გამო დანთხეულს!

რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მკვიდროდ დაკავშირებულია ცხოვრებასთან, მის მწვავე საკითხებთან.

გენიოსი სდულს, იხარშება ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და იმავე დროს ეს წუთისოფელიც სდულს და ნახევრად მოხარშულიცაა იმის გულში.

გენიოსს არ შეუძლია იგრძნოს ეს ცხოვრება ნახევრად, მესამედად და მეოთხედად, არამედ ჰგრძნობს მთლად, ერთობლივ; არ შეუძლიან აგრეთვე იგრძნოს დაბალი, მცირე ღირსების საკითხები, რომლებიც დაახლოვებულნი არ არიან კაცობრიობის ცხოვრების ღერძთან“ (გვ. 295).

ვაჟა-ფშაველას არ ავიწყდება ის გარემოებაც, რომ მხატვრული ნაწარმოები, გენიოსის მიერ შექმნილი, ეროვნულ ნიადაგზე, „ხშირად ეთნოგრაფიულზედაც“, უნდა იყოს აღმოცენებული. ეს ნაწარმოები „კერძო თვისებისა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი“... (გვ. 295). სწორედ ასეთია მთელი ვაჟას შემოქმედება: მასში ასახულია ეროვნული ტკივილები და ზოგადსაკაცობრიო იდეალები. ვაჟა-ფშაველა ყველა მოვლენას ეროვნულ სამოსელში ხვევს, მაგრამ ამდიდრებს თავისი ამოუწურავი მხატვრული ფანტაზიით. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის უდიდესი როლი, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში შეასრულა ქართულმა ხალხურმა პოეზიამ. მთელი ეს უსასღვრო და უზომო მასალა ვაჟა-ფშაველას პოეტური ფანტაზიის მასაზრდობებელ წყაროდ იქცა. მან ბრძნული საუნჯე ხალხური თქმულებებისა გადაამუშავა და გადაადნო თავის შემოქმედებითს ქურაში.

ვაჟა წერს: „უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერც იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება.“

ამის მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია. ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული სწორედ ისე, როგორც ზევით მოვახსენეთ, როგორც ამას ჩვეულან რჩეულნი ამა ქვეყნისანი დიდი ნიჭის პატრონი მწერლები. ავტორები „ფაუსტს“ გიოტეს გარდა მართლა ასობით ჰყვანდა, მაგრამ გიოტეს მეტ-მა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერაფერ შესძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შესძლო გადადღეობა ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა.

ესევე დამართათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომეო და ჯულიეტას“ და სხვა.

ესევე ითქმის დიდებულს შოთაზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“.

— მე თქვენი უმორჩილესი მონა, რა სახსენებელი ვარ ამ გოლიათებთან, მაგრამ ერთი გარემოება მაძლევს უფლებას ჩემი თავიც იმათთან ერთად ვახსენო — ეს გახლავთ მსგავსება ქმნისა, შემოქმედებისა. დიად, კატა თუმცა ვეფხვი არაა, მაგრამ სხვა ცხოველებზე მეტად ვეფხეს უფრო ის „ჰგავს“. (გვ. 362).

როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველას პოემებს ხალხური თქმულებანი უღევს საფუძვლად; ამას თვით ვაჟა აცხადებს: „ჩემი პოემები თითქმის ყველა სულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი, თვითვეული მათგანი სხვა და სხვანაირად, ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება დედანს, სხვა სრულიად დაშორებულია მახედ, ე. ი. ზოგი ნაწარმოების არაკი ძალიან თავისებურად არის შემუშავებული და ზოგი ნაკლებად შემუშავებული, ნაკლებად თავისებურია, და, წარმოიდგინეთ, ნაკლებად სახელოვანიც. დიდი სახელი მხოლოდ მეტად თავისებურად შემუშავებულმა ამბებმა მოიპოვეს საზოგადოებაში, ამ პოემების ჯგუფს ეკუთვნიან „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მჭამელი“ (გვ. 363).

მაშასადამე, ვაჟა-ფშაველას აზრით, მთავარია, პოეტმა თავისი ფანტაზიის მეშვეობით ისე დაამუშაოს მზა მასალა, რომ მასზე აგებული ნაწარმოები ზოგადსაკაცობრიო გახდეს: „რაც უნდა დიდებული იყო ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანგანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰბერა უკვდავი სული, როგორც ღმერთმა თიხიდან შეხელილს ადამს, და იგი ზღაპარი თუ ლეგენდა არ შეუსისხლხორცა საკუთარს სულსა და გულსა, არაფერი გამოვა, — თავის დღეში „ვეფხისტყაოსანისთან“ თხზულება არ დაიწერება.“

„ლევანდა, ზღაპარი თესლია მხოლოდ და, მაშ მარტო თესლშია ძალა და ის აღარ უნდა ვიკითხოთ, როგორც ნიადაგზე ითესება ეს თესლი? ნიადაგი პოეტია, რომელმაც ერთი მარცვლი უნდა ათასად აქციოს“ (გვ. 307).

სწორედ ამ თესლზე შექმნა ვაჟამ თავის უკვდავი „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „ხახტრიონი“ და სხვა. ამ ნაწარმოებთა შესაქმნელად ვაჟამ ზეპირსიტყვიერების მხოლოდ ზოგიერთი მოტივი გამოიყენა. მაგალითად: სამეცნიერო ლიტერა-

ტურაში აღნიშნულია, რომ ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძლის“ წერის დროს ზეპირგადმოცემით სარგებლობდა, ხევესური ზვიადაური ხალხური ნაწარმოებიდან აღებულ სახეა, ქისტის საფლავზე ზვიადაურის მსხვერპლად მიტანის ეპიზოდი ფოლკლორული შემოქმედებიდან მომდინარეობს.

აი, ის მარცვალი, ვაჟას ფიგურალური გამოთქმა რომ ვინმაროთ, რომელიც პოეტმა ათასად უნდა აქციოს საკუთარი გონების ქურაში გატარების დროს, თუკი ერის საყვარელი ნაწარმოების შექმნა სურს.

მართალია, ვაჟა-ფშაველა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ხალხურ თქმულებას, მაგრამ იმისთვის მაინც „თავი და თავი ავტორია და არა ლეგენდა“. ამას ადასტურებს მისი ყველა სახელმძოვნილი პოემა.

ჩვენ მხატვრული სიმართლის შესახებ ვაჟა-ფშაველას შეხედულებათა ძირითადი მომენტების განხილვით შემოვიფარგლეთ, ვფიქრობთ, ამ მოკლე განხილვითაც ნათელია, რომ დიდი ხელოვანის — ვაჟა-ფშაველას შეხედულებანი მხატვრული სიმართლის შესახებ მხოლოდ ისტორიული ინტერესის საგანი არაა; პირიქით, ისინი დღესაც ინარჩუნებენ ცხოველმყოფელ თეორიულსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამასთან, ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური შეხედულებანი რეალიზებულია მისავე მხატვრულ მემკვიდრეობაში.

Т. А. ГВИНИАШВИЛИ

ВЗГЛЯДЫ ВАЖА-ПШАВЕЛА НА ХУДОЖЕСТВЕННУЮ ПРАВДУ

Резюме

Взгляды Важа-Пшавела на художественную правду имеют большое значение. Они связаны с вопросом типизации в литературе и основаны на предпосылках материалистического мировоззрения.

Проблему художественной правды Важа-Пшавела рассматривает как специфический аспект художественного обобщения жизненных явлений.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ნ უ გ ზ ა რ ც ხ ვ რ ე ბ ო ვ

ნ ე კ ო რ ე რ ე ა ს პ ე კ ტ ე ს რ ა ვ ნ ი ტ ე ლ ნ ო
ტ ი პ ო ლ ო გ ი ე ს კ ო უ მ ე ს რ ა ვ ნ ი ტ ე ლ ნ ო
გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ა ტ ა ბ ი დ ზ ე

Последние десятилетия в грузинском литературоведении ознаменовались интенсивным изучением творчества Галактиона Табидзе. И, видимо, это не случайно, так как говорить о поэзии Г. Табидзе — значит говорить о магистральных путях советской многонациональной лирики. Именно в этом жанре созданы лучшие его произведения. Подлинно научное изучение творчества Г. Табидзе стало возможным недавно, с появлением академического собрания его сочинений. Крайне бессистемные прижизненные издания не давали представления о характере и размахе деятельности поэта; сам Г. Табидзе в статье «О собственном творчестве» (1950) указывал на то, что «критик совершит ошибку, опираясь исключительно на первые два сборника — 1914 и 1919 годов, т. к. туда не вошли многие стихотворения тех лет»¹. Замечание это тем более существенно, что сам Г. Табидзе новаторский характер своей поэзии связывает с этим периодом творчества. Первые годы литературной деятельности, по замечанию Сент-Бёва, едва ли не самые решительные в понимании писателя, «от них протянутся нити к его будущему»².

Галактион Табидзе органично претворил в своем творчестве не только национальные традиции. Он, как очень немногие, чувствовал пульс мировой поэзии. Творчество Г. Табидзе представляет литературу, которая по его же собственному заключению «отражала все великие сдвиги в истории народов, обогащалась достижениями европейской и русской литературы, не теряя в то же время своих литературных традиций»³.

Приобщение к инонациональной поэтической культуре не стирает индивидуальных черт творца, напротив, творческое своеобразие проявляется ярче, приобретает большую рельефность. А. С. Пушкин хорошо сказал об этом: «Талант неволен, и его подражание не есть постыдное похищение — признак умственной скудости, но благородная надежда на собственные силы, надежда открыть новые миры, стремясь по следам гения, — или чувство в смиренности своем еще более возвышенное: желание изучить свой образец и дать ему вторичную жизнь»⁴. Следует помнить это пушкинское изречение — пойдете ли речь о традиционной преемственности или типологическом сходстве — поэтический гений Г. Табидзе глубоко индивидуален и неповторим.

Сравнительно-историческое, типологическое изучение творчества

Г. Табидзе — важная задача нашего литературоведения; при этом не следует упускать из внимания сам литературный процесс, определяющий характер своеобразия творчества писателя. «В последнее время, — отмечает Н. Кравцов, — ясно определилось одностороннее увлечение изучением литературных связей. Связи играли важнейшую роль в культурном развитии и культурном сотрудничестве как славянских, так и других народов, однако они были проявлением лишь общих закономерностей развития и объяснялись прежде всего потребностями самого развития, конечно, содействуя ему и убыстряя его, но не определяя основного направления и основных его закономерностей»⁵.

Системное, типологическое исследование литературных процессов, творчества отдельных писателей занимает видное место в советском и зарубежном литературоведении⁶. Насчитывающая не одно столетие своего развития грузинская поэзия, в которой органично переплелись традиции Востока и Запада, представляет несомненный интерес в свете марксистско-ленинской концепции мирового исторического процесса. «Установление общих и относительно более частных, закономерностей развития литературы, возможно лишь в масштабах действительно всемирно-исторического опыта литератур. Только при этом обобщение будет научно достоверным»⁷.

В настоящей статье намечена типология творчества Г. Табидзе и отдельных представителей французской и русской поэзии. Совершенно очевидно, что границы сопоставительного анализа, ограниченные в данном случае именами Ш. Бодлера, П. Верлена, В. Брюсова могут быть существенно раздвинуты. Поэзия Г. Табидзе первых двух десятилетий все еще вызывает разноречивые толкования: одни причисляют его к романтикам, другие отмечают наличие элементов символизма в его поэзии, а не так давно прозвучало утверждение о том, что Г. Табидзе с самого же начала пришел в литературу как законченный реалист, не имеющий никакого касательства к направлению символизма. «Нас не должна вводить в заблуждение сложная, на первый взгляд, система образов Г. Табидзе, — пишет исследователь его творчества, — так как он постигал и выражал самую сущность бытия. И если необходимо такого рода постижения обозначать специальным термином, то смело можно сказать — это реализм высшего типа (подчеркнуто мной — Н. Ц.), та степень творчества, которой мало кто достигал в мировом масштабе»⁸.

Вопросам поэтики грузинского символизма и, в частности, поэзии Г. Табидзе посвящен ряд работ, из которых, в первую очередь, следует отметить статьи Г. Асатиани, Т. Чиладзе, Т. Чхенкели, монографии Г. Джибладзе, И. Кенчовили, М. Киквадзе и др.

Решая вопрос причастности Г. Табидзе к литературному направлению символизма, следует неукоснительно придерживаться принципов историзма. «Весь дух марксизма, вся его система, — писал В. И. Ленин, — требует, чтобы каждое положение рассматривалось

лишь (а) исторически, лишь в связи с другими; (в) лишь в связи с конкретным опытом истории»⁹.

Исходя из этого ленинского положения, видимо, не следует забывать, что всякая нивелировка, выпрямление творческого пути Г. Табидзе, связанного с литературным процессом начала века, искажает подлинное лицо истории отечественной литературы.

Все эти вопросы должны были найти соответственное отражение в монографии Н. Думбадзе «Грузинский символизм». Однако автор, посвятивший этому литературному направлению специальный труд, обошел молчанием этот принципиальный и важный вопрос, видимо, не иначе, как в силу живучести тенденции о неучастности Г. Табидзе к искусству символизма¹⁰.

Галактион Табидзе не выступал, как известно, с декларациями, призванными эпатировать публику, как это делали, скажем, поэты «голубороговцы», и, тем не менее, своей поэзией он во многом предвосхитил это направление. В программной статье 1916 года «Дадаизм и «Голубые роги» из «блестящего триумvirата поэтов» — С. Шаншишвили, Г. Табидзе, И. Гришашвили, особо выделяется Галактион Табидзе, так как «он более других тяготеет к символизму; первый сборник стихотворений свидетельствует о том, что Г. Табидзе вырастит «цветы зла» символизма и мы ждем от него многого... Как бы высоко мы не ценили то, что он нам дал в настоящем, еще больше у него впереди. В стихотворении «Пустыня» поэт доходит до подлинного жонглирования модернистическим чувством. После Н. Бараташвили только это стихотворение заставит вас окропить слезами подушку»¹¹. Поэтому не удивительно, что такие стихотворения Г. Табидзе, как «Я и ночь», «Синие кони», «О богородица, дева Мария!», «Заснежила зима сады» и др. стали своеобразным катехизисом для поэтов группировки «Голубые роги».

В высказываниях, статьях Г. Табидзе, относящихся к разным годам его творчества, встречается высокая оценка поэзии Т. Готье, П. Верлена, А. Рембо; он прямо говорит о том, что следует усвоить высокую стихотворную технику, разработанную лучшими представителями этого направления. Но одно было чуждо Г. Табидзе — он никогда не являлся сторонником так называемого «чистого искусства».

Новые данные из архива Г. Табидзе свидетельствуют о достаточно глубоком знакомстве с философской и эстетической мыслью модернизма. Факты эти интересны не только сами по себе; они позволяют многое уяснить в литературном процессе первых двух десятилетий.

Интерес к творчеству Рихарда Вагнера зародился у Г. Табидзе еще в начале века; в 1915 году он пишет стихотворение «Вагнер», где проявляет исключительно тонкое понимание музыки Вагнера, новаторских принципов его творчества. Немецкий композитор пользовался, как известно, страстным поклонением среди поэтов-декадентов, что имело, по свидетельству Томаса Манна, решительное значение

для формирования этого искусства. «Он (Р. Вагнер — Н. Ц.) музыкант такого склада, что даже людей немзыкальных привлекает к музыке... Для Бодлера встреча с Вагнером явилась не чем иным, как встречей с музыкой... А после встречи — безудержный восторг, вселившийся в него честолюбивое стремление, уподобив слово музыке, сравниться при помощи одного лишь искусства слова с Вагнером, что имело важнейшие последствия для французской лирики»¹².

В личном архиве Г. Табидзе сохранились переведенные им отрывки из книги Ф. Ницше о Вагнере: Туринское письмо 1888 года и некоторые другие фрагменты, причем те места, которые обратили на себя особое внимание грузинского поэта, в рукописи подчеркнуты¹³. Книга Ф. Ницше о Вагнере могла заинтересовать Г. Табидзе тем, что в ней говорилось о музыкальности слова, расширявшей возможности новой поэзии: «Музыка, — писал Ницше, — часто говорит нам звуками убедительнее, чем поэзия словами, и проникает в самые изгибы нашей души»¹⁴. Г. Табидзе проявил также интерес к вопросам философской лирики О. Шпенглера, роману «Закат Европы», который следует отнести к традиции лирико-философской прозы Ф. Ницше¹⁵.

Культ страдания, как некая очищающая и возрождающая сила широко представлен в целом ряде стихотворений Г. Табидзе: «Люблю напев, согретый чувством», «Вчера весь день», «Обновилось сердце», «О Ева, Ева! Утрата рая...» и др.

Настроения безысходности и упадка, несомненно, имеют свою социально-политическую, национальную первопричину, но сводить эти мотивы исключительно к ней было бы неверным; культ очищающего страдания, ведущего к нравственному очищению, возрождению, мог быть навеян философией столпов европейского и русского модернизма, а также творчеством поэтов-декадентов, широко культивировавших подобные настроения. Нетрудно, например, уловить внутреннее созвучие, близость приводимых строк К. Бальмонта и Г. Табидзе.

...Что же мне еще осталось? С каждым шагом холодеть?

И на все, что просит счастья, с безучастием глядеть?

О, последняя надежда, свет измученной души,

Смерть улада всех страданий. Смерть, я жду тебя, спеши!¹⁶

...Благословляю день кончины бытия.

Мрачная ночь... Наступает рассвет.

Скорее, смерть, о, заклинаю тебя,

Яви мне сладость мечты,

Укрой меня своими черными крыльями!¹⁷

(«Я родился на рассвете», перевод подстрочный)

Второй поэтический сборник Г. Табидзе носит название необычное и озаглавлен по-французски «Crâne aux fleurs artistiques». Не исключено, что название сборника навеяно «Цветами Зла» Ш. Бодлера. В стихотворениях Бодлера «Амур и череп», «Неудача» разрабатывается тема недолговечности жизни и бессмертия искусства:

О, если б в грудь мою проник,
 Сизиф, твой дух, в работе смелый,
 Я б труд свершил рукой умелой!
 Искусство — вечность, Время — миг...¹⁸

Противопоставляя смерть (череп) и искусство (артистические цветы), Г. Табидзе вопрошает: «За которым из них останется победа?» — И тут же: «Конечно, за искусством!»¹⁹.

Галактион Табидзе высоко ценил поэтический гений Ш. Бодлера, который изобразил современного человека со всеми его «запутанными и неудержимыми страстями, болезненными похотями, с его неизлечимой скукой и тоской, с его безрассудством и стремлением к изысканно-изящному, с его отчаянием, полным неверия, и идеалом»²⁰. Он находит в поэзии Ш. Бодлера настроения, близкие грузинской поэзии. Так, в ранней своей статье «Дорогие могилы» (1919), ссылаясь на замечательное стихотворение Бодлера «Благословение», Галактион Табидзе пишет: «Прискорбно, что стихотворение это написано не на грузинском языке, впрочем, подобные мысли широко рассеяны и в произведениях Акакия Церетели. «Благословение» так близко грузинскому духу, тому положению, в котором пребывают достойные преклонения сыны Грузии»²¹.

Цитаты из произведений Ш. Бодлера, Т. Готье, А. де Ренья, предпосланные в качестве эпиграфа сборнику «Череп в артистических цветах», взяты, по свидетельству самого Г. Табидзе, из книги Реми де Гурмона «Цветы». Сборник Гурмона называется не «Цветы», а «Цвета» («Couleurs») и представляет собой сборник коротких рассказов с эпиграфами из Вергилия, Проперция, Ван Гога, Бодлера, Франсиса Жамма и др. и озаглавленных цветами спектра—«Желтый», «Черный», «Красный», «Зеленый», «Оранжевый», «Красно-фиолетовый» и т. д. Цвет у Р. Гурмона связывается с определенным символом, иногда проецируется на социально-бытовые события с совершенно непредвиденной концовкой. Так, желтый цвет связывается с цветом золотой монеты, венчающей поэтический поначалу роман горожанина и крестьянки. Белый цвет—получувственная любовь девочки и мальчика; лиловый—благочестивая стареющая богомолка и т. д. и т. п.²²

Одну из существенных сторон поэтики Г. Табидзе—принцип музыкальности слова—исследователи обычно возводят к творчеству П. Верлена, к поэтической формуле: «De la musique avant toute chose».

Галактион Табидзе знал не только стихи Верлена и не менее музыкального Бодлера, но и поэзию многих французских и русских модернистов, широко, часто в ущерб смысловому содержанию, утверждавших принцип музыкальности слова. Достаточно в качестве примера сослаться хотя бы на такие строки из стихотворения «Агония» Сюлли Прюдома:

...Довольно слов — я им устал внимать,
 Распытывать, их чисты ль цели:
 Я не хочу того, что надо понимать,
 Мне надо, чтобы звуки пели.²³

Обращение к поэзии Поля Верлена — автора «самого оригинального, самого грешного и самого мистичного, самого сложного и самого простого, самого смятенного, самого безумного, но уж, конечно, и самого вдохновенного и самого подлинного из современных поэтов», оказало на Г. Табидзе сильное, неизгладимое впечатление. В стихотворении «Чнануреби» имеются такие проникновенные строки:

Часто вспоминаю Верлена,
 Как погибшего отца.
 Прольет безумец слезы —
 Воспоминаний гамму... (подстрочный перевод)

Несомненно, за этими строчками, пронизанными горечью за неудачливую жизнь поэта, его падение и раскаяние, чувствуется известное духовное родство. И видимо, вовсе не случайно, что Г. Табидзе берется переводить его стихи разного тематического цикла. Целые строфы из стихотворений П. Верлена «Chanson d'automne» и «La chanson des ingénués» как оригинальные вошли в стихотворение Г. Табидзе «Симебис квдома» («Угасший аккорд»), датированное 1916 годом.

Стремясь выявить то общее, что сближает раннего Г. Табидзе и П. Верлена, незольно обращаешься к импрессионизму в поэзии, названному В. Брюсовым, переводившим французского автора в течение многих лет, «чисто верленовским методом творчества». Правда, разграничение приемов и методов внутри самой символистской поэзии затруднительно и для самих поэтов — теоретиков этого направления. Так, К. Бальмонт отмечал, что «символическая поэзия неразрывно связана с другими разновидностями современного литературного творчества, известного под названием декадентства и импрессионизма», и считал себя «совершенно бессильным строго разграничить эти оттенки»²⁴.

Особенность импрессионистического метода, по Брюсову, в том, что «поэт не стремится нарисовать связную картину или рассказать последовательно события; он просто дает ряд образов, один за другим, соответственно тому, как они являлись перед его взором или сознанием, предоставляя читателю самому объединить их в целое»²⁵. Таким импрессионизмом, где содержание довольно аморфно, неопределенно, а все стихотворение покоится на ассоциациях глубоко субъективных, отмечены стихотворения Г. Табидзе «Пиримзе», «Заснежила зима сады», «Осенний фрагмент», «Ворон», «Кто эта женщина?», «Эдгар в третий раз», «Шелест занавесей», «Ангел держал свиток пергамента» и многие др.

Обращает на себя внимание и другая особенность лирики Г. Табидзе, сближающая его с поэзией Поля Верлена — это зыбкость контуров вещественного мира, его разуплотненность. В стихотворении «Луна Мтацминды» все погружено в зыбкий свет луны, сквозь который «как в смутном сне мерцает лента Куры и старинный замок Мелехи». Та же разуплотненность, акварельность в стихотворении «Белые призраки».

...Тени на озере трепетали так,
 Как струящийся свет янтара.
 И на зеркальной глади озера задумчиво
 Вырисовывались бледные силуэты деревьев.²⁶

Такая демагериализация в лирике Г. Табидзе, как и в поэзии П. Верлена, направлена не на «изгнание материальности», а на повышение роли лирического героя, его размышлений, переживаний, настроений.

В стихотворении «Ангел держал свиток пергамента» имеется такая примечательная стихотворная формула, в данном случае ключевая — «Мечта, очерченная отрицанием вещей».

Природа, как правило, имеет в поэзии Г. Табидзе не самостоятельное, самоценное значение, а знаменует увядание, старение, смерть, закат последней любви в пору глухой осени, тревогу ожидания в Беспокойных порывах ветра и т. д. и т. п.

Ветер плакался, неистов,
 На поле ночном,
 Подхватив охапку листьев
 Сломанным крылом, —
 Словно для него пустыней
 Был весь белый свет,
 И ему в долине синей
 Нет приюта, нет...

(перевод Г. Цагарели)

или:

Вчера всю ночь в окно стучался ветер,
 И долго, долго я заснуть не мог:
 Я дома, в комнате, а он один на свете,
 Он бесприютен, гол и одинок...
 (перевод М. Троицкого)

Осень, о которой так охотно пишет Верлен, это не столько время года и увядания, сколько метафора усталости, старения, близящейся смерти и т. д. Субъективное начало восприятия переносится на объективные явления, предметы реального мира. «Структура пейзажа как непосредственное противопоставление субъективного восприятия объективному бытию—крупнейшее достижение Верлена и заметный сдвиг в эволюции изобразительных средств французского стиха»²⁷.

В 30-ые и последующие годы в литературной критике наметились аналогии русской и грузинской поэзии и, в частности, творчества Г. Табидзе. Нужно, однако, с самого же начала сказать — аналогии эти крайне субъективного, ассоциативного характера, основанные на знакомстве с русскими переводами и лишены сколько-нибудь серьезной научной основы (о качестве переводов мы скажем несколько ниже). Об этом свидетельствуют и приводимые нами в качестве примеров выдержки. «...Прочтите апокалипсическое стихотворение Паоло Яшвили «Павлины в городе», напоминающее «Коня бледа» Валерия Брюсова»²⁸... Вслед за Новалисом и Тютчевым, учителями символизма, Галактион Табидзе пел гимны ночи, «которая заг-

лянула в душу всей крепостью неба и распахнула над полмиром крылья сна» («Я и ночь»). «Синие кони» Г. Табидзе по настроению как бы перекликаются с конем смерти («Конь блед») Валерия Брюсова²⁹. Дело порой доходило до того, что о Галактионе Табидзе говорилось как о робком подражателе, эпигоне. «Изданный им (Г. Табидзе — Н. Ц.) в 1914 году сборник стихов изобилует настроениями упадочными и туманно-мистическими. В этом смысле характерны стихотворение «Синие лошади» и цикл стихов о любви «Мери», написанный под влиянием «Стихов о Прекрасной даме» и «Незнакомки» Блока. Лирический герой русского поэта перекочевал в стихи Галактиона Табидзе, приняв, разумеется, соответствующую национальную окраску»³⁰.

Сравнительное исследование поэзии Г. Табидзе и русской литературы только начинается — мы на подступах к этой обширнейшей теме. Ее последовательная разработка и изучение позволит устранить произвольные и разноречивые толкования.

Знакомство Г. Табидзе с творчеством Валерия Брюсова относится к началу 10-х годов. На смерть русского поэта он откликнулся двумя стихотворениями «Шави светеби» («Черные колонны») и «Уканаскнели депеша» («Последняя телеграмма»). Проникновенное стихотворение «Русскому поэту» посвящено В. Брюсову. По переводам Брюсова Галактион Табидзе знакомился с произведениями европейской поэзии. Интересно привести такой факт: комментаторам академического издания не удалось установить первоисточник двенадцатого перевода Г. Табидзе из П. Верлена. В результате знакомства с оригиналом стихотворения «Dans la grotte»,³¹ а также с русскими переводами этого стихотворения нам удалось установить, что перевод стихотворения Верлена выполнен по переводу Брюсова. Галактион Табидзе перевел первые две строфы, слегка интерпретировав первую строку, и опустил заключительную третью строфу:

Ах! Мне погибнуть неизбежно!
 Моей печали где граница?
 И лютая гирканская тигрица,
 В сравненьи с вами агнец нежный!
 Да, здесь в отщепенie Климене,
 Мой меч, не ведающий равных,
 Сразивший столько киров, Сципионов славных,
 Меня избавит от мучений...³².

Во втором томе академического издания стихотворение «Джеквуд гушин» («Еще только вчера») ошибочно признано оригинальным стихотворением. На самом деле это перевод стихотворения В. Брюсова «Товарищам интеллигентам»³³.

Интерес к творчеству В. Брюсова у Г. Табидзе, как видим, действительно был активным. И все-таки типологические аналогии нуждаются в предельно тонком подходе, трактовке, дабы не упрощать самого существа вопроса.

В статье М. Антадзе «Сравнительный анализ стихотворений В.

Брюсова «Конь блед» и Г. Табидзе «Стремительные кони» (в русском переводе стихотворение известно как «Синие кони») выдвигается новая концепция: стихотворение «Синие кони» толкуется как реалистическое, жизнеутверждающее. Исследователь стремится показать, что произведения эти написаны с диаметрально противоположных идейных и художественных позиций. «Конь блед», — замечает автор, — стихотворение с символическим содержанием. Символический и эсхатологический (апокалипсический) образ «Коня бледа» — это образ смерти, конца мира, разрушения городов, гибели людей и т. д. «Стремительные кони» (а не синие или вороные кони) — стихотворение с реалистическим содержанием. Символический шифр стихов поддается реалистической дешифровке. «Стремительные кони» — это реалистический образ вечно движущейся и обновляющейся жизни, образ победы жизни над смертью, образ всепобеждающей силы поэзии»³¹.

Как видим, одна из содержательных, смысловых сторон произведения — кони — у поэта действительно быстрые, стремительные, — акцентируется и выносится автором статьи в заглавие стихотворения. Но ведь у Г. Табидзе «ლურჯა ცხენები», т. е. речь идет о масти коней: но вовсе не об их стремительности? Обратимся, однако, к самому подлиннику.

როგორც წისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მღუმარების გარეშე.
მღუმარების გარეშე და სიცოცხის თარეშში.
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარება!...

Как поэмка тумана, окрашенная закатным солнцем,
Мерцал берег в краю вечности!
Не видно было обещанного, не узрел я ничего,
Кроме холода и бесприютного молчания.
Кроме бесприютного молчания и разгула холода
В краю вечности только печаль... (перевод подстрочный)

и далее:

ცეცხლი არ კრთის თვალბში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
შემშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები, რბიან, მიჩქარაინ!
სიზმარიან ჩვენებით — ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!...

Огонь не мерцает в очах, лежишь в холодной могиле,
Лежишь в холодной могиле и дух не радуется.
С безумными лицами, вереницей скелетов
Мчатся бездыханные дни, торопятся!
С сонными грезами — на моих вороных конях
Ко мне на упокой! Все пребывают здесь! (перевод подстрочный)

Смысл приведенных (как и последующих) строф не дает никаких оснований для «реалистической дешифровки». Ясно, что речь идет о «мире безмолвия», «крае вечности», где нет жизни и где воцари-

лось холодное, бесприютное безмолвие, где все призрачно, невесомо — «топот синих коней без объема и без веса», «ветви призрачного леса» и т. д. Ключ для реалистической дешифровки, видимо, содержится в заключительной строфе:

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენებში,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ზღვის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრაილით ქრიან ლურჯა ცხენები!

Как в разгуле тумана, в краю вечности,
Наверху или в могиле, заклые проклятем,
Как блуждание морской волны, как кружение рока,
В стремительном грохоте мчатся вороные кони! (перевод подстрочный)

Мы далеки от дедантичного, филистерского толкования этого лирического шедевра Г. Табидзе, но сама фактура стиха, пафос в целом, тревожно-мрачное, с налетом мистики звучание не дают, по нашему мнению, никаких оснований считать это стихотворение жизнеутверждающим, мажорным, точно так же, как и нет оснований стихотворение Г. Табидзе «Я и ночь» объявлять образцом революционной лирики³⁵.

Поэзия Г. Табидзе трудно поддается переводу — помимо знания языка переводчику необходимо еще «особое чутье к его тайнам», чтобы донести до иноязычного читателя «намекы самим смыслом слова и звуком его»³⁶. Перевод — не только конкретная форма связи, но он также способствует выявлению каких-то дополнительных особенностей, черт поэтического творения в свете его инационального видения, той «внеадекватности», на которую указывал М. Бахтин³⁷.

Оговоримся с самого же начала: в переводах Галактиона Табидзе хотелось бы видеть его поэтическое лицо во всем многообразии и единстве компонентов, из которых оно складывается. Поэтому стилизация, вольные переводы, если даже это сами по себе благозвучные русские стихи, не могут нас удовлетворить. Такой благозвучности при смысловой и поэтической точности добивались Н. Заболоцкий, Б. Пастернак, С. Спасский и др.

В сороковые годы вышел томик переводов из Г. Табидзе, выполненный Георгием Цагарели. В нем помещен один из первых переводов стихотворения Г. Табидзе «Мери». Правда, тщетно было бы искать в сборнике стихотворение под этим названием — переводчик озаглавил его «Любимой». В другом случае можно пройти мимо такой вольности, но здесь, как выясняется из дневниковой записи поэта, имя Мери, впервые вводимое в грузинскую поэзию, имеет принципиальное значение. Отстаивая оригинальность и самобытность этого стихотворения, Г. Табидзе заключает: «...Мери в стихотворении А. Блока — образ символический, моя Мери — романтический образ и, в то же время, реальный. Критики вознамерились протянуть нити между Блоком и мной; «Мери» — стихотворение вполне самостоятельное».

Одно время в литературной критике укоренилась тенденция, со-



гласно которой едва ли не все раннее творчество Г. Табидзе выводили из поэзии А. Блока; переводы его стихотворений, как правило, также стилизовывались и делались не иначе как «под Блока». «За время болезни, — писал один из русских переводчиков Г. Леонидзе, — перевел несколько вещей Галактиона, из которого в моей интерпретации... получился «второй Блок», не знаю, так ли это, но переводы, по-моему, вышли неплохие; я делал его ранние вещи»³⁸.

Оригинальную поэзию Г. Табидзе со всеми присущими ей национальными чертами переводчик подменил поэзией Блока и таким образом вызвал, в лучшем случае, в сознании русского читателя ассоциации с поэзией А. Блока — отсюда и впечатление о Галактионе Табидзе, как об эпитоне, дублировавшем выдающегося поэта. Могли ли подобные переводы принести что-либо новое в русскую поэзию, чем-либо обогатить ее? А перевод Г. Цагарели «Любимой» («Мери»), о котором упоминалось выше? Вот две заключительные строфы — и этого вполне достаточно, чтобы составить впечатление о характере перевода в целом:

...Зачем же счастье мне блеснуло
И стало тусклым как зола?
Мечта неожиданно обманула,
Исчезнув, словно тень срла.
Зачем не отвратил я взгляда
От звезд, бежав от света прочь?
«Могильщика» уже не надо,
Уже не нужны «Я и ночь».³⁹

По таким безвкусным, косноязычным виршам трудно судить о величии национального гения. Иноязычному читателю, которому приходилось слышать о выдающемся грузинском лирике, после знакомства с такими стихами ничего и не оставалось, как недоуменно пожимать плечами.

Белла Ахмадулина — одна из наиболее интересных переводчиков поэзии Г. Табидзе. К переводам его поэзии Б. Ахмадулина шла через собственное творчество. Эта избирательность продиктована тем чувством целостной, возраждающей любви, которая щедро переполнила ее собственные стихи. Как и в творчестве другого русского поэта — Бориса Пастернака, эта безоговорочная влюбленность в «страну вне сплетен и клевет» связывается с высоким нравственным идеалом, далеким от какой бы то ни было фальши, неискренности.

Из Г. Табидзе Б. Ахмадулина перевела двенадцать стихотворений. Конечно же, не все эти переводы равноценны. Переводчице, на наш взгляд, удались такие стихи, как «Поэзия прежде всего», «Тебе тринадцать лет». Успех этих переводов следует искать в том, что поэтесса удачно реализовала собственную творческую установку, и здесь мы действительно имеем дело с «проявлением доверия двух поэтов, где один из них приобщает другого к своей сокровенной тайне», с той особой «деликатностью», которая только и позволяет воссоздать оригинал»⁴⁰.

Стихотворение «Поэзия — прежде всего» известно было читателю в переводе Ольги Ивинской:

Да будет душа у нас чистой и смелой!
 До смертного часа нам радость одна,
 И ею вся жизнь, словно чаша, полна:
 Поэзия — самое важное дело!...

Как различен пафос этих двух переводов! Как близок и созвучен перевод Ахмадулиной подлиннику и как заземлен он во внешне очень похожем переводе Ивинской! У Ахмадулиной одержимость поэзией, которая и впрямь исключительная страсть, удел немногих, и это не просто «дело», пусть и «самое важное», а то внутренне переживаемое душевное состояние, прекрасно выраженное Тицианом Табидзе — «Не я пишу стихи, они как повесть пишут меня...» Именно такая творческая одержимость рождает подлинные творения искусства:

О друзья, лишь поэзия прежде, чем вы,
 Прежде времени, прежде меня самого,
 Прежде первой любви, прежде первой травы,
 Прежде первого снега и прежде всего...

Но в ином совершенно ключе решается перевод стихотворения Галактиона Табидзе «Мери». Первое, что сразу же бросается в глаза, это то, что Ахмадулина довольно свободно интерпретировала подлинник. В переводе — предельная оголенность, обнаженность чувств, эмоций, склонность к внешнему драматизму.

Венчалась Мери в ночь дождей,
 И в ночь дождей я проклял Мери,
 Не мог я отворить дверей,
 Восставших между мной и ей,
 И я поцеловал те двери...

Поэтесса переносит нас в мир иных нравственных отношений. Перевод как бы подтянут к нашим дням — отсюда, видимо, и значительно модернизированный облик всего стихотворения. Предельная оголенность чувств, эмоций — это скорее от поэзии самой Ахмадулиной. Заключительные три строки процитированной нами строфы представляются неудачными не только потому, что их нет в подлиннике, но и потому, что они невольно вызывают в памяти известное стихотворение С. Есенина с троекратным рефреном: «В Хоросане есть такие двери, но открыть те двери я не мог...»

Природа художественного перевода, видимо, такова, что нет-нет да и приходится возвращаться к вопросам извечным, непреходящим, по которым споры ведутся и по сей день. Все чаще в последнее время приходится слышать разговоры о «неточной точности», которая стала чуть ли не «притчей во языцех», азбучной истиной. А вот где граница этой неточности, грань, переступив которую переводчик подменяет переводимого автора своим творчеством, вопрос, на который в каждом конкретном случае приходится отвечать особо. Сама Б. Ахмадулина так определяет границу этой свободы — «свобода переводчика возможна до тех пор, пока она не наносит ущерба свободе ав-

тора. При переводе должны остаться неприкосновенными весь внутренний мир поэта, лад его мышления и существенные конкретные детали поэтического материала...»⁴¹

Интерес к творчеству Галактиона Табидзе растет год от года, и наряду с поэтами старшего поколения переводить его берутся молодые. Удачных переводов из Г. Табидзе немного, буквально считанные единицы, и все же думается, что дело по переводу его произведений начинает налаживаться. В юбилейные дни поэта читатель получил сборник «Лирика», выпущенный издательством «Мерани». Наряду с переводами прежних лет, в книгу помимо переводов Б. Ахмадулиной, вошли переводы Вл. Леоновича, Ю. Ряшенцева, М. Синельникова, Г. Маргвелашвили и др., которые позволяют составить, пусть и в первичном, так сказать, приближении, известное представление о силе и характере галактионовской лирики. Почин имеется и надо полагать, что у Галактиона Табидзе найдутся достойные переводчики, как они нашлись для поэзии С. Чиковани, Г. Леонидзе, Т. Табидзе и др.

Разговор, разумеется, не касается тех переводов, о которых мы упомянули — к настоящему времени у нас под рукой шестнадцать русских сборников Г. Табидзе. Весь этот обширнейший пласт, если не принимать в расчет нескольких заметок, нуждается в анализе и изучении. Но тут, возможно, последует возражение: стоит ли заниматься переводами, о которых заведомо существует мнение как о неудачных? Но неудачные переводы нередко являют собой пример не менее поучительный, и, кроме того, русские переводы грузинской поэзии и, в частности, переводы из Г. Табидзе воссоздают страницу советского художественного перевода. В недрах грузинской переводной поэзии, в творчестве художников разных индивидуальностей складывались принципы, метод реалистического перевода. Поздравляя С. Спасского с творческой удачей — переводом стихотворения С. Чиковани, Борис Пастернак писал: «это настоящая близость к тексту, та пережитая и точная близость, тот тип близости, то ее понимание, которое, не сговариваясь, мы в количестве 3-х — 4-х человек (Вы, я, Тихонов, отчасти Антокольский), невольно и естественно установили»⁴².

В настоящей статье затронуты отдельные общие вопросы типологического изучения грузинской поэзии на материале русской и французской поэзии, указано на неверную интерпретацию переводных произведений, позволяющих, как мы видели, выявить и психологию поэта-переводчика, его установку при передаче специфических явлений инонациональной культуры. Весь этот комплекс вопросов, представленный в данном случае на незначительном по объему материале — благодатная почва для будущих сравнительно-типологических исследований.

1. Г. Табидзе, Собр. соч. в двенадцати томах, т. XII, Тб., 1975, с. 151.

2. Ш. Сент-Бёв, Литературные портреты, критические очерки, М., 1970, с. 49.

3. Г. Табидзе, т. XII, с. 183.

4. А. С. Пушкин, Собр. соч. в десяти томах, т. VI, М., 1962, с. 150.
5. Н. Кравцов, Проблемы сравнительного изучения славянских литератур, М., 1973, с. 6.
6. Взаимосвязи и взаимодействие национальных литератур (материалы дискуссии 11—15 янв. 1960 г.), М., 1961; Типология и взаимосвязи средневековых литератур Востока и Запада, М., 1974; Сравнительное изучение славянских литератур (материалы дискуссии 18—20 янв. 1971 г.), М., 1973; Историко-литературный процесс, проблемы и методы изучения, Л., 1974; Современная советская историко-литературная наука, актуальные вопросы, Л., 1975; А. Дима, Принципы сравнительного литературоведения, М., 1977...
7. И. Неупокоева, История всемирной литературы, проблемы системного и сравнительного анализа, М., 1976, с. 16—17.
8. Р. Тварадзе, Галактион, Тб., 1972, с. 120.
9. В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 49, с. 329.
10. Н. Думбадзе, Грузинский символизм, Батуми, 1973.
11. Т. Табидзе, Меощебе инаореби, 1922, № 10; Т. Табидзе, Кавалер срдена Одиночества, газ. «Сакартвело», 1916, № 3—4.
12. Т. Мани, т. X. М., 1961, с. 123.
13. Архив Г. Табидзе, фонд 021371—11.
14. Ф. Ницше, О Вагнере, СПб., 1907, с. 10.
15. Архив Г. Табидзе, фонд 021371—58.
16. К. Бальмонт, Собр. соч., т. I, М., 1909, с. 235.
17. Г. Табидзе, т. I, с. 234.
18. Ш. Бодлер, Цветы Зла, М., 1970, с. 29.
19. Г. Табидзе, т. I, с. 443.
20. Т. Баивиль, Шарль Бодлер, в кн.: Эллис, Иммертели, М., 1904, с. 13.
21. Г. Табидзе, т. XII, с. 61—62.
22. Реми де Гурмон, Цвета, Рассказы, М., «Польза», (б. г.)
23. И. Анненский, Тихие песни, с приложением сборника стихотворных переводов «Париасы и проклятые», Петербург, 1923, с. 100.
24. К. Бальмонт, Горные вершины, М., 1904, с. 7.
25. В. Брюсов, Поль Верлен, М., 1911, с. 11.
26. Г. Табидзе, т. I, с. 268.
27. Г. Орагвелидзе, Стих и поэтическое видение (на материале французской поэзии второй половины XIX века), Тб., 1973, с. 104—105.
28. В. Гольцев, Поэты Грузии и Борис Пастернак, «Красная новь», 1936, № 1.
29. М. Зенкевич, «Красная новь», 1940, № 11—12.
30. Л. Тимофеев, Русская советская литература, М., 1953 (раздел «Литература народов СССР» написан Л. Озеровым).
31. Paul Verlain, Œuvres complètes, t. I, Albert Messein, ed. Paris, с. 89.
32. Поль Верлен, М., 1911, с. 160; Г. Табидзе, т. VII, с. 192.
33. И. Кенчовили, Г. Табидзе и европейская литература, Тб., 1974, с. 48.
34. Литературные взаимосвязи, т. III, Тб., 1972, с. 196.
35. А. Топурия, К генезису стихотворения «Я и ночь», в кн.: Литературные статьи, Тб., 1972.
36. В. Брюсов, Фиалки в тигеле, т. II, М., 1955, с. 187.
37. М. Бахтин, Смелее пользоваться возможностями, «Новый мир», 1970, № 11.
38. Б. Лившиц, Картвельские оды, Тб., 1964, с. 72.
39. Галактион Табидзе, Лирика, пер. Г. Цагарели, Тб., 1945.
40. Летпись дружбы грузинского и русского народов, т. II, Тб., 1967, с. 472.
41. Б. Ахмадулина, Стихотворение, подлежащее переводу, «Литературная Грузия», 1960, № 6.
42. «Вопросы литературы», 1969, № 9, с. 177.

Кафедра русского языка и литературы Горьковского государственного педагогического института им. Н. Бараташвили

Представил Институт истории грузинской литературы им. Ш. Руставели АН Грузинской ССР

ვლადიმერ აბრამიშვილი

ნიკო ხიზანაშვილის ფსევდონიმები

მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ნიკო ხიზანაშვილმა. მის პუბლიცისტურ წერილებს თუ ნაშრომებს საქართველოს ისტორიის, სამართლის ისტორიის და ეთნოგრაფიის დარგში დღემდე არ დაუქარგავთ მეცნიერული ღირებულება. მაგრამ მკითხველს სრულად როდი იცნობს მის შემოქმედებას, რადგან წერილებისა და შრომების ნაწილი დღემდე უცნობ ფსევდონიმებს არის ამოფარებული.

ნ. ხიზანაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ყველა ფსევდონიმის დადგენას და ნაბეჭდი პროდუქციის მთლიანად გამოვლენას. ყურნალ-გაზეთებში მივაგენით ნ. ხიზანაშვილის რამდენიმე წერილს, რომლებიც სხვადასხვა აქტუალურ პრობლემას ეხება. მათი ნაწილი ინიციალებით, ნაწილი კი ფსევდონიმებით არის გამოქვეყნებული. ამ წერილების ნ. ხიზანაშვილისადმი კუთვნილება უცნობია არა მარტო მკითხველისათვის, არამედ მისი მსოფლმხედველობის შემსწავლელ მკვლევართათვისაც.

ეს წერილები მალალი მხატვრული გემოვნებით არის დაწერილი. მათგან ზოგიერთი ძალზე კრიტიკულია, ზოგიც მსუბუქი იუმორით შეზავებული, ზოგი კი მეცნიერულად დახვეწილი და დასაბუთებული.

ავტორი სიტყვის გესლიან მახვილს ხან მეფის მოხელეებს გაჰკრავს, ხან უსაქმურ და დროსტარებას გადაყოლილ ადამიანებს, ხან კი იმათ, ვინც მშობლიურ ენას გვიმახინჯებდა. ნ. ხიზანაშვილი ეხება უკუღმართ ცხოვრებას, ქვეყნის ეკონომიკურ უძლურებას, ეროვნულ საკითხს და მამულიშვილობას; იცავს ადამიანის ღირსებებსა და უფლებებს. იგი ყურადღებას აქცევს საქველმოქმედო საქმიანობასაც; კეთილად იგონებს იმათ, ვინც უანგაროდ ემსახურებოდა მშრომელ ქვეყანას.

გაზ. „დროებაში“ ნ. ხიზანაშვილის თანამშრომლობა 1878 წლიდან შეინიშნება. მისი ნაწერების შინაარსისა და წერის მანერის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სურამში მუშაობის პერიოდში 1878 წელს გაზ. „დროებაში“ (№ 160) მან ჯერ ინიციალით „N“ გამოაქვეყნა კორესპონდენცია „წერილი რედაქტორთან“, ხოლო შემდეგ „X. N“. ინიციალებით დაბეჭდა „მორაპნის უეზი“ (№ 258), რომელშიც აღწერა სოფელ სვირში მომხდარი მკვლელობის ამბავი. ჩვენი აზრით, ეს მისი პირველი საგაზეთო წერილები უნდა იყოს, თუმცა გამოთვლილი არ არის, რომ გაზეთ „დროებაში“ მას წინა წლებშიც ეთანამშრომლა.

ასევე ჩანს, რომ 1882 წ. გაზ. „დროებაში“ (№ 51) ნ. ხიზანაშვილს „ცხინვალელის“ ფსევდონიმით გამოუქვეყნებია კორესპონდენცია „სოფ. ცხინვალის“. ამ წერილში იგი ეხება გახშირებულ დანაშაულებებს და მიუთითებს მის გამომწვევ მიზეზებზე. ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში არ არის გაშიფრული, ვის ეკუთვნის აღნიშნული ინიციალები და ფსევდონიმი „ცხინვალელი“.

ნ. ხიზანაშვილი გაზ. „დროების“ გარდა თანამშრომლობდა ხალხოსნების ჟურნალ „იმედში“ (1882—1883 წწ.), გაზ. „ივერიაში“. იგი თავის ნაშრომებს

ბეჭდვდა აგრეთვე „თეატრში“, „მომბეში“, „მოგზაურში“, „საქართველოს კალენდარში“ და სხვ.

„ურბნელი“ ნ. ხიზანაშვილის ყველაზე პოპულარული ფსევდონიმია. ამ ფსევდონიმით 1881 წელს გაზ. „დროებაში“ (№14) დაბეჭდა წერილი—„თვითმმართველობაზე დამყარებული იმედის გაცრუება“. ავტორი ამ ფსევდონიმს ხმარობდა სამართლის, საისტორიო, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების გამოქვეყნებისას.

ნ. ხიზანაშვილის მეორე ცნობილი ფსევდონიმია Plebsi. ამ ფსევდონიმით 1892—1903 წლებში გაზ. „ივერიაში“ ბეჭდვდა იუმორისტული და საკამათო ხასიათის ფელეტონებს.

ნ. ხიზანაშვილმა ფსევდონიმი „პლებსი“ პირველად იხმარა 1884 წელს წერილის „ხმა ცხინვალის მაზრიდან“ გამოქვეყნების დროს. ამის შემდეგ ამ ფსევდონიმით „ივერიაში“ ხშირად ქვეყნდებოდა წერილები საერთო სათაურებით: „მასლაათი ჩვენებურ ოპოზიციის შესახებ“, „მასლაათი მაჩაბელის წერილის წინააღმდეგ“, „მასლაათი წარსული წელის გამო“, „მასლაათი № 5“, „მასლაათი გ. წერეთლის ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევის გამო“ და სხვა მრავალი.

ნ. ხიზანაშვილის პუბლიკაციების შესწავლის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1882 წლის ჟურნალ „იმედში“ დაბეჭდილმა სამმა წერილმა „შინაური საქმეების მაგივრად“, რომლებიც ფსევდონიმ „Z“-ით იყო გამოქვეყნებული და ერთიმეორის გაგრძელებას წარმოადგენენ.

ამ წერილების გაცნობისას ეჭვი დაგვებადა, რომ მათი ავტორი ნ. ხიზანაშვილი უნდა ყოფილიყო.

ჩვენი ეს ვარაუდი გამართლდა მაშინ როდესაც ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ვინახულეთ ნ. ხიზანაშვილის მიერვე წიგნად აკინძული შრომების კრებული¹. მასში მოთავსებულია „Z“-ით გამოქვეყნებული წერილებიც.

ამავე წიგნში ნ. ხიზანაშვილს აუკინძავს „ნ-ო-ხ-ი“ ფსევდონიმით 1882 წელს ჟურნალ „იმედში“ (№ 11 და 12) გამოქვეყნებული წერილი „მცირედი რაიმე ჩვენს მამულისშვილობაზე“. ჟურნალ-გაზეთებში ეს ფსევდონიმი მხოლოდ ერთხელ გვხვდება.

ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის წიგნში დართულ პირთა სახელების საძიებელში „ნ-ო-ხ-ი“ ნ. ხუდადოვის კუთვნილებად არის მიჩნეული და დასახელებული წერილი მისივე შრომების ნუსხაშია შეტანილი. ანალოგიურად ნ. ხუდადოვს მიწერილი აქვს ნ. ხიზანაშვილის მეორე წერილიც, „ზნეობითი დაუღვერობა ჩვენი“, რომელიც ავტორმა გაზ. „დროებაში“ (№ 19) გამოაქვეყნა 1884 წელს „ნ. ხ.“ ინიციალებით. ცხადია, ასეთი შეცდომისაგან თავის დაღწევა ძნელია, ნ. ხიზანაშვილისა და ნ. ხუდადოვის ინიციალების მსგავსების გამო.

ფსევდონიმ „ნ-ო-ხ-ი“-ს ნ. ხიზანაშვილისათვის კუთვნილება ფიქსირებული აქვს გ. მიქაძესაც².

1885 წელს გაზ. „დროებაში“ (№ 87, 169) „მგელა ხინკალჭამიაშვილის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა ორი კორესპონდენცია „თიანეთი“ და „ხმა მთიდან“. ამ ორმა წერილმა თავიდანვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება: ყველას აინტერესებდა, ვინ იყო ამ წერილების ავტორი. როგორც ჩანს, თვით ჩვენს მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებსაც არ სცოდნიათ „მგელა ხინკალჭამიაშვილის“ ვინაობა და ეს ფსევდონიმი უმართებულოდ ვაჟა-ფშაველას საკუთ-

რებად ცნეს. ამიტომ იყო, რომ ზემოთ მითითებული ორი კორესპონდენცია ვაჟას ტომებში შეიტანეს, „მგელა ხინკალჭამიაშვილი“ კი მისივე ფსევდონიმების ნუსხაში.

ამ საკითხს ჩვენ ცალკე წერილი მივუძღვენიფ და დავადგინეთ, რომ ფსევდონიმი „მგელა ხინკალჭამიაშვილი“ ნ. ხიზანაშვილს ეკუთვნის და არა ვაჟა-ფშაველას³. ეს აზრი გაიზიარეს ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის თვალსაზირობით სპეციალისტებმა.

ნ. ხიზანაშვილის ნაწერთა ნუსხის⁴ (რომელიც დაცულია საქართველოს ისტორიულ არქივში) საშუალებით მივაგენით მისივე კუთვნილ სხვა უცნობ ფსევდონიმებსაც.

1902 წელს № 176 „ივერიაში“ და 1903 წელს № 6 „ივერიაში“ „ბზიკის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულია ორი წერილი „სამშობლოს ცაზე ხეტიალას“ და „ხილად ახალ თაობის რაინდს“. ფსევდონიმი „ბზიკი“ ეურნალ-გაზეთებში ხშირად აქვს ნახმარი სხვადასხვა პირს. ზოგიერთი წერილის ავტორის ვინაობა დღემდე ამოუხსნელია.

ფსევდონიმი „ბზიკი“ იროდიონ ევლოშვილსაც კი გამოუყენებია. ამ ფსევდონიმით დაბეჭდა იუმორისტული ხასიათის საახალწლო ფელეტონი „მუხრუჭი“⁵.

1902 წელს ნ. ხიზანაშვილმა „ივერიაში“ (№ 173) Plebsi-ს ხელმოწერით გამოაქვეყნა ფელეტონი „მასლაათი (სამეურნეო წერილები ერთ საინტერესო საკითხზე)“. მისი კრიტიკა შეეხო ვაზ. „კვალსაც“. ამან დიდად გაანაწყენა მისი თანამშრომელი ი. ევლოშვილი, რომელმაც „რიგოლეტოს“ ფსევდონიმით ვაზ. „კვალში“ (№ 34) დაბეჭდა საპასუხო წერილი. ამის პასუხად მეორე დღეს ნ. ხიზანაშვილი „ბზიკის“ ხელმოწერით აქვეყნებს საპასუხო წერილს⁶. ნ. ხიზანაშვილმა ფსევდონიმით „ბზიკი“ 1903 წელს № 6 „ივერიაში“ კიდევ ერთი პასუხი დაბეჭდა. ამდენად ფსევდონიმი „ბზიკი“ რომ ნ. ხიზანაშვილს ეკუთვნის ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს.

1890 წელს ვაზ. „თეატრში“ (№ 1) გვაქვს ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ნ. ხიზანაშვილს ფსევდონიმად გამოყენებული აქვს „ნ. მუჩაიძე“. ავტორმა ამ ფსევდონიმით დაბეჭდა საახალწლო იუმორისტული ფელეტონი, სადაც დაცინის ინტელიგენციის ერთ ფენას, რომელსაც ამ ქვეყნის არა გაეგება რა და თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ფსევდონიმი „ნ. მუჩაიძე“ ქართული ჟურნალებისა და გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში ამოუხსნელია. ეს ფსევდონიმი რომ ნ. ხიზანაშვილს ეკუთვნის ამას გვაცნობს ვაზ. „თეატრის“ რედაქტორი, მისივე უახლოესი მეგობარი რომანოზ ფანცხავა და აგრეთვე ი. გრიშაშვილი⁷.

მწერლობაში „ხომელის“ ფსევდონიმით ცნობილი რ. ფანცხავა წერილში: „ელისაბედ ჩერქეზიშვილის ასული“ აღნიშნავს: „ლიზას მეორე ქმარი იყო ჩემი დაუვწყარი მეგობარი მაღალ ნიჭიერი ქართველი მწერალი ნ. თ. ხიზანაშვილი, დიდად ცნობილი ლიტერატურაში ნ. ურბნელის, „პლებისის“, „მუჩაიძის“ და სხვა ფსევდონიმებით“⁸.

ჩვენი ყურადღება მიიქცია 1887 წელს ივერიაში (№ 164) „ბარელი ნიკოს“ ხელმოწერით დაბეჭდილმა კორესპონდენციამ „დაბა და სოფელი“. ფსევდონიმი „ბარელი“ ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიების პირთა სახელების საძიებელში მრავალჯერ გვხვდება. ზოგიერთი მათგანი გახსნილია.

ველი ფსევდონიმი. წერილის ავტორი რომ ურბნისის დიდი გულშემატყეარია, მტკიცება აღარ ესაჭიროება. ასევე „ურბნელი გლეხი“ ნ. ხიზანაშვილის ჩვეულბრივი ფსევდონიმი.

1904 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 61) „ნიკოლოზა ლაქიას“ ფსევდონიმით დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ხმა დაბლიდან“. გარდა ამ შემთხვევისა, ამ ფსევდონიმით იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში არაფერია დაბეჭდილი.

„ნიკოლოზა ლაქია“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში ამოუხსნელ ფსევდონიმთა ნუსხაშია შეტანილი. ვინც ამ წერილს მთლიანად წაიკითხავს, ადვილად შეამჩნევს, რომ იგი ნ. ხიზანაშვილის აზრისა და გონების ნაყოფია. წერის ინდივიდუალური მანერა, ეპითეტები, აზრებისა და ფრაზების დამთხვევა სხვა მის წერილებთან სავსებით ნათელს ხდის, რომ „ნიკოლოზა ლაქია“ ნ. ხიზანაშვილის ფსევდონიმი. ამასვე ადასტურებს წერილის შინაარსი და თემა: დედენის საკითხებს ხომ მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა.

ნ. ხიზანაშვილის მეუღლემაც — ელისაბედ ჩერქეზიშვილმა „ჩიორას“ ფსევდონიმით 1893 წელს გამოაქვეყნა მსგავსი შინაარსის წერილი „ქართველი ქალების შესახებ“, რომელშიც გამობდა იმათ, ვინც ამახინჯებდა ქართულ ენას¹⁰.

სიტყვა „ნიკოლოზა“ თვითონვე მიგვანიშნებს ავტორის ვინაობას: ხიზანაშვილის ხომ ნიკოლოზი ჰქვია.

1882 წელს გაზ. „დროებაში“ (№ 272) „თადეოზაშვილი ნიკო“ ხელმოწერილი დაიბეჭდა ცხინვალიდან გამოგზავნილი წერილი „საყურადღებო ფაქტი“, გარდა ერთი შემთხვევისა, ჟურნალ-გაზეთებში ამ გვარით და სახელით არაფერია გამოქვეყნებულ.

ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში „თადეოზაშვილი ნიკო“ ვინმეს გვარად და სახელადაა მიჩნეული და არა ფსევდონიმად. სინამდვილეში „თადეოზაშვილი ნიკო“ ფსევდონიმი და ეკუთვნის ნ. ხიზანაშვილს. აღნიშნულ წერილში ავტორი ეხება ამიერკავკასიელ და ჩრდილოკავკასიელი ოსების ცხოვრების ზოგიერთ საკითხს.

საყურადღებოა, რომ ამ წერილის დაწერისა და გამოქვეყნების დროისათვის — 1882 წელს ნ. ხიზანაშვილი გამოძიებლად მუშაობს ცხინვალში და გაზ. „დროებაში“ ხშირად აქვეყნებს კორესპონდენციებს.

ფსევდონიმი „თადეოზაშვილი ნიკო“ რომ ნ. ხიზანაშვილის კუთვნილებაა, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ნიკო თავისი სახელია, ხოლო თადეოზი კი მამამისისა.

ამ ფსევდონიმის ნ. ხიზანაშვილისადმი კუთვნილების ფაქტზე მიგვიითობს აგრეთვე წერილის სათაური — „წერილი რედაქტორთან“, რომელიც ნ. ხიზანაშვილის ნაწერების სათაურთა ნუსხაშია შესული (დაცულია საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში — ფ. 481, ს. 1878).

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ნ. ხიზანაშვილის ფსევდონიმებში ხშირად გვხვდება სახელი „ნიკო“ ან ინიციალი „ნ“.

ჟურნალმა „თეატრმა“ 1885 წელს „შენი მოლაბაშირ პალატხან ოღლის“ და „შენი მოლა ბაშირის“ ხელმოწერით დაბეჭდა ორი მეტად საინტერესო ეუმორისტული ხასიათის წერილი — „თბილისიდან თეირანს“ (№ 4) და „წერილი ჰამზასთან“ (№ 8).

მსგავსი წერილები გამოქვეყნდა 1886 წ. „თეატრში“ (№ 3) „შენი დოუდხანის“ ფსევდონიმით — „წერილი მეგობართან“.

5. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 4

„მოლა ბაშირის“ და „შენი დოჟდ-ხანის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები ეხება გურჯისტანის დედაქალაქის ამბებს. ავტორი სასტიკად აკრიტიკებს ქართველ მწერლებს და აღნიშნავს, რომ აქ ყველას კალამი აულია ხელში და, ვისაც რა მოეპრიანება, იმას ადიდებსო. აქვე გულისტყვილით დასძენს, რომ თბილისელებს ბანკი, სკოლა, საზოგადოება დაუწყებიათ და მასში ისევ ისინი მოკალათებულან, ვის ხელშიც ყურნალ-ვაზეთები ყოფილა.

1893 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 41) „შენი მარად ერთგული ჰამზას“ ხელმოწერით დაიბეჭდა ფელეტონი „თეირანიდან ტფილისს“, ხოლო შემდეგ „შენი ბაშირ ეფენდის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა წერილი „ტფილისიდან თეირანს“. აღნიშნული წერილები დაბეჭდილია ერთი რუბრიკით — წერილი მეგობართან, ერთი ადრესატისადმი — „ჰამზასადმი“ და წარმოადგენს ერთიმეორის გაგრძელებას.

ავტორი თეირანში მყოფ მეგობარ ჰამზას აცნობს თავისი სამშობლოს გურჯისტანის დედაქალაქის ამბებს და მისგან იღებს საპასუხო წერილებს. ამკარაა, რომ ამ წერილების ავტორი იხილავს 80—90-იანი წლების საქართველოს საკირბოროტო საკითხებს.

„მოლა ბაშირის“ ფსევდონიმით დაბეჭდილმა წერილებმა ინტელიგენციის შიდა დანტერესება გამოიწვია: ყველას უნდოდა გაეგო ავტორის ვინაობა.

ს. მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ „მოლა ბაშირ“ მიხეილ ნასიძე უნდა იყოს¹². ეს აზრი უცვლელად გაიზიარა ანალიტიკურმა ბიბლიოგრაფიამ¹³ და გ. მიქაძემ¹⁴. ჩანს, რომ ს. მგალობლიშვილს აღნიშნული აზრის პირდაპირი დამადასტურებელი რაიმე საბუთი არა აქვს. ეს ცნობა მისთვის იაკობ მანსვეტაშვილს მიუწოდებია. „მოლა ბაშირი“ იაკობ მანსვეტაშვილის აზრით უნდა იყოს მიხეილ ნასიძის ფსევდონიმიო, — წერს ს. მგალობლიშვილი¹⁵. ჩანს, იაკობ მანსვეტაშვილიც არ ყოფილა დარწმუნებული „მოლა ბაშირის“ ვინაობაში. ფსევდონიმი „მოლა ბაშირი“ ნ. ხიზანაშვილს ეკუთვნის და არა მიხეილ ნასიძეს.

მ. ნასიძემ ვრცელი ლიტერატურული მეკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ, ჩანს, იგი ფსევდონიმებს იშვიათად იყენებდა. დღეისათვის ცნობილია მისი მხოლოდ ორი ფსევდონიმი — „მე გახლავარ“¹⁶ და „პაატა“¹⁷.

მ. ნასიძისაგან განსხვავებით ნ. ხიზანაშვილს აქვს თავისებური კილო და წინადადებათა კონსტრუქცია. მის თხრობას ახასიათებს შეუპოვრობა, კრიტიკული სითამამე. ადვილი შესამჩნევია ამ ორი მწერლის ნაწერთა შინაარსობრივი და სტილისტური სხვადასხვაობა.

ნ. ხიზანაშვილის სხვა ფსევდონიმიც „მგელა ხინკალჰამიაშვილი“ ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმად არის ამოხსნილი¹⁸, ხოლო ინიციალებით „ხ. ი. ნ.“ გამოქვეყნებული წერილი კი ნ. ხუდადოვისათვის მიუკუთვნებიათ¹⁹, რაც აუცილებლად უნდა გასწორდეს.

ფსევდონიმები „შენი მოლა-ბაშირ-პალატხან-ოლი“²⁰, „შენი მოლა ბაშირი“²¹, „შენი დოჟდ-ხანი“²², „შენი მარად ერთგული ჰამზა“²³ და „შენი ბაშირ ეფენდი“²⁴ რომ ნ. ხიზანაშვილს ეკუთვნის, ამის ცნობას გვაძლევს თვითონ ავტორი. მას ფელეტონის სათაური — „ტფილისიდან თეირანს“ თავისივე ხელით აქვს შეტანილი საკუთარი წერილების ნუსხაში²⁵. ნ. ხიზანაშვილს გამოქვეყნებული აქვს სხვა მსგავსი წერილებიც — „თბილისიდან ვლადიკავკავამდე“²⁶ და „თეირანიდან თბილისამდე“²⁷. ნ. ხიზანაშვილს ეკუთვნის აგრეთვე ხელმოწერები:

ბ. ი. ნ. — „ივერიაში“ გამოაქვეყნა შინაური მიმოხილვა ეკონომიურ საკითხებზე; აკრიტიკებს ზოგიერთის მიერ გამოთქმულ აზრს²⁸.

ბ. ი — გაზ. „დროებაში“ დაბეჭდა ცხინვალიდან გამოგზავნილი ორი კორესპონდენცია. პირველი წერილი ეხება ორკლასიანი სკოლის გახსნას, მეორე კი რელიგიური დღეობას — „ზღურბლობას“²⁹.

ბ. ხ. — გაზ. „დროებაში“ გამოაქვეყნა სამი წერილი — „ჩვეულებრივი დაუდევნელობა“³⁰, „წერილი რედაქტორთან“³¹ და „ზნეობითი დაუდევრობა ჩვენი“³².

ბ-ზ-ი — „დროებაში“ დაბეჭდა წერილი „საზღვარი ლიტერატურული ბრძოლის გამო“³³.

უ-ლი, ნ.—გაზ. „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი „სასამართლო მატია-ნე“, რომელიც ეხებოდა ვაჭარ მელეიკოვის დაჭრას³⁴.

უ-ელი, ნ. — წერილი „ტფილისი“ ეხება საერო ენისა და სათემო კილოს კრიტიკას³⁵.

უ-ელი—წერილი „ტფილისი“ ეხება რკინისგზის სადგურთან მდებარე მიწების ხელოსნებისათვის მიყიდვას და ბინებით უზრუნველყოფის საქმეს³⁶.

ბ. ხ-ლი — „ივერიაში“ გამოაქვეყნა ლექსი „პირველი და უკანასკნელი“³⁷. ჩანს, მას სხვა ლექსი არ დაუწერია.

P. S. — გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდა იუმორისტული ხასიათის „ფელეტონი ვაგონით“, რომელშიც აღწერს თავის მოგზაურობას რკინიგზით, ადარებს ქართლსა და იმერეთს³⁸.

ბ. — 1888 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 184) გამოაქვეყნა კორესპონდენცია „სექტემბერი“. ინიციალი „ხ“ რომ ნ. ხიზანაშვილისაა, ამ გარემოებას თვით შინაარსი ადასტურებს. ასეთივე შინაარსის წერილი მან 1884 წელსაც გამოაქვეყნა გაზ. „დროებაში“ (№ 149) „პოლემიკიდან (ნ. ლომოურის პასუხად, პირადობა და ჭორიკანობა ლიტ. კრიტიკაში)“.

ნ. ხიზანაშვილს თავისი შრომა „სამართალი და სასამართლო დაწესებულებანი“, „საქართველოს კალენდარში“ ხელმოუწერავად აქვს დაბეჭდილი³⁹. ეს გარემოება კი გვიბტკიცებს რწმენას, რომ ქართულ პრესაში, განსაკუთრებით კი „დროებასა“ და „ივერიაში“, იგი ბეჭდავდა მეთაურ წერილებსაც, რომლებსაც ჩვეულებრივ ავტორი ხელს არ აწერს ხოლმე. განსაკუთრებით ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც საკითხი იმდროინდელ წყობას, ეკონომიკას, პოლიტიკას და სამართალზე მსჯელობას ეხებოდა.

დაკვირვებულნი თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ „ივერიასა“ და „დროებაში“ გამოქვეყნებული ზოგიერთი მოწინავე წერილი ნ. ხიზანაშვილის გონების ნაყოფია.

ამრიგად, ნ. ხიზანაშვილის ფსევდონიმები ძირითადად ამოხსნილია და მის მემკვიდრეობას დაუბრუნდა ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების მრავალი ნიმუში. გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული ფსევდონიმების ნუსხას მომავალში რაიმე დამატოს.

ამრიგად, ნ. ხიზანაშვილს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი წერილებისათვის მიწერილი აქვს შემდეგი ფსევდონიმები და ინიციალები:

N.	გაზ. „დროება“, 1878.
X. №	გაზ. „დროება“, 1878.
ბ. ი.	გაზ. „დროება“, 1881.
ბ. ხიზანაშვილი	გაზ. „დროება“, 1881.
ცხინვალიელი	გაზ. „დროება“, 1882.

ხ. ი. ნ.	ქ. „იმედი“, 1882.
Z	ქ. „იმედი“, 1882.
ნ-ო-ხ-ი	ქ. „იმედი“, 1882.
თადეოზაშვილი ნიკო	ვაზ. „ღროება“, 1882.
ნ. ხ.	ვაზ. „ღროება“, 1882.
ნიკო ხიზანოვი	ქ. „იმედი“, 1883.
ურბნელი ნ.	ვაზ. „ღროება“, 1883.
ურბნელი	ქ. „იმედი“, 1883.
Pleb: i	ქ. „ღროება“, 1884.
ხ-ზ-ი	ქ. „ღროება“, 1884.
მგელა ხინკაღაშიაშვილი	ქ. „ღროება“, 1885.
შენი მოლა-ბაშირ-პალატხან-ოღლი	ქ. „თეატრი“, 1885.
შენი მოლა ბაშირ	ქ. „თეატრი“, 1885.
შენი დოუდ-ხანი	ქ. „თეატრი“, 1886.
ბარელი, ნიკო	ვაზ. „ივერია“, 1887.
უ-ლი, ნ.	ვაზ. „ივერია“, 1887.
უ-ელი, ნ.	ვაზ. „ივერია“, 1887.
ხ.	ვაზ. „ივერია“, 1888.
ურბნელი გლეხი	ვაზ. „ივერია“, 1888.
უ-ელი	ზ. „ივერია“, 1889.
ნ. მუჩაძე	ვაზ. „თეატრი“, 1890.
შენი მარად ერთგული ჰამზა	ვაზ. „ივერია“, 1893.
შენი ბაშირ ეფენდი	ვაზ. „ივერია“, 1893.
ხ-ი	ვაზ. „ივერია“, 1896.
ნ. ხ-ლი	ვაზ. „ივერია“, 1902.
ზზიკი	ვაზ. „ივერია“, 1902.
P S.	ვაზ. „ივერია“, 1903.
ნიკოლოზა ლაქია	ვაზ. „ივერია“, 1904.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი დ ა დ ა მ ო წ მ ე ბ ა ნ ი

1. ეს წიგნი ნ. ხიზანაშვილის მეუღლეს ელასაბედ ჩერქეზიშვილს უჩუქებია ი. გრიშაშვილი-სათვის 1933 წლის 14 თებერვალს.
2. ლიტერატურული მუზეუმი — გ. მიქაძე, ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი, № 22878.
3. ვლ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველას ერთი ფსევდონიმისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 44.
4. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 481, ს. 1878.
5. შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, იროდიონ ევლოშვილი, თბილისი, 1961, გვ. 70.
6. „ივერია“, 1902, № 176.
7. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი დაცული ხელნაწერები — „ფსევდონიმები“.
8. ვაზ. „თეატრი“, 1890, № 2, გვ. 2. ქ. „ცხოვრება“, 1916, № 4.
9. ვაზ. „ივერია“, 1888, № 9.
10. მ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, ელასაბედ ჩერქეზიშვილის კალამი, „საქართველოს ქალი“, 1961, № 10, გვ. 18.
11. ქართული ვაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. II, თბილისი, 1952.
12. ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, თბილისი, 1938, გვ. 258.
13. ქართული ქურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. II, 1877—1892 წწ., თბილისი, 1941, გვ. 396.
14. ლიტერატურული მუზეუმი, გ. მიქაძე, ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი, № 22878.
15. ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 258.
16. ქ. „მოამბე“, 1898, № 9.

- 17. გაზ. „ივერია“, 1893, № 60.
- 18. ვ ა ქ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. X, თბილისი, 1964, გვ. 372.
- 19. ქართული ეურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. II, 1877—1892 წწ., გვ. 396.
- 20. ქ. „თეატრი“, 1885, № 4.
- 21. ქ. „თეატრი“, 1885, № 8.
- 22. ქ. „თეატრი“, 1886, № 3.
- 23. „ივერია“, 1893, № 41.
- 24. „ივერია“, 1893, № 45.
- 25. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფ. 481, ს. 1878.
- 26. „ღროება“, 1883, № 129.
- 27. „ივერია“, 1893, № 1.
- 28. ქ. „იმედი“, 1882, № 9—10.
- 29. „ღროება“, 1881, № 73, 107.
- 30. „ღროება“, 1882, № 115.
- 31. „ღროება“, 1882, № 120.
- 32. „ღროება“, 1884, № 19.
- 33. „ღროება“, 1884, № 12, 131.
- 34. „ივერია“, 1887, № 252.
- 35. „ივერია“, 1888, № 168—171, 177.
- 36. „ივერია“, 1889, № 103.
- 37. „ივერია“, 1902, № 27.
- 38. „ივერია“, 1903, № 227.
- 39. საქართველოს კალენდარი, 1893, განყ. 10, გვ. 330—342.

В. И. АБРАМИШВИЛИ

ПСЕВДОНИМЫ Н. ХИЗАНАШВИЛИ

Резюме

Выдающийся публицист конца второй половины XIX в. Николай Хизанашвили свои публицистические статьи подписывал разными псевдонимами. Многие из них были приписаны другим авторам, а часть осталась неразгаданной.

В предлагаемой работе выявлено более двадцати его ранее неизвестных псевдонимов, что поможет заполнить существующий пробел в изучении наследия Николая Хизанашвили.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

თამილა გოგოლაური

ფზაველი მოღეძხა ქალი პელაგია ზურაბაშვილი

მდიდარი ქართული ზეპირსიტყვიერებიდან ქალთა პოეზიის ცალკე გამოყოფა, მასზე ყურადღების გამახვილება დროული და საჭირო საქმეა. მკითხველთა ფართო მასებს საშუალება უნდა ჰქონდეთ წარმოდგენა იქონიონ მშრომელი ქალის სულიერ სამყაროზე, მის პოეტურ ნიჭზე.

წარსულში ქართველი ქალი, მიუხედავად საზოგადოებრივი უფლებაშეზღუდულობისა, მაინც დიდ როლს ასრულებდა ერის ცხოვრებაში, არა მარტო როგორც დედა, არამედ როგორც ოჯახის საიმედო ბურჯი, რომლის მხრებზედაც დაყრდნობილი იყო ოჯახისა და ერის სიმტკიცის ბედ-ილბალი. ამასთან ქალი იყო მეომარიც, გუთნის დედაც, ვაჟკაცთათვის გამბრძოლისა და სამშობლოსათვის თავდადების შთამაგონებელიც. ქალი ლხინში ლხინი იყო, ვაჭირეებისა და გლოვის ეჟამს მისი მთავარი გამძლოლი, სტუმართან ოჯახის გამომჩენი, სწორუპოვარი მასპინძელი და დიასახლისი.

ქალის დედური სიკეთით სავსე გული ერთდროულად იტევდა შვილების სიყვარულს, ქმრისა და ოჯახის ერთგულებას, ქვეყნისათვის ზრუნვას, ოჯახისადმი თავდადებასა და ადამიანებისადმი სითბო-სიყვარულს. მათთან ერთად გაღზინებული თუ თავის ბედზედ დაფიქრებული ქალი პოეზიისათვისაც იცლიდა.

ქართველ ქალთა განსაცვიფრებელი პოეტური ნიჭი თვალსაჩინოდაა გამოვლენილი ხალხურ პოეზიაში. ხალხური სიბრძნის შეკრებამ ორგანიზებული ხასიათი გასულ საუკუნეში მიიღო, თუმცა ქალთა პოეტური რეპერტუარი ცალკე არ გამოყოფილა. ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით გამოჩენილ ქართველ მწერალსა და ფოლკლორისტს თედო რაზიკაშვილსა და ცნობილ პედაგოგსა და ფოლკლორის შემკრებს გრიგოლ აფშინაშვილს.

საფიქრებელია, ქალთა მოღეძეობის ტრადიციას უნდა გაეგლო სხვადასხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიერ დამკვიდრებულ ადათთა ლაბირინთებში. მიუხედავად ამისა, უკიდურესად შეზღუდვის პირობებშიც კი, ქალთა პოეტური სიტყვა მაინც გაისმოდა და რაზმავდა თემ-სოფელს, ხალხს, განაწყობდა მათ ახალი საქმეებისათვის, ჩააფიქრებდა ცოდვა-მადლზე, ავ-კარგზე.

როცა ქალთა შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო ტრადიციული ზეპირსიტყვიერების მატარებელნი, არამედ საკუთარი პოეტური შემოქმედების მქონენი, რომელთაგან ბევრი გაუჩინარდა გარდასულ დროთა ბურუსში, მაგრამ მათ ნათქვამს მაინც შემორჩა ავტორის შესახებ საგულისხმო მითითებანი, ზოგიერთის შესახებ კი თვით ხალხმა შეინახა საყურადღებო ცნობები.

ქალთა ხალხური შემოქმედების უძველესი ნიმუშები მცირედაა შემონახული. ჩვენ დროში ქალთა პოეტური მემკვიდრეობისადმი საქმაოდ გამახვილდა ყურადღება. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვით მეცნიერებს: ა. შანიძეს, მ. ჩიქოვანს, ქს. სიხარულიძეს.

დასანანია, რომ ხალხის მესხიერებამ ძუნწად შემოინახა შემოქმედ ქალ-

თა სახელები, რის გამოც მოლექსე ქალთა რეპერტუარის დადგენა არცთუ ისე ადვილი საქმეა, თუმცა ლექსებში ხშირად მოგვეპოვება ისეთი დეტალები, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ მათი ავტორი ქალი უნდა იყოს.

მოლექსე ქალებით საქართველოს კუთხეებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ფშავი. ფშაველ მოლექსე ქალთა შორის შეგვიძლია დავასახლოთ: ხვარამზე სამუქაშვილი, ქალიკელ გორზამაული, ქალთათავ ხოშარელი, მირიამ მჭედლური, ჩუგოთ ბაბალე, თებრო ბულალური, ქეთევან დარძული... მათ შორის ყურადღებას იმსახურებს პელაგია ზურაბაშვილი.

პელაგია ზურაბაშვილი იმ მოლექსე ქალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის შემოქმედების ნაწილი დროთა მსვლელობამ შთანთქა; მხოლოდ ხალხის მეხსიერებაა ის მდიდარი საგანძფრი, რომელმაც შემოგვინახა პოეტი ქალის რამდენიმე ლექსი.

პელაგია ზურაბაშვილი ზემო ფშავიდან იყო ჩარგალში გამოთხოვილი. საკუთარ ლექსებთან ერთად პელაგიამ კარგად იცოდა ფშავში განთქმულ მოლექსეთა შემოქმედებაც (მაგალითად, მან ზებირად იცოდა მოლექსე ფრუშკას ლექსები. ფრუშკა წვეროშვილი თიანეთიდან იყო, სოფელ სოფლიონიდან). იგი სხვათა ნათქვამებს უფრო სიყვარულითა და გულისყურით ეკიდებოდა. „ჩემს ნათქვამებს არას ყურს ვუგდებდიო“, — ამბობდა პელაგია, — „ბევრი გადამაიწყდაო“. მიუხედავად პოეტი ქალის ასეთი თავმდაბალი განცხადებისა, მას, ღრმა მოხუცებულსაც კი, საკმაოდ კარგი მეხსიერება შემორჩა.

პელაგია თამამად შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ საუკეთესო მოლექსედ. მისი ლექსები ძირითადად იუმორითაა შეზავებული და უფრო მეზობელი დედაკაცების საუფროდ მიჩნეულ მოქმედებას, ან მეუღლეთა ურთიერთობას ეხება, ხოლო ლექსი „ახუნის გორო, მაღალო!“ ხალხური სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშთაგანია.

პელაგია ზურაბაშვილის რამდენიმე ლექსი ჩაწერილია მისივე სოფლის მკვიდრის (სოფელი ჩარგალი) მოლექსე თამარ მიხეილის ასულ ხელაშვილის მიერ და დატულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში, ხოლო უფრო მოგვიანებით, 1955 წელს, ფშავში ექსპედიციის დროს, პელაგიას რამდენიმე ლექსი ჩაწერა პროფ. აბ. ცანავამ¹.

როგორც ვიცი, წარსულში ქალთა პოეტური შემოქმედების სიუხვეს ხელს უშლიდა თვით ქალის უუფლებო მდგომარეობა საზოგადოებაში. ქალს არ შეეძლო მამაკაცთან თავისუფალი სჯა-ბაასი. თავგასულობად უთვლიდნენ მას მამაკაცებთან სიტყვის „გასწორებას“, მით უმეტეს ლექსობას. 1896 წელს გრიგოლ აფშინაშვილი ვაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულ ნარკვევში „ფშაველთა ცხოვრებიდან“ მკითხველს ასე აცნობდა ქალთა მოლექსეობის ტრადიციას: „ლექსობა-შაირობაში დედაკაცც იღებს მონაწილეობას, ხოლო ისე აშკარად კი არა, როგორც მამაკაცი, მამაკაცივით სახალხოდ ლექსობა დედაკაცისათვის ძალიან სირცხვილია ფშავში... დაფარულად ლექსობს ფშაველი ქალი, სანამ ახალგაზრდაა, როცა მოხუცდება, მაშინ კი ძალიან აღარა სცხვენია და თავის ნათქვამ ლექსებს ხშირად ასწავლის ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს“².

ცხადია, გამონაკლისს არც პელაგია ზურაბაშვილი წარმოადგენდა. ახალგაზრდობაში მასაც ეუხერხულებოდა ხმამაღლა გამოთქმა თავისი ნაფიქრალი-სა. გულზე შემოყრილი დარდის ერთადერთ მაღამოს პელაგიასათვის მიიწც

ლექსები წარმოადგენდნენ. ეს განწყობილება ნათლადა გამოხატული მის ერთ-ერთ ლექსში³:

„ჩემ წარსულ წამამაგონდა,
მოთმენა გამამელია,
გულზე მამაწვეა დარდები,
ლექსობას მივეყავ ხელია,
ვიტრო, ვინ შამიბრალებს

გამილადდება მტერია,
რა ბევრი მაქვის სათქმელი,
მაგრამ ვერ ვამბობ, მცხენია,
ქალი ვარ გოგოლაური,
ჩარგლისა მიწა-მტვერია“.

ლექსიდან ჩანს, რომ პელაგიას ნამდვილი გვარი გოგოლაური უნდა იყოს, „ზურაბაშვილი“ კი მისი ქმრის გვარია. ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი სტრიქონებიც:

„მენა ვარ, პელაგიაი,
რასა მკვლევთ, განა ხენია,
დავკაშენ ზურაბაანი,
მაგრად ჩავკიდე ხელია“.

„სამ შვილს კი მენაცა ვგზავნი,
კოხალთ საბაის ქალია“⁵.

„ისევ გულმოსულ წამუე,
კოხალთ საბაის ქალია“⁶.

პელაგიას მამას საბა რქმევია, ხოლო მათი ოჯახის ზედწოდება კი „კოხალნი“ ყოფილა, ისევე როგორც „მიხეილნი“, „ბორჯანი“, „ბოივარნი“, „ჭოლ-რონი“ და სხვა (ოჯახის პაპის ან პაპის მამის სახელით მოხსენიება ხშირია ფშავში).

ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცულ პელაგიას ლექსებს მითითებული აქვთ: მთქმელი — პელაგია კოხალიშვილი-ზურაბაშვილი, კოხალიშვილი მიჩნეულია პელაგიას გვარად, რაც სწორი არ არის⁷.

პელაგიას მამა — საბა, ეს ოჯახის ერთგული კაცი და სახელოვანი მეომარი, საკმაოდ ყოფილა იუმორის გრძნობით დაჯილდოებული. პელაგიასაც მამის ხასიათი გამოჰყოლია:

„ავი ვარ, საბაის ქალი,
ავი, ხის ჩანათალია,
ავ იყო მამაჩემიცა,
ავი, წელთ ვერტყა ხმალია,

და ეძახებდნენ საბასა,
მტერმა რო უყვის თვალია,
შვილდ-ისრნით ომი იცოდის,
ზედ ესხნეს ორბის ფრთანი“⁸.

პელაგია ლექსებში ვინაობასთან ერთად თავის წლოვანებაზეც მიუთითებს:

„დამცინის დედაკაცები,
მწერელჩვილს მეძახიანო,
დასაცინს არას დაგიდევთ,
პელაგიაი მქვიაო!

ოთხმოცდაათის წლისა ვარ,
დღენ აღარ მიმიდიანო,
ძალიან დამწვი, დამდაგე,
წუთისოფელო, ტიალო!“⁹

მოლექსე ქალს, ისევე როგორც თავის ხალხზე და კუთხეზე უზომოდ შეყვარებულ ყველა პიროვნებას, ადარდებდა ადამიანთა ზვედრი, აფიქრებდა „ცრუ სოფელი“ და „ღალატიანი საწუთრო“ და თითქოს ერთგვარი პესიმისმიცი კი იპყრობს მის არსებას:

„კაცი არ უნდა მოგენდოს,
საწუთროვ, ღალატიანო!“¹⁰

ამბობს ის და თან უმატებს:

„წუთია წუთისოფელი,
წინანდელელებმა თქვიანო,

უსწაველ შაუგნებლებმა,
საითრა იყოღიანო!¹¹

პელაგია ზურაბაშვილის ლექსების უმრავლესობა, როგორც ზემოთაც ავ-
ლნიხნეთ, სატირულ-იუმორისტული ხასიათისაა. პელაგია ხშირად ალექსებდა
მეზობლებსა და ახლობლებს, უწუნებდა მათ უწესო საქციელს, სიზარმაცეს,
რეალურად ხატავდა მათ ნაკლს.

ხალხურ პოეზიაში რამ დაუმკვიდრა იუმორს ადგილი? როგორც ვაჟა-
ფშაველა მიუთითებდა თავის ეთნოგრაფიულ წერილებში, სატირა ახალმა
დრომ მოიტანა: „ახალი ლექსები რეალურ გზას ადგანან და მათში ჰკვენის
იუმორი... ხალხში სატირა იბადება, როდესაც ხალხის ცხოვრება იცვლება და
ერთის წყობიდან მეორეში გადადის“¹².

ახალი წყობილება მთლიანად ცვლის საზოგადოებრივ ცხოვრებას: ადათს
ცვლის კანონი, ირღვევა ადათის განმამტკიცებელი წესები და ხდება მორა-
ლური, ზნეობრივი გარდაქმნები, რომელნიც იქცევიან საყოფაცხოვრებო პოე-
ზიის საგნად.

ახალი ცხოვრების ეს სულის ქროლვა იგრძნობა პელაგიას იუმორისტულ
ლექსებში, რომელთაგან აღსანიშნავია: „შემოვიარე ბოწახსა“, „ჯავრის გულ-
ზედ“, „ფერამელებს“, „მარიენსა ჰყვან მუშანი“, „ქება ბებერის ქმარისა“, „ღუ-
შმანსამც ჩამაუჯდება“, „არტანში უნდა წავიდე“ და სხვა.

პელაგიას 30 წლით უფროსი ქმარი ჰყავდა, სახელად ხეხერა (თიყუნი):

„ღუშმანსამც ჩამაუჯდება,
ბებერი ქმარი კერასა,
ან კირად მინდა ჯეოლი,
ის სხვას დაუწყებს კვლევასა,
დაიწყებს კობრაობასა,
ჩოხას გაისრის ე გელასა...“¹³

ამ ლექსიდან ვგებულობთ, რომ პელაგია არცთუ უკმაყოფილო უნდა ყო-
ფილიყო თავისი ბედით, ოჯახითა და ქმრით.

როგორც ყველა ქალს, პელაგიასაც ჰქონია სასიყვარულო თავგადასავალი,
მის გულსაც განუცდია ესოდენ ამბღლებული გრძნობა — სიყვარული. სწო-
რედ ამ გრძნობის შედეგი უნდა იყოს ლექსი „ახუნის გორო, მაღალო!“ ეს
ლექსი გამოირჩევა არა მარტო პელაგია ზურაბაშვილის შემოქმედებაში, არა-
მედ საერთოდ დამამშვენებელი ნიმუშია ქართული ხალხური სატრფიალო
ლირიკისა:

„მაღალო ახუნის გორო,
შენამც დაგვალა ქართია!
გადამეხედნა, ნენახა,
აღაზნის პირი თვალითა,
იასად ხვარცად ვნახავდი,
ვინც გულ მამიკლა შხარათა.
არც შახედულად მაწონხარ,

არც ისრ ძალიან გვართა,
მაგრამ არ იშლის ეს გული,
იწვება ცეცხლის ალითა,
შენისა¹⁴ც მუხლის პირსა მქნა
დაბჯინებულის ხელითა,
შენ კალთამც ამაქებინა,
ჩემის ნადენის ცრემლითა“¹⁴.

პელაგიას შემოქმედებაში გამოირჩევა რამდენიმე ლექსი-დანაბარებიც:

„გალექსებთ, დედაკაცებო,
ჩემ თავ ლაპახი მგონაო,
სალექსოდ გაამიგზავნეთ,
თითო თა ბაქოს კონაო,
ან კირად მინდა თამბაქო,
სიწარემ დააიღონაო“¹⁵.

პელაგიას შემოქმედებაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გამოიყოს სამი მომენტი: 1. პელაგია, როგორც ავტორ-მთქმელი (საკუთარი რეპერტუარი), 2. როგორც ხალხური მთქმელი და 3. როგორც ტრადიციული ზეპირსიტყვიერების შემოქმედებითად გამოამყენებელი.

სწორედ ეს მესამე მომენტი განსაკუთრებით საყურადღებო პელაგიას შემოქმედებაში. მოგვყავს ხალხური ლექსი:

„განა ლალი ვარ, რომა ვმღერ, გულისა დარდასა ვიმქარვი, ვინც ჩემზედა თქოს: — ლალია, ესეთიმე ლალიმც ის არის	ქმსამე მაუკვლენ ლექები, მამასამე იმათ ისარი, ნანდაურ სწორიმე მაუკლა, არც უარესი ის არის!“ ¹⁶ .
--	--

ამ ხალხური ლექსის გავლენა აშკარად იგრძნობა პელაგიას ლექსზე „თავისთავს“¹⁷. ბიოგრაფიული ხასიათის ამ ლექსში გამოკრთის ქმარ-შვილის ომში დაკარგვით გულდამწვარი პელაგიას დარდი და დიდი სევდა:

„მოკვდები, დავიძარხები,
გულში ჩამყვება ჯაერია,
ვინაც ჩემს იტყვის: რა უჭირს,
ჩემსავით ლალიმც არია,
ხუთი მყავ ომში დამრჩალი,
ლომ-მეფხვის ბადალ-დარია,
ნურავის გაგიკვირდებათ,
ჩემ უგონთ საუბარია“.

მოლექსე ქალს ისე მოხდენილად გამოუყენებია ცნობილი ხალხური ლექსის სტრუქტურები, რომ, ერთი შეხედვით, შეუძლებელიც კი ხდება მათი პელაგისეულად არმიჩნევა.

სწორია შემთხვევა, როცა მთქმელი ამა თუ იმ ხალხურ ლექსს რომელიმე ავტორ-მთქმელს მიაწერს და სჯერა, რომ ეს ლექსი აუცილებლად მის მიერ დასახელებულ პირს ეკუთვნის. ასეთ გარემოებას გვერდს ვერ ავუვლით პელაგიას ლექსების განხილვის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ პელაგიას ლექსების მთქმელი ზოგიერთი მათგანის ავტორად თვითონ პელაგიას მიიჩნევს, ჩვენ მაინც ვერ ჩავთვლით მათ პელაგისეულად.

დაუბრუნდეთ ისევ ზემოთ მოყვანილ ხალხურ ლექსს.

ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცულ პელაგიას რეპერტუარში შეტანილია ლექსი სათაურით: „განა იმით ვმღერ, ლალი ვარ“¹⁸, რომელიც ჩვენ მიერ მოყვანილი ხალხური ლექსის ოდნავ შეცვლილი სახეა. იგი, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს პელაგიას შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფი. ეს ლექსი ჯერ კიდევ 1887 წელს ჩაუწერია და გამოუქვეყნებია კიდევ დავით ხიზანიშვილს მის მიერ შეკრებილ ფშაურ ლექსებთან ერთად.

პელაგია ზურაბაშვილის თანასოფლელი და მეზობელი ქალის, თამარ ხელაშვილის მიერ ჩაწერილ პელაგიას ლექსებზე მითითებულია ლექსის გამოთქმის დრო. ლექსს „ახუნს“¹⁹ საიალაღო²⁰, სადაც პელაგია თავის წლოვანებასაც ასახელებს, 1970 წელი აწერია: „ოთხმოცდაათის წლისა ვარ, დღენ აღარ მიმიდიანო...“ თუ მთქმელისა და ავტორის სიტყვებს ვერწმუნებით, შეგვიძლია მიახლოებით პოეტი ქალის დაბადების თარიღად 1880 წელი მივიჩნიოთ. თუ ეს ასეა, მართლაც შეუძლებელია 6—7 წლის პელაგიას ასე გამართული ლექსი ეთქვა (როგორც ვიცით, ლექსი 1887 წელს უკვე გამოქვეყნებული იყო).

საინტერესოა პელაგიას კიდევ ერთი ლექსი „წამულ შირაქშითა“²¹.

„წამულ შირაქშითა,
წამოვიყვანე ცხვარია,
ნადედობ გამამეგება,
ნამტირალევი არია,
დამსვა და მკითხა ამბავი:
როგორ გავიდა ცხვარია.
— ჩვენ კი ვიყვენით კარგადა,

ჩემ ნაღობ როგორ არია?
— სადღაა შენი ნაღობი,
სამის კვირასის მკვდარია.
— ეგემც არ გეთქვა, ბებერო,
ის გეთქვა: „სხვავან არია!“
დაღლილი დავისევნებდი,
მოვალის საცა არია!“

ახლა შევადაროთ ეს ლექსი ჩვენ მიერ სოფ. მალაროსკარში ჩაწერილ ხალხურ ლექსს (მთქმელი მართა წელაშვილი, 70 წლის):

„წამულ შირაქშითა,
ლურჯაი მყვანდა ჩქარო,
სულთა პეპელა შამამხვდა,
წითლით ჰრელნი ჰქონ მხარნიო,
ნაღობის კაბას ვაფერე,
ღმერთო, დამწერე ჭვარო,
ნაღობის კარზე ჩამოხე,
კარებზე მაძრანენ თვალნიო,
ნადედობ გამამეგება,
თვალცრემლიანი არიო,
დაჯდა და კითხვა დამიწყო
— როგორ გავიდა ცხვარიო?

— ცხვარან კი კარგად გვიღენ,
ჩემ ნაღობ როგორ არიო?
— შენ ნაღობ როგორ იქნება,
სამის კვირასის მკვდარო!
ჩამამეხოცენ ხელ-მუხლნი,
შუბლზე დამესხა ნაიო,
წამულ დაღონებულნი,
ცრემლით დაეხოცენ გზანიო,
გაზაფხულზედამც დამცემდა,
აღდებული წყალიო,
ან ზოვიმც ჩამომიტანდა,
როცა ჩამოვლენ მთანიო!“

წელაშვილის ნაკარნახევი ლექსი ძლიერ ჰგავს ზემოთ მოყვანილ პელაგია-სეულად მიჩნეულ ლექსს. და თუ პირველი ნამდვილად ეკუთვნის პელაგიას, ეს უკანასკნელი კი მისი ვარიანტია (ან პირიქით), მაშინ პელაგია საკმაოდ მაღალი ნიჭის შემოქმედად შეგვიძლია ჩათვალოთ.

საჭიროდ მიგვაჩნია შედარებისათვის კიდევ ერთი ცნობილი ხალხური ლექსის მოყვანა:

„შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარო,
საღვარისის კაბას ვამსგავსე,

ღმერთო, დამწერე ჭვარო,
ვაი, რა ძნელი ყოფილა,
სხვაზე გავარდნილ თვალიო,
აღვანსა შემოვიარე,
შემოვცატარე თვალიო“²².

პირველი ნაწილი ამ ხალხური ლექსისა უდავოდ ვარიანტია მოყვანილი მაგალითებისა, მეორე ნაწილი კი („ვაი, რა ძნელი ყოფილა...“), ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მისი ლოგიკური გაგრძელება (შინაარსის სხვაობა, რითმის სიღარიბე...).

როგორც ვხედავთ, პელაგიასეულად მიჩნეული ლექსის საკმაო ვარიანტები არსებობს. ვარიანტების არსებობა კი ლექსის სიმღერებზე მეტყველებს.

სამაშულო ომმა შეცვალა პელაგია ზურაბაშვილის როზიის თემატიკა. თითქოს სადღაც გაქრა ის ირონია თუ ხუმრობის კლო, რომლითაც მანამდე საკმაოდ მდიდარი იყო მისი ლექსები. მოლექსეს სწამს, რომ გამარჯვება მათი იქნება. ამ რწმენით გზავნიდა იგი ოთხ ვაჟკაცს ომში:

„
გავგზავნე, დავაბარია,
არ დამალონოთ, შეიღებო,
არ მიინდა ციხის კარია,

მტერზედამც ვაგვიარჯვებათ,
არ შაირცხვინოთ გვარია,
უკვენ არ გამაიქციოდეთ,
მტერს შააკალით თავია“²³.

მართლაც, პელაგიამ ოთხი ვაჟი გაზარდა, სამშობლოს სიყვარული შთააგონა მათ პატარაობიდანვე და თითქოს ახლა დადგა უამი ქვეყნის წინაშე მიცემული დაპირების შესრულებისა:

„ოთხ შვილი მენაც გავზარდე,
 ოთხივე ლომს დასადარია,
 დაგჭირდეს, დამიბაროდი,
 სამშობლოვ, დამიგზავნია“²⁴.

მტრის მოულოდნელმა თავდასხმამ შეცვალა ქვეყნის ცხოვრება. ბევრის დედა ატირდა ცხარე ცრემლით, ბევრი შეიშინდა ძაძვით. მთელი საქართველო, მათ შორის ლამაზი ფშვიცი, აღდგა მტრის წინააღმდეგ:

„გაღწოწვა შავი ღრუბელი,
 მოვარდა ქარიშხალიო,
 აღიღდა ჩვენი არაგვი,
 არაგვი, ფშვიცის წყალიო,
 ბევრი ატირდა დედები,
 დედებო, ჩვენი ბრალიო“²⁵.

ხალხურ მოღეჭეს სწამს, რომ მტერი ვერაფერს დააკლებს მის სათაყვანებელ სამშობლოს, თუ ერთმანეთს მხარს დაუჭერენ და გამარჯვების სურვილი ექნებათ. უკვდავ ღალატებად გაისმის მისი სიტყვები:

„მიშველეთ, ფშვიცელ-ხევსურნო,
 ერთთრთს ვუჭიროთ მხარია“²⁶.

სამშობლოსათვის თავდადება და მისთვის სიკვდილი წარმოადგენს ვაჟაკის ღირსებას:

„ნურას იჯერებთ, შვილებო,
 სიკვდილი კაცის ვალია,
 სახელიანი სიკვდილი,
 დედა-შვილთ საღირსალია,
 თავის სამშობლოს სახელი,
 ცაღი მაღალი არია“²⁷.

კვიტხულობთ ამ სტრიქონებს და ჩვენდაუნებურად გვახსენდება დიდი ვაჟის სიტყვები: „სიცოცხლეს აუგინასა, სიკვდილი მიჯობს ხმაღწედა!“ მოღეჭე მოუწოდებს დიდსა და პატარას აღდგეს სამშობლოს დასაცავად. ის დარწმუნებულია, რომ ერთიანი ძალა აუცილებლად დაამარცხებს მტერს:

„აიღეთ იარაღები,
 მტერზედა გქონდეთ თვალია,
 მტერს როგორ გამაეჭვევით,
 ვაჟაკი, განა ქალია,
 არ გაგიტეხოსთ წყეულთა,
 სამშობლოს მტკიცე კარია“²⁸.

პელაგია ზურაბაშვილის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბუნების მოვლენების ლამაზად და მოხდენილად ასახვას. მოღეჭე ქალი უზომოდ შეყვარებულია ბუნებაზე, თავისი კუთხის თითოეულ გორაკსა და ბორცვზე, ველსა და ტყეზე, მთასა და ბარზე. მას ერთნაირად უყვარს „თოვლიან ყინულიანი ახუნის მთა“, „ველიანი და ტყიანი დიყელა“, „კინჭუხიანი კლდეები“, „სიცოცხლით სილალიანი მზე და მთვარე“. ამ სიყვარულს იგი ღალად გამოთქვამს თავის ლექსებში²⁹.

პელაგიას ლექსებში უხვად გვხვდება მხატვრული შედარებები, ეპითეტები, გაპიროვნებები და პოეტური მეტყველების სხვა სახეები.

ბუნების, ქვეყნისა და საკუთარი ხალხის დიდი სიყვარულითაა განმსჭვალული პელაგია ზურაბაშვილის ლექსები, 90 წელს მიტანებული მოხუცი ქალი გულით რომ მღეროდა.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ფოლკლორული არქივი, ტ. X (1, 2, 3)—23. ქვემოთ მოვიყვანთ შემოკლებით— ფ. არქ.
2. გაზეთი „ივერია“, 1896, № 37.
3. „თავისთავს“, საკუთარი მასალებიდან, ჩაწ. 1970 წ. სოფ. ჩარგალში.
4. იქვე.
5. „ნურას იჯაერებთ, შვილებო“, საკუთარი მასალებიდან, ჩაწ. 1970 წ. სოფ. ჩარგალში.
6. „თავისთავს“, საკუთარი მასალებიდან, ჩაწ. 1970, წ. სოფ. ჩარგალში.
7. ფ. არქ., ტ. X (1, 2,) 3—23.
8. ფ. არქ. ტ. X (1, 2, 3)—23. ჩამწერი ა. ცანავა, 1955 წ.
9. „ახუნს საიალაღო“, საკუთარი მასალებიდან, ჩაწ. სოფ. ჩარგალში 1970 წ.
10. „ახუნს საიალაღო“, საკუთარი მასალებიდან.
11. იქვე.
12. ვ ა ე ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. V, თბ., 1961, გვ. 17.
13. „ქება ბებერის ქმარისა“, საკუთარი მასალებიდან, ჩაწ. 1970 წ. სოფ. ჩარგალში.
14. ფ. არქ., გ. თურმანაულის მიერ წარმოდგენილი მასალები, № 223. იგივე ლექსი ჩვენც გვაქვს ჩაწერილი მცირედი განსხვავებით: „შენისამც მუხლის პირს მამკლა /დაბჯინებულს ხელითა/, კალთაიმც ამავსებინა/, ნადენის ჩემის ცრემლითა“.
15. ფ. არქ., ტ. X (1, 2, 3)—23. ჩამწერი ა. ცანავა. ამ ლექსის ვარიანტი აქვს გ. თურმანაულსაც. ფ. არქ., გ. თურმანაულის მიერ წარმოდგენილი მასალები, № 223.
16. ფშაური ლექსები შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ, ტფილისი, 1887, გვ. 127.
17. საკუთარი მასალებიდან, ჩაწ. 1970 წ. სოფ. ჩარგალში.
18. ფ. არქ., ტ. X (1, 2, 3)—23.
19. ა ხ უ ნ ი მთის სახელია.
20. „ახუნს საიალაღო“, ჩამწერი თამარ ხელაშვილი, მისივე კოლექციიდან.
21. ფ. არქ. ტ. X (1, 2, 3)—23. მთქმელი მიუთითებს, რომ ეს ლექსი პელაგიას ეკუთვნის.
22. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 30.
23. „ნურას იჯაერებთ, შვილებო“. ჩამწერი თამარ ხელაშვილი, მისივე კოლექციიდან.
24. იქვე.
25. იქვე.
26. იქვე.
27. იქვე.
28. „ნატვრა“, ჩამწერი თამარ ხელაშვილი, მისივე კოლექციიდან.
29. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი „რა ლამაზი ხარ, დიუღაე“, ჩამწერი თამარ ხელაშვილი, მისივე კოლექციიდან.

Т. И. ГОГОЛАУРИ

ПЕЛАГЕЯ ЗУРАБАШВИЛИ — СТИХОТВОРЕЦ ИЗ ПШАВИ

Резюме

Пелагею Зурабашвили смело можно считать одной из лучших среди пшавских женщин-стихотворцев. Ее стихотворения приправлены юмором и большей частью посвящены постыдным действиям соседок или отношениям между супругами. Стихотворение «Высокая гора Ахуни» является наилучшим образцом народной лирики.

Несколько стихотворений Пелагеи записаны коренной жительницей ее села (село Чаргали), стихотворцем Тamarой Михайловной Хелашвили и хранятся в фольклорном архиве Института литературы им. Шота Руставели АН ГССР. В 1955 г. во время экспедиции в Пшави несколько стихотворений Пелагеи были записаны проф. А. Цанава.

При разборе творчества Пелагеи надо выделить три момента: 1. Пелагея как автор-сказитель (собственный репертуар). 2. Пелагея как сказитель (она хорошо была знакома с творчеством известных пшавских стихотворцев). 3. Творческое использование Пелагеей традиционной устной словесности.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

М. М. ФАТЕМИ

ПРЕДПОСЫЛКИ РАСПРОСТРАНЕНИЯ ПРОСВЕТИТЕЛЬСКИХ ИДЕЙ В ИРАНЕ В СЕРЕДИНЕ XIX ВЕКА

С середины XIX в. во внутренней и международной жизни Ирана начинается ряд важных перемен. В это время во внутренней жизни были заметны две различные тенденции в решении неотложных вопросов страны. Первая, более умеренная, была нацелена на укрепление центральной власти и проведение некоторых реформ сверху. Идеологами этой тенденции были видные государственные и общественные деятели, во главе которых стоял первый министр Мирза Таги хан Амир Кабир (1848—1851 гг.). Ввиду большого значения проведенных реформ и их роли в социально-культурной жизни страны и распространении просветительских идей, мы позволим себе вкратце остановиться на них.

В области экономики эти реформы были направлены на создание новых промышленных предприятий, развитие товарного земледелия и торгового капитала, что влекло усиление экономического потенциала страны¹.

Наряду с этим, правительство проводило политику защиты национального производства от конкуренции иностранных товаров. Оно оказало торговцам всестороннюю помощь в развитии обмена товаров внутри страны и за ее пределами, расширения иранского рынка².

В области социальных и административных реформ Амир Кабир преследовал цели отмены местных привилегий и создания мощного централизованного государственного аппарата. Этим он, с одной стороны, стремился удовлетворить требования новых социальных групп, заинтересованных в развитии экономики и финансов страны, а, с другой стороны, преодолеть опасности, вытекавшие из обострения внутренних противоречий общества. Вместе с тем, государство должно было ограничить вторжение иностранного капитала, бороться против колониальных замыслов империалистических держав в Иране.

Вторая, революционная тенденция выражала интересы народа, боролась за радикальное преобразование страны, отмену несправедливых норм и правил управления обществом и неравноправия его членов. Носителями этой идеологии были оппозиционные группы и передовые представители средних слоев населения, патриотически настроенная интеллигенция и т. п. Блестящим проявлением этого явилось Бабидское восстание 1848-50 гг. против шахской власти, потрясшее основу не только реакционных, но и реформистских течений.

Несмотря на то, что в процессе острой внутренней и антиимпериалистической борьбы обе эти тенденции были уничтожены самодержавным правительством (Бабидское восстание было жестоко подав-

лено, и его глава Сеид Мохаммад Али Баб был казнен в 1851 г., а Мирза Таги хан Амир Кабир был смещен и убит Насер-эд Дин шахом в том же году), однако посеянные ими семена принесли свои плоды. Наряду с большим идейным и просветительским наследием, которое оставили за собой Баб и его последователи, а также другие идеологические течения (шейхизм, массонство и т. д.), все они в определенной степени были направлены против феодализма, старых средневековых традиций и религиозной косности. Реформы Амира Кабира также ослабили устои существующего режима, создали предпосылки для появления последующих этапов социально-культурного преобразования. Это особенно относится к его культурным реформам, в частности созданию школы нового типа «Дар-ол Фонун» («Политехническое училище» или «Дом науки»), приглашению иностранных специалистов для преподавания, отправке студентов в Западную Европу и Россию на учебу, ограничению роли духовенства в светской жизни страны, расширению сети типографий, переводу и изданию новых книг, а также выпуску первой регулярной газеты и т. п.

Идея основания учебного заведения нового типа появилась уже во время первой поездки Амира Кабира в 1829 г. в Россию. Ознакомившись с научно-техническими и культурными достижениями России, он решил следовать ее примеру в Иране. Свои идеи он претворил в жизнь в период нахождения на высокой должности иранского премьер-министра (в 1841-51 гг.). Специальный секретарь делегации, отправленной в 1829 г. в Россию, Мустафа хан Афшар по этому поводу пишет: «В первой же своей поездке в Россию, Амир Кабир увидел контрасты светотени (в Иране—М. Ф.). Он был восхищен материальными и духовными достижениями нового мира. Контакт с цивилизованным миром и ознакомление с его прогрессом и возрождением, с материальным, техническим и научным развитием России, был поучительным для Амира»³. Как пишет иранский историк Х. Макки, «Амир и члены его делегации осмотрели оружейный и металлорежущий заводы, предприятия по обработке шелка и шитью золота и галуна, монетный двор, училища и университеты в Туле, Тбилиси, Москве и Петербурге. Своими глазами они увидели чудеса западных наук»⁴.

Поездка видных иранских государственных деятелей в Западную Европу и Россию и ознакомление с достижениями этих стран привели их к мысли о необходимости развития науки и техники в Иране и подготовке кадров для введения новых социально-культурных изменений. Для осуществления этой цели они приступили к созданию школы нового типа. «Амир Кабир, — говорится в издании Литературного Общества при школе Дар-ол Фонун, — своим дальновидным и острым умом знал, что для того, чтобы догнать цивилизованный караван, такому древнему государству, как Ирану, нужна новая культура, и для этого достижения он создал университет по имени Дар-ол Фонун»⁵.

«Дар-ол-Фонун» был основан по примеру западных университетов и политехнических институтов. В них обучали разным отраслям гуманитарных и технических наук, в том числе языку и литературе, переводу с иностранных языков, истории и географии, математике и естествознанию, медицине и фармакологии, инженерному делу, минералогии, картографии и т. п. Там же проводились и военные занятия по отдельным родам войск (пехоте, кавалерии, артиллерии, военной инженерии и др.). С целью поощрения современных наук все дисциплины вначале преподавались на французском языке, затем к ним прибавились арабский язык и литература. В соответствии с этим, были созданы разные факультеты и отделы, а студенты отличались формой своей одежды.

При обучении столь разнообразным предметам, иранское правительство столкнулось с трудностями в недостатке необходимых преподавательских кадров. Поэтому оно обратилось за помощью к зарубежным государствам. В 1851 г. в Иран прибыли семь австрийских специалистов,—четверо военных и трое гражданских (врачи и инженеры). Приехали и специалисты из других стран, в том числе двое военных из Италии и Франции (в 1851 и 1852 гг.), один врач из Голландии (в 1851 г.), минералог из Франции (в 1865 г.). Был также приглашен специальный педагог по музыке из Франции. Он впервые ознакомил иранцев с европейской музыкой, основал в Иране военный оркестр.

Немалая трудность заключалась и в отсутствии в Иране учебных пособий вообще и на персидском языке в частности. Учеба проводилась, в основном, на французском языке, и лишь частично на персидском. Позднее были приглашены иранские ученые и исследователи, которые приступили к переводу и составлению необходимых пособий.

Созданные иранскими авторами работы, наряду со своим научным и педагогическим значением, получили большое литературное и просветительское звучание. За исключением отдельных работ, составленных по примеру средневековых рассказчиков, большинство книг было написано простым языком, что оказало большое влияние на дальнейшее развитие литературного языка и распространение новых идей в Иране.

Позднее в «Дар-ол-Фонуне» проводились и практические занятия. Были сооружены химическая и физическая лаборатории, а также печи по плавке металла и обработке руд⁶, а также типографские станки, где печатались новые сочинения.

В «Дар-ол-Фонун» имели доступ лишь определенные группы верушки и придворной знати. По утверждению известного иранского историка и государственного деятеля Мирзы Хасан хана Э' темада-ос-Салтана, «для учебы в Дар-ол-Фонуне было выделено сто человек из высокопоставленных принцев, знати и государственных чиновников»⁷.

Основатели «Дар-ол Фонун» первоначально преследовали прогрессивные цели (развитие науки и техники, ознакомление иранцев с культурными достижениями западного мира, ограничение влияния религиозных канонов на светскую жизнь общества, распространение просветительских идей и разъяснение главных причин отсталости страны, недостатки существующего порядка и т. п.). Однако, впоследствии (после смещения и убийства Амир Кабира), в результате прямого вмешательства самодержца Насер-эд Дин шаха в дела училища, изменился устав «Дар-ол Фонун» и его профиль. Шах ненавидел передовые мысли, и поэтому он запретил выступления прогрессивных деятелей в училище.

Вместо обучения передовым идеям западных мыслителей (Вольтера, Мольера, Жан-Жака Руссо и др.), здесь начали проводить религиозные занятия, обучали мусульманской теологии, совершали молитвы и обряды (намаз, пост и др.). Для выполнения религиозных обрядов в училище был выделен специальный зал. Было запрещено и развитие отраслей искусства—музыки, театра и т. д., распространились реакционные мысли и монархические каноны.

Изменился и состав вступающих в училище студентов. В 1860 г. Керзона, побывавшего в то время в Иране, в 1880 г. студенты «Дар ол Фонуне» запрещается простому народу. Туда имеют доступ лишь лица знатного происхождения⁸. В соответствии с этим, учиться там можно было лишь придворным аристократам и каджарским принцам.

Постепенно увеличилось число студентов, изменялся и порядок их распределения. По данным английского министра иностранных дел Керзона, побывавшего в то время в Иране, в 1880 г. студенты «Дар ал Фонуна» распределялись следующим образом: военные—75 человек, студенты технических и научных факультетов — 140 человек, обучающиеся иностранным языкам—92 человека, в том числе французскому языку—45, английскому — 37, русскому — 10, картографии — 80 чел. Общее число студентов составило 387 человек⁹. Срок обучения был 6—7 лет.

Несмотря на непрерывное вмешательство шаха и реакционной иранской верхушки в дела «Дар-ол Фонуна», первые попытки его основателей давали свои результаты. Большинство выпускников училища впоследствии стали крупными государственными и общественными деятелями, известными учеными и литераторами. Они играли большую роль в распространении просветительских идей в Иране и подготовке предпосылок для дальнейших этапов социального и культурного развития.

Большое значение имели также изданные в «Дар-ол Фонуне» книги на персидском языке. Наряду с учебными пособиями для студентов, писались исторические труды и литературные произведения, переводились работы западных авторов и т. д. Хотя издания работ зарубежных авторов начались уже в первой половине XIX века (в том числе перевод однотомной истории Петра I, Карла XII и Александра

Македонского, а также событий Европы в период Наполеона I, изданные в 1818 г. Мирзой Салехом Ширази и др.), однако, в результате отсутствия в то время необходимых переводческих кадров, а также ввиду низкого качества типографских станков, дело это не имело значительных успехов.

Интенсивное составление и перевод книг в середине XIX века требовали увеличения числа типографских станков, которые первоначально имелись лишь в небольшом количестве в Тебризе и Тегеране. Государство приступило к приобретению и установлению новых станков в городах Шираз, Исфаган, Урмия, а позднее в других больших центрах (Мешхед, Решт, Хамадан, Керманшах, Керман Йазд и др.).

В середине XIX в. был сделан и первый шаг в развитии прессы. Как уже было отмечено, первая иранская газета была издана Мирзой Салехом Ширази в 1837 г. Однако она вскоре перестала существовать. В 1851 г. государство приступило к изданию первой регулярной газеты. Она первоначально называлась «Вагайе-е Эттефагий» («Происшедшие события»). Впоследствии газета неоднократно переименовывалась, а с сентября 1860 г. (за № 472) стала называться «Рузнаме-йе Довлате Аллийе-йе Иран» («Газета высокого Иранского Государства»).

«Вагайе-е Эттефагий» публиковалась еженедельно на восьми страницах литографским способом. В ней наряду с внутренними и зарубежными событиями, давались научные и технические информации, рекламы, объявления и т. д. О внутренних событиях, в основном, сообщалось в государственных заявлениях и шахских фирманах (о назначении и смещении государственных чиновников, предоставлении титулов и вознаграждений, о шахских поездках, а также провинциальные сообщения). В отделе зарубежных информации сообщались самые важные события западных стран и Турции.

Научные статьи газеты носили, главным образом, просветительский (разъяснительный) характер. В них сообщались географические сведения о положении континентов, о новых географических открытиях, а также экономические информации о промышленности и сельском хозяйстве, сооружении железных дорог и т. д. В газете помещались исторические статьи о древних и новых цивилизациях, о национальных и социальных движениях народов, в том числе о борьбе индийского народа против английских колонизаторов, итальянского народа за освобождение от австрийского господства и т. д. Имелись также, статьи о государственном строе и законодательных органах западных стран, их социальных и культурных достижениях, политических организациях, а также об отдельных прогрессивно мыслящих революционерах и демократах (о французской буржуазной революции и др.).

В газете публиковались и чисто научные статьи, в том числе из области астрономии, геологии, медицины, а также о технических достижениях, открытиях, изобретениях и т. п. В отделе объявлений и

реклам сообщали об издании новых книг, рассказывали об их содержании, давали советы и консультации читателям и т. д.

Как видно, само содержание данных в газете информации и научных статей свидетельствует о прогрессивных намерениях ее основателей. В редакционной статье первого же номера газеты, изданной 5 раби II 1267 г. лунной хиджры (в феврале 1851 г.), по этому поводу говорится: «...Главная цель газеты состоит в том, чтобы проводить воспитательную работу среди иранского населения, знакомить его с внутренними и зарубежными событиями. Одна из положительных сторон газеты, — продолжается в редакционной статье, — заключается в том, что она служит развитию знания и осведомленности жителей этого великого государства»¹⁰. Эта мысль вновь подчеркивается в № 36, где говорится: «Газета дает информацию... с целью воспитания народа и его ознакомления с государственными и иными событиями, а также с положением в зарубежных государствах. Они (эти информации) приносят пользу и знатным людям, и простому народу»¹¹.

Материалы для издания газеты собирались, в основном, из отдельных иранских областей, а также зарубежных стран. Они представлялись в Тегеран ответственными государственными чиновниками в столице и провинциях и дипломатическими представителями Ирана в других государствах. Материалы заимствовались также из зарубежных журналов и книг.

Проведенные в середине XIX в. мероприятия имели большое социальное и культурное значение. Подготовленные в этот период кадры были главными носителями новых идей, передовыми просветителями и патриотически настроенными демократами.

1. Реза Голи хан Хедаят, Ровзат -ос-Сафа-йе-Насери, см. Хоссейн Макки, Тарихе зедегани-йе Мирза Таги хан-е Амир Кабир, Тегеран, 1337, с. 94 и 124; Ферейдуи Адамайат, Амир Кабир ва Иран, Тегеран, 1334, с. 224—225; Аббас Эгбал, Мирза Таги хан-е Амир Кабир, Тегеран, 1340; Рузнаме-йе Вагайе-е Этефагийе, год 1851/52, №№ 26, 31.

2. С целью расширения иранского рынка, кредиты на имя купцов, продавших иранскому правительству товары в Антакии (на берегу Красного моря), Амир Кабир перевел в город Балх.

3. Ф. Адамайат, указ. работа, с. 52.

4. Х. Макки, указ. работа, с. 27.

5. Дар-ол Фонуи ва Амир Кабир. Издание литературного общества школы Дар-ол-Фонуи, учебный год 1957/1958, с. 17.

6. Дар-ол-Фонуи Ва Амир-Кабир, с. 17.

7. ЭТемад-ос Салтане. Мерат-ол Болдан т. III, см. И. Ариайнпур, Ал Саба та Нима, т. I, с. 254.

8—9. Ф. Адамайат, указ. работа, с. 154.

10. Газета «Происшедшие события», февраль, 1851, № 1.

11. Там же, 1852, № 36.

Отдел научной информации Института востоковедения им. акад. Г. В. Церетели АН Грузинской ССР

Представил Институт востоковедения им. акад. Г. В. Церетели АН Грузинской ССР

ლიანა კვიციანი

„გალობა“ სიტყვის ეტიმოლოგია და სემანტიკური
 კარაქულიზმები*

„გალობა“ ძალიან ძველი სიტყვა უნდა იყოს. იგი იხმარებოდა ძველ ქართულ ენაში საზოგადოდ სიმღერა-გალობის, ადამიანის ხელოვნებისმიერი „კმატვის“ აღმნიშვნელად; შედარებით გვიან ეძლევა გამორჩეულად სასულიერო, საკრალური ხელოვნების შინაარსი. „მღერა“ ნიშნავდა შექცევას, თამაშს, ხტომას, ცეკვას, ლაღობას; წყობილხმინობა, მღერა, როგორც ახლა გვესმის, მისი ძირეული მნიშვნელობა არა ჩანს! პროფ. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „გალობის“ განმარტებად ვკითხულობთ: «ფსალმუნება», «მაქებლობა», მღერა; კურთხევა, მხიარულება. და შემდეგ: „გალობა კურთხევა; ქება, სიმღერა“; „გალობისა სიტყუა ქება, სიმღერა“; „გალობისა წართქუმა «გალობა», «მადლობა», კურთხევა“. დოკუმენტაციის მიხედვით, გალობა უმთავრესად უფალს მიემართება. დამოწმებულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნები და „წამებაჲ წმიდათა ორმოცთაჲ, რომელნი იწამნეს სებასტია ქალაქსა“.

S—384 ხელნაწერში, XI—XII საუკუნეების კრებულში², „გალობის“ მსაზღვრელია „საერთო“: „მიზეზ იქმნა დახრწევისა საერთოსა მის გალობისა არიანოზთაჲსა“ (57a, 5—6)³. შემდგომ თეიმურაზ ბაგრატიონს გალობის გვარობითი ცნების თითქოს უნებლიე აღდგენა უხდება სიმღერის დახასიათებისას: „სიმღერა საერო გალობა არის“⁴. „გალობის“ ანტითეზებად ძველ ქართულ ტექსტებში გვხვდება „გოდება“, „გლოა“, „ტყება“; მეორე მხრივ, გალობას „ტირილოვანი“ ხასიათი აქვს⁵.

ტრადიციული ქართული თვალსაზრისით, სიმღერის — საერო ან მსოფლიო ხმინობის — საპირისპიროდ, „გალობა თუ არ საღმრთოთა ზედა, სხვებ არა მოიღების“⁶. საბა წერს: „გალობა არს თვისისაებრ უკვე სიტყვისაჲმა(ა) რა(ა)მე, ტკილად თქმული მადლობა(ა); გალობა არს ღმრთის მეტყველებისა მალლის(ა) ხედვისა მქონებელ იყოს; გალობა არს ჯმა — ავაჯიანი, შეწყობით აღტევებული თვინიერ ორღანოსა, გინა ორღანოთა და მწყობრითა. გალობა არს მართლმადიდებლობითთა მიერ ღმრთის მეტყველება; რომელი თავით თვისით იწვ(ა)რთ(იდ)ის შეწირვასა ღმრთისასა (+ და Z) სულისა სრულისა ვის(ი)მე“. გალობა ღალადისა ღმრთისადმი, ერთგვარი მსხვერპლშეწირვაა. ამ შეხედულებას ღრმა საფუძველი მოეპოვება. უძველესი მგალობელი (არიელნი, ბერძნები თუ სხვანი) საგალობლებს ასრულებდნენ საღვთისმსახურო რიტუალური ქმედობისა და სწამდათ, რომ ეს იყო მსხვერპლის მიძღვნა. საერთოდ სიტყვის, ცხადია, საკრალურის, შექმნა უტოლდებოდა მსხვერპლშეწირვას⁷. დ. მაჩაბელი — გასული საუკუნის მოღვაწე — ამბობდა, რომ „ქრტიანაზედ გაჩნდა გალობა მაშინ, ოდეს ბუნებაჲმან აღსძრა კაცი, რათა ეამსა მომეტებულის სიხარულისა, ანუ მწუხარებისა, სასიხარულოს, ანუ სამწუხაროს ხმით ტურფად გამოეხატნა დიდება ღმრთისა, დამბადებელისა და მზრდელისა მისისა“⁸. რა გრძელი ხანი უნდა ჰქონდეს განვლილი ადამიანის სულს, რომ ზნეო-

ბის განხილვა ესოდენი გრაციოზულობით დაიწყოს გალობიდან, როგორც წმინდა საენიდან. „გალობაზე“ ტრადიციული ქართული წარმოდგენის გასათვალისწინებლად მივმართავთ აგრეთვე იოანე ბაგრატიონის ნაშრომს, სადაც ძველ ქართულ საკრავთა ორი გვარია განხილული, „რომელსა ზედა იგალობების და იმღერებისა“⁹. ერთი სიტყვით, გალობა სასულიერო წყობილხმობიანობაა, ხოლო სიმღერა — საერო. ახალ ქართულში მათ შორის ზღვარი თითქოს იშლება.

გალობის, როგორც სამუსიკო-ლიტერატურული კომპოზიციის აღმნიშვნელი ტერმინის, შინაარსი ისტორიულად იცვლებოდა. განვითარების გარკვეულ საფეხურზე „გალობანი“ დამკვიდრდა ქართულ ჰიმნოგრაფიაში ბერძნული „კანონის“ შესატყვისად. აკად. ლ. კეკელიძის ლატურგიკულ ლექსიკონში ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ კანონის საფუძველს შეადგენდნენ ბიბლიური საგალობლები¹⁰. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული კანონის თითოეულ გალობას ეწოდება *ძმე*, ე. ი. «გალობა» *ძმე-ს* შეესაბამება. სხვათა შორის, სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით არაზუსტ მითითებას, რომ ქრისტიანულ ეპოქაში *სმავც* ტერმინი «შუფარდეს სპეციალურად საეკლესიო კანონის გალობებს» («он был приурочен специально к песнопениям церковного канона»). ამას ხაზგასმით მიუთითებს ჰომეროსული ჰიმნების მკვლევარი ა. ნ. დერევიცი¹¹, ალბათ იმის გამო, რომ ჰიმნოგრაფია ჰიმნების (*სმავც*) წერას გულისხმობს, მაგრამ ვიმეორებთ. კანონის გალობათა სახელწოდებად მიღებულია *ძმე*.

რამდენადაც ვიცით, «გალობა» სიტყვის ეტიმოლოგიის ძიება ჩვენს მეცნიერებაში არაგის უცდია. თუ ნაწილობრივ მაინც ვავიზიარებთ ან ანგარიშს გავუწევთ გ. კურციუსის სკეფსისს, — ხოლო გ. კურციუსმა «Griechische Etymologie-ს»¹² ეპიგრაფად წარუშქვრავთ ავგუსტინეს თქმული: «Ut somniorum interpretatio ita verborum origo»¹³ *pro cuiusque ingenio indicatur* (როგორც სიზმართა თარგმანება, სიტყვათა წარმოშობა, საწყისი თითოეულის ნიჭის, შესაძლებლობის შესაბამისად განირჩევა), — უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთვის სამძიმო საქმეს მოგვიდებთ ხელი.

«გალობა» უძველესი ქართველური ლექსიკური ერთეულია, გალობის ძალის, მნიშვნელობის მქონე. თუმცა მეგრულ-ქანურსა და სვანურში შესატყვისობანი არ იქმნება, სიტყვის იზოლირებულობა სამი ენის პირობებში ნაკლებად არასარწმუნოდ გვისახავს მის დამკვებას საერთო-ქართველურ დონეზე. რაც შეეხება «მღერას», გ. ა. კლიმოვის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში **გარ-/ერ-* განიხილება როგორც საერთო-ქართველური ფუძე: ქართული მღერ-მღერა; მეგრული ღორ-, ლუარ-‘ყვირილი’, ღრიალი; ქან. მღორ-; სვან. ღარ-/ღრ/მღერა. მკვლევარი ფაქრობს, რომ **გარ-/ერ-* არის ხმაბაძეითი ხასიათის ფუძე, ამიტომ იჩენს მსგავსებას სრულად განსხვავებულ ენათა ანალოგიური ფუძეებისადმი. დასახელებულია ინდოევროპული **გერ-* ‘ყვირილი’¹⁴. ასე რომ, «მღერის» ძირისეული შინაარსი შეიძლება განისაზღვრებოდეს საღაღობო ძახილით, ღრინაეცლით, ყრიამულით.

«გალობის» ეტიმოლოგიური ანალიზისათვის ჯერ სემანტიკური პარალელების კვალს მივყევთ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბერძნული *სმავც* სიტყვის ეტიმოლოგია: ბიბლიის ქართულ თარგმანში *სმავც*-ისთვის დაკანონებული შესატყვისია «გალობა», ვთქვათ, *გჱჱჱ-სავან* განსხვავებით, რომელსაც უფრო შეესატყვისება «ქება». ა. ნ. დერევიციის მონოგრაფიაში ჰომეროსულ ჰიმნებზე გადმოცემულა *სმავც*-ის პირველადი მნიშვნელობის დასადგენად მანამდე გამოთქმული ყველა მოსაზრება, დაწყებული ძველი გრამატიკოსებისქე-

ხედულებით¹⁵. პირველ რიგში, უსაფუძვლოდ არის მიჩნეული *წყობი*-ის წარმომადგომლობითი კავშირი *მზა* (*მზა*)—*მზა* ზმნასთან, რადგან ეს უკანასკნელი (*მზა*) ბერძნულ წყაროებში ნიკანდროსის და აპოლონიოს როდოსელის ეპოქამდე (III-III სს.) არ ჩანს. ფ. ბოპმა *წყობი* დაუკავშირა ზენდურ ძირს *hu = celebrare*, თ. ბენფეიმ—სანსკრიტულ *su*-ს ან *stu*-ს, ა. კუნმა—ვედურ *sumná*-ს («ქების», «გალობა-შესხმის» მნიშვნელობით). ა. ნ. დერევიცი შენიშნავს რომ ა. კუნის *წყობი*-ის თავდაპირველ ფორმად აღადგენს *საწყობი*-ს, როგორც *sumna*-სთვის ივარაუდება *stumna*. ა. კუნის თვალსაზრისი იცავდნენ ა. ფიცი, ე. ბაურნუფი. ამ შეხედულების გასაბათილებლად მითითებულია თ. აუფრებტის ნაშრომი. ლ. დედერლაინი ამოსავალ ძირად მიიჩნევს *წყ-*ს და ფიქრობს, რომ *წყობი* ისევე მიემართება *წყაივი* ზმნას, როგორც *ჰრემაივი*, *მემაივი*—*მემაივი*, *მემაივი* ზმნებს. თ. აუფრებტმა გ. კურციუსმა ლ. დედერლაინის აზრი ვაიზიარეს. კ. ბრუგმანს *წყობი* და *მწყობი* (=კანი, ტყავი, გარსი) ერთ ძირზე დაჰყავს, რომელიც სანსკრიტში დასტურდება *siu*, *siu*- და ნიშნავს «ყვრავს» ა. ნ. დერევიცი საფრთხილოდ თვლის კ. ბრუგმანის ახსნას ფონეტიკური თვალსაზრისით.

3. ფრისკის ლექსიკონში¹⁶ აღნიშნულია, რომ ეტიმოლოგია *წყობი*-ისა, რომლის მსგავსად იწარმოება, მაგალითად, *საწყობი* (=ჭურჭელი), *მწყობი* (=ბუჩქი, მცირე ხე), *საწყობი* (=ჩვილი), გაურკვეველია («ohne sichere Etymologie»). ფორმით *წყობი* უკავშირდება *მწყობი*-ს (როგორც *საწყობი* და *საწყობი*, *საწყობი* და *საწყობი*). 3. ფრისკს მოჰყავს კ. ბრუგმანის ვარაუდი, დამყარებული ანტიკურ წარმოდგენაზე (*წყობი* *წყობი*). მაგრამ 3. ფრისკის აზრით, *წყობი* სთან, *საწყობი*-სთან დაკავშირება ძნელდება ფონეტიკური სირთულეების გამო. 3. მასის ნაშრომს უთითებს იმ მოსაზრების მოსახსნელად, რომ *წყობი* დაკავშირებულია *მწყობი*-თან, როგორც საქორწილო შეძახილთან. შ. ოტრანს განუხილავს *წყობი* მედიტერანულ ერთეულად (როგორც *მწყობი*, *მწყობი*, *მწყობი*, *მწყობი* და ა. შ.).

ქართული „გალობის“ ეტიმოლოგიის დასადგენად საყურადღებოა კ. ბრუგმანის ეტიმოლოგიის საფუძველი, მის მიერ „რივედის“ ენასა და ბერძნულში მოძიებული ანალოგია. „რივედის“ შემოქმედნი პოეტურ მეტყველებას ქსოვად სახავენ. აგნი-ვადშეანარას ჰიმნში ნათქვამია: „არ ძალმიძს ცნობა არც ძაფისა, არც ქსოვილისა, [ვერ შემოცნია,] რას ქსოვენ, ოდეს სასაპარეზოდ აღიძვრიან. ვის წულსლა შესწევს ძალი, რომ უკან მყოფელ მამაზე უმჯობესად წართქვას აქ სიტყვანი? მხოლოდ იგი ცნობს ძაფსაც, ქსოვილსაც და მას ძალუძს სიტყვათა სწორად წართქვა, ვინც მისწვდა იმას (რუსულ ენაზე მთარგმნელი ტ. ი. ელიზარენკოვა „ძაფს“ გულისხმობს), ვითარცა მწყემსი უკვდავებისა, უკან დგომით, მაგრამ სხვაზე უმჯობესად ხედვით“¹⁷. ბრძენთაგან თხზული, წართქმული სიტყვა, ისე როგორც გალობა ქსოვილის იდენტურია განსაზღვრულ დონეზე. კ. ბრუგმანმა აღნიშნა, რომ ანალოგიურად ბერძნულში გვაქვს *ῥάπτειν αἰσθήν*, *ῥάπτειν*, *ῥάπτειν*. პირველი მნიშვნელობაა „ყვრავ“, გალობასთან (*αἰσθήν*) მიმართებით იძენს „თხზვის“ შინაარსს.

ა. ნ. დერევიცი ცდილობს განამტკიცოს ის მოსაზრება, რომ *წყობი*-ისთვის ამოსავალია *წყ* ძირი და ეტიმოლოგიურად ბერძნული „ჰიმნი“ (=გალობა) „ქსოვას“ უკავშირდება. მკვლევარი წერს: „ხალხურ პოეზიაში არაფერია უფრო ჩვეულებრივი, ვიდრე სიმღერა-გალობის თხზვის ხელოვნების შედარება რთვის ან ქსოვის პროცესთან, და მაგ. რივედის ჰიმნებში სრულ-

ლიდაც არ არის იშვიათი „რთვა“ და „ქსოვა“ ზმნების ხმარება იქ, სადაც საქმე ეხება სიმღერა-ვალობას¹⁸. ასევე ბერძენ პოეტებთან *ἔξαινευ* (*ἔξαινευ*) *μέλιος*, *γρῆφον*, *ἔμυον*. *ἔμψυον*, *ἔπαινον* (ე. ი. სიმღერის, გამოცანის, ვალობის, მოთქმის, ქების ქსოვა, წნვა. — ლ. კ.) მეტად ხშირი და ჩვეულებრივი გამოთქმებია“ (გვ. 2). ა. ნ. დერევიცკის დაკვირვებით, ჰომეროსის პოემებში მხოლოდ *ἔμυον*, *ἔβλιος*, *ἔμψυ* სიტყვებთან გადაიტანება „ქსოვის“ მნიშვნელობა ისე, რომ საცნაური იყოს „გამოგონება“, „მოფიქრება“ და სხვ. ამავე დროს ჰომეროსის მიერ *ἔμυον*-ის თავდაპირველი აზრით ხმარებას თითქოს ადასტურებდეს *ἔμυον* *ἀοιδῆς* (Od. VIII, 429)¹⁹. სხვა პოეტთა თხზულებებიდან მაგალითები ამოკრებილი აქვს თ. აუფრეტს. ამრიგად, „ქსოვის“, „კერვის“, „წნვის“ მეტაფორული გააზრების გზით მივლივართ „ვალობამდე“. იქსოვება, იკერება, იწნება საგალობელი, სიტყვა, უპირატესად ბრძენისა, პოეტისა. თუ სიტყვათმეომქმედების სიღრმეში უფრო შორს გადავინაცვლებთ, ვნახავთ, რომ შუამდინარელი მითოლოგის სიტყვას ადარებს უფრეცელს ბადეს, „ღმერთის მიერ ცამყარზე გადმოფენილ დიდ სათხვევლს (ს ა ბ ა რ მ ა ხ), რომელშიც მთელი სამყაროა საიმკვალთულო, რათა იგიც არ გადაცდეს საზღვრებს და თიამათის ქაოსში არ დაინთქას“²⁰. მითოსური წარმოდგენით, უპირველესად ღმერთი თხზავს, ქსოვს სიტყვას, ის არის პოეტი (დემიურგი და ხელოვანი), ხოლო მისი ღვაწლის ხატად ოდითვანვე იგულისხმობდა პოეტური სიტყვის თხზვა, პოეზიის შესაქმე.

ამ ფონზე ნათელი ემატება «ბალავარიანის» ქართულ ტექსტში აღბეჭდილი «სიტყვსა მკერვალის» ინტერპრეტაციებს. ადრე აკად. ნ. მარი დედნად სირიულის რწმუნებაში ხელდავდა გამოსავალს ქართული ტექსტის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის, კერძოდ «სიტყუის მკერავის», წყაროს მოსაძიებლად. ეს ეპითეტი მეტად ძნელსაცნაურიაო («слишком замысловаты»), ამიტომ უნდა შეეცვალოს ორ ნუსხაში «სიტყვაველოვანით»; სირიულში კი «კერვა» გადატანით «თხზვა» არის. აკად. ნ. მარმა «სიტყვსა მკერვალი» სირიაზმების რიგში მოაქცია²¹. პ. პეტერსი ნ. მარის საპასუხოდ თვლის, რომ სირიულში «კერავს» შემთხვევითი მნიშვნელობა შეიძინა «სიტყვასთან» და მისილება «კონტექსტისგან განუყოფელ მეტაფორად». პ. პეტერსი უარყოფს სირიულ ვერსიაზე დამოკიდებულების პიბოთეზას. «სიტყვის მკერავს» იგი იღებს არაბულის არასწორი წაკითხვის შედეგად²².

აკად. კ. კეკელიძის დასკვნით, სიტყვების აღრევას ეხება საქმე, წარმოშობილს «შესაფერ არაბულ სიტყვაზე დიაკრიტული ნიშნების ვალსმ. ვაღმოსმით»²³. «ბალავარის სიბრძნის» ქართულ და ბერძნულ ვერსიათა ურთიერთნათესაობის, უფრო ზუსტად, იბერიელთა ენიდან ბერძნული რომანის გადათარგმნის ერთ-ერთი საბუთი, აკად. სიმ. ყაუხჩიშვილის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ «სიტყვსა მკერვალის» თუ «სიტყუათა მკერავის» შესატყვისად ბერძნულ ტექსტში იკითხება *ἔμψυον* *ἔμψυον*, ხოლო არაბულ ვერსიაშიც ლაპარაკია სიტყვით სიტყვის კერვაზე; უნდა ვიფიქროთ, «მკერვალი» დაქარაგმებულ იქნა—მკრლი, ხოლო ბერძნული ვერსიის ავტორმა, რომელსაც ხელთ ჰქონდა ქართული «ბალავარიანი», წაიკითხა «მკურნალი» და გადაიტანა როგორც *ἔμψυον*²⁴. «ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში» ავტორი ითვალისწინებს მეორე შესაძლებელ ახსნასაც: მკერვალი←მკრლი←მკურნალი (*ἔμψυον*)²⁵.

აკად. შ. ნუცუბიძის მონოგრაფიის მიხედვით, რომელიც მიუძღვნა «ბარლამისა და იოსაფის» რომანის წარმოშობას, «სიტყუათა მკერავი» გაჩნდა დაქარაგ-

მებული სიტყვის მცდარი წაკითხვის გამო. მკრ^რვი ქართველ გადამწერს გაუხსნია «მკერავად», ნაცვლად «მკურნავისა», «მკერავი» კი, აკად. შ. ნუცუბიძის სიტყვით, ძნელად ასახსნელი შეიქმნა. ქართული ტექსტის მეტაფრასტს თითქოს არ გაუმეორებია გადამწერის შეცდომა და ბერძნულად დაუწერია *Μεραμαστρεζ ταν κρηματταν*. მიჩნეულია, რომ არაბული ტექსტის საშუალებით საკითხი არ გადაწყდება²⁶.

მკელევარი რ. თვარაძე ვამორიცხავს «ქარავმის... მცდარად წაკითხვისა და აქედან მომდინარე შეცდომის ყოველგვარ შესაძლებლობას»²⁷. ქართულსა და არაბულ ვერსიებში დადასტურებული «სიტყვის კერვა, კერვა» კონტექსტობრივად არათუ გაუმართლებელი არ არის, საეხებით ბუნებრივია. სხვა საკითხია, რომ სიტყვის მკერვალი შეიძლება კურნავდეს. არისტოფანე პირდაპირ ათქმევინებს ესქილეს: სნეულებათა განკურნებას და წინასწარმეტყველებას გვასწავლიდაო მუსესოსი (*ἐξᾠαῖσι δὲ τῆς νόσων καὶ γρηγορίαις*)²⁸. ვფიქრობთ, მკურნალობა «ბალავარიანში» ნაგულისხმევი მნიშვნელობით სწორედ «სიტყუათა მკერავს» შეეძლო, სიტყვის მმსახურებელს (*Μεραμαστρεζ*), — იმას, ვინც მისწვდა სიბრძნეს, ძველი ინდოელი რიშისა არ იყოს, «უკან დგომით, მივრამ სხვაზე უმჯობესად ხედვით».

პროფ. ი. აბულაძის დაკვირვებით, კერვა და მკურნალობა მთლიანდება. განსამარტებლად მოტანილია «რაფსოდი» (*ῥάψωδον, ῥῆψ*)²⁹.

უფრო ძნელი წარმოსადგენია, არაბულ ტექსტშიც და ქართულშიც სიტყვათა მკერავი თუ მკერებელი, ხატოვანებით დატვირთული, შემთხვევით გაჩენილიყო, ვიდრე ის, რომ ბერძნული ვერსიის ავტორს ინტერპრეტაციული თარგმანი მოეცა.

არსებობს თუ არა საფუძველი, ქართული „გალობა“ სიტყვის (არ ფარავს „თხზვას“) ეტიმონი გავხსნათ როგორც ქსოვა, კერვა ან წნვა. ქართულ ენაში გვაქვს ლექსიკური ერთეული „გალა“. უძველეს წერილობითს ძეგლებში მას ვერ მივაკვლივთ. „გალა“ არ ჩანს აღნუსხული „გეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო მასალებში. საბასთან ვკითხულობთ: „გალა მხალი დაწნული გასაქმობლად“. „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“ სწერია: „გალა (გალისა) გასაშრობად და შესანახად დაწნული ბოსტნეული ან ხილეული (უმთავრესად ხახვი, ნიორი, ღოღო და მისთ.)“. აქვე მოთავსებულია ზმნისართი „გალა-გალა ვალეზად ასხმული. ლკუთხ. (ქიზ). გუნდ-გუნდად, ჯგუფ-ჯგუფად, მწკრივად“. ქიზიურ მეტყველებაში „გალა“ აქტიურ ხასიათს ინარჩუნებს.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ „გალობა“ და „გალა“ (წნული) ერთი ძირიდან მომდინარე სიტყვებია და სწორედ „გალასთან“ კავშირი ნათელს ხდის „გალობის“ პირველად მნიშვნელობას.

იოანე პეტრიწის შრომებში რამდენჯერმე გვხვდება გამოთქმა „უგალობა სიტყუამან“: „გესმნეს, მ გამგონეო, რამეთუ ყოველთა მზიარებელთა პირველ პირველი არსი და პირველი მყოფი, რომელსა უგალობა სიტყუამან ნამდულ მყოფად“³⁰ და სხვ. პეტრიწის შრომებზე დართულ ლექსიკონში „გალობას“ აკად. სიმ. ყაუხჩიშვილი ასე განმარტავს: „კარგად თქმა ან დარქმევა“³¹. მ. შანიძეს XIII საუკუნეში გადაწერილი ტიპიკონის (H—1349) მიხედვით გამოაქვს დასკვნა: ფსალმუნის გალობა აღნიშნავს რეჩიტატიულ კითხვას³². საგულისხმოა, რომ ჰომეროსის მიერ ხმარებული *ἐναχαιή*, რომელიც

აღნიშნავს ლოცვას, ვედრებას, ამავე დროს გამარჯვების ძახილს და სხვ., ერთი სიტყვით, ღალადის ეკვივალენტს წარმოადგენს, გაიზრება „რადაც საშუალოდ სიტყვისა (მეტყველებას) და გალობას შორის, ე. ი. რეჩიტატივით წართქმულად“³³, ხოლო ამასთან დაკავშირებით ა. ნ. დერევიცი აცხადებს, რომ „საზოგადოდ ჰომეროსული პოემების ენამ შემოინახა კვალი სიტყვისა და გალობის თავდაპირველი გაიგივებისა“³⁴. მსგავსი კვალი წარუშლელია ქართულში, მით უმეტეს „სიტყვა მკერვალი“ ნიადაგს უმაგრებს „გალობის“ ეტიმონის როგორც წნვის გაგებას.

სიტყვის ან საგალობლის წნვა «გალობას» მაშინ უნდა გამოეხატა, როდესაც პოეტური ქმედება, გალობის-მოქმედთა ხელოვნება არ იყო მკვეთრად გამიჯნული სხვა ოსტატთა საქმისაგან³⁵. შევადაროთ ბერძნული ποιება ზმნის ფუძიდან ნაწარმოები ποιება-ს სემანტიკური ცვლილება. „ქმნილი“ შემდეგ ხელოვნისაგან, შემოქმედისაგან ქმნილის მნიშვნელობას ლეზულობს. შესაბამისად, ποιება (ქმნილი, ოსტატი) «შემოქმედის», «პოეტის» მნიშვნელობით იხმარება. ლათინური opus-ის სემანტიკაც გვიჩვენებს განვითარებას «საქმიდან», «გარჯიდან» «ხელოვნების ნაწარმოებამდე». აი, როგორია უძველესი მითოსით დაწვრილი აზრი სუბსტანციაზე, რომლისგანაც შეიქმნა კაცი. შუმერულ-აქადურთა ორენოვანი ტექსტი ვგამცნობს, რომ ეს სუბსტანცია არის სისხლი დიდი ღმერთებისაგან გამეტებულ ფეთებათა, ხუროვნების სულთა, რომელნიც, ზ. კიკნაძის დასკვნით, «უნდა ასახიერებდნენ საერთოდ ხელოვნების თუ ხელოსნობის დერიტას»³⁶. ადამიანს იმთავითვე სდგამია ძარღვებში უნარი მიწის ხნულის ან თერძულის ვაგლებისა და გალობათა მსხვერპლად აღტყვებისა.

«გალობის» ეტიმოლოგიის გასარკვევად ჩვენ სემანტიკური პარალელიზმები გამოვიყენეთ. რამდენადაც საგალობლის შექმნის ისტორიულ შინაარსს ეხება საქმე, ყურადღებას შევაჩერებთ კიდევ ერთ ანალოგიაზე, კერძოდ, ბერძნული ჰაქან-სა და ლათინური incanto-ის აზრობრივ-სტრუქტურულ მსგავსებაზე.

შუმერულს, ბერძნულს და სხვებს ღმერთები მუსიკოსებად წარმოედგინათ. მართალია, „ბალაჰვარის სიბრძნე“ აპოლონის ზეშთარსობის საწინააღმდეგოდ აღადგებს, რომ არ შეიძლება კითარის ხმაზე მღეროდეს ღმერთი³⁷, მაგრამ ქრისტიანული ხელოვნება იცნობს ქრისტე-ორფევის გამოსახულებას. სიტყვის ღვთიური ბუნების რწმენა ცოცხლობდა კაცთა მოდგმაში ნათესავით-ნათესავად. ღმერთის სიტყვა, შუამდინარული მითოსური ტრადიციის თანახმად, „ცისა და მიწის თემენია“³⁸. „რიგვედის“ ერთ-ერთ ჰიმნში, რომელიც სიტყვისათვის მიუძღვნიათ, იგი (სიტყვა) გალობს: მსხვერპლშეწირვის ღირსთაგან უპირველესი, მე ვატარებო მიტრას და ვარუნას, ინდრას და აგნის, აშენებს და სხვა ღმერთებს. ვავსებო ცასა და მიწას. სამყაროს მწვერვალზე სიტყვა შობს მამას. წყლების, ოკეანის წიაღიდან მომდინარე, გამსჭვალავს ყველა არსს და თავანით იმა ზეცამდე აღწევს³⁹.

ჰიმნური პოეზია, განვითარებული ლიტურგიკული ფორმლებიდან, თავისი ძირებით საკულტო მსახურებას უკავშირდება. (ამის თაობაზე არსებობს შ. ოტრანის სპეციალური გამოკვლევა.) უძველესი პოეტები საცერტოტალურ ფუნქციებს ასრულებდნენ. მთვარის ქურუმად იცნობენ ღრმა შუმერულზე მწერალ ენხედუნას, შუმერისა და აქადის მეფის სარგონის (შარქუნის) — ქალს⁴⁰. დიდი ჰიმნოდი ოლენი, რომელიც ითვლება ჰექსამეტრის შემქმნელად, ელინთა რწმენით, აპოლონის პირველი წინასწარმეტყველი ყოფილა და საკვირველი არ არის, რომ ჰესხიუსს «ჰიმნი» ესმის წინასწარმეტყველებად, მისნობად (χρημας)⁴¹.

ბერძნული *ჭმწა* (*ჭმწა*) *ჭა*- თავსართით, რომელიც ვინმესადმი ან რამისადმი მოძრაობას, მიმართავს აღნიშნავს, — ე. ი. *ჭა-ფმწა* — საგანგებო სიტყვაა, ჯაღოსნური ვალობის, მასთან შელოცვის, მოჯადოების, გრძნეულების, სახრვის შინაარსის შემცველი. ი. ხ. დვორეცკი კიდევ სამ მნიშვნელობას აღწერს: სამკურნალო საშუალება, სანუგეშებელი სიტყვა, გრძნეულიქალი. ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტარული ლექსიკონის მასალებში *ჭაფმწა*-სთვის დაცული ამონაწერი ფლავიოსის თხზულებიდან. *ჭაფმწა* ფორმას ქართულ თარგმანში სწორედ «სიტყუადასაბამობით» შეესაბამება „ზედღაჲმობანი.“

ბერძნული *ჭაფმწა*-ს ანალოგიურად, ლათინური *incanto*, ანუ *canto* (-1. ვმღერი, ვვალბა; 2. ვდუღდუღებ ან ავაჯით წარვთქვამ და ა. შ.)⁴². *ჭა*-ს ეკვივალენტური *in*- თავსართით აგრეთვე უმთავრესად «ჯაღოსნობას», «მოჯადოებას» გამოხატავს.

შენიშვნები და დამოწმებანი

* წაითხულია მოხსენებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიმდევარა აკად. აკაკი შანის დაბადებიდან 90 წლისთავს.

1. ასეთსავე ცვლილებას განიცდის სემანტიკურად მგერულ-ქანური ბირ- იხ. არნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა, ქანურ-მგერულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938, გვ. 254.

2. იხ. S კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 462—469.

3. შდრ. ბერძნული *ჭაψαίξ* — „სერო“, „წარბართული“.

4. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლო, თბილისი, 1960, გვ. 6.

5. ვისარგებლეთ ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დადგენი კომისიის სალექსიკონო მასალებით.

6. ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი, კალმასობა, ტ. II, კ. ქექელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 62.

7. რ ი გ ე ვ დ ა, X, 71, იხ. ამჟინზე Ригведа, Избранные гимны; перевод, комментарий и вступительная статья Т. Я. Елизаренковой, Москва, 1972, გვ. 391.

8. დ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, ქართულთა ზნეობა, ეურნ. „ცისკარი“, ტფილისი, 1864 წ. მაისი-გვ. 50.

9. ვ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, იონან ბაგრატიონის „პირველი ქართული მუსიკალური ნიმუშების შესასწავლი სახელმძღვანელო“ (XVIII ს.) და „ჭრელების ნუსხა“, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1958, № 5, გვ. 55.

10. К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия), Тифлис, 1912, გვ. 324—325.

11. А. Н. Деревницкий, Гомерические гимны, Харьков, 1889, გვ. 4.

12. G. Curtius, Grundzüge der griechischen Etymologie, 2. Aufl., Leipzig, 1866.

13. ბერძნულ *ჭაψαίξ*-ს ლათინურში შეესატყვისება *originatio* (Quint.). იხ. Древнегреческо-русский словарь, сост. И. Х. Дворецкий, Москва, 1958, s. v. *ჭაψαίξ*.

14. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 201.

15. А. Н. Деревницкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 1—5.

16. H. Frisk, Griechisches etymologisches Wörterbuch, Heidelberg, 1960, s. v. *მυθος*.

17. VI, 9. იხ. დასახ. რუს. გამოც., გვ. 104, შდრ. X, 71—იქვე, გვ. 247.

18. დამოწმებულია ა. ლუდვიგის ნაშრომი «Der Rigveda oder die heiligen Lieder der Brähmana», Prag, 1878, III, 39, რომელშიც მოყვანილი ყოფილა შესაფერისი ადგილები.

19. იხ., А. Н. Деревницкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 3, შენ. 13.

20. ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 1976, გვ. 101.
21. Н. М а р р, Армянско-грузинские материалы для истории Душеполезной Повести о Варлааме и Иоасафе, Запис. Вост. Отдел. Русск. Археол. Общ., изд. под ред. В. Р. Розена, т. XI, вып. I—IV, СПб., 1899, გვ. 61—62.
22. P. P e e t e r s, La première traduction latine de «Barlaam et Joasaph» et son original grec, Anal. Bolland, XLIX, 1931, გვ. 304.
23. კ. კეკელიძე, ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1960, გვ. 54.
24. ს. ყაუხჩიანი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 218—220.
25. იქვე, გვ. 215.
26. Ш. Н у ц у б и д з е, К происхождению греческого романа Варлаам и Иоасаф, Свердловск, 1973, გვ. 11 და შპლ.
27. რ. თვარაძე, „სიბრძნე ბალავარისი“—ორი რედაქცია, ნაკვ. I (ტექსტების შედარება), საკანდიდატო დისერტაცია, 1968, გვ. 360.
28. Βάρλαμοι, 1033; Aristophanis Comoediae, II; Oxonii, MCMV; რუს. თარგმანი იხ. Античные мыслители об искусстве, Сост. В. Ф. А с м у с, 1937, გვ. 220.
29. ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 024, 195 (ლექსიკონი, s. v. მკერავი).
30. იოანე პეტრიჭი, განმარტება პროკლესტის დიალოზისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიანი, თბილისი, 1937, გვ. 171₉; იხ. აგრეთვე 180₂₇; 192₁₂.
31. იოანე პეტრიჭი, პროკლე დიალოზისა პლატონურისა ფილოსოფიისა კავშირნი, შრომები, I, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სი. ყაუხჩიანი, თბილისი, 1940, გვ. 248.
32. მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1974, გვ. 92.
33. А. Н. Д е р е в и ц к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 8, შენ. 25.
34. იქვე.
35. სინტერესოა, რომ „თერძვა“ ძველ ქართულში ხვან-თევსას გულისხმობს. იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, s. v. თერძვა, თერძული, მთერძველი.
36. ზ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.
37. იხ. Памятники византийской литературы IV—IX веков, Москва, 1968, გვ. 307.
38. ზ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.
39. დასახ. რუს. გამოც., გვ. 252—253.
40. იხ. ზ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.
41. Hesychii Alexandrini Lexikon, Editionem minorem curavit M. Schmidt, Jenae, MDCCCLXVII, s. v. ἔμυρος.
42. И. Х. Д в о р е ц к и й, Латинско-русский словарь, Москва, 1976, s. v. canto.

Л. С. КВИРИКАШВИЛИ

ЭТИМОЛОГИЯ СЛОВА «გალობა» (galoba) И СЕМАНТИЧЕСКИЕ ПАРАЛЛЕЛИЗМЫ

Резюме

Слово «გალობა» (galoba) употреблялось в древнегрузинском языке в значении песнетворчества вообще, сопрягаемого с искусством глашения человека. Для этимологического анализа этого слова прослежены нами семантические параллели. Соображение исследователей о том, что коренное содержание греческого слова «ἔμυρος» (= песнь, восхваление) связы-

ვაება ს ტკაცკიმ მასტერსტვომ, პლენიემ, შიწებომ, ბყო ოსოვნო ნა ანტიჩ-ნომ პრედსტავლენი. კ სემუ ვრემენი რაზყსკანა ანალოგია ვ იაზყე «რიგვედყ» ი გრეჩესკომ. მი პრედპოლაგაემ, ყო «გალობა» (galoba) ი «გალა» (gala, «პლენიენი», «პლენიყ») — ეო პრისოხოდყციე ოტ ოდნო კორნი სლოვა, ი სვაზყ ს «გალა» (gala) დაეფ ვოზმოჟნოყ რასკრყყ ეტიმონ «გალობა» (galoba) კაკ პლენიენი, ტკაცკოე მასტერსტვო ილი შიწებო.

სლედ პერვონაყალნო ოთოჟდესტვლენია სლოვა ი პესნი, პესნეტვორყესტვა, პოდტვერჟდაოყყი ს ვ იაზყე გომეროვსკიხ პოემ, ნე ოტრაყენ ტაკჟე ვ გრუზინსკომ; ტემ ბოლესე ზაპეყატლენნოე ვ გრუზინსკომ ტესტე «ბალავარიანი» «სშივალელი სლოვა», ილი ყელელელი მაგიყესკოყ სლოვსნოი სილოი მუდრეყ, პოდკრეყლელეფ ნაშე პრედპოლოჟენიენი.

«გალობა» (galoba), ვიდიმო, ვყრავალე პლენიენი სლოვა, პესნი — თოგდა, კოგდა პოეტიყესკოე დეიწვო, ისყუსტვო პესნეტვორყეფ ნე რაზმეჟეფეფალესე რეზკო ოტ დეიწვო დრუგიხ მასტეროვ.

კ პონიმაიწუ ისტორიყესკოე სოდერჟანია სლოჟენია პესენ ვ სტაყე რასმორენო მყსლენნო-სტრუყტურნო სოხდესტვო გრეჩესკოე $\epsilon\pi\phi\delta\eta$ ი ლაწინსკოე incanto.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ნათელა მირიანაშვილი

 რუხი ფერის ამსახველი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში
 (ლექსიკონების მიხედვით)

ფერებს ორ ჯგუფად ყოფენ — ქრომატულ და აქრომატულ ფერებად. აქრომატულ ფერებს მიეკუთვნებიან: თეთრი, შავი და რუხი (ნაცრისფერი). უკანასკნელი წარმოადგენს გარდამავალ ფერს თეთრსა და შავს შორის და მიიღება თეთრი და შავი ფერების სხვადასხვა პროპორციით შეზავების შედეგად¹.

ფ. შემიაკინის აზრით, რუხი ფერები იშვიათად არის წმინდა. ჩვეულებრივ მათ დაჰკრავთ სიყვითლე ან სილურჯე, რის გამოც წარმოადგენენ ნაკლებ ინტენსიურ ქრომატულ ფერებს².

აქრომატულ ფერებს ქრომატულებისაგან განსხვავებით მხოლოდ ერთი მთავარი თვისება აქვთ — ნათელობა.

ნ. რუდინი თვლის, რომ მთლად გამართლებული არ არის თეთრს, შავსა და რუხს ფერები ვუწოდოთ თუნდაც იმიტომ, რომ თვით სიტყვა „აქრომატი“ ბერძნულად ნიშნავს „უფერულს“, ე. ი. მათ არ გააჩნიათ ფერი. ამიტომ გამოთქმა „თეთრი, რუხი და შავი ფერი“ პირობითად უნდა ჩავთვალოთ და არ უნდა გავიგოთ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით³.

აქრომატული ფერი უამრავია, მაგრამ თვალს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა შეუძლია განასხვავოს. ზოგიერთი ავტორის აზრით ეს რიცხვი 300 უახლოვდება⁴, ზოგიერთის აზრით კი — 600 აღემატება⁵.

რუხი ფერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს გარდამავალ ფერს თეთრსა და შავს შორის.

«Серый—цвета, получающиеся из смешения черного с белым; цвета золь». (ССРЛЯ, X III).

Серый-ს ქართულში შეესაბამება რუხი, ლეგა, ყომრალი და ნაცრისფერი.

რუხი — თეთრნარევი შავი, მუქი ნაცრისფერი, — ლეგა. (ქეგლ, VI).

ყომრალი — მუქი ნაცრისფერი, — „ლეგა“ (საბა). (ქეგლ, VII).

ლეგა||ლეგო — მუქი ნაცრისფერი, — რუხი, ყომრალი. (ქეგლ, IV).

ნაცრისფერი — რაც ფერით ნაცარს მოგვაგონებს, — რუხი, ლეგა.

(ქეგლ, V).

ნაცრისფერი, ჩვენი აზრით, უფრო ღია ფერია. ამის დასაბამებლად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდიდან: „ექვესი ნახვრეტიდან თეთრი ნაცარი გამოდის“. (თ. რაზიკ.); „მთელი სამკაული გამოქვამულს სახავდა. გარე მხარე დაუწმენდელი ნაცრის ფრის ვერცხლესა იყო“. (ნ. ლორთქ.). „სახეზე ნაცრის ფერმა გადაჰკრა (ოთარს)“. (გ. წერ.). „ბახვამ დაუკოცნა (ესმას) ნაცრის ფრად ქცეული ტუჩები“. (გ. წერ.) „ისედაც ფერმიხდილ ვოგოს მთლად ნაცრის ფერი დასდებოდა სახეზე“. (ვ. ბარნ.) „ფერფლის, ნაცრის ფერი აქვს ყველაფერს“. (გ. ტაბ.). „მოსული-

ერდა, ნაცრად ქცეულ ლოყებზე სიწითლემ აითამაშა“ (შ. არაგვ.) „ნაცრის-ფერი თვალები, გრილნი, მეტად მკრთალები“. (რ. ერისთ.).

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ნაცარს განმარტება აქვს: „ცეცხლის ფერ-ფლი თეთრად დამიწებულნი“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულ ენაში არსებობს სიტყვა зольный, რომელიც შინაარსით ნაცრისფერისთვის თითქოს უფრო ზუსტი შესატყვისი უნდა ყოფილიყო: «Голова у дрофы и шея какого-то пепельного или зольного цвета. Акс». (ССРЛЯ, IV).

მაგრამ ნაცრისფერის პირდაპირი შესატყვისი მაინც серый არის. ეს შეპირობებულია იმით, რომ თვით зольный — ფუძის ხმარების არე რუსულში ძალზე შეზღუდულია.

ნაცრისფერთან შედარებით რუხი, ლეგა და ყომრალი რომ უფრო მუქი ფერებია, თარგმანებიდანაც ჩანს. მათ შესატყვისად გამოყენებულია темно-серый, темный და черный-ც კი:

„პალიასტომზე შხაპუნა წვიმამ ლეგა მტვერივით გადმოიარა, თანდათან აქეთ მოიწვედა“. (დ. შენგ.).

«(Ливень) прошел над озером Палеастомн, похожий на темно-серую тучу пыли, и стал быстро приближаться».

„თიხის ლეგა ჭურჭელი სამთავროს ბრინჯაოს ხანის სამარხიდან“. (ს. ისტ.).

«Глиняный кувшин из Самтавро темно-серого цвета. Бронзовый век...».

„სამოდ შრიალებდნენ რუხი ცაცხვები“. (ლ. მრელაშვ.).

«Не по-осеннему густо желтели темные липы».

„წალამი... ყომრალ ბოლს უშვებდა და მტრების შემოსევას ამცნევდა და ნარჩენ მოთვალთვალე ციხეებსა და ჯიხურებს“. (ა. ბელ.).

«Лозы давали дым черного цвета, и это возвещало о появлении врага»⁷.

ეს ფუძეები ხშირად თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს: „არა მოჩანდა-რა ყომრალი ნახდის მეტი, რომელიც ცას გადაჰკროდა“. (შ. არაგვ.). (სვიმონ-მა) „თავით ფეხებამდე ჩაათვალეირა ვანიკოს უშნო ჩაჩულია ტანი და ცხვირ-პირი, იმისი ჭუჭყიანი ყომრალი ჩოხა“. (ეკ. გაბ.). „უკან გაუდგა ლაშქარსა ფეხმარდი, ლეგის ჩოხითა“. (ვაჟა). „რომელიც წინ მოდიოდა, ის იყო პირხმე-ლი ჰალარა კაცი. მას ეცვა რუხი ჩოხა. (გ. წერ.). „თინათინმა... ჩააცვა ნაც-რისფერი მაუდის შარვალი“. (ე. ნინოშვ.). (გრიგოლს) „ტანთ ეცვა... ყომრა-ლი განიერი შარვალი“ (ეკ. გაბ.) „ნაცრისფერი, მოკლე კაბის ქვედაწეული ეცვა“. (ნ. ლორთქ.). „ლეგას ტოლომანს გვაძლევენ, ჩექმასა კამბეჩისასა“. (ვა-ჟა). „ვინ ნაღვლობს მუშისა და გლეხის რუხ შინელსი“ (გ. ტაბ.). „ნაცრისფერი ხალათი წელს ზევით გახსნოდა“. (გ. ჩიქოვანი). „არ შევენატრი ყომრალ ღრუ-ბელს, ცას რომ ფარავს ფრთა-ტივტივა. (გ. ტაბ.). „ყომრალ ღრუბლებში, ორიოდე წამით მიმსგავსებული ცისფერ ფაიფურს, სიღრმით სინათლე მოიჭრა ღამით, რომ ისევ ყომრალ ფრთით დაიბუროს“. (გ. ტაბ.) „სეტყვის ღრუბელი აღვილი საცნობია: იმას აქვს თეთრი ან ყომრალი ფერი“. (ი. გოგებ.). (ბაჭიას) „თავი უჭირავს ამაყად... აღარც მთის არწივსა ჰხედავს, არც ლეგა ღრუბლებს ცაზედა“. (შ. მღვიმ.). „მზე ხანდახან ლეგა ღრუბლებს ეფარება“. (რ. გვეტ.) „რუხი ნისლეხის ნამჭერებში ცეცხლი ენთება, ვით აფეთქება ჩუმი და მკვდარი“. (გ. ტაბ.). „მკვეთრი ხმით დაიძრა მესამე დღე რუ-

ხი“. (გ. ტაბ.). „ღრუბლიანი დილა იყო, რუხი და სევდიანი, როგორც შემოდგომაზე“. (არ. ჭუმბ.). „ნაცრისფერ, ცივ საღამოს... ცა მოღრუბლული იყო და კოკისპირულ წვიმას აპირებდა“. (ჩ. დიკ.). „ჯერ შემოიხვევს ნაცრისფერ ბურუსს, შემდეგ ატირდება“ (შემოდგომა). (ჭ. ლომთ.). „ნაცრის ფერს ცაზე ფერ-მიხდილი მთვარე ზანტად მიიზღაწენებოდა“. (ნ. ლორთქ.).

დ. შენგელიას აქვს ნახმარი ყომრალისფერი: (მთები)... „გულში ეკიდნენ თავღალმა თავისი მძიმე ყომრალისფერი ნისლებით“. (დ. შენგ.).

ცხოველების მიმართაც ყველა ეს ფუძე თანაბრად იხმარება: „ნაცრისფერი ცხოველი ამოიჭრა“. (ს. მთვარ.). (ძერა) „მუქი ნაცრისფერი იყო“. (ლ. ქიაჩ.). „უმთავრესად გავრცელებდა კავკასიური გრძელხორთუმიანი ნაცრისფერი ჯიშის ფუტკარი“. („კომუნისტი“, 1950). „დაინახა მოხუცმა, რომ ვილაცის ჭრე-სი კატა სიბნელეში ჩაინთქა, რომ მისი ხატაურა, ყომრალი, გრძელ ბალნიანი არ იყო და... ხელები ჩამოუცვივდა“. (შ. არაგვ.). „ერთ წეროს დასჯდომოდა რაღაც დიდი, ლევა ფრინველი“. (ვაჟა). „უზარმაზარი ლევა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემსკენ“. (ვაჟა). „ეს იყო მისი გუნება, იყო ამგვარის ზნისსო, კოტორაშვილი ივანე, ლევა მიმინო მთისაო“. (ვაჟა). (ჯგუფს) „თათარი მოუძლოდა ქურთული ლევა ყოჩით“. (ვ. ბარნ.). „მამამ უპასუხა ტოკას... იმიტომ, მაგრე დარჩი და შაჟექ ლევა ვირზედა“. (ბაჩ.). „დაცხა, რქიანი ლევა ლოკოკინა შეიკეტა თავის ციხე-დარბაზში“. (თ. რაზიკ.). „ლევა, მიხრწნილი სიმშლით მგელი, მიეფარება ნანგრევთა გვერდზედ, (ვაჟა). „ან რა ბედენაა, რომელი მგელი შემჭამს, რუხი თუ შავი“. (მ. ჭავჭავ.). „რუხი მგელი“ ზედ გამოჭრილი სახელია ავთანდილისა, — თქვა ქულაჯიანმა». (გ. წერ.). „შუა ქუჩაში, ტლაპოში გაჭიმულიყო რუხვი დიდი ნეწვი ღორი“. (ნ. ლორთქ.). „ნამდვილი რუხი მგელივით მოწანწალებს“ (მებატონე). (გ. წერ.).

რუხ ფერთაგან ადამიანის მიმართ მხოლოდ ნაცრისფერია გამოყენებული (იქნება ეს თვალის თუ სახის ფერის აღნიშვნა): „ერეკლე თეთრ-ყირმიზი სახისა, მიხნედილი ნაცრისფერი თვალები აქვს“. (ალ. სუმბათ.). (გაბროს) „ნაცრისფერი კეთილი თვალები, რაღაც მეგობრულ თანაგრძნობას იწვევდა უცხო ადამიანისას“. (ეკ. გაბ.). „ჰოროლს, შუბსა და ისარს კი მისი ნაცრისფერი მომცრო თვალები შორიდანაც კარგად არჩევდა“. (შ. დად.). „გულზეიადს, ელდანაცემსა პირს ნაცრისფერი სდებოდა“. (ვაჟა. ქეგლ. V). „მოსულიერდა. ნაცრად ქცეულ ლოყებზე სიწითლემ აითამაშა“. (შ. არაგვ.). „დედა გაყვითოლდა შიშით, დას ნაცრის ფერი დაედვა“. (აკაკი). „გურგენმა მერე მოიხმო... მოვიდა ნაცარივითა“. ფერ-გონი გამოჰლეოდა შავეთში ნატარივითა“. (ვაჟა). „ზღაღოჩინი... გაფითრდა, ნაცრისფერი დაედო სახეზე“. (ილია). „თეთრს პირის კანს უღიმღამო ნაცრისფერი გადაეფარა“. (ნ. ლორთქ.).⁸

როგორც ვხედავთ, სახის მიმართ ნაცრისფერი ისეთ კონტექსტებში გვხვდება, როგორცაა: ნაცრისფერი დაედო, დასდებოდა; ნაცრად, ნაცრისფრად ქცეული; ნაცრისფერი ელო; ნაცრისფერი გადაეფარა; ნაცრისფერმა გადაჰკრა და სხვ. ე. ი. ჩვეულებრივ, ძლიერი განცდით გამოწვეულ სახის ფერის შეცვლაზე მიუთითებს და გაფითრებულის სინონიმია. რუსულში კი серое лицо შეიძლება მიუთითებდეს როგორც გაფითრებულ სახეზე, ისე საერთოდ ასეთი ფერის სახეზე: «Из глаз Кузяря капали слезы. Но он улыбался дрожащей улыбкой и лепетал, весь серый от пережитого ужаса». (Гладков. СРЯ, IV). «На крайней скамье гранитной набережной сидел, сгорбившись, человек... с серым, землистым

лицом». (Сераф.). «Как же мне землей не интересоваться? Я через нее **серый стал**, брат, ослеп» (Бунин. ССРЛЯ, XIII).

უკანასკნელ ილუსტრაციებში **серый** **землистый-ს** (და არა **бледный-ს**) სინონიმია.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს **посереть-ფუძეს**: «стать **серым**; приобрести **серый, землистый оттенок**»: «**Лицо** у него совсем **посерело**, кожа стала сухая, словно у неживого». (Герман. ССРЛЯ, X). («Игнат» был по пояс забрызган грязью, **лицо** у него **посерело**, глаза ввалились». (Горьк. СРЯ, IV).

Лицо посерело შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ სახემ დროთა განმავლობაში საერთოდ ასეთი ფერი მიიღო, ასეთი ფერის ვახდა, და იმასაც, რომ ასეთი ფერი რაღაცით არის გამოწვეული და დროებითია. განსაკუთრებით ნათლად ეს ბოლო ფრაზიდან ჩანს, სადაც ეს ფერი შეიძლება იყოს გამოწვეული დალილობით, მტვერით ან ჭუჭყით, რის დასაზუსტებლად უფრო ვრცელი კონტექსტია საჭირო.

Посереть- ფუძე გვხვდება ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: посереть от злости, волнения, боли⁹ и т. д.: «Рубцов изумился до немоты, потом **посерел от злости** и стал дико ругаться» (Горьк. ССРЛЯ, X).

რუსულში **серый-ფუძეს** ქართულსაგან განსხვავებით აქვს შემდეგი გადატანითი მნიშვნელობები:

1. უფერული, უღიმღამო: «Въезд в какой бы ни было город... всегда как-то бледен; сначала все **серо** и однообразно: тянутся бесконечные заводы да фабрики». Гог. «Природа, лелеявшая детство Багрова, была богаче и светом, и теплом, ... нежели бедная природа нашего **серого** захолустья». (Салт. ССРЛЯ, X III). **Серое** существование — უფერული არსებობა (რქლ, III). **Серая** жизнь — უფერული ცხოვრება (უნ.) **Серый** человек — უფერული ადამიანი (რქლ, III). **Серый** день — უღიმღამო დღე (რქლ. III).

2. გაუნათლებელი, უკულტურო (ადამიანი): «Человек я **серый**, неученый, как есть неотесанная деревенщина». (Печер.) «Насколько мужик ни **сер**, а ум у него еще никто не съел. **Стал** луч света доходить и до мужика». (Скитал. ССРЛЯ, X III). **Серый** мужик — გაგრაო, ტეტა გლეხი (უნ.).

Серый მიუთითებს აგრეთვე უბრალო, არაპრივილეგიურ კლასზე: «За сплошной пеленой бурана шли бесчисленные толпы... бабы, мальчишки — **валила серая**, коренная Русь» (А. Н. Толст.). «Из этого коридора шли двери... в черную избу, в которой останавливались подводчики и прочий **серый** люд» (Салт. ССРЛЯ, XIII).

Серый, серая არსებითი სახელის მნიშვნელობით მიუთითებს ამ ფერ ცხოველზე (ცხენზე, მგელზე, კურდღელზე): «У подъезда стояла великопепная пара **серых**, запряженная в коляску». (Салт.). «Вцепился пес зубами в волчью шею и наземь **Серого** свалил. (Михалк. ССРЛЯ XIII). Затравили **серого** (Уш. IV).

საერთოდ **серый** ფერისდა მიუხედავად მგლის მუღმიე უპიეთტად იხმარება (რუხი იქნება ის თუ ყავისფერი).

Серый გვხვდება ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: **серая** бумага — რუხი ქაღალდი (უნ.) დაბალი ხარისხის ქაღალდზე ითქმის; **серое** сукно — უეთერებელი მუღდი;

7. მა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 4

серые щи—კომბოსტოს გარე, მწვანე ფოთლებისაგან დამზადებული შჩი; серое вещество — რუხი ნივთიერება; серый хлеб—რუხი პური, თაღნი პური.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით რუხი ფერის ჯგუფის წევრებია: თავისფერი, კვამლისფერი//კვამლოვანი, კურდღლისფერი (პოეტ.), ლევა // ლევო, ლემანი // ლემანა, ლიბრედი, მგლისფერი მიწისფერი, მხე//მხიე, ნაცრისფერი, ეღალი, რკინისფერი, რუხი, სისვი, ტყვიისფერი, ფვრო, ქიხორი, ყომრალი, შავლევა // შავლევი, წყლისფერი, ხვლიკისფერი.

რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით გამოიყოფა: водянистый, грязный, дикий, дымный//дымчатый, железный, землястый//земляной//землянистый, зольный, маренго, мышинный//мышастый, оловянный, пепельный // пепловый, свинцовый, серый, сивый, смурый, стальной.

ეს ფუძეები თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით ქართულიდან რუსულში და რუსულიდან ქართულში გადაიციმა: 1. პირდაპირი შესატყვისით, 2. აღწერითი თარგმნით, 3. აზრობრივი შესატყვისით, 4. განსხვავებული აგებულების ფუძით, 5. ნასესხები ფუძით.

1. პირდაპირი შესატყვისი. კვამლისფერი // კომლისფერი // კვამლოვანი: „ფისის თვალუკა დამწიფებულ ხელუხლებელ ქლიავსა ჰვავს, კომლისფერი ნაზი ქინქლით დაფარული“ (ა. ჭუმბ. თარგმ). (ქეკელ, IV)—дымчатый (о цвете); дымчатого цвета (დათ). «ჩა лавке сидел дымчатый кот..., щурясь, косился на дела. «(Невер.)» Сам он (щегол) весь пестрый, темносерый, как будто дымчатый или пепельный». (Акс. ССРЛЯ, XIII).

უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე სალიტერატურო რუსული ენის ლექსიკონში გვხვდება კიდევ ერთი ფორმა дымный: «Друг, посмотри, как в равнине небесной дымные тучки плывут под луной». (Блок.) «Когда же облако закроет солнце, то воды, смотря по цвету облака, или бледнеют, или синеют, или кажутся дымными». (Жук. ССРЛЯ, XIII).

მიწისფერი—землистый (цвет); земляной цвет (დათ.) «Вследствие непосильной работы и худого питания девушки очень часто недомогали, и все имели уныло заспанный вид и землястый цвет лица». (Салт. ССРЛЯ, IV).

«(Александрова) была среднего роста, худая, лицо земляного цвета, кожа рябоватая и в морщинах». (Панаева). «Худое, изрытое лицо земляного цвета, оживлялось серыми, быстрыми глазами». (Григор. ССРЛЯ, IV).

რუსულში ამ მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე მოძველებული ფორმა землянистый: «Лицо старухи изб орождено глубокими морщинами, кожа почернела, имеет как бы землянистый оттенок». (Вовчок.) «Потом озера заплыли толстою землянистою пеленой, которая поросла мхом...» (Акс. ССРЛЯ, IV).

ნაცრისფერის მსგავსად მიწისფერი სახის მიმართ ისეთ კონტექსტებში გვხვდება, როგორცაა: მიწისფერი დასდებოდა, მიწისფერი ეღება, მიწისფერმა გადაჰკრა, მიწისფერ გადაკრული და სხვ. ე. ი. დროებით, მომენტალურ ფერზე მიუთითებს, შიშით იქნება ის, სიბრაზით, აღელვებით თუ სხვა რამით გამოწვეული:

„როცა სასამართლოდან გამოვიდა როსაფი, მიწის ფერი ეღო“. (გ. წერეთ. ქველ, V). „სულ გაფითრებულიყო ჩემი დეიდაშვილი, მიწისფერი დასდებოდა ალექსებისაგან“. (ედ. ყიფ.). „სათითურივით მოგრძო თავზე ოფლი მარცვალ-მარცვალ აჯდება და მრგვალ ლოყებზე აყალო მიწისფერი ედება“. (რ. გვ.). „კარი გაიღო და გამოჩნდა მიწისფერ გადაკრული ეფროსინე“. (კლდ.). „მიწისფერი გადასდებოდათ მეაბჯრესა და მალემსრბოლს“. (კ. გამს.). „მამამზეს მიწისფერმა გადაჰკრა, სპასალარი შემოვიდა, ხელგაკოჭილი ტუსალი ფეხზე იდგა“. (კ. გამს.).

ამგვარ კონტექსტში მიწისფერი გაფითრებულის სინონიმია და მასწმეიდლება შეესატყვისებოდეს (по) бледнеть: «მექის მიწისფერი დაედო სახეზე, ესწუთი რომ გაახსენდა». (კ. ლ.). «Вспомнив эти взгляды, Меки побледнел». თუმცა побледнеть - ფუძეს არ აქვს ის ექსპრესიული ელფერი, რაც ქართულ გამოთქმებშია.

სხვა შემთხვევებში მიწისფერი რუხის სინონიმია: „დედამ და შვილმა ორივემ მიწისფერი ვირჩიეთ“. (ე. ნინოშვ.). „ვინ იტყვის შენს მეტი, მიწისფერს იისფერი ჯობსო“. (ე. ნინოშვ.). „მიწისფერი ჩითი კი ვარდის სახე ლაქვარდი ყვაილებით იყო მოპებულელი“. (ე. ნინოშვ.). „დაგოგმანობდნენ მიწისფერი დედლები, ამაყად დასრიალებდნენ ლამაზ ყელყურიანი მამლები“. (ს. იორამ.). „ადარ სჩანდა მთვარე, მიწისფრად გამხდარ ღრუბლების ხსულეებში“. (კ. გამს.). „და მიწისფერად ჩანდა ნაცარი“. (გ. აბაშ.).

ტყვიისფერი: „გადაულეებლად... წვიმს და წვიმს, ცას ტყვიისფერი ღრუბელი მოსავს“. (გ. ტაბ.). — «და აი, პარიზის მუშათა უბანი... ცა ულიმდამო და ცა ტყვიისფერი.» (ან. კალანდ.). — свинцовый (о цвете); свинцовый цвет. «ტყვიისფერი ღრუბელი — свинцовая (свинцового цвета) туча (დათ. III). «Свинцовое небо, исполованное хребтами сизых туч, сеяло мелкий, реденький дождик». (Григор. ССРЛЯ, XIII).

3-ტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში свинцовые тучი გადატანილი მნიშვნელობით თარგმნილია როგორც შავი ღრუბლები.

რკინისფერი — железный, железного цвета (დათ.). მართალია, ლექსიკონების მიხედვით რკინა არის მოვერცხლისფრო ლითონი¹⁰ და, შესაბამისად, რკინისფერიც ასეთ ფერს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდში მოყვანილია ილუსტრაციები: «ინგლისელებო, მაგ ძვირფას ფარჩას ვისთვის ამზადებთ, ვისთვისა ჰკერავთ და შავს რკინასა მიწის ჯურღმულში ვისთვისა სჭედავთ, ვისთვისა ჰფერავთ?!» (ირ. ევლოშვ.). «უცებ შემკრთალი ღამე უახლოვდება ქუჩას. განწირულების წამი! ფერი რკინის და თუჯის.» (გ. ტაბ.). „ფერით რკინა, კისერ ჩაჟანგებული (მუშა). (გრ. ორბელ.).

როგორც ვხედავთ, რკინის ფერი შედარებულია შავ ფერთან, თუჯის ფერთან. ეფიქრობთ, ის უბრალოდ მუქ ფერს, რუხ ფერს გულისხმობს.

რუსული სალიტერატურო ენის 17-ტომიან ლექსიკონშიც железный цвет серебристый-ის გვერდით განმარტებულია როგორც синевато-серый: «Даже его волосы, крутые, тяжелые, зачесанные, как у молодого Горького, крыльями, были серовато-синие, железного оттенка». (Катаев). «Скат (оврага) был угрюмо голый, железного цвета». (Горьк. ССРЛЯ, IV), სადაც აგრეთვე რუხი ფერი უნდა იგულისხმებოდეს.

ზემოთქმულმა საშუალება მოგვცა რკინისფერი რუხი ფერის ჭვეთში შეგვეტანა და **железный-ს** სრულ შესატყვისად მიგვეჩნია. მაგრამ ისინი ყოველთვის ვერ გამოდგებიან ერთიმეორის სრულ შესატყვისად, რადგან რუსულში **железный цвет** შეიძლება თმის მიმართ იყოს ნახშირი: «Его крошечное личико совершенно исчезло под целой громадой седых, железного цвета волос». (Тург. ССРЛЯ, IV). «Наконец появился на деревне ратник Цыган, весь зарос железной бородой, глаз выбит, рубаха, портки сгнили на теле. (А. Н. Толст. СРЯ, I).

ასეთი ხმარება ქართულისათვის ბუნებრივი არ ჩანს და, შესაბამისად, თარგმანიც ალბათ განსხვავებული ექნება. ჩვენი აზრით, აქ უბრალოდ ჭადრა, ჭადრააშერთული თმა ივლისსმება, შეიძლება უფრო მუქ თმაში შერეული ჭადრა. ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოყვანილ ილუსტრაციაში: «ფარებისაგან შეკრულ საკაცით ძლივს გაიყვანეს მეფე დაჭრილი... /რკინისფერ სახით ახლდნენ მხლებლები, თითქოს გულს ჰქონდათ შუბი გაჩრილი“. (გ. ლენ.) რკინისფერი მიწისფერის სინონიმი და ამ შემთხვევაშიც, ვეჭვობთ, აზრობრივი შესატყვისით (ან სინონიმით, მაგ., **землистый, серый**) უნდა გადაიკეს.

Стальной: «Усы он остриг щеткой, голову — бобримом, и кожа просвечивала в его коротких стальных волосах». (Бунин.) «Теперь она была одета в легкое широкое платье стального цвета». (Горьк. ССРЛЯ, XIV)—ფოლადისფერი (უნ.), ხოლო ჩუღკი **стального цвета** ნაცრისფერი წინდები (რქლ). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არც ფოლადისფერი იძებნება.

ამავე ჭვეთში განვიხილავთ ამა თუ იმ ფერის ნაკლებინტენსივობის აღმნიშვნელ სიტყვებს, რომლებიც ქმნიან თავისებურ დანამატს. ასეთებია: მორუხო, წარუხო, მონაცრისფრო||მონაცრისფერი, მოლეგო: «თამაზმა ცხენი იყიდა, წარუხო ჰქონდა ფაფარი». (ხალხ.). «ყოში შემოგვდებდა, გალავნით დაცული, მონაცრისფერო და კედელსუერიანი». (ი. ნონეშვი.).

რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით გამოიყო ერთი შესატყვისი—**сероватый**: «Вот порох струйкой сероватой на полку сыплется». (Пушк.) «Борода его, прежде каштановая, стала теперь сероватой». Скитал. ССРЛЯ. XIII).

2. **აღწერილი თარგმანი. თავისფერი** — **темносерый** (დათ. III). ჩვენი აზრით, თავისფერისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სრული შესატყვისი-**мышинный**: «Писарь, одернув мышинный мундирчик, проводил Стеценко в кабинет». (Фадеев.) «Волосы у него были мышинного цвета и не в меру густы». (Бунин. ССРЛЯ, VI).

ამ ფერის ცხოველზე იხმარება ფორმა **мышастый**: «Из-за угла выскочили два огромных молодых корноухих дога мышастого цвета». (Купр.) «Это был конек теперь неопределенной мышастой масти, но в будущем непременно вороной или караковый». (Эртель ССРЛЯ, VI).

ფერო—«თეთრსა და შავს საშუალი» (საბა), რუხი (ქეგელ, VII)—**темносерый**; სამღუთო წერილში: ჰრელი **пестрый, пелесный** (დ. ჩ.), **пелесый** (ბ. ჩ.). ეს სიტყვა მოძველებულია, ქეგელ ფონდში არც ერთი ილუსტრაცია არ გვხვდება.

შავლია // **შავლევი** აღნიშნავს «ძალიან მუქ ლეგას»: «შავლეგ ცხენსა მოაფრენდა ვიწროსა და ავსა გზასა». (ხალხ.); ვადატანით შავგერემანზე ითქმის:

«მთაში მწყემსებთან ასვლა იცოდა **შავლეგა ბიჭმა**». («ახ. კომ.»)—1. **темно-серый, 2. смуглый** (დათ. III). შავლეგას მნიშვნელობით უხმარაათ აგრეთვე შავლეგო¹¹: «ჩვენც ხომ იმათი მოდგმის ვართ, მათი **შავლეგო ფერი გვძეგს**». (ი. ნონეშვი.).

Пепельный—ნაცრისფერი (ჩუბ.), ნაცრისფერი, მონაცრისფრო, ნაცარა. **Пепельный цвет** ნაცრისფერი, **пепельные волосы**—მოვერცხლისფრო თმა (რქლ).

Пепельный-ს მოეპოვება სრული შესატყვისი—ფერფლისფერი: «მკრთალი, მიმქრალი სახე, მიტაცებულ-მიბზნედილი თვალები, თითქმის **ფერფლისფერი ხუჭუჭი თმა** ჰაეროვან შეხედულებას აძლევდა გოგონას.» (ვ. ბარნ.). «**ფერფლის, ნაცრის ფერი აქვს ყველაფერს.**» (გ. ტაბ.). «ამასთანავე მის ზედაპირზე რალაც უცნაური ნივთიერება მოჩანდა **ფერფლისფერი**». (ჩ. დიკ.).

Грязного цвета უნივერსიტეტის ლექსიკონში (1937 წ.) თარგმნილია: მღვრიე—რუხი (ფერი). ხომ არ გამოგვეყენებინა **ტალახისფერი, ჭუჭყისფერი**, რომლებიც, მართალია, არ გვხვდება ლექსიკონებში მაგრამ ამგვარი წარმოება დამახასიათებელ აქართული ენისათვის. მით უმეტეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდში გვხვდება შემდეგი ილუსტრაციები: «მინებს მკვარტლისა და მტერის ფენა ედო და ღრუბლები **ტალახისფერი** ჩანდა». (ო. იოს.). «სულ არ ეხამება ერთმანეთს ასე გაღიმებული მზე და **ტალახისფერი** რიონი.» (ა. გეწე.). «ქვიშის გრივალში ჩემს მოძმეებს **ტალახისფერი** სდიოდათ ცრემლი—უკულმართი იღბლის სიმბოლოა». (ტ. ბებურიშვი.). «...მთელი ქალაქი **ტალახისფერ** ნიადვარს დაეფარა». (ო. ქილი.). «ზღვის განაპირა ზოლი **ტალახისფერი** იყო.» (თ. მალაფ.). «ნაპირიდან ხედავდნენ როგორ ებრძოდა გურამი უზარმაზარ, **ტალახისფერ** სტიქიას...» (ნ. წერეთ.). «მკვირივი სიმსუბუქით, თითქოსდა ეს-ესაა, ძველისძველ დროყამისაგან **ჭუჭყისფერად** ქცეულ კედლებს გამკვირვალეს გახდისო». (ლ. ბრეგვი.).

Смурый თანამედროვე რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით არის **темно-серый, темнобурый** (Уш., IV; ССРЛЯ, XIII)¹². შესაბამისად, 3-ტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში მას შეესატყვისება: მუქი რუხი, მუქი წაბლისფერი: **смурый кафтан** მუქი რუხი ხიფთანი. **Смур, а, о**—მუქი რუხია (რქლ, III).

ოეგოვისა და ოთხტომიან ლექსიკონებში ეს სიტყვა არ იქმნება, ხოლო ვ. დალის ლექსიკონში მითითებულია, რომ **смурый** მოდის სიტყვებიდან **мрак, сумрак** და აღწერილია ასე: **темного, мешаного цвета, избурочерносерый** და მოყვანილია ილუსტრაციები: «**смурое сукно — крестьянское, некрашенное сукно, из мешанной темной шерсти. Как на молоде-то смур кафтан. Смур кафтан, да душа белая**».

ვ. დალისავე ლექსიკონში მოყვანილია სიტყვები: «**смुरак — серый кафтан; смурить — кружиться, мястись, мутиться, темнеть. На водвороте вода смурит. Смурогий, смуругий — замаранный, затасканный, загрязненный до того, что и цвета не знать. Смурок — смурый кафтан, рабочий, тяжелко. //Смурый мужичок, рабочий, черный. Смуротный день, смуротная погода — ненастный, пасмурный**¹³».

17-ტომიან ლექსიკონში **смурый** სიტყვა-სტატიაში გამოყოფილია კიდევ შემდეგი მნიშვნელობები: 1. **домотканый, из некрашенной, темной, серой шерсти. О сукне. 2. Сумрачный, пасмурный** (ССРЛЯ, X III).

ბ. ბახილინას თავის წიგნში მოყვანილი აქვს ფერის აღმნიშვნელი სიტყვე-

ბის სია ი. სრუზსეცის «მასალებიდან», სადაც смурый განმარტებულია როგორც темно-серый¹⁴. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში смурый-ს შესატყვისება: ლევა, მუჭი ნაცრისფერი.

როგორც ჩანს, смурый მაინც რაღაც გაურკვეველ მუქ რუხ ფერს გულისხმობს და თითქოს რაღაც უპრყოფითი ელფერიც დაჰკრავს. 17-ტომიან ლექსიკონში მოყვანილია ილუსტრაცია: «Переулоч звался Смурским и был, правда, буровато-серым, смурым. (К Федина)».

Смурый-ს უწოდებენ აგრეთვე ამ ფერის მქონე მტრედებს. «Тут были мохиногие турмана, и наплекие, и смурые (Черкас. ССРЛЯ, X III).

3. აზრობრივი შესატყვისი.

კურდღლისფერი: ლანდებივით გამოეყენენ მელიები კურდღლისფერ ჯაგებს. (ჯ. გამს) — серый (დათ. II).

შგლისფერი: «ქედნისფერი, შგლისფერი და ზღვისფერი ებრძოდნენ ურთიერთს კორდებზე. (ჯ. გამს.) — серый (დათ. II).

მზე // მხივ ძვ. — серый (დ. ჩუბ.)

ქვალ-ფუძის ერთ-ერთ შესატყვისად ქ. დათაკაშვილის ლექსიკონში არის серый, რის გამო ამ ჯგუფში განვიხილავთ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით ქვალი არის «შავმოწითალო»: «ქვალი შალის მოქსოვა ვიცოდით შინაური მატყლისა, თავად ცხვრები იყვნენ იმფერი, წაბლისფერივით». (შინამრ¹⁵. ქეგლ. VI).

საბას ლექსიკონში ქვალის მხოლოდ ეს მნიშვნელობაა აღნიშნული.

ქვალის მეორე მნიშვნელობად განმარტებით ლექსიკონში გამოყოფილია: „შავთეთრი, რუხი, მუჭი ნაცრისფერი“ და ილუსტრაცია ისევ შინამრეწელობის მასალიდან არის მოყვანილი: „შალს ვქსოვდით შავს — სადას, ანდა თეთრ და შავ ძაღვს ავურევდით ერთმანეთში, გამოვიდოდა ქვალი“. (შინამრ. ქეგლ. VI).

აღ. ლლონტის ლექსიკონში ქვალის მხოლოდ ეს მნიშვნელობაა აღნიშნული¹⁶.

მაგრამ, როგორც ირკვევა (ინფორმატორების გამოკითხვით), ქვალი ითქმის არა მხოლოდ თეთრ-შავ ნარევეზე, არამედ საერთოდ ორი ფერის სიმეტრიულ ნარევეზე და ჩვეულებრივ ქსოვილთან დაკავშირებით ხმარობენ (მაგ., ქვალი ჩოხა). ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილ ილუსტრაციაში შალი ქვალი იმიტომ კი არ იყო, რომ მაინცდამაინც თეთრი და შავი ძაფი იყო შერეული და რუხი ფერის შთაბეჭდილებას ქმნიდა, არამედ იმიტომ, რომ ორი ფერის ძაფი თანაბრად იყო შერეული. აქვე (მეორე მნიშვნელობაში) პარალელურით გამოყოფილი ჰალარას მნიშვნელობაც შეიძლება სწორედ იმაზე მიუთითებდეს, რომ თმა (ან წვერი) ერთიანად ან ერთ ადგილას კი არ არის გათეთრებული, არამედ ჰალარა თანაბრად არის შერეული თმაში (ან წვერში) განურჩევლად იმისა, თუ რა ფერის თმა აქვს ადამიანს¹⁷.

ქეგლ-ში¹⁸ თმის ფერის აღსანიშნავად მხოლოდ ჰალარა ფუძეა გამოყენებული. ქართულ-რუსულ ლექსიკონას ფონდში ორად ორი ფრაზაა ქვალზე და ორივე შემთხვევაში ის седой-ფუძით გადაიცემა. „ქალი წმინდა სიყვარულით უსწორებდა ლევანს ქვალ თმას“. (ბ. ლორთქ.) — Женщины, точно мать, нежно гладила седые волосы Левана. „მოხუცი... ქვალი წვერი; დანაოჭებული წითელი სახე“ (ბ. ლორთქ.) — Старый... Седая борода... Лицо красное, все в морщинах. ხოლო ქ. დათაკაშვილის ლექსიკონში ქვალი თარგმნილია შემდეგნაირად:

1. ა. (წითელი: თმა) рыжий, ბ. (რუხი) серый, 2. ს. (ქალარა) седина. შესაბამისად, **ქალთმიანი**: 1. рыжеволосый, 2. с проседью в волосах. ხოლო **ქალწვერა** რატომღაც თარგმნილია როგორც седобородый. მ. კანკავას მოკლე ქართულ-რუსულ ლექსიკონში ქალის ერთადერთი შესატყვისია **рыжий**. აღნიშნავთ იმასაც, რომ რუსულ-ქართული ლექსიკონის ფონდში **ქალი** არ გვხვდება არც **рыжий**-ს და არც **седой**-ის შესატყვისად¹⁸.

უნივერსიტეტისა და 3-ტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში კი **рыжий**-ს ერთ-ერთ შესატყვისად გამოყენებულია ქალი: **рыжий**—ქალი, მწითური, წითელი (უნ). წითური, ქალი, წითელი: **рыжие волосы**—ქალი, წითელი თმა (რქლ); **рыжеватый** — მოქალაქე, მოწითალო (რქლ); **рыжеволосый**—თმაწითელი, ქალთმიანი (უნ). ქალთმიანი (რქლ)¹⁹.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალა გვიჩვენებს, საკმაოდ ჰრელი სურათი გვაქვს. ინფორმატორების მონაცემებზე დაყრდნობით ხომ არ აჯობებდა **ქალის** მნიშვნელობად გამოგვეყო: 1. ორი ფერის თანაბარი ნარევი, 2. შავმოწითალო, მუქი წითელი; ხოლო თმასთან დაკავშირებით: 1. წითური, 2. ქალარა-შერთული.

4. **განსხვავებული აგებულების ფუძით** გადაიკემა: **Дикий цвет**— მრეში (დ. ჩუბ.). **Дикий цвет** ყველა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის რუხი ფერი: **темно-серый цвет**; **цвет стального оттенка**: «Посреди (деревни) виднелся деревянный дом с мезонином, красной крышей и темносерыми или, лучше, дикими стенами». (Гог. ССРЛЯ, III). Устар. **темно-серый, сероватый**: «Вправо показался помещичий дом, стоящий задом к лесу, выкрашенный дикою краскою, с белыми разводами». (Слепцов. СРЯ, I). მრეში არის «ძვ. წაბლისფერი (საბა)» და შესატყვისი აქვს **каштановый (цвет)** (დ. ჩუბ.²⁰), ხოლო **дикий цвет**, ჩვენი აზრით, უნდა გადმოიცეს აზრობრივი შესატყვისით, საერთო ფერის აღმნიშვნელით—**რუხი**.

5. **ნახევრები ფუძით** გადმოიკემა: **маренго**—**მარენგო** (რქლ. 1). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **მარენგო** არ შესულა. თუმცა სასაუბრო ენაში გავრცელებულია.

ქართულ-რუსულ ლექსიკონებში არ გვხვდება განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი რუხი ფერის აღმნიშვნელი 21 სიტყვიდან 6 ერთეული: **ლემანი** // **ლემანა** (მოხევ.), **ლიბრედი** (დიალ), **სისვი**, **ქიხორი** (იმერ.), **წყლისფერი**, **ხვლიკისფერი**. ხოლო რუსულ-ქართულ ლექსიკონებში არ შესულა 5 სიტყვა რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში წარმოდგენილი 16 ერთეულიდან: **водянистый, железный, зольный, мышинный** // **мышастый, оловянный**. ეს სიტყვები ერთი ენიდან მეორეზე სხვადასხვაგვარად უნდა გადაიკეს.

1. **სრული**, პირდაპირი შესატყვისით შეიძლება გადაიკეს:

წყლისფერი — **водянистый**: (ორლოვს) «**წყლისფერი** პაწაწინა თვალები საახალწლო ბასილასავით დაეჭყიტნა». (მ. ჯავახ. ქეგლ, VIII). Но **водянистые глаза** Автономова успокоили его (Лунева); он решил, что **околоточный**—**человек не хитрый**». (Горьк. ССРЛЯ, II).

სისვი—**сивый**; **серый**²¹.

Мышинный//**мышастый** —**თავისფერი**.

2. აღწერითი შესატყვისით. **оловянный** — მღვრიე ნაცრისფერი;

хвليكисფერი — **зеленовато-серый**.

3. აზრობრივი, საერთო ფერის აღმნიშვნელი ფუძით უნდა გადაიცეს, ჩვენს აზრით, დიალექტური და ნაკლებად ხმარებადი ფორმები: **ლემანი** // **ლემანა** (მოხვე). **ქისორი** (იმერ.), **ლიბრედი** (დიალ.)—серый; **зольный**— რუხი, ლევა, ყომრალი.

სხვა აქრომატულ ფერთაგან განსხვავებით, რომლებიც ორივე ენაში დიდი რაოდენობით ქმნიან ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რუხი ფერი (და მისი ჯგუფის წევრები) ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ვერ ქმნის. 17-ტომიან ლექსიკონში მოყვანილია მხოლოდ серая скотинка (скотина), რომელიც რევოლუციამდელ რუსეთში ჯარისკაცების მიმართ იხმარებოდა: «Ведь эта самая святая, серая скотинка (солдаты), когда дело дойдет до бня, вас своей грудью прикроет». (Купр.).

ამ ჯგუფის ფერთაგან გვხვდება оловянный взгляд, оловянные глаза, რომელიც უფერულ, უმეტყველო თვალებზე იხმარება.

ამრიგად:

1. რუხი, ნაცრისფერი, ლევა, ყომრალი რუსულში გადაიცემა შესატყვისით серый.

2. რუხი ფერის ჯგუფის წევრები ერთი ენიდან მეორეში ძირითადად 5 სახით გადაიცემა: 1. სრული შესატყვისით: კვამლისფერი—дымчатый (დათ.), ტყვისფერი — свинцовый (დათ.). 2. აღწერითი თარგმანით: თავვისფერი — темно-серый (დათ.), ფერო — темно-серый, грязный— მღვრიე-რუხი (უნ.). 3. აზრობრივი შესატყვისით: კურდღლისფერი — серый, მგლისფერი — серый (დათ.), მხე — серый (დ. ჩუბ.). 4. განსხვავებული აგებულების ფუძით: дикий цвет— მრეში (დ. ჩუბ.). 5. ნასესხები ფუძით: маренго — მარენგო (რქლ.).

3. ზოგჯერ სიტყვას მეორე ენაში მოეპოვება სრული შესატყვისი, მაგრამ ის ყველა შემთხვევისთვის არ გამოდგება. მაგ.: რკინისფერი — железный, მიწისფერი—землистый.

4. რუხი ფერის აღმნიშვნელი ფუძე ქართულში მეტია (21), ვიდრე რუსულში (16).

5. აგრეთვე მეტია ქართულში რუხი ფერის ნაკლები ინტენსივობის აღმნიშვნელი ზედსართავებიც (4). ისინი გადმოიცემიან პრევერბულ-სუფიქსური წარმოებით: მორუხო, წარუხო, მოლევო, მონაცრისფრო, რუსულში კი სუფიქსური წარმოებით — сероватый.

6. ამ ჯგუფის წევრებს ჩვეულებრივ არ ახასიათებს კუთვნილებითი და განსაზღვრებითი კომპოზიტების წარმოება.

7. ისინი, ჩვეულებრივ, ვერც ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ქმნიან დასახელებულ ენებში.

შენიშვნები და დამოწმებანი

1. Рабкин Е. Б., Соколова Е. Г., Фрид Ю. В., Ковальский Н. Н., Руководство по рациональному цветовому оформлению. М., 1964, გვ. 5.

2. Мирославская А. Н., Имена прилагательные со значением цвета в новгородских записных кабальных книгах 100—104 и 111 годов, «Вопр. русского языка», вып. VIII, Ярославль, 1973, გვ. 77.

3. Рудин Н. Г., Руководство по цветоведению, М., 1956, გვ. 11.

4. Рабкин Е. Б., Соколова Е. Г., Цвет вокруг нас., М., 1964, გვ. 5.

5. Алексеев С. С., Цветоведение, М., 1952, გვ. 17.

6. ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.
 7. ილუსტრაციები მოყვანილია ქართულ-რუსული ლექსიკონის ფონდიდან.
 8. გ. ლეონიძეს ნახშიარი აქვს სახის მიმართ უმარალი: „სახე-უშიაალი, ამღერა გავა, ტანი ერყუა და ფერი მისდის...“
 9. ამზობენ კიდევ: позеленеть от злости, зависти, досады: «Старуха-мамка карга так вся и поз-зеленела от злости!» (А. Остр.).
 10. რკინა — მოვერცხლისფრო ლითონი (ქეგლ., VI). железо — металл серебристого цвета (СРЯ, I).
 11. შავლეგო — ძველებური ხალხური საფერხულო სიმღერა: „შავლეგოს“ შემოსძახებს, ბაბაპაპურს, გლეხურს. ი. დ ა ვ ი თ. ქეგლ, VII.
 12. უშაკოვის ლექსიკონში მას კვალიფიკაცია აქვს: კუთხური, ხალხურ-პოეტური, Уш., IV.
 13. В. Д а л ь, Толковый словарь живого великорусского языка, СПб.—М. т. 4, 1909.
 14. იხ. Б а х и л и н а Н. Б., История цветообозначений в русском языке, М., 1975.
 15. საინტერესოა, რომ განმარტებით ლექსიკონში წაბლისფერის განმარტებაში გამოყენებულია ელალ-ფუძე (იხ. ტ. VIII).
 16. ალ. დ ლ ო ნ ტ ი, ქართულ ეილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. II, თბილისი, 1975.
 17. ელალის პირველი მნიშვნელობაც (შავოწითალი), ვფიქრობთ, შერეულ, გაურკვეველ ფერს უნდა გულისხმობდეს.
 18. Рыжий-ს ჩვეულებრივ წითური შეესაბამება (16—18-დან; 2—ქერა), ხოლო седой-ფუძეს = ქალბა (9), თეთრი თმა (1), თმაგათეთრებული (1), გაჭალარაგებული (1), შეჭალარაგებული (1).
 19. ცხოველების მიმართაც рыжий-ს ერთ-ერთ შესატყვისად უნივერსიტეტის ლექსიკონში გამოყენებულია უღალ-ფუძე:
- Рыжешерстый — ელაბალნიანი, წითელბალნიანი: рыжешерстая собака — ელაბალნიანი, წითელბალნიანი ძაღლი (რქლ). სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაშიც უღალი განმარტებულია როგორც მუქი წითელი და თარგმნილია როგორც темнокрасный.
20. მრეშის შესახებ საუბარი გვექნება ყვითელი ფერის ჯგუფში.
 21. სისვისა და сивый ფუძის მთავარი მნიშვნელობა არის: თეთრ-შავ-არეული ბალანი (საბა). ქეგლ, VI. Сивый—серый, серовато-сизый. Обычно о масти лошади (ССРЯ, XIII).

Н. Г. МИРИАНАШВИЛИ

ЛЕКСИКА, ОБОЗНАЧАЮЩАЯ СЕРЫЙ ЦВЕТ В ГРУЗИНСКОМ И РУССКОМ ЯЗЫКАХ (ПО СЛОВАРЯМ)

Резюме

1. Русскому цветообозначению **серый** в грузинском языке соответствует რუხი (ruxi), ლეგა (lega), ყომრალი (qomrali), ნაცრისფერი (nacrisferi). Последнее — более позднее образование и в разговорной речи наиболее употребительно.

2. Цветообозначения этой группы в переводных словарях с одного языка на другой передаются следующими способами: а) полным соответствием, б) описательным переводом, в) общим цветообозначением, г) заимствованным словом, д) словами, различающимися своей внутренней формой.

3. Иногда цветообозначение имеет в сравниваемом языке полное соответствие, но оно пригодно не во всех случаях. Напр., железный, землястый.

4. Цветообозначений группы серого цвета в грузинском языке больше (21), чем в русском (16).

5. Больше в грузинском языке также слов, обозначающих уменьшенную или смягченную степень интенсивности того или иного цвета этой группы. В грузинском языке они имеют префиксально-суффиксальное образование, в русском—суффиксальное.

6. В отличие от других ахроматических цветов, которые в обоих языках образуют фразеологические единицы в большом количестве, слова этой группы фразеологических единиц в сопоставляемых языках обычно не образуют.

7. Не характерно для них также образование атрибутивных композитов.

8. Из 21 цветообозначения, представленного в толковом словаре грузинского языка, не встречается в грузинско-русских словарях 6 единиц. В русско-грузинских словарях не находим 5 цветообозначений из 16, отмеченных в толковых словарях русского языка. Эти слова можно передать с одного языка на другой полным соответствием, описательным, смысловым, общим цветообозначением и заимствованным.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ლილი ბასილაია

მ ასოს დაწერილობის საკითხისათვის XI—XIII საუკუნეთა
მხედრულ წერილობით ძეგლებზე

ძველ ქართულში გვექონდა უმარცვლო ხმოვანი *ა* (იოტა), რომელიც მოდიოდა დიფთონგის მეორე ნაწილად, მარცვლის ბოლოს¹. *ა* იწერებოდა ა) საზოგადო ხმოვანფუძიანი სახელების სახელობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნად; ბ) უკვეცილი საზოგადო სახელების მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითა და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ნაწილად; გ) ხმოვანფუძიან ადამიანთა სახელების ნათესაობით (იშვიათად მოქმედებით) ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის ხმოვნით ნაწილად. გვხვდება აგრეთვე უფროობითი ხარისხის ფორმებში და ზოგ შემნიშვნაში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ *ა* მიღებულია *ი*-ს დასუსტებით. ეს პროცესი უძველეს ქართულში ხდებოდა. ძველი ქართული დამწერლობის ჩვენთვის ცნობილ მონაკვეთზე *ა* ნიშნის ჩამოყალიბება დამთავრებულია. მართალია, ბევრთაგანმასხვავებელი ფუნქცია არა აქვს, მაგრამ იგი მტკიცედ ზის ანბანის რიგში და სათვალავში. მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 60.

მრგვლოვანსა და ნუსხურ ანბანში *ი* და *ა* ნიშნების მოხაზულობა განსხვავდება ერთმანეთისაგან: 7(ი) და 3(ა).

ა დღეს აღარ იხმარება, აქა-იქ დიალექტებშია შემორჩენილი (მთიულურში, თუშურში, რაჭის ზოგ კილოკავში)².

ა ასოს არაწესისამებრ ხმარების შემთხვევა პირველად VII საუკუნის ძეგლშია დადასტურებული³. მაგრამ ეს პროცესი (*ა*-ს გადავარდნა) ძალიან ნელა მიმდინარეობდა, რადგანაც IX საუკუნეში გადაწერილ „სინურ მრავალთავში“ *ა* მხოლოდ ერთხელ იხმარება უადგილოდ (მშუადლობა) და ისიც იმიტომ ახსნილი, რომ უ-ს მომდევნო ასოები შემდეგ სტრიქონზეა გადატანილი⁴.

ამ საკითხთან დაკავშირებით XI—XIII საუკუნეების ნუსხური ძეგლების ჩვენება ასეთია: არის შემთხვევები, როცა *ა* გვხვდება იქ, სადაც მოულოდნელია (თანხმოვანსა და თანხმოვანს შორის, სიტყვის თავში და სხვა), მაგრამ ძირითადად მაინც იქ იწერება, სადაც ნორმის მიხედვით იყო მოსალოდნელი⁵.

XI საუკუნიდან ჩამოყალიბებულ მხედრულ ანბანს *ა*-ს გადმოსაცემად განსხვავებული ნიშანი არა აქვს. იგი გვიან, XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII ს-ის დასაწყისში იქნა შემოღებული⁶. ადრინდელ ძეგლებში კი ყველა იმ პოზიციაში, სადაც მოსალოდნელია *ა*, ისეთივე ნიშანი წერია, როგორც *ი* არის გადმოცემული.

ადრინდელი მხედრული ძეგლები ბევრჯერ არის გამოცემული სხვადასხვა პირთა მიერ. *ა*-ს გადმოცემის თვალსაზრისით მათ გამოცემაში არაა აზრთა ერთიანობა: ზოგი *ა*-ს პოზიციაში ამავე ასოს წერს, ზოგი *ი*-ს. ასე მაგალითად:

ი. ჭავჭავიძელი თვლიდა: მიუხედავად იმისა, რომ საერო ძეგლებში *ა* და *ი* ერთნაირი ნიშნით იყო გადმოცემული, *ა*, როგორც დამოუკიდებელი ბგერა, ჯერ კიდევ არსებობდა. ამიტომ მან *ა*-ს პოზიციაში დაწერილი ნიშანი ამავე

ასოთი გადმოსცა თავის მიერ გამოცემულ ერთ ძეგლში: „დადგენილება სა-
ეკლესიო კრებისა ულუ-დავითისადმი“ (ფ. 1448, № 6501)⁷.

თ. ბარნაველს ერთი XII საუკუნის სიგელი აქვს გამოცემული (Ad—15,
შუველბობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა)⁸. გამომცემელი იქ, სადაც
ა არის მოსალოდნელი, წერს ამ ნიშანს და არა ი-ს.

ა. შანიძემ 1935 წელს გამოაქვეყნა აღრინდელი მხედრულით ნაწერი ორი
ძეგლი: „სიგელი მიწნაძორიელთა და ოპიზართაი“ და „სიგელი მღვთიმელ-
თაი“⁹, ორივე სიგელი ბოძებულთა ბაგრატ მეოთხის მიერ. მეორე დაწერი-
ლია 1058 წელს, პირველი კი მეორეზე უფრო ძველი ჩანს¹⁰. ამ სიგლებში გა-
მომცემელი მ-ს პოზიციაში ყველგან ი-ს წერს, ხოლო წინასიტყვაობაში მხედ-
რული ძეგლების შესახებ იგი აღნიშნავს შემდეგს: „ამ დროის მხედრულმა წე-
რამ სრულებით არ იცის, რა არის ἰ, ὶ, ὸ, რომელთა ნაცვლად იგი ამით ხმა-
რობს შესაბამისად: ე, ი, უი“¹¹.

გვიან პროფესორმა შეიცვალა აზრი: 1975 წელს მან გამოსცა XII საუკუ-
ნის ერთი საერო ხასიათის ნაწარმოები, რომელსაც სახელად ჰქვია „ეტლთა
და შუდთა მნათობთათჳს“. ტექსტი ნუსხურია, დასაწყისის ოთხნახევარი სტრი-
ქონი XII საუკუნის მხედრულით არის შესრულებული. ა. შანიძე განიხი-
ლავს რა ნაწარმოების ენას, ასკვნის: „ამ ძეგლის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ
აა, ოა და უა დიფთონგები იყო და ა გამოითქმოდა“¹².

ი. დოლიძის მიერ გამოცემულ „ქართული სამართლის ძეგლებში“ მხედ-
რულით ნაწერი აუარებელი საბუთია შესული. XI—XIII საუკუნეების ძეგ-
ლები II—III წიგნშია მოქცეული¹³. ავტორი მხოლოდ ორ საბუთში (ფ. 1448,
№ 6501 და Ad-15) წერს მ-ს ყველა მოსალოდნელ პოზიციაში¹⁴.

Ad—3, —„დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტოხაისძეებისადმი“ 1190—
1204 წლებშია დაწერილი. სიგელი ნუსხურია, მაგრამ ახლავს მხედრული ხელ-
რთვები, შექმნილი XIII საუკუნეში. ი. დოლიძე მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 ხელ-
რთვაში შესაფერის პოზიციაში ა ნიშანს წერს¹⁵. სხვა ხელნაწერებში კი მ-ს
პოზიციაში დაწერილი დივერ ნიშანი ი ასოთი არის გადმოცემული. დედანში
სპეციალურად დავაკვირდით იმ ასოს მოხაზულობას, რომელსაც პატივცემუ-
ლი მეცნიერი ხან ი და ხან ა ასოებით აღნიშნავს (და დაწერილობაში ვერავი-
თარი სხვაობა ვერ ვნახეთ, არ ჩანს პრინციპი, თუ რატომ წერს გამომცემელი
ხან ი-ს და ხან ა-ს).

Ad—1 საბუთი „შუველბობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ
გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი“ (1245 — 1250) გამოაქვეყნებული აქვს
თ. ჟორდანიას¹⁶ და ი. დოლიძეს¹⁷. თ. ჟორდანიას ნაკლული საბუთი ჰქონია
ხელთ, მაგრამ ამჟამად იმასაც აკლია, რაც 1897 წელს იყო. ამიტომ მეორე გა-
მომცემელმა ი. დოლიძემ ნაკლული ადგილი თ. ჟორდანიას გამოცემიდან გად-
მოიწერა. თ. ჟორდანიას რამდენიმე ადგილას მ-ს პოზიციაში დაწერილი ნიშა-
ნი ა-თვე აქვს გადმოცემული. ი. დოლიძის გამოცემაში ასეთი ადგილები უცვ-
ლელად შევიდა. ეს სიტყვებია: უსსამართლოა, კაცისა, წარ-
მართება.

სხვა გამომცემლები მ-ს პოზიციაში ყოველთვის ი ასოს წერენ¹⁸.

ამრიგად, მხედრული წერილობითი ძეგლების გამომცემლებში არ არის
აზრთა ერთიანობა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ის ნიშანი, რომელიც მ-ს პო-
ზიციაში ზის. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, მარცვლიანია ის თუ უმარცვლო,
განვიხილოთ XI—XIII საუკუნეების წერილობითი ძეგლების მონაცემები.



ნუსხური ძეგლების შესახებ უკვე აღვნიშნეთ, რომ მ-ს პოზიცია შერყეულია, მაგრამ ძირითადად მიიწე ნორმის მიხედვით იწერება. ამ საუკუნეების მხედრულ ისტორიულ საბუთებში კი ასეთი სურათი გვაქვს:

ამ სისტემატურად გვხვდება ა ხმოვნის შემდეგ: განვაგეთ., განთავი-სუფლებამ გლახაკთამ (Ad—15), ჩუენგან მათი გატეხამ არაჯრ იყო (Sd—1201); წარმემართოს ლაშქრობამ ესე... მშუიღობით, (Ad — 14); მიიღენ კურთხევამ, იქვე; ლაშქრობამ აღარ შეეძლო (ფ. 1448, № 1015); გაფიჩნეთ ოცი კოკამ ტკბილი, (Ad—4); მე, მიწამ მათი შვალი... გამოთავებელი ვარ ((Ad—5); გრიგორ ქართლისა ერისთავსა დაუც სასოებამ (Ad—1); სოფელი ანგროინი... ჩემსა ბიძამს ძესა გაეყიდა (Ad—5); შე-მცა-ცვალებულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთამსა (ფ. 1448, №5003); ჰქონდეს... გლახნი ქოსამს ძენი (ფ. 1449, № 1476). შუამდგომლობითა ყოვლად ქებულისა მოციქულთათა ...დაწერილი ესე დავიწერე, (Ad—2); ვამტკიცებ კანონითა წმიდისა ეკლესიისათა (Ad—1).

საგულისხმოა შემდეგიც: ძველი ქართულის ნორმებით საკუთარი სახელები ოთხ ბრუნვაში — წრფელობითში, სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ფუძის სახით იყო წარმოდგენილი. ჩვენს ძეგლებში ზოგჯერ ეს ნორმა დაიწვებულია, სახელობითში ეს მხოლოდ ა-ფუძიანებს ეხება: მე, შოთამ, ამას ვამტკიცებ, (Ad—2); პატრონი ბეგამ მუხრანს დგა, (Ad—7).

სულ რამდენიმე მაგალითია, სადაც ა-ს შემდეგ მ დაკარგულია: მოგუეც ორი გუთანნი მიწა, (Ad—4); სხუა ღონე აღარა მქონდა (Hd 1358); ზედან ქარვასლა აღვაშენე, (ფ. 1449, № 1596); მოვიდეს მლუიმეს... წმიდა მამამა მიქაელ და ყოველნი მამანი (ფ. 1449, № 1475).

იმ კონტექსტში, სადაც ემ არის მოსალოდნელი, ძველ ქართულში უმეტესად ო (შ) ნიშანი იწერებოდა. ამ ასოს წარმოშობასა და მისი ნიშნისა და ბგერის ურთიერთობის საკითხს რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა, მასზე საგანგებო მსჯელობა აგრეთვე სხვა სპეციალურ ნაშრომებში¹⁹.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ო (შ) გამოხატავს ემ დიფთონგს. დამაეალ დიფთონგთაგან ყველაზე ადრე ემ გამქრალა. „უკვე ხანმეტი ტექსტები ამ მოვლენის ამსახველ რამდენიმე შემთხვევას გვიჩვენებს“. „XI—XIII საუკუნეთა ძეგლებისათვის ო უკვე ზედმეტ ნიშნად იქცევა. მისი ფუნქცია დაიწვებულია“²⁰.

სწორედ ამ მიზეზის გამო XI საუკუნეში ჩასახულ მხედრულ ანბანს ო-ს ფარდი ასო არ გადმოჰყოლია. სამი საუკუნის ძეგლში ე-ს შემდეგ მ ორიოდჯერ შეგვხვდა: ნერონ არს წმიდათა პეტრე და პავლე მსათუის (Ad—2); ვამტკიცებ მე, ძავანი აბულეთის ძემა, (Ad—5).

სხვა უამრავ შემთხვევაში დიფთონგი მოშლილია, ნაცვლად რთული ემ ნიშნისა, იწერება ე: მოვიდა ძე ერისთავთ-ერისთავისა, (Ad—8); ჰრისხვეცა მამამ, ძე და სული წმიდამ, (Ad—4; Ad—8, Ad—5); ქედსა ამერით არამ უც საქმე და სასარჩლო ოზიზართა (Sd—1201); დავამტკიცე საქმე მათი (Sd—1201); არავის რამ საქმე უც (Ad—5); სოფლისა მოსავლისა საქმე ასრე გავაჩინეთ (Ad—5); მოგყიდეთ... ადგილი სავენახე (Ad—7); გამოინეთ აღაპი დღე თევდრობამ (Ad—5).

ნათესაობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან ადამიანთა სახელებს გვიან -ხ აქვთ ბრუნვის ნიშნად და არა -ახ. ჩვენს ძეგლებში ნათესაობითი ბრუნვის დაბო-

ლოებად -ს აქვთ მხოლოდ ე-ფუძიან სახელებს. სხვა ხმოვნებთან მარტო -ს ძალზე იშვიათია: კრულმცა არს და შეჩუენებულ სიტყუითა სიტყუისა ღმრთისა იესო ქრისტესითა (Ad—1); შე-მცა-იცვალების ქრისტეს სჯულისაგან (Ad—2); მეოხებითა... ნათლისმცემლისა იოანესითა, (იქვე).

ის ზმნიზედები, რომლებიც ძველ ქართულში ო-თი იწერებოდა, ჩვენს საკვლევ ტექსტებში მარტივი ე-თია წარმოდგენილი: სალოცველად მათ პირველთა მეფეთასა ესრეთ განვაგე, (Sd—1201); ეგრეთვე ჩუენ გაუახლენით სიგელნი ძუელნი, (Hd—1351); ვითა ძუელითგან უსაბანჯრონი ყოფილან, ეგრეთვე ჩუენგან შეუვანია, (Hd—1351).

ასეა შტნ ძირიც, რომელშიც ძველ ქართულში ო იწერებოდა: წმიდანი უღაბნონი... ჩუენ მეფეთა ლოცვისათუის აღშენებულნი არიან, (Sd—1201).

ო-ს შემდეგ ა იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის იწერება: არცა პური და ღვინოა მოეკრიბოდეს, (Hd—1331); სამეფოა და ზოგნი ქუეყანანი და სოფელნი დიდად მოვრდეს, (ფ. 1448, № 9253); მოგეც მისდა სანაცვლოდ შენისა განაყოფისა ოქურომასა მამული, (Hd—1358ა); წელიწადი უწირე ოქურომასა ცოლსა და შვილსა ალაბი (იქვე); ნებითა ...ყოფლისა საქართველომასა კელმწიფედ მპყრობელისა (Hd 1330).

ო ხმოვნის შემდეგ ა-ს დაკარგვის შემთხვევები იშვიათია: თუ საქმე რამ დავარდეს სასაურო (Ad—1); გლეხი ჯდა სასეფო (ფ. 1449, № 1476); ნიშანი დამიდევს საუკუნო ალაბი (Ad—1).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, აა, ოა და უა დიფთონგები ერთსა და იმავე დროს არ გამქრალან. ა და ო ხმოვნის შემდეგ ა ჯერ კიდევ მყარია. XI—XIII საუკუნეების ძეგლებში რამდენიმე მაგალითიღა, სადაც აა და ოა დიფთონგი მოშლილია.

ყველაზე ადრე ა დაკარგულა ე-ს შემდეგ. ეა დიფთონგის რღვევა ადრე დაიწყო და X საუკუნის ბოლოსთვის უკვე დამთავრებული იყო.

როგორც ვხედავთ, ნუსხური წერილობითი ძეგლების ჩვენებას ადასტურებს მხედრულიც. ა-ს პოზიციები XI—XIII საუკუნეებში უკვე შერყეულია, მაგრამ ის ჯერ კიდევ ცოცხალი ბგერაა; ის ისმის ზეპირი მეტყველების დროს, როგორც ამას ერისკაცთა ხელმოწერები ერთხმად ადასტურებენ. ა გამოიყენება წერაში, მაგრამ მას საკუთარი ნიშანი არა აქვს.

ნუსხურ ო და ა ნიშანს ისეთი მოხაზულობა აქვს, რომ სწრაფად წერის დროს მათი ფორმის დამთხვევა ადვილი შესაძლებელია: ქვედა ბუნს, რომლითაც ო ა-სგან განსხვავდება, მხედრული ადვილად წაშლიდა. გამოდის, რომ ერთიმეორეს დაემთხვა მოხაზულობა და არა ბგერა.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

1188 წელს მხედრული ასოებით დაიწერა ერთი სასულიერო ხასიათის ძეგლი: „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“²¹. იგი ქართულ ენაზე გადმოღებული უნდა იყოს პეტრიწონული სკოლის ლიტერატორის მიერ²². ნაწარმოებში ბევრია ბიბლიური ციტატა, სადაც ა და ო ერთნაირი ნიშნებითაა გადმოცემული. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბიბლიურ ტექსტში ა ასოს გამოთქმა ო ასოსას დაემთხვა.

ა არ არის უცხო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის. ა. შანიძეს 1671 წლის ხელნაწერში რამდენიმე მაგალითი აქვს დაძებნილი, სადაც დიდი პოეტი ა ასოს წერს²³. XVII საუკუნეში ის, რა თქმა უნდა, ო ასოთია გადმოცემული,

მაგრამ მისი ნახევარხმოვნობა ძნელი მისახვედრი არ არის—მარცვალს არ ქმნის.

ზ. სარჯველაძეს გარკვეული აქვს მ-ს მოშლის ორი გზა: ის იქცა სრულ ხმოვნად და მივიღეთ დე და ი, მამაი, რაც დღეს ზოგ დიალექტში, მაგალითად გურულში, არის შემორჩენილი, ან ა თანდათანობით გადაეარდა ხმარებიდან²⁴. ქართული სალიტერატურო ენისათვის მეორე გზა უფრო სავარაუდებელია, რადგანაც ნახევარხმოვან მ-ს თანდათანობით დაკარგვა უფრო საფიქრებელია, ვიდრე ის, რომ ა იქცა სრულ ხმოვნად და შემდეგ გადაეარდა ხმარებიდან.

რაც შეეხება იმას, რომ ორივე ბგერას ერთი და იგივე ნიშანი აქვს, ასეთი შემთხვევა ქართული ენისათვის უცხო არ არის: საუკუნეების მანძილზე ერთი და იმავე ასოთი იყო გადმოცემული მარცვლიანი და უმარცვლო უ.

ჩვენი აზრით, ის ნიშანი, რომელიც მ-ს ბოზიციაში სწერია, უნდა გადმოიცეს სპეციალურად მხედრულისათვის შექმნილი ა ნიშნით და არა ი ასოთი. ასე თვლიდა ამას საჭიროდ დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი და ამავე აზრისაა პროფესორი აკაკი შანიძეც.

შენიშვნები და დამოწმებები

1. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 20.
2. ი. ვიგინიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1961.
3. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიული ფონეტიკისა და გრამატიკის ძირითადი საკითხები (V—XV სს.), სალიტერატურო დისერტაცია, მანქანაზე ნაბეჭდი, 1973, გვ. 4.
4. ი. იმნაიშვილი, სინურიპრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი, 1975, გვ. 15.
5. ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35—45.
6. ა. შანიძე, უმარცვლო იახალ ქართულში, „დროშა“, 1970, № 2, გვ. 11—12.
7. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, თბილისი, 1953, გვ. 153—159.
8. თ. ბარნაველი, უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, საქართველოს საზღვრის მუზეუმის მოამბე, XIX A და XXI B, თბილისი, 1957, გვ. 107.
9. ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, I, ქრესტომათია, ტფილისი, 1935, გვ. 93—96.
10. იქვე, გვ. 111.
11. იქვე, გვ. XII.
12. ეტლთა და შუღლთა მნათობთათვის გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო აკაკი შანიძემ, თბილისი, 1975, გვ. 6.
13. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1965., ტ. III, 1970.
14. იქვე, III, გვ. 161—165; II, გვ. 20—24.
15. იქვე, III, გვ. 128—132.
16. თ. ჟორდანი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. II, ტფილისი, 1897, გვ. 97—102.
17. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. II, გვ. 37.
18. თ. ჟორდანი, ქრონიკები... I, 1892; II, 1897. მისივე, შო მღვდელის მოწინააღმდეგის ისტორიული საბუთები, ტფილისი, 1896; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, ტფილისი, 1909, III, 1910, III (დამატება) 1926; ს. კაკაბაძე, შომღვდელის სამი სიგელი, ტფილისი, 1912; საისტორიო მოამბე, I, ტფილისი, 1925, II, 1928; საისტორიო კრებული, II,

ტფილისი, 1928; ი. ცინცაძე, საქართველოს არქივი, II, ტფილისი, 1927; ვახეთი „ივერია“, 1902, № 6, 7 და სხვები.

19. ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 194—195; რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, „მნათობი“, 1972, № 2; ს. კაკაბაძე, მ-ს მნიშვნელობა ძველ ქართულში, საისტორიო კრებული, IV, ტფილისი, 1929, გვ. 16; გ. შერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960, გვ. 36; ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 14; მისივე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი, 1971; მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, 1960, გვ. 27 და სხვ.

20. ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

21. ეს თხზულება 1924 წელს ლითოგრაფიულად გამოსცა აკაკი შანიძემ.

22. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1924, გვ. 505.

23. ა. შანიძე, თანხმობანი ხმოვნად იქცა, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 1, 1966, გვ. 5—6.

24. ზ. სარჯველაძე, მ-ს შემეცნელ დამავალ დიფთონგთა რღვევის გზები ძველ ქართულში: გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XII, 1968.

დამოწმებულ ხელნაწერთა სია

Ad—1: შეუვალბობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი, 1245—1250.

Ad—2: შეწირულების დაწერილი ჭიაბერისა შიომღვიმისადმი, 1189—1204.

Ad—3: დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტოხაბასძეებისადმი, 1190—1204. (ხელრთვები).

Ad—4: დაწერილი შიომღვიმის კრებულისა კვირიკე კახთა მეფის მწირველ ზოსიმესადმი, 1160 — 1170.

Ad—5: შეწირულების დაწერილი ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისადმი, 1260.

Ad—7: ვენახის ნასყიდობის დაწერილი, მიცემული ჩაფქვეასძეთა მიერ გრიგოლ ვერხუაძისძისათვის, XIII საუკუნის II ნახ.

Ad—8: ვენახის ბოძების სიგელი, მიცემული ბეგა სურამელის მიერ მისი ყმების ტოტებადსიგელითვისათვის. XIII ს-ს II ნახ.

Ad—14: შეწირულების სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი, 1057.

Ad—15: საქართველოს ეკლესიის შეუვალბობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა, 1178.

Hd—1330: ლაუშას წყალობის წიგნი, მიცემული დავით მეფის მიერ ჭარბაულ ჭაქნიასვილ გრიგოლისათვის, 1298.

Hd—1351: მამულის მფლობელობისა და შეუვალბობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი, 1170.

Hd—1358ა: დაწერილი მსახურთუხუცეს ბეგა სურამელისა ჯომარდის ძისადმი, 1296.

ფ. 1448, № 1015: გათავისუფლების სიგელი დავით აღმაშენებლისა არშოანისადმი, 1089—1125.

ფ. 1448, № 1475: შეუვალბობის განახლების სიგელი დავით-ნარინისა ხეფინისხეველთა და წაქველთადმი, 1261.

ფ. 1448, № 1476: (იგივე Ad 81), შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმისადმი, 1201.

ფ. 1449, № 1596: დავით მეფის დაწერილი ოსების ძე გიორგისადმი, XIII ს.

ფ. 1448, № 9253: წყალობის დაწერილი მიქელ კათალიკოსისა მსახურთუხუცეს ვაჩე გურუმაძისათვის, 1241.

ფ. 1448, № 6501: დადგენილება საეკლესიო კრებისა ულუ-დავითისადმი, 1263.

Sd—1201: სიგელი ბაგრატ IV-ისა ოპიზართა და მიწნაძორიელთა სამამულე დავის გამო, 1027—1072.

Ad, Hd და Sd ფონდი ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ხოლო დანარჩენი, რომელიც ჩვენს სტატიაში გვაქვს მითითებული, — ცენტრალურ სახელმწიფო სამეცნიერო არქივში.

Л. С. БАСИЛАИА

 К ВОПРОСУ НАПИСАНИЯ БУКВЫ **ა** В СВЕТСКИХ
 ПИСЬМЕННЫХ ПАМЯТНИКАХ XI—XIII ВЕКОВ

Резюме

В текстах, исполненных письмом «нусхური» буква **ა** писалась после гласного в определенных случаях. С XI века в данных текстах ее позиция менее устойчива, но в основном она пишется соответственно норме. В письме «мхедрули», которое образовалось в тот же период, в той позиции, в которой должна быть **ა**, пишется такой же знак, каким передается **ო**. Часть издателей передает ее знаком **ა**, а часть—знаком **ო**.

Так как в текстах «нусхური» **ა** еще пишется соответственно норме, и в «мхедрули» знак, который пишется в позиции **ა**, должен быть передан знаком **ა**.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ

კ ლ ა რ ა კ უ ლ ა ვ ი ლ ი

მ ა ხ ვ ი ლ ი კ ვ ე მ ი მ ე რ უ ლ უ ბ ი

ქვემო იმერეთში შემავალი რაიონების მცხოვრებთა ცოცხალ მეტყველებზე უშუალო დაკვირვების შედეგად გამომქვანდა ბევრი საყურადღებო მოვლენა, რომელთა ანალიზს შეუძლია გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას საკვლევი ობიექტის წარმოთქმის ექსპრესიულ მხარეზე.

დიალექტოლოგიური მასალა, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, რამდენადმე მაინც ასახავს ქვემოიმერული კილოკავისათვის დამახასიათებელი წარმოთქმის თავისებურებებს.

ცნობილია, რომ წარმოთქმის ელემენტების მხრივ „მნიშვნელოვანი განსხვავება ჩანს კილოების, კილოკავების, თქმებისა და ქცევების მიხედვითაც. თითოეულ ამ ერთეულს აქვს წარმოთქმის თავისებური ჩვევები, ბგერათა შეჯგუფების, შერთვისა და შერწყმის თავისებური ტენდენცია, ინდივიდუალური აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებანი“¹.

ჩვენს მიზანს ამჯერად არ შეადგენს სრულად გამოვავლინოთ ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლიობანი ამ თვალსაზრისით. ვვინდა მხოლოდ მახვილთან დაკავშირებით გამოვქვევთ ზოგიერთი ჩვენი მოსაზრება.

საერთოდ კი ქართული ენის დიალექტების მონაცემთა ამომწურავი ანალიზი წარმოთქმის აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებების მხრივ, ამ მონაცემთა ურთიერთშეპირისპირება და სალიტერატურო ქართულთან მიმართებაში მათი განხილვა სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს და იგი მომავლის საქმეა.

დღემდე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში, რომლებიც იმერული კილოს შესწავლისადნია მიძღვნილი, მახვილის შესახებ ან სულ არაფერია ნათქვამი, ან ძალზედ მკრთალად არის მისი თვისებები წარმოდგენილი. და ეს მაშინ, როცა ქართული აქცენტოლოგიის საკითხთა გარკვევისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა დიალექტურ მონაცემებსაც ეკისრება. სამაგიეროდ, არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა მახვილის საკითხის შესწავლას ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა საფუძველზე. გამოითქვა ბევრი საყურადღებო მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება, რა თქმა უნდა, აუცილებელ საქიროებას წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მსჯელობის დროს.

გ. ახვლედიანის აზრით, ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს სუსტი დინამიკური სიტყვათმახვილი დომინანტობს, მაგრამ მასში ჩანს ტონურობის ელემენტიც. იგი არ გამოიყოფა ქართულ მეტყველებაში ისეთი სიძლიერით, როგორც ფრანგულსა და, მით უმეტეს, რუსულში².

ს. ულენტის აზრით, „ქართულში ცალკეული სიტყვა სუსტმახვილიანია და იგივე სიტყვა, როდესაც წინადადებაში ჩაერთვება, კარგავს თავის საკუთარ სუსტ მახვილსაც კი და იღებს წინადადების საერთო მახვილს, ამიტომ ძირითადი ტონის საერთო მიმოქცევაში კიმოგრაფიულ მრუდეებზე ცალკეული სიტყვები არ გამოიყოფიან რიტმიკულ ჯგუფებსა და სინტაგმებში“³. აქედან გამომდინარე, — განაგრძობს ავტორი, — ქართული მახვილის ბუნე-

ბის გასარკვევად საჭიროა პირველ ყოვლისა შევისწავლოთ რიტმიკული ჯგუფების რაობა, დავადგინოთ ცალკეული რიტმიკული ჯგუფები და მახვილიც იქვეძიოთ და არა იზოლირებულ სიტყვებში⁴.

ქართული ცოცხალი კილოების, მეგრულ-ქანურისა და ქართული სალიტერატურო წარმოთქმის აქცენტურ-რიტმიკული სტრუქტურის ექსპერიმენტული მეთოდებით კვლევის საფუძველზე ავტორი საბოლოოდ ასკვნის: „ამჟამად ქართულში (და საერთოდ ქართველურ ენებში) მოქმედი მახვილი მუსიკალურ-დინამიკური ტიპის რიტმიკული მახვილია (და არა დინამიკურ-მუსიკალური)“⁵ (ხაზი ავტორისაა).

ი. თევდორაძის აზრით, „სიტყვათმახვილი ქართულში დინამიკურია და სიტყვის დასაწყის მარცვალს მოუდის. ხმოვანგრძლივობაც ამას ადასტურებს. მახვილიანი ხმოვნის გრძლივობა აღემატება სიტყვაში შემავალი დანარჩენი ხმოვნების გრძლივობას...“

რაც შეეხება ტონური სიტყვათმახვილის არსებობას ქართულში, ეს აზრი ნაკლებად სარწმუნოა. იგი არ დადასტურდა არც სმენით, არც ოსცილოგრაფიული მონაცემებით⁶. და შემდეგ: „მახვილიანი მარცვალი უმახვილო მარცვლებისაგან უმეტეს შემთხვევაში გამოირჩევა მეტი ინტენსივობით, ტონის მეტი სიმაღლით და ხმოვნის მეტი გრძლივობით“⁷.

მახვილის საკითხის ისტორიულ ასპექტში განხილვამ ქართველური ენების მონაცემებთან შეპირისპირებით არნ. ჩიქობავა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ უძველეს (მწერლობამდელ) ქართულში უნდა გვექონოდა ძლიერდინამიკური, არაფიქსირებული მახვილი, რომელიც იწვევდა ფუძისეული თუ აფიქსისეული ხმოვნის რედუქციას. რაც შეეხება ახალ ქართულს, აქ „მახვილის საკითხი პირველ ყოვლისა, არის რიტმიკული ჯგუფის, ფრაზის მახვილის საკითხი: მახვილის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ფრაზაში უნდა იქნეს დასმული და გადაჭრილი“ (ხაზი ავტორისაა)⁸.

ასეთი რიტმიკული ჯგუფის მახვილი, ავტორის აზრით, ნთქავს სიტყვის მახვილს და გაბმულ მეტყველებაში ცალკეულ სიტყვათა მახვილი იჩრდილება⁹. როგორც ცნობილია, მახვილი ფრაზაში ქმნის სამახვილო ცენტრებს. ასეთი ცენტრი ფრაზაში შეიძლება იყოს ერთი ან ერთზე მეტიც. შესაბამისად, აქცენტუაციაც ერთცენტრიანია ან ერთზე მეტცენტრიანიც.

ორ ბაუნას შორის მოთავსებულ უმცირეს ერთეულს სინტაგმას უწოდებენ. სინტაგმა ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, ზოგჯერ — მარტივი ან რთული წინადადებებისაგანაც.

სალიტერატურო ენასთან შედარებით ფრაზის მახვილი კიდევ უფრო გამოჩინებული დიალექტურ წარმოთქმაშია, რადგან დიალექტისათვის დამახასიათებელი ბუნებრიობა თავის გამოხატულებას არა მარტო გრამატიკულ და ლექსიკურ მხარეში პოულობს, არამედ მკვეთრად გამოვლენილ აქცენტუაციურ და ინტონაციურ თავისებურებებშიც. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს უფლებას ვიმსჯელოთ ქვემოიმერული კილოკავის მელოდიკური წყობის ერთ მხარეზე — მახვილზე.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქვემოიმერულის მელოდიკური წყობა არაერთი მახასიათებლით გამოირჩევა ქართული ენის სხვა დიალექტებს შორის, მაგრამ თვით საკვლევ ობიექტშიც არ არის იგი ყველგან და ყოველთვის ერთნაირი. წინასწარ აღნიშვნას მოითხოვს არსებითი ხასიათის მნიშვნელობის სწო-

რედ ის გარემოება, რომ ქვემოიმერული კილოკავის დიფერენციაციის საფუძველს წვრილ ენობრივ ერთეულებად გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებთან ერთად შესამჩნევად განსხვავებული აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებებიც ქმნის. ინტონაციურ მრავალფეროვნებას და, საზოგადოდ, სპეციფიკურ მოვლენებს წარმოთქმაში ადვილად ამჩნევენ თვით ადგილობრივი მკვიდრნიც კი. თავიანთ დამოკიდებულებას აღნიშნული ფაქტისადმი ისინი ხშირად ურთიერთ წაბაძვაში ან დაცივნაშიც კი გამოხატავენ მეგობრული გამოჯაგრების მიზნით.

ამ ინტონაციურ მრავალფეროვნებას, გარდა მახვილის ვარიაციული სხვაობისა, მრავალი სხვა ფაქტორიც განსაზღვრავს.

წინამდებარე სტატიაში, რომელსაც უფრო წინასწარი ცნობის ხასიათი აქვს, ვიდრე გამოკვლევისა, ყურადღება გამახვილებულია ქვემოიმერულში მოქმედი მახვილის მხოლოდ ზოგად დამახასიათებელ ნიშნებზე. მათ განხილვას სალიტერატურო ენასა და სხვა მეზობელ დიალექტებთან მიმართებაში შეუძლია ხელშეშებად გამოავლინოს აღნიშნული კილოკავისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებანი ამ თვალსაზრისით.

რაც შეეხება მოვლენის გამოწვლილვით ანალიზს ქვემოიმერულში შემავალი უფრო წვრილი ენობრივი ერთეულების მიხედვით, მისგან ამკერად თავს ვიკავებთ, რადგან ჩვენ ხელთ არსებული მასალების ექსპერიმენტული მეთოდებით შესწავლა, ამ მასალათა ოსცილოგრაფიული ანალიზი კვლევის შემდგომ ეტაპზე, ალბათ, უფრო დამაჯერებელი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემს.

სმენითი შთაბეჭდილებით ქვემოიმერულში უპირატესად ტონური ანუ მუსიკალური მახვილი გვაქვს დინამიკური მახვილის ელემენტებით. ტონური მახვილის მკვეთრად გამოვლენის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარი მდგომარეობა შეინიშნება არათუ თქმებისა და ქცევების, არამედ მოსაზღვრე სოფლების მიხედვითაც. კიდევ მეტი, ზოგჯერ განსხვავებული ვითარება დასტურდება ამ მხრივ თვით ერთი სოფლის ფარგლებში ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებს შორისაც: ტონური მახვილი ხან მეტად არის გამოჩინებული, ხან კიდევ — ნაკლებად.

ასეთი მერყეობა ტონური მახვილის გამოხატვაში ნაკარანახევი უნდა იყოს როგორც ამ ენობრივი ერთეულის შინაგანი ვითარების კანონის მოქმედებით, ასევე გარეშე ფაქტორების ზეგავლენითაც. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, ლიტერატურული ენის ძლიერი გავლენა, მეორე მხრივ, მეზობელი კილო-თქმების ზემოქმედება ქვემოიმერულის მელოდიკურ წყობაზე.

საკვლევი ობიექტის მონაცემთა მიხედვით ცალკე აღებულ სიტყვაში, რაგინდ მრავალმარცვლიანიც უნდა იყოს იგი, მახვილი არ ჩანს. მისთვის დამახასიათებელია რიტმული ანუ ფრაზის მახვილი. მახვილიანი სიტყვა ფრაზაში უფრო ხშირად ერთია.

როგორც ეს ექსპერიმენტული მონაცემებით არის დადგენილი, მელოდიკურ მწვერვალს სინტაგმაში საზოგადოდ ის სიტყვა ქმნის, რომელიც სემანტიკური თვალსაზრისით წარმოდგენს მოცემული სინტაგმის ცენტრს¹⁰.

სამახვილო სიტყვის ადგილი ქვემოიმერულში მკაცრად განსაზღვრული არ არის, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ უპირატესად მაინც იგი წინადადების ბოლოსაა მოქცეული. მახვილის ტიპისა და სამახვილო სიტყვების რაოდენობის

თვალსაზრისით ფრაზაში ქვემოიმერულში არსებითად ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც რაჭულში (აქაც აქცენტუაცია ერთცენტრიანია და მახვილი მუსიკალურ-ტონურია თავისი ბუნებით, რომელსაც აგრეთვე ახასიათებს დინამიკური მახვილის თვისებაც¹¹), მაგრამ სრულიად განსხვავებული, ვიდრე ზემოიმერულში. ამ უკანასკნელში, პირიქით, დინამიკური მახვილია ფიქსირებული ტონური მახვილის ელემენტებით¹².

სწორედ ეს გარემოება ქმნის საფუძველს იმ მკვეთრი ინტონაციური სხვაობისათვის, რომელიც არსებობს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის.

ჩვენთვის საკვლევ ობიექტში ფრაზის ტონური მახვილი სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზეა (მიუხედავად იმისა, თუ რამდენ მარცვლიანია სიტყვა). გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია ის უკანასკნელ მარცვალზეც აღმოჩნდეს. ერთმარცვლიან სიტყვაში მახვილი იწვევს ხმოვნის გაორმაგებას. ორი ხმოვანი აქ თითქმის გარკვევით ისმის. ახალი მარცვლის გაჩენა ამ შემთხვევაში მახვილისათვის ეოკალური ფონის შესაქმნელად არის საჭირო¹³. (ჩვენი მსჯელობა ამჯერად ემყარება ერთბაშუხიანი თხრობითი წინადადების ანალიზს).

მოგვყავს მაგალითები ცოცხალი მეტყველების ნიმუშებიდან: იმან არ იცოდა თხრვა... ის ადგილი ქე გეცოდინება... რაფა ტყუილათე ელაპარაკები... ჩვენი ბოვშეები შორს დადიენ სკოლაში... ჭადი ახლა გამოვაცხევე... მთელი დამე ყეეფს და ყეეფს... ექიმი გაბუნია ქე გეცოდინება შეენ... ერი ფინჩხას ჭამს... გამოვაცხოზ ახლა ჭაადს... იღბალი უნდა ქონდეს კააცს... ჩვენ აქანა მარტიდან ვაართ...

როგორც ვთქვით, გარკვეულ შემთხვევაში ფრაზის მახვილი შეიძლება უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალზეც აღმოჩნდეს და გამოიწვიოს ხმოვნის შესამჩნევი დაგრძელება. ამას ადგილი აქვს ისეთ თხრობით წინადადებაში, რომელშიც მონაწილეობს დადასტურებითი ნაწილაკი.

ქე არ მეტკა სპირიდონას ძალი ფეხებში... ქე არ დამიწყო ყვირილნ ქე არ დაამოთ ცეკლნ... არ დეიწყო სიცილნ... არ მეიპარა საქონლნ, არ გოუგია ყოლიფერნ... ასეთი წინადადების მელოდიკა თავისი აღმავალი ტონით რამდენადმე უახლოვდება იმ კითხვითი წინადადების მელოდიკას, რომელიც არ შეიცავს კითხვით სიტყვას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მახვილიანი მარცვლი უმახვილო მარცვლებისაგან უმეტეს შემთხვევაში გამოირჩევა მეტი ინტენსივობით, ტონის მეტი სიმაღლით და ხმოვნის მეტი გრძლივობით.

რაკი ქვემოიმერული მახვილი საზოგადოდ მუსიკალურ-დინამიკური ბუნებისაა, ამის გამო, ცხადია, ამ სამი კომპონენტიდან მახვილის რეგულარულ მაჩვენებლად ტონის ცვალებადობა გვევლინება. ტონის შესამჩნევად ენერგიული მოდულაციით მახვილის მატარებელი ხმოვანი გაზანგრძლივებული არტიკულაციით წარმოითქმის, თუმცა ქვემოიმერულში ხმოვნის გრძლივობა ყველგან და ყოველთვის ისე შესამჩნევად გამოკვეთილი არ არის, როგორც ეს ქართული ენის ზოგი დიალექტისათვის არის დამახასიათებელი.

ტონურ მოდულაციაზე დამყარებული ე. წ. გრძელი ხმოვნის საკითხის შესწავლას ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტის, ცერძოდ, მთიულურის, მონაცემთა საფუძველზე, არნ. ჩიქობავამ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა¹⁴.

გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ მთიულურის ე. წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონურ მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს და გან-

საზღვრულია არა მისი რაოდენობითი ბუნებით, არამედ მისი ადგილმდებარეობით სიტყვაში, იგი თითქმის ყოველთვის მეორე მარცვალზეა ბოლოდან (ზაზი ავტორისა)¹⁵.

ავტორის აზრით, მთიულური არ უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს ამ მხრივ ქართული ენის სხვა დიალექტებს შორის. მართალია, არა ისე მკაფიო და განსაზღვრული ბუნების, მაგრამ არსებითად ასეთივე მახვილი დასტურდება ფერეიდნულში, გურულსა და ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში¹⁶.

როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს, ა. შანიძეს იგივე მოვლენა ზემორა-ქულშიც დაუდასტურებია (გლოლა-ჭიორა-ღების თქვაში)¹⁷.

ანალოგიური ვითარება აღინიშნება ქვემოიმერულშიც, ოღონდ ტონური მახვილის მატარებელი მარცვალი ყოველთვის აქ ისე შესამჩნევად არ გამოირჩევა დანარჩენი უმახვილო მარცვლებისაგან, როგორც ეს ქვემო იმერეთში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი.

სინტაქსურ მოვლენასთან დაკავშირებული ხმოვნის სიგრძის საკითხის განხილვისას გურულსა და აჭარულში ქ. ლომთათიძე იმ დასკვნამდის მივიდა, რომ „დამოკიდებულ წინადადებაში ბოლო მარცვლის გაგრძელება შედეგი უნდა იყოს გარკვეული ფუნქციის მქონე მომდევნო ხმოვნის (resp. სიტყვის) დაკარგვისა“¹⁸. ავტორს ასეთი გარკვეული ფუნქციის მქონე მომდევნო ხმოვნად მიაჩნია ა, რომელიც თავის მხრივ ცალკე სიტყვის ნაშთს უნდა წარმოადგენდესო; ვთქვათ, „არს“ მეშველი ზმნისას ან დადასტურებითი ნაწილაკისას „არა“, როცა ამ უკანასკნელს ე. წ. „განსაზღვრულობის“ ფუნქცია აქვს. ასე რომ, ფორმებს „რომ მოვიდა“ და „რომ მოვიდაა“ ქ. ლომთათიძე თვლის ან „რომ მოვიდა არის“-საგან ან კიდევ „რომ მოვიდა არა“-საგან მიღებულიად¹⁹.

გურულისა და აჭარულის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნა: „დადასტურებითი ნაწილაკი, ერთი მხრივ, და დამოკიდებულ წინადადებაში ხმოვნის სიგრძე, მეორე მხრივ, ურთიერთზე დამოკიდებული მოვლენებიაო“²⁰—მეტად საყურადღებოა და იგი ეჭვს არ იწვევს.

მაგრამ სულ სხვაგვარ ჩვენებას გვაძლევს ამ მიმართებით ქვემოიმერული კილოყავი. მარტივი წინადადების მელოდიკის ანალიზმა ზემოთ დაგვანახვა, რომ უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალი გახანგრძლივებული ინტონაციით განსაკუთრებით მაშინ წარმოითქმის, როცა წინადადება დადასტურებით ნაწილაკს შეიცავს (მაგალითები იხ. ზემოთ).

ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე რთულ წინადადებაშიც: ბოლო ხმოვანი გაგრძელებულად სწორედ იმ წინადადებაში წარმოითქმის, რომელსაც იწყებს დადასტურებითი ნაწილაკი: ქე არ დეიწყო ტყულათე ტირილწ, მარა მალე მიუხეთენ ეშმაკობას... ქე არ მეეფერწ, თელათ გედირია... არ დოუწვა მართლა სახლწ, მარა მალე იმასაც გოდუხადენ სამაგიერო... არ გოუწყრა პატარა ბოევიეძეთ, მარა იმანაც კარქა უპასუხა.

მკვეთრად გამოხატულ აღმავალ მახვილს ხმოვნის დაგრძელება თან ერთვის ქვემოიმერულში.

დასახელებულ კილოყავში დამადასტურებელი ნაწილაკი ხო ხშირად დაერთვის დამოკიდებულ წინადადებას ბოლოში. ამ შემთხვევაშიც ხმოვანი გრძელად ისმის: რომ ჩეიცვამს ახლა ხწ, მაშინ ნახეთ რადერი შესახეღავია... დილას რო ავედექი ხწ, მერეთ აღარ ჩამიმუხლია... წეხან რო კაცი დეენახე ხწ, თურმე ჩემი ნათესავი ყოფილა...

ასე რომ, უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვლის გახანგრძლივებული ინტონაციით წარმოთქმა დამახასიათებელია საერთოდ დადასტურებითი წინადადებისათვის ქვემოიმერულში. ხმოვანი ამ პოზიციაში გრძელდება მაშინაც, როცა მარტივი წინადადება დამოუკიდებლად გადმოგვეცეს აზრს, და მაშინაც, როცა ის რთული წინადადების კომპონენტს წარმოადგენს. ზემოთ განხილული მაგალითებიდან ცხადად ირკვევა, რომ ყველა შემთხვევაში შესანიშნავად ეგუება ერთმანეთს ხმოვნის სიგრძე და დადასტურებითი ნაწილაკი.

ამდენად, თუ გურულისა და აჭარულის მონაცემთა მიხედვით ხმოვნის დაგრძელება უკანასკნელ მარცვალში დადასტურებითი ნაწილაკის დაკარგვის საკომპენსაციოდ იყო მიჩნეული, აქ, პირიქით, როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ ასეთი ნაწილაკების შემცველი წინადადების ბოლო ხმოვანი გრძელდება. ყოველივე ამის გამო უფლება არ გვაქვს ქვემოიმერულში ეს ორი მოვლენა ერთმანეთს დაეუპირისპიროთ და ხმოვნის გრძლივობა დადასტურებითი ნაწილაკის დაკარგვის კომპენსაციად გამოვაცხადოთ.

ხმოვნის გრძლივობას აღნიშნულ პოზიციაში ქვემოიმერულის ჩვენებათა მიხედვით არაფერი აქვს საერთო გარკვეული ფუნქციის მქონე ხმოვნის დაკარგვასთან (როგორც ეს გურულის და აჭარულის მონაცემთა მიხედვით გამოვლინდა). ამის გამო სინტაქსურ საფუძველზე აღმოცენებულ მოვლენად მას აქვერ მივიჩნევთ. ხმოვნის დაგრძელება ქვემოიმერულში სინტაქსის მიღმა დგას და ფრაზის ტონურ მახვილს უკავშირდება.

ცალკე განხილვას მოითხოვს გაბმულ მეტყველებაში მიჯრით წარმოთქმული რამდენიმე წინადადების ერთი აქცენტუაციური თავისებურება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ქვემოიმერულ მეტყველებაზე ჩვენი უშუალო დაკვირვებით გამოვლინდა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: მიჯრით წარმოთქმულ რამდენიმე წინადადებაში ფრაზის მუსიკალური მახვილი ჩვეულებრივ ყველა წინადადებაში კი არ არის მკვეთრად გამოჩინებული, არამედ ერთში ან იშვიათად — ორში. დანარჩენებში კი მახვილი იმდენად დაჩრდილულია, რომ მისი შემჩნევა ჭირს. ასეთ შემთხვევაში მიჯრით წარმოთქმული რამდენიმე წინადადება ერთ სინტაგმად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც ერთი მელოდოკური მონახაზი აქვს. მახვილის მატარებლად ჩვეულებრივ ის ფრაზა გამოდის, რომელიც სხვა ფრაზებს შორის ყველაზე მეტად არის სემანტიკურად დატვირთული და ამდენად წარმოადგენს მოცემული სინტაგმის ცენტრს.

ქვემოიმერულ კილოკავში შემავალ სხვა თქმებთან შედარებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოკრიბული მეტყველება თავისი მელოდოკური ინდივიდუალობით. ამის გამო, სტატიის მიზანდასახულობის მიუხედავად, ჩვენ შევეცადეთ მოკლედ შევხებოდით ამ საკითხს და გამოგვეთქვა მოსაზრება ოკრიბულში მოქმედი ფრაზის მახვილის თავისებურების შესახებ.

სპეციალურ გამოკვლევაში, რომელიც ამ თემის შესწავლას ეძღვნება, მახვილის შესახებ აღნიშნულია: ოკრიბულში შეინიშნება როგორც დინამიკური მახვილი, ისე მახვილი, რომელიც იწვევს სათანადო ხმოვნის დაგრძელებას. ეს უკანასკნელი კითხვით წინადადებაში გვხვდება და ტონური მახვილის ნაშთი უნდა იყოს. ასეთივე წარმოშობის ჩანს ლოგიკური მახვილიც, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს თავისებური ინტონაცია. სიტყვა, რომელსაც ლოგიკური მახვილი დაესმის, წინადადების ბოლოსაა მოქცეული და დანარჩენი სიტყვებისაგან იმით ახერხებს გამოყოფას, რომ თავისებური ინტონაციის

„ფონზე“ ოდნავ აგრძელებს ბოლოდან მეორე მარცვალს²¹. ასეთი ვითარება გამოკვლევის ავტორს ორმარცვლიანი სიტყვების მიმართ აქვს დადასტურებული²².

ცოცხალ მეტყველებაზე ჩვენი უშუალო დაკვირვება ასეთ ჩვენებას გვაძლევს: უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ოკრიბულში იზოლირებულ სიტყვაში მახვილი არ ჩანს. აქ შეიძლება ლაბარაკი მხოლოდ ფრაზის მახვილზე. ქვემოიმერულის არც ერთ თქმაში ფრაზის მუსიკალური მახვილი ისე გამოჩინებული არ არის, როგორც ოკრიბულში. იგი დამახასიათებელია როგორც კითხვითი, ისე თხრობითი წინადადებისათვის²³.

მაგრამ მთავარი, რაც ოკრიბულის მელოდიკურ ინდივიდუალობას განსაზღვრავს (მხედველობაში გვაქვს თხრობითი წინადადების მელოდიკა), არის ტონის მკვეთრი ცვალებადობა სიტყვაში, რაც სიტყვის ბოლო ხმოვნის დაგრძელებასა და მეორე მარცვალზე ხმის შესამჩნევად აწევაში გამოიხატება. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმ მეტად თავისებური ინტონაციისა, რაც ოკრიბულ მეტყველებას ქვემოიმერულში შემავალ სხვა თქმებისაგან განასხვავებს: მაშინა ვერ დავაყენებ, იმდენი ხალხია... დღეს პოლი ვერ მოვწმინდებ... ერთი ჭიქა შაქარი მქონდა შენგან ნასესხები და ახლა მოგიტანე ქე... ძლივამ ამოვაწინე ამ სიტყვაში... ზოგი სულ არ აკარებს გულს ჯავრს... ჩვენ აქანა მარტიდან ვცხოვრობთ... ძალიან მცბელა.

ოდენ სმენითი ანალიზიც სულ ადვილად გამოავლენს ასეთ შემთხვევაში ხმოვნის დაგრძელებას ბოლო მარცვალში, ხოლო მის წინა მარცვალში ხმის შესამჩნევად აწევას. ეს წესი თანაბრად ვრცელდება ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებზე.

როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, მელოდიკური მწვერვალი ასეთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელზე მოდის, რომელსაც წინადადებაში უმეტესად ბოლო ადგილი უჭირავს.

აღნიშნული მოვლენა იმდენად გავრცელებულია ოკრიბულში, რომ იგი შეიძლება ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნადაც კი გამოდგეს მისი ცალკე დიალექტურ ერთეულად (თქმად) გამოყოფისთვის.

ქვემოიმერულის მახვილთან დაკავშირებული ჩვენი მსჯელობა აქამდე ემყარებოდა თხრობითი წინადადების ანალიზს.

საგანგებო განხილვას მოითხოვს კითხვით წინადადებაში მახვილის საკითხი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ თხრობითი წინადადების მელოდიკა თვალსაჩინოდ განსხვავებულია ქვემოიმერულში თქმებისა და ქცევების მიხედვით, კითხვითი წინადადების მელოდიკა ამ მხრივ გაცილებით უფრო სტაბილურია.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ქართულში კითხვითი წინადადების ინტონაცია არაა ყოველთვის ერთნაირი. თუ კითხვითი წინადადება კითხვით სიტყვას არ შეიცავს, მაშინ მისი ინტონაცია აღმავალია, ამ შემთხვევაში ბოლო სიტყვის ტონი მაღლდება — ჩხუბი მოვიდოდა, ამ შემთხვევაში წინადადებაში კითხვითი სიტყვა არის, ამ შემთხვევაში ინტონაცია დაღმავალია. ამ დროს ტონი ძლიერდება და ოდნავ მაღლდება შესიტყვების შიგნით, სახელდობრ კითხვით სიტყვაზე: რა ამბავია?. ამ ტიპის ინტონაცია რამდენადმე უახლოვდება თხრობითისას, მაგრამ ის მაინც უფრო მაღალია, ვიდრე თხრობით წინადადებაში²⁴.

ქვემოიმერულში სრულიად წაშლილია ზღვარი ამ ორი ჯგუფის კითხვით წინადადებას შორის. ორივესთვის თანაბრად დამახასიათებელია აღმავალი ინტონაცია. უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვლის ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის: სა მიხვლ?.. რომელ კლასში გადადნ?, სიმინი რიი გათოხნ?.. გუშინ აქ იყრ?.. ბაზარში იყავნ?.. საქონელი ვადენნ?..

მახვილის ლოკალიზება (იგი ორივე სახის კითხვით წინადადებაში ბოლო მარცვალზე) და ტონის ცვალებადობის მინიმუმამდე დაყვანა (კითხვითსიტყვიან წინადადებაში) არის საფუძველი ამ ორი ტიპის კითხვით წინადადებას შორის ინტონაციური სხვაობის წაშლისა.

დასკვნითი დებულებები ასეთია:

1. ქვემოიმერულის აქცენტუაციურ თავისებურებებს განსაზღვრავს ფაზის მუსიკალური მახვილი, რომელსაც თან დინამიკური მახვილის ელემენტები ერთვის.

2. აქცენტუაცია ძირითადად ერთცენტრიანია. სამახვილო სიტყვა ფაზაში ჩვეულებრივ ერთია.

3. მახვილი სიტყვას მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე. წინადადების შინაარსისა და აღნაგობის შესაბამისად შესაძლებელია ის ბოლო მარცვალზეც აღმოჩნდეს.

4. გაბმულ მეტყველებაში ერთმანეთის მიჯრით წარმოთქმულ რამდენიმე წინადადებას ხშირად ერთი მელოდიკური მონახაზი აქვს. ასეთ შემთხვევაში მახვილის მატარებლად ჩვეულებრივ ის ფრაზა გვევლინება, რომელიც ყველაზე მეტად არის სემანტიკურად დატვირთული და ამდენად წარმოადგენს მოცემული სინტაგმის ცენტრს.

5. ეს წესები ვარიაციებს გვაძლევს ქვემოიმერულში შემავალი უფრო წვრილი დიალექტური ერთეულების მიხედვით.

დ ა მ ო წ მ ე ბ ნ ი

1. ს. ყ დ ე ნ ტ ი, ქართული დიალექტების წარმოქმნის თავისებურებათა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, დაბეჭდილია რჩეული შრომების კრებულში, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 151.
2. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საეცვლები, თბილისი, 1949, გვ. 132—136.
3. ს. ყ დ ე ნ ტ ი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბილისი, 1963, გვ. 11.
4. იქვე.
5. იქვე, გვ. 137.
6. ი. თ ე ვ დ ო რ ა ძ ე, ქართული ენის პროსოდის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 25.
7. იქვე, გვ. 27.
8. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მახვილის საკითხისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №№ 2, 3.
9. იქვე.
10. ი. თ ე ვ დ ო რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.
11. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, გვ. 58—59.
12. ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოვაგი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 1952—53, ტ. XI, გვ. 69.
13. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, ივე, I, თბილისი, 1946, გვ. 343.
14. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IV, ტფილისი, 1924.

15. იქვე გვ. 339.
16. იქვე, გვ. 347.
17. იქვე.
18. ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, ივე, I, გვ. 340.
19. იქვე, გვ. 342.
20. იქვე, გვ. 343.
21. ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, ივე, ტ. VI, თბილისი, 1954.
22. იქვე, გვ. 164.
23. იქვე.
24. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 140.

К. М. КУБЛАШВИЛИ

УДАРЕНИЕ В НИЖНЕИМЕРСКОМ ГОВОРЕ

Резюме

В статье рассмотрены основные особенности ударения в нижнеимерском говоре. Выясняется, что для нижнеимерского говора характерно музыкальное ударение фразы, которое сопровождается элементами динамического ударения. Музыкальное ударение почти всегда падает на второй слог слова.

Это основное правило дает свои варианты разновидности по более мелким диалектным единицам.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ოლიგ კაპანაძე

მარტივი წინადადების ავტომატურ ანალიზთან დაკავშირებული
კოგიერთი საკითხი

წინადადების ავტომატური სინტაქსური ანალიზი (ასა), რომელზეც საუბარი გვექნება ამ სტატიაში, ბუნებრივი ენის ტექსტის ავტომატური დამუშავების ერთ-ერთი აუცილებელი და რთული კომპონენტია. ამ პროცესის საბოლოო მიზანს, ე. წ. ზოგად სემანტიკურ-გრამატიკულ ქსელზე დაყრდნობით, ტექსტის სემანტიკური ჩანაწერის მიღება წარმოადგენს.

ამ პრობლემების გადასაწყვეტად მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობს. ერთი მიზნის მისაღწევად უპირატესობას ანიჭებს ე. წ. „სინტაქსურ კომპონენტს“, მეორე კი — „სემანტიკურს“. შესაბამისად, პირველ ტიპის ჩანაწერს პირობითად შეიძლება „სემანტიკურად ორიენტირებული“, ხოლო მეორეს „სინტაქსურად ორიენტირებული“ ჩანაწერი ვუწოდოთ [1].

ეს პრობლემა „...ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე რთულსა და აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს“ [4]. იგი გამიზნულია როგორც თეორიული დასკვნებისათვის, რომელთაც, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვთ, ასევე პრაქტიკული მიზნებისათვის, კერძოდ — მანქანური თარგმანისათვის, ე. წ. „TBS“¹ ტიპის დიალოგური სისტემებისათვის, ავტომატური რეფერირებისათვის, საინფორმაციო-საძიებო სისტემებისათვის და ა. შ.

ჩვენს შემთხვევაში სემანტიკური ჩანაწერი შეიძლება სინტაქსურად ორიენტირებულად მივიჩნიოთ. ამდენად, სტატიის მიზანია დავახასიათოთ სინტაქსური ანალიზის პროცესი, რომელიც შემდეგი სამი დონით აღიწერება: I დონე — სიტყვაფორმათა გამოყოფა; II დონე — მორფოლოგიური ანალიზი და ე. წ. სიტყვაფორმათა „სინტაქსური კლასების“ ამოცნობა [9, 10]; III დონე — სინტაქსური ანალიზი.

მორფოლოგიური ანალიზი და სინტაქსური კლასების ამოცნობა რანგობრივი ანალიზის საშუალებით ხდება. ამ პროცესში მთავარ საძიებელ ერთეულს ზმნა წარმოადგენს, რადგან სტრუქტურულ და განსაკუთრებით გამოყენებით ლინგვისტიკაში იგი წინადადების მწვერვალად ითვლება. ამდენად „არ არის აუცილებელი „სუბიექტის“ (ქვემდებარის) არსებობა პრედიკატის გვერდით. წინადადებაში პრედიკატული წევრი თავისთავად საკმარისია იმდენად, რამდენადაც იგი განსაზღვრავს „სუბიექტს“. წინადადების „სინტაქსი“ მხოლოდ გრამატიკულ კოდს წარმოადგენს, რომელიც მისი წევრების სწორ განლაგებას უზრუნველყოფს“ [5].

¹ დიალოგური სისტემა TBS (Text Based System) ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაში ინახავს რაიმე ამოსავალ ტექსტს, რომელშიც მოცემულია სიტყვებს შორის სინტაქსური კავშირები. შეკითხვის სინტაქსური ანალიზის შედეგ ამოსავალ ტექსტში გამოიყოფა ფრაზა, რომელიც შეიცავს შეკითხვაში შემავალი სიტყვების მაქსიმალურ რაოდენობას იმ პირობით, რომ სიტყვები, რომლებიც ემთხვევა ფრაზასა და შეკითხვაში, ერთი და იმავე სინტაქსური კავშირით ერთიანდება (3).

ზემოთქმული განსაკუთრებით შეეხება ქართულ ზმნურ ფორმებს: „რომელთა ...სიზუსტე და მოქნილობა მართლაც რომ საოცარია“ [6] და რომლებშიც არა მარტო სუბიექტი (ქვემდებარე), არამედ სხვა აქტანტებიც — ობიექტები ზმნა-პრედიკატს უკავშირდება. ამდენად თვით ზმნა შეიძლება განვიხილოთ როგორც „მინიატურული წინადადება“ (7).

ქართული ზმნის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი მართლაც საკმაო სინტაქსური ინფორმაციის მატარებელია. კერძოდ, ზოგიერთი მორფი (უფრო ზუსტად ზოგი მორფემის ალომორფი) სხვა მორფებთან კომბინაციაში, ზოგი კი დამოუკიდებლად, ცალსახად განსაზღვრავს წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას.

თუ მორფოლოგიურ კონსტრუქციას — ზმნას განვიხილავთ როგორც მასივს, („მასივი — ეს არის ელემენტების სიმრავლე, რომლებიც ისეა განლაგებული, რომ მთელი რიცხვების მოწესრიგებული სიმრავლე ცალსახად განსაზღვრავს ამ მასივის ელემენტის პოზიციას“... „თუ მთელი რიცხვის მოწესრიგებული სიმრავლე π წევრს შეიცავს, მაშინ მასივს π განზომილებიანი ეწოდება“ [8]), რომლის ელემენტები ურთიერთგამომრიცხვე მორფთა² სიმრავლეები იქნება, შეიძლება შევადგინოთ ზმნურ ფორმათა მისაღები (resp. გრამატიკულად სწორი) მიმდევრობები.

ამ მიმდევრობებში ზოგიერთი მორფი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას აყალიბებს. ასეთ მორფებს სინტაქსურ მორფთა კონა (სმკ) ვუწოდოთ. კერძო შემთხვევაში სმკ შეიძლება ერთი მორფისაგან შედგებოდეს.

ახლა შემოვიტანოთ ცნება ენისა, როგორც სამეულის { Γ , P , Φ }-სა, სადაც P არის Γ სიმრავლის დაშლა (разбиение) Γ -ყველა ზმნური მორფის სიმრავლე, ხოლო Φ — ქართული ენის გრამატიკულად სწორი ზმნების სიმრავლე. „თუ P არის Γ სიმრავლის დაშლა, მაშინ ნებისმიერ ქვესიმრავლეს P -დან P უჭრედს ვუწოდებთ. [11].

თუ x_1, x_2, \dots, x_n არის მიმდევრობა Γ -ზე, მაშინ $P(x_1), P(x_2), \dots, P(x_n)$ -ს ეწოდება x_1, x_2, \dots, x_n -ის P სტრუქტურა.

„ P სტრუქტურას ეწოდება მარკირებული (отмеченная), თუ x_1, x_2, \dots, x_n შეიძლება ისე შეირჩეს, რომ ეკუთვნოდეს Φ -ს, ე. ი. სტრუქტურა P_1, P_2, \dots, P_s მარკირებულია, თუ არსებობს x_1, x_2, \dots, x_n ისეთი, რომ $P_i = P(x_i)$ იმ პირობით, რომ $1 \leq i \leq s$ [11].

განსახილველ შემთხვევაში მარკირებული მიმდევრობების მისაღებად MV მორფთა სიმრავლიდან საჭიროა მიმდევრობის თითოეული პოზიცია (სულ კი ასეთი 9 არის) დაიკავოს ერთმა ელემენტმა. არ არის გამორიცხული, რომ ეს მიმდევრობები (resp. მასივები) შეიცავდნენ ისეთ მორფებს, რომლებიც მიმდევრობაში ერთად არ გვხვდება. ამის თავიდან ასაცილებლად მასივის თითოეული პოზიციისათვის საჭიროა მივიღოთ მათი განსაზღვრის ველები. სხვანაირად რომ ვთქვათ, MV უნდა დავყოთ ისეთი n ცალ ქვესიმრავლედ (ამ შემთხვევაში 9), რომ კონკრეტულ შემთხვევაში თითოეული მათგანიდან თითო მორფი იქნეს რეალიზებული ზმნაში. სიმრავლეთა რაოდენობა — ეს მასივის სიგრძეა. ყოველ ქვესიმრავლეში შეიძლება გვექონდეს ე. წ. ნულოვანი მორფი

² ემილ ბენვენისტი მორფის თვისებას, იყოს უფრო მაღალი დონის (resp. სიტყვის) შემადგენელი ნაწილი, მის „შინაარსს“ უწოდებს.

მ, რომელიც მასივის სრულფასოვანი წევრია. თუ მასივი შედგება $(n-1)$ ნულოვანი და ერთი ნულოვანისაგან განსხვავებული მორფისაგან, ითვლება, რომ მასივი n განზომილებიანია.


აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული შემთხვევებისათვის P სტრუქტურა ნებისმიერი მარკირებული მიმდევრობისათვის ერთნაირი იქნება, ვინაიდან მიმდევრობის სიგრძე ფიქსირებულია და ყოველთვის ერთსა და იმავე i -ურ პოზიციას მასივში ერთი და იგივე P_i სიმრავლის რომელიმე ელემენტი იკავებს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, P სტრუქტურა ყველა მიმდევრობისათვის P_1, P_2, \dots, P_n სახეს იღებს. გამომდინარე აქედან, შემდგომი მსჯელობა მხოლოდ მარკირებულ მიმდევრობებს შეეხება.

სიმრავლიდან განსაზღვრის ველების მისაღებად, განვსაზღვროთ მასზე ე. წ. „მკაცრი მოწესრიგებულობის“ (строгий порядок) მიმართება, რომელიც ანტირეფლექსურობითა და ტრანზიტულობით ხასიათდება [12]:

$$\{ M_v, > \}$$

1. $\forall m_k, m_n \in M_v \wedge (m_k \neq m_n) \rightarrow (m_k > m_n) \vee (m_n > m_k)$;
2. $\forall (m_k, m_n, m_z \in M_v) [(m_k > m_n) \wedge (m_n > m_z)] \rightarrow [(m_k > m_z)]$;

ამის შემდეგ უნდა დავადგინოთ რანგთა სიმძლავრის გრადაცია, ანუ გამოვარკვიოთ, რომელი რანგი განსაზღვრავს ამა თუ იმ რანგის რომელიმე ელემენტის გამოჩენას სხვა რანგში. ეს საჭიროა ე. წ. „სინტაქსურ მორფთა კონფიგურაციის“ გამოსავლენად. ამ საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თუ რანგები განლაგებულია (\cdot) -ში აღწერილი მიმდევრობით, მაშინ მათი სიმძლავრე შეიძლება აღწეროთ (ii) საშუალებით. ისრის მარცხნივ მოთავსებული რანგი განსაზღვრავს მარჯვნივ ჩაწერილ რანგს.



ამ დამოკიდებულებას „კვაზი-სპირალური“ დამოკიდებულება შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან დამოკიდებულსა და მმართველ რანგებს შორის გავლებული ისრები თითქმის სპირალულ დამოკიდებულებას გვიჩვენებს:



Φ-დან მიმდევრობების მისაღებად, P დაყოფაზე დაყრდნობით, კონსტრუირებულ უნდა იქნეს მექანიზმი („წარმომშობი გრამატიკა“), რომელიც გადაწერის წესების საშუალებით ზმნური მორფების სწორ მიმდევრობებს მოგვცემს. ახლა არსებითად ჩვენ სინთეზს განვიხილავთ და მის ფორმალურ აღწერას ვახდენთ.

ჩვენს შემთხვევაში წარმოშობ გრამატიკა G-ს შემდეგი სახე ექნება:

$$G = (W, V, R, U) \text{ სადა } W = \{A, B, C, D, E, F, G, H, R\}$$

და წარმოადგენს ყველა ზმნურ მორფთა რანგების სიმრავლეს. V არატერმინალური სიმბოლოების აღდევითა. R საწყისი ელემენტია და შესაბამემა ზმნურ რანგთა ტაბულის შესაბამის რანგს. ეს რანგი შემთხვევით არ არის არჩეული საწყის ელემენტად: როგორც შეიძლება დაგვეჩვენა (იხ-დან, ყველაზე მძლავრი რანგი არის R და, ბუნებრივია, საწყის ელემენტად მას ვირჩევთ.

რაც შეეხება გადაწერის წესებს, ისინი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$U = \begin{cases} A \rightarrow \alpha\alpha \\ B \rightarrow \alpha\beta \\ C \rightarrow \alpha c \\ C \rightarrow c\alpha \end{cases}$$

სადაც A, B, C სენტენციალური ფორმებია. (სენტენციალურს უწოდებენ შუალედურ ფორმებს, რომლებიც გამოყვანის პროცესში მიიღება და შეიცავს ტერმინალურ და არატერმინალურ სიმბოლოებს).

სენტენციალურ ფორმა A-ს შემთხვევაში, გადაწერისას ჯერ ზემოთ აღნიშნული ფორმა დაისმის, ხოლო შემდეგ ახალი. სენტენციალურ ფორმა B-ს შემთხვევაში პირიქით, ჯერ ახალი სენტენციალური ფორმა იწერება; ხოლო სენტენციალურ ფორმა C-ს შემთხვევაში, ზემოთ ხსენებული ორი ტიპი ერთიანდება.

ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ წარმოშობის პროცესი მთლიანად, რადგან მიმდევრობათა სიგრძე შეზღუდულია.

$$R \rightarrow RE$$

$$RE \rightarrow C \cdot RE$$

$$CRE \rightarrow CRE \cdot F$$

$$CREF \rightarrow B \cdot CREF$$

$$BCREF \rightarrow BCREF \cdot D$$

$$BCREFD \rightarrow BCREFD \cdot GH$$

აღვილი დასანახია, რომ გამოყვანის სიგრძე არ იცვლება და უდრის n-ს. კვავ Φ სიმრავლის ელემენტია ფიქსირებული სიგრძის გამო.

ახლა საინტერესოა გამოჩვენოთ იქნეს n. ხომსკის კლასიფიკაციის მიხედვით, რომელ ტიპს განეკუთვნება ჩვენ მიერ აღწერილი ენა.

n. ხომსკი გამოყოფს ენათა შემდეგ ტიპებს: O. ენები, რომელთაც არავითარი შეზღუდვა არ აქვთ გადაწერის წესებისათვის; 1. კონტექსტურად დამოკიდებული ენები; 2. კონტექსტურად დამოუკიდებელი ენები; 3. ენები მდგომარეობათა სასრული რიცხვით.

დავიწყით O-ანი ტიპით, რომელთაც „ტიურინგის მანქანებს“ უწოდებენ. ენათა ეს ტიპი მეტად ზოგადია, ვინაიდან გადაწერის წესებს შემდეგი სახე აქვს: $\alpha \rightarrow \beta$

აქ სენტენციალური ფორმები შეიძლება იყოს ტერმინალურიც და არატერმინალურიც. ჩვენ მიერ აღწერილი ენა სრულიად აკმაყოფილებს ამ ტიპის ენის მოთხოვნებს.

იმისათვის, რომ ამ ტიპის ენა თუნდაც I ტიპის ენად მივიჩნიოთ, საჭიროა, რომ გადაწერის წესებს ჰქონდეს შემდეგი სახე: $\alpha A\beta \rightarrow \alpha\pi\beta$,

სადაც A ერთეული არატერმინალური სიმბოლოა, α , β , π — სენტენციალური ფორმები, ამასთანავე π — არაცარიელი.

გამოყვანის პირველ საფეხურზე ეს მოთხოვნა სრულდება, ვინაიდან $\alpha = \beta = \emptyset$ (α და β ცარიელია) და $\pi = RE$ (ტერმინალური სიმბოლო, არატერმინალური სიმბოლო). ასევე აკმაყოფილებს შემდგომი საფეხურის ყველა მარჯვენა მხარე I ტიპის ენათა მოთხოვნას. ეს მიიღწევა იმით, რომ ტერმინალური სიმბოლო, რომელიც არატერმინალურის მარჯვნივ ან მარცხნივ იმყოფება, შეიძლება არაცარიელ „კონტექსტად“ ჩაითვალოს, ამასთანავე მარცხენა მხარის „კონტექსტი“ ცარიელად მივიჩნიოთ.

გადაწერის წესების მარცხენა მხარის შემოწმებისას უკვე გამოყვანის მეორე საფეხურზე აღმოვაჩინეთ I ტიპის ენების შეზღუდვის წესებთან წინააღმდეგობას. მეორე საფეხურზე გვაქვს $RE \rightarrow C \cdot RE$

თუ აღვადგენთ სურათს დავინახავთ, რომ: $\alpha E\beta$, $\alpha \equiv R$, $\beta \equiv \emptyset$.

ჩასმის შემდეგ ვლბულობთ $RE \emptyset$, რასაც გამოყვავართ I ტიპის ენათა სიმრავლიდან. თეორემა № 1-ის ძალით: ყოველი ენა, რომელიც განეკუთვნება i-ურ ტიპს, განეკუთვნება ასევე (i-1) ტიპსაც, მაგრამ არა პირიქით [2].

გამომდინარე თეორემიდან და იქიდან, რომ მოცემული ენა არ არის I ტიპის ენა, ვლბულობთ, რომ ეს ენა არ განეკუთვნება II ტიპსაც და, მით უმეტეს, III-ს (ე. წ. „სასრული ავტომატები“), ე. ი. საქმე გვაქვს „ტიურინგის მანქანასთან“.

„ტიურინგის მანქანისათვის“ დეტალურად შეიძლება აღვწეროთ ელემენტები, რომლებიც მის ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული: დავუშვათ, მანქანას აქვს 6 შინაგანი მდგომარეობა: 1, 2, 3, 4, 5, 6 და მდგომარეობა 0 (საბოლოო). ლენტს ექნება სახე: $\cdot | \cdot | A | B | C | D | E | F | G | H | R | \cdot | \cdot$

D — საწყისი მდგომარეობა.

ხოლო ბრძანებების პროგრამას შემდეგი სახე აქვს:

	1	2	3	4	5	6
A	AlO					
B	Br3	Bl 1				
C	Cr 4	Cl 1	Cr 5	Cl 2		
D	Rr 1	Dl 1				
E	El 1	El 2	Er 3	El 3	Er 2	
F	Fl 2	Fr 1	Fl 4			
G	Dr 1	Gl 2				
H	Gr 6					
R	Rl 1	Rl 4	Rl 2	Rr 3	Rr 5	Hl 2

ლენტა ამ პროგრამის მოქმედებით მიიღებს შემდეგ სახეს:

	A	B	C	R	E	F	D	G	H
--	---	---	---	---	---	---	---	---	---

ეს კი ჩვენს შემთხვევაში ზმნური რანგების თანმიმდევრობას ემთხვევა. მას შემდეგ, რაც დეტალურად იქნა შესწავლილი ზმნური რანგები, საჭიროა აღიწეროს თვით სინტაქსური ანალიზის პროცესი, რომელიც ზმნაზე დაყრდნობით ხორციელდება და რომელიც მაქსიმალურად იყენებს იმ ინფორმაციას, რომელიც მიიღება ზმნის მორფოლოგიური ანალიზისა და შესაბამისად მის შიგნით სინტაქსურ მორფთა კონის გამოყოფით.

მანამდე, სანამ სინტაქსური ანალიზის ზოგად სტრუქტურას აღწერდით, საჭიროა აღწეროთ ის შემადგენლები, რომელთა საშუალებით უშუალოდ იგება წინადადება. არსებული ტრადიციის თანახმად, პირველ დონეზე S შემადგენელი გამოიყოფა, რომელიც წინადადებას შეესაბამება.

შემდეგ საფეხურზე, შემადგენელთა იერარქიაში, გამოვყოფთ AG აქტანტურ ჯგუფს (ჯგუფებს) და PRDG პრედიკატულ ჯგუფს. იმის მიხედვით, თუ როგორი სინტაქსურ მორფთა კონა გვაქვს, AG შეიძლება იყოს: SUAG — სუბიექტური, ODAG—პირდაპირ ობიექტური ან OIAG—ირიბ ობიექტური. იგულისხმება, რომ სინტაქსური ანალიზის ამ დონეზე უნდა გამოიყოს წინადადებაში არსებული ყველა AG.

ანალიზის შემდგომ დონეზე PRDG — პრედიკატული ჯგუფი წარმოიდგინება შემადგენელ V-თი (პრედიკატი) და NOAG—თავისუფალი ანუ არააქტანტური ჯგუფით.

ეს უკანასკნელი, შემდგომ დონეზე შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც MFG — გარემოებრივი ჯგუფი ან OORG—ობიექტური ჯგუფი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინტაქსურ მორფთა კონის საშუალებით უნდა ამოცნობილ იქნეს აქტანტური ჯგუფები. არსებითად ყოველი აქტანტური (AG), ასევე ობიექტური (OORG) და გარემოებრივი ჯგუფი (MFG), თუ ეს უკანასკნელი ზმნიზდით არ არის გამოხატული, — სახელურ ჯგუფს წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ გვაქვს სინტაქსურად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვაფორმათა მიმდევრობა, რომელთა შორის, ერთი, უფრო ხშირად არსებითი, წარმოადგენს დომინირებულ-დომინანტ სიტყვაფორმას და განსაზღვრავს ამ მიმდევრობას სხვა სიტყვაფორმათა ბრუნვას.

„არსებითი სახელის (სახელური) ჯგუფის სინტაქსის ასახსნელად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს „პოზიციისა და მისი შემავსებლის“ (Slot and Filler analysis) ანალიზი, რომლის დროსაც განიხილება... (სახელური ჯგუფის) შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა კომპონენტები“ [13].

APRN PRN NUB NUA ADV1 AJ* N4 N. Q... () (i)-ში წარმოდგენილია სახელური ჯგუფის ტიპური სტრუქტურა. ვარსკვლავით აღნიშნული ელემენტები შესაძლოა რამდენჯერმე განმეორდეს. განვიხილოთ მაგალითი, რომელიც ამ სტრუქტურის რეალიზაციას წარმოადგენს: „ის მათი პირველი ორი მეტად სწრაფი ფლანგის შეტევა, რომელიც ვნახეთ...“ „ადვილი დასამყარებელია შესაბამისობა, რომელიც არსებობს სტრუქტურასა და მის მაგალითს შორის.

ამ პოზიციათა უმრავლესობა არ არის აუცილებელი და, ამდენად, შეიძლება შეუვსებელიც იყოს რომელიმე კონკრეტულ სახელურ ჯგუფში. თუ გა-

ვაგრძელებთ ჩვენ მიერ ზემოთ დაწყებულ მსჯელობას, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ NOAG ძნელად ექვემდებარება დიფერენცირებას და სინტაქსური ანალიზის სიღრმე ამ დონით ამოიწურება. ამის მიზეზია ის, რომ MFG და OORG ჯგუფთა დომინანტ სიტყვაფორმათა ბრუნვა ემთხვევა ერთმანეთს.

მაგალითად, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებითი ბრუნვა მათ საერთო აქვთ, და ამიტომ მათი გარჩევა მხოლოდ ფორმალური ნიშნებით შეუძლებელია. ეს ომონიმია მოიხსნება „ტექსტი — მნიშვნელობა“ — ანალიზის შემდგომ, სემანტიკური ანალიზის დონეზე.


ისეთ შემთხვევებში კი, როცა MFG შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც გარემოებრივი ჯგუფი სინტაქსური ანალიზის ჩარჩოებში, შეიძლება გვქონდეს ერთ-ერთი ვარიანტი გარემოებრივი ჯგუფისა: TMFG (დროის), LMFG (ადგილის), SMFG (ვითარების), AMFG (მიზნის), RMFG (მიზეზის) ან QMFG (კითხვის).

საბოლოოდ სინტაქსური ანალიზის სქემა და იერარქია შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:


S		
1.1 AG*	*1.11 SUAG	**1.22.21 TMFG
1.2 PRDG	1.12 ODAG	1.22.22 LMFG
1.21.V	1.13 OIAG	1.22.23 SMFG
1.22.NOAG		1.22.24 AMFG
1.22.1 OORG		1.22.25 RMFG
1.22.2 MFG**		1.22.26 QMFG

ამ სქემაში უშუალო შემადგენლებად, ტრადიციული ანალიზისაგან განსხვავებით, სადაც ყოველი შემადგენელი ანალიზის შემდგომ საფეხურზე შემადგენელთა დოქოტომიით შენაცვლდება, ჯგუფი, როგორც შემადგენელი, შეიძლება წარმოვადგინოთ ერთჯერ მეტად.

მაგ., თუ სინტაქსურ მორფთა კონს სამვალენტია, მაშინ ანალიზის პირველ დონეზე, წინადადების სტრუქტურას შემდეგ სახე ექნება:



პრაქტიკულად სინტაქსური ანალიზი შემდეგნაირად ხორციელდება: სინტაქსურ მორფთა კონის კარნახით ხდება ამა თუ იმ აქტანტური ჯგუფის დომინანტის ამოცნობა. ამის შემდეგ გარკვეული წესებით ამოიცნობა მთელი ჯგუფი. ასე—ყველა AG-თვის ცალ-ცალკე. დარჩენილი ჯგუფი PRDG-ს განეკუთვნება. ამ უკანასკნელში ამოიცნობა პრედიკატი V და PRDG. NOAG-ში ისევ ვეძებთ დომინანტს და მისი აღმოჩენის შემდეგ ვაცხებთ მას სახელურ ჯგუფამდე. შემდგომ ამისა, თუ ამის საშუალებას მასალა იძლევა, სრულდება NOAG-ის დიფერენცირება ადრე აღწერილი სქემის მიხედვით:



საღიესოდ ზემოაღწერილი ავტომატური სინტაქსური ანალიზი რეალიზებულია პროგრამის სახით PL/1 ალგორითმულ ენაზე ელექტრონულ-გამომვლელ მანქანა EC—1022-თვის.

დ ა მ ო წ მ ე ბ ა ნ ი

1. George L a k o f f. Deep and Surface Grammar, Reproduced by the Indiana University Linguistics Club., 1968.
2. Н. Х о м с к и й, О некоторых формальных свойствах грамматик, «Кибернетический сборник», вып. V, М., 1962.
3. П е р ц о в а, Об одном направлении исследования в области искусственного интеллекта, в журн. НТИ, сер. 2, 1975, № 8.
4. Н. Х о м с к и й, Язык и мышление, М., 1972.
5. Э. Б е н в е н и с т, Общая лингвистика, М., 1974.
6. В. Т. Р у д е н к о, Грамматика грузинского языка, М.-Л.: 1940.
7. ან. ჩ ი ჯ ო ბ ა ე ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1968.
8. Ф. Х о н г у д. Методы компиляции. М., 1972.
9. И. Л а м б е к, Математическое исследование структуры предложения, в сб. «Математическая лингвистика», М., 1969.
10. И. Б а р - Х и л л е л, Разрешающие процедуры для структуры естественных языков, в сб. «Математическая лингвистика, М., 1, 1964.
11. С. М а р к у с, Теоретико-множественные модели языков, М., 1970.
12. Ю. А. Ш р е й д е р, Равенство, сходство, порядок, М., 1971.
13. Т. В и н о г р а д, Программа, понимающая естественный язык, М., 1976.

О. Г. КАПАНАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ АВТОМАТИЧЕСКОГО АНАЛИЗА ПРОСТОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В статье автоматический синтаксический анализ (АСА) рассматривается как составная часть комплексной лингвистической системы «текст—смысл».

В этом процессе главной искомой единицей является глагол, т. к. он считается вершиной предложения. Сказанное в высшей степени касается грузинских глагольных структур, в которых отражен не только субъект, но и другие актанты — объекты.

Если глагол грузинского языка рассматривать как массив, то можно увидеть, что часть глагольных морфов определяет синтаксическую структуру предложения. Это множество морфов называем «пучком синтаксических морфов». Каждый такой пучок определяет валентность глагола и падежи соответствующих актант.

Установлено, что мета-язык, который применяется для описания глагольных рангов, по классификации Н. Хомского, относится к «машинам Тьюринга».

Основываясь на анализе глагольных структур, осуществляется синтаксический анализ. Предлагается новая схема, в которой, в отличие от традиционного анализа на НС, одна и та же группа на одном и том же уровне может быть представлена больше, чем один раз, что более точно отражает структурные особенности грузинского языка, где все актанты в смысле отражения их в глаголе-предикате являются равными.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი
ლინგვისტიკის კათედრა
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

ირინე მილიჩივილი

მარცვლის აგების ზოგადი პრინციპი და ხეშულთა განაწილება
CVC ტიპის ძირეზოვი საერთო ჰართველურსა და საერთო
ინფორმაციულში

CVC (თანმოვანი — ხმოვანი — თანხმოვანი) ტიპის ძირთა სტრუქტურა საერთო-ჰართველურში უკანასკნელ დროს საკმაოდ ინტენსიური კვლევის სფეროდ იქცა. თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი მონოგრაფიაში „სონანტა სისტემა და აბლაუტი ჰართველურ ენებში“ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ საერთო-ჰართველური ძირის კანონიკურ ფორმას CVC ტიპი წარმოადგენდა¹. ამავე ნაშრომში წარმოდგენილია CVC ტიპის ძირში ჰარმონიულ კომპლექსთა და ჩქამიერი თანხმოვანი+ლაბიალური სონორი ტიპის კომპლექსთა განაწილების განმსაზღვრელი წესები². გ. მაჭავარიანის ნაშრომში „საერთო-ჰართველური კონსონანტური სისტემა“ წარმოდგენილია საერთო-ჰართველურ CVC ტიპის ძირებში ერთი ლოკალური რიგის ხეშულთა და სიბილანტთა ურთიერთმიმართების განმსაზღვრელი წესები³. ჰ. ფენრიხმა სისტემატურად შეისწავლა CVC ტიპის ძირთა სტრუქტურაში ჩქამიერ ფონემათა ურთიერთმიმართება და განსაზღვრა თავიადურ და ბოლოკიდურ თანხმოვანთა ურთიერთმიმართების წესები თანხმოვანთა ლარინგალური არტიკულაციისა და ლოკალური რიგის თვალსაზრისით⁴.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს შედეგს იმ სამუშაოსი, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ საერთო-ჰართველური ძირის დისტრიბუციული და სტატისტიკური შესწავლის მიზნით. არსებული ეტიმოლოგიური ლექსიკონებისა და გამოკვლევების საფუძველზე შევადგინეთ საერთო-ჰართველურ ძირეულ მორფემათა სია. ეს სია 710 ერთეულს შეიცავს. საანალიზო მასალის სიმცირე თვალსაჩინო ვახდება, თუ ჩვენს სიას შევუდარებთ გ. ჟუკუას მიერ ი. პოკორნის ლექსიკონის საფუძველზე შედგენილ ანალოგიურ სიას, რომელიც 2027 ერთეულს შეიცავს⁵. მასალის სიმცირე ძირითადად აიხსნება შესაძარებელ ენათა სიმცირით და რამდენადმე აგრეთვე ჰართველურ ენათა შესწავლის დღევანდელი მდგომარეობით. სიაში არ შეგვიტანია ხმაბაძვითი ხასიათის ძირები, რომლებიც ხშირად გადახრას გვიჩვენებენ კანონზომიერ ბეგრათშესატყვისობათაგან. არ შევიტანეთ სიაში არც რედუბლიცირებული ფუძეები. არქტიკალების სიის შედგენისას ვითვალისწინებდით დისტანციური ხასიათის ასიმილაციურ პროცესებს, რომლებმაც სახე უცვალეს საერთო-ჰართველურ ძირებს ისტორიულ ჰართველურ ენებში. გ. მაჭავარიანის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, ჰართულში ძირის თავიადური მქლერი ჩქამიერი ყრუვდება, თუ ხმოვანი გათიშული თანხმოვნები ერთსა და იმავე სიბილანტურ რიგს ეკუთვნის: *ზასხლ>სისხლ-, *ძაცხ>ცაცხ-... და თუ პირველი თანხმოვანი ანტიციორული მქლერია, ხოლო მეორე — უკანაველარული ყრუ ხეშული ან სპირანტი: *ბერგ->ფერგ-, *დხა>თხა... ჰართულში ასიმილაცია არ ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე თანხმოვანი დენტალური რიგისაა და ერთმანეთისაგან ხმოვით არის გათიშული: *დათუ>დათუ. სამაგიეროდ, მეგრულ-ჭანურში დისტანციური ასიმილაცია სწორედ ამ პირობებში ხორციელდება. სვანური ყველა შემთხვევაში

ინარჩუნებს თავკიდურ მკლერ თანხმოვანს⁶. ამრიგად, შედარების გზით ხერხდება თავკიდური მკლერი თანხმოვნის აღდგენა იმ შემთხვევებში, როდესაც იგი დისტანციური ასიმილაციის შედეგად დაყრუებულა ქართულში ან მეგრულ-ჭანურში.

ჩვენი მასალის ანალიზმა დაადასტურა დებულება, რომლის თანახმადაც საერთო-ქართველური ძირის კანონიკურ ფორმას CVC წარმოადგენს. 710 ძირიდან 608 ამ ტიპისაა. დანარჩენი 102 ძირი ნაწილდება C (32), CV (42), VC (18) და CVCV (10) ტიპებს შორის⁷. CVC ტიპის ძირთაგან CVC ტიპისაა, ე. ი. ბოლოკიდური სონორულ თანხმოვანს წარმოადგენს 359 ძირში. ამჟამად ჩვენი შესწავლის საგანია ისეთი ტიპის ძირები, რომელთა როგორც თავკიდური, ისე ბოლოკიდური თანხმოვანი ჩქამიერია. ასეთი ძირების რაოდენობა საკმაოდ დიდია — იგი 231-ს აღწევს, აქედან თითო ჩქამიერი თანხმოვნით არის წარმოდგენილი ძირის თავკიდური და ბოლოკიდური 184 შემთხვევაში; დანარჩენი 47 ძირის სტრუქტურაში ჩქამიერი კომპლექსი მონაწილეობს. ჩვენ მიერ გაანალიზებულმა მასალამ დაადასტურა დღემდე გამოვლენილ წესთა სისწორე (ეს წესები, როგორც ზემოთ ითქვა, გამოვლენილია გ. მაჭავარიანის, თ. გამყრელიძისა და ჰ. ფენრიხის მიერ). წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია CVC ტიპის საერთო-ქართველური ძირის აგებულების განმსაზღვრელი რიგი ახალი წესი, მიღებულ სტრუქტურათა ფუნქციონალური დახასიათება და მოცემულია მათი ახსნის ცდა ფონოლოგიური თეორიის საფუძველზე.

საანალიზო ძირები დაყავით ორ ტიპად: ა) ჰომოგენური (ერთი ლარინგალური არტიკულაციის თანხმოვანთაგან შემდგარი) ძირები და ბ) არაჰომოგენური ძირები. ორივე ტიპის განხილვისას ჩვენთვის ძირითად ინტერესს შეადგენდა თავკიდური და ბოლოკიდური თანხმოვნების ურთიერთმიმართება ლარინგალური არტიკულაციის ნიშნებისა (მკლერობა, ფშვინვიერობა, ყელხშულობა) და წარმოების ადგილის თვალსაზრისით (მიმდევრობის აქცესიურობა-დეცესიურობა).

ჩვენ მიერ მიღებული წესები ერთი ზოგადი კანონზომიერების განხორციელებად წარმოგვიდგება, თუ გავითვალისწინებთ სამეტყველო ბგერათა სონორობის ხარისხს და სონორობის ხარისხის მიხედვით ბგერათა განაწილების ტენდენციას მარცვლისა და სიტყვის სტრუქტურაში.

ბგერათა კვლევას სონორობის ხარისხის თვალსაზრისით საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ მოვლენაზე დამყარებული მარცვლის თეორია მოცემულია ე. ზივერსის, ო. იესპერსენის შრომებში⁸. ბგერათა სონორობა წარმოადგენს ბგერათა აკუსტიკურ დახასიათებას მათი ხმასავსეობის, სიძლიერის, გასავონრობის თვალსაზრისით. მის განმსაზღვრელ ფაქტორთაგან ძირითადია ა) ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობა (მკლერობა-არამკლერობა) და ბ) იმ სივრცის სიდიდე და ღიაობა, რომელიც ამოუნთქულმა ჰაერმა უნდა გაიაროს. სონორობის ხარისხის თვალსაზრისით სამეტყველო ბგერები ასე დალაგდება: ხმოვნები — სონორი თანხმოვნები — ჩქამიერი თანხმოვნები. ჩქამიერი თანხმოვანთაგან ნაპრალოვნები უფრო სონორია, ვიდრე ხშულები. ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით ერთგვაროვან თანხმოვანთაგან უკანა წარმოების თანხმოვნები უფრო სონორია, ვიდრე წინა წარმოების თანხმოვნები. ჩვენთვის საინტერესო ნიშანთა ორივე რიგი შესაძლებელია შეფასდეს სონორობის ხარისხის თვალსაზრისით. ქვემოთ მოყვანილ სქემაში ისრის მიმართულება ასახავს სონორობის ხარისხის ზრდას:

1. ლარინგალური არტიკულაციის ნიშნები

მკვეთრი
ფშვინვიერი
მქლერი ↓

2. ლოკალური რიგის ნიშნები

ლაბიალური
დენტალური
ალვეოლარული
პალატალური
ველარული
ფარინგალური ↓

მარცვლის აგების „სონორული თეორია“ ბგერათა ადგილს მარცვლის სტრუქტურაში განსაზღვრავს მათი ფარდობითი სონორობის თვალსაზრისით. მარცვლის მწვერვალი მაქსიმალური სონორობის მატარებელია, ხოლო თავი-დური და ბოლოკიდური თანხმოვნების ურთიერთმიმართება შესაძლებელია დახასიათდეს როგორც მზარდი ან კლებადი სონორობის მიმართება, იმის მიხედვით, თუ როგორია ამ თანხმოვანთა ფარდობითი სონორობა. ჩქამიერ თანხმოვანთა დეცესიური მიმდევრობა მზარდი ლიაობისა და resp. მზარდი სონორობის მიმდევრობას წარმოადგენს, ხოლო აქცესიური მიმდევრობა — დამავალი ლიაობისა და, შესაბამისად, დამავალი სონორობის მიმდევრობას.

ჯერ განვიხილავთ არაჰომოგენური ტიპის მიმდევრობებს (ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით განსხვავებულ ხშულთაგან შედგენილ მიმდევრობებს), ხოლო შემდეგ — ჰომოგენური ტიპის მიმდევრობებს.

1. ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით არაერთგვაროვან სტრუქტურათა ანალიზი განსაკუთრებით თანმიმდევრულ სურათს იძლევა. ქვემოთ წარმოდგენილ ტაბულაში მიმდევრობები დახასიათებულია როგორც ლარინგალური არტიკულაციის, ისე წარმოების ადგილის თვალსაზრისით.

		წარმოების ადგილი	
		მზარდი სონორობა (დეცესიური მიმდევრობა)	კლებადი სონორობა (აქცესიური მიმდევრობა)
ლარინგალური არტიკულაცია	კლებადი სონორობა	<p>I ტიპი</p> <p>1. მკვეთრი-გლოტალიზებული (*ბ-ქ...)</p> <p>2. მქლერი-ფშვინვიერი (*ბ-ქ...)</p> <p>3. ფშვინვიერი-გლოტალიზებული (*ფ-ქ...)</p>	X
	მზარდი სონორობა	X	<p>II ტიპი</p> <p>1. გლოტალიზებული-მკლერი (*კ-ბ...)</p> <p>2. ფშვინვიერი-მკლერი (*ქ-ბ...)</p> <p>3. გლოტალიზებული-ფშვინვიერი (*ქ-ფ...)</p>

როგორც ცხრილიდან ჩანს, ხმოვნით გათიშულ არაჰომოგენურ ხშულ თანხმოვანთა მიმართება ძირის სტრუქტურაში განისაზღვრება სიმეტრიისაკენ,



წონასწორობისაკენ მიდრეკილების წესით: თუ თავკიდური ხშულის სონორობა სპარბობს ბოლოკიდური ხშულის სონორობას ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით, მაშინ ბოლოკიდური მეტად სონორია ლოკალური რიგის თვალსაზრისით და პირქით, თუ თავკიდური ნაკლებ სონორია ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით, მაშინ იგი მეტად სონორი იქნება ლოკალური რიგის თვალსაზრისით. დაუშვებელია ისეთი თავკიდური და ბოლოკიდური თანხმოვნების არსებობა ერთი ძირის ფარგლებში, რომელთა ურთიერთმიმართება მზარდი ან კლებადი სონორობისა იქნება ორივე ნიშნის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ძირის სტრუქტურაში თანხმოვანთა განაწილება თანხმობაშია ლაბიალური და ველარული რიგის ხშულთა ფუნქციონირების შეზღუდვებთან, რომლებიც სხვა მოვლენათა (პარადიგმატულ სისტემათა, ფონემათა კომპლექსებისა და სინშირული მიმართებების) ანალიზის შედეგად იქნა დადგენილი: ძირის სტრუქტურაში გამოვლენის თვალსაზრისით შეზღუდული აღმოჩნდა /პ/ და /კ/ ფონემები, რომლებიც ლაბიალური და ველარული რიგების მარკირებულ, შეზღუდულ ფონემებს წარმოადგენენ და დიდი ფუნქციონალური დატვირთვა აღმოაჩნდა /ბ/, /ქ/ და /ჭ/ ფონემებს, რომლებიც სხვა თვალსაზრისითაც შესაბამისი კლასების ძლიერ წევრებს წარმოადგენენ.

მიღებული წესი რამდენადმე ეწინააღმდეგება მარცვლის აგების ზოგად კანონზომიერებას. საქმე ისაა, რომ მარცვლის აგების ზოგად კანონზომიერებად შესაძლებელია მივიჩნიოთ მარცვლის ბოლოკიდურისაკენ სონორობის ზრდის ტენდენცია. ამას მოწმობს მარცვლის უნივერსალური სტრუქტურა CV (CVC ტიპი ყველა ენაში არ არის დადასტურებული) და ენაში CVC ტიპის არსებობის შემთხვევაში CVS (ბოლოკიდური სონორი თანხმოვნით) სტრუქტურის დომინანტური მდგომარეობა¹⁰. შესაძლებლად მიგვაჩნია დაისვას საკითხი, ხომ არ წარმოადგენს ძირის სტრუქტურის განმსაზღვრელი ზემოთ წარმოდგენილი წესი საკომპენსაციო პროცესების მოქმედების შედეგს. ამ ვარაუდს ამაგრებს ის გარემოება, რომ უძველესი სუფიქსაციის მქონე ფუძეები ამავე ძირითადი წესის „სონორობის თვალსაზრისით წონასწორობის წესის“ შესაბამისად არიან გაფორმებული: ძირისა და ფუძის აგების წესი ერთგვარია. ყველა საერთო-ქართველური არქაული სუფიქსებით გაფორმებული ფუძის ფორმა ეთანხმება ჩვენ მიერ ძირისთვის დადგენილ წესებს. ფუძედრეკადი ზმნების ანალიზი ცალკეულ ქართველურ ენებშიც ამ სტრუქტურებს აღგვადგენინებს. სახელდობრ, სტრუქტურებში, სადაც ძირის თავკიდური იწყება გლოტალიზებული ან ფშვინვიერი ხშულით, ხოლო სუფიქსი მუდერ ბგერას წარმოადგენს — შეერთება ყოველთვის აქცესიურია¹¹; ასევე აქცესიურია ხშულთა მიმდევრობა ფუძეებში, სადაც ძირის თავკიდური გლოტალიზებულია, სუფიქსის თანხმოვანი კი ფშვინვიერი. სამაგიეროდ, ყველა ფუძეში, რომლის თავკიდური ხშული მუდერია, ხოლო სუფიქსი ფშვინვიერი ან გლოტალიზებულია, ძირის თავკიდური ხშულისა და სუფიქსის ხშულის მიმდევრობა უგამონაკლისოდ დეცესიურია¹². აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ასრულებს პარალელიზმს ძირისა და უძველეს ფუძეთა სტრუქტურებს შორის: იმ ფუძეთა რიცხვი, რომელშიც ძირისა და სუფიქსის მიმდევრობა აღმავალი სონორობისაა ლარინგალური არტიკულაციის ნიშნის თვალსაზრისით (გლოტალიზებული — მქლერი, ფშვინვიერი — მქლერი, გლოტალიზებული — ფშვინვიერი) და აქცესიურია, ერთიორად აღემატება შებრუნებულ მიმდევრობებს, რომლებიც დეცესიურია და ამდენად

აღმავალი სონორობა აქ ლოკალური რიგების თვალსაზრისით ხორციელდება. ქვემოთ დავინახავთ, რომ ასეთივე შეფარდება არსებობს შესაბამისი ტიპის ძირებს შორისაც.

ამრიგად, ჩქამიერ თანხმოვანთაგან შედგენილი ძირებისა და არქაული სუფიქსაციის მქონე ზმნათა სტრუქტურები ერთსა და იმავე წესებს ექვემდებარება. ეს გარემოება და, აგრეთვე ჩქამიერ თანხმოვანთაგან შედგენილ CVC ტიპის ძირთა ძალიან დიდი რიცხვი (608-დან 231; CVS ტიპის ძირის ძირთა რაოდენობა დიდად არ აღემატება CVC ტიპის ძირთა რაოდენობას), გვაუარაუდებინებს, რომ ჩქამიერთაგან შედგენილი ძირები ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია CV და CVS ტიპების ტრანსფორმაციას წარმოადგენენ და მათ სტრუქტურაში უძველესი სუფიქსების ძირთან შეხორცების შედეგად არიან წარმოქმნილი.

ჩვენ მიერ გამოყოფილი ძირთა ორი ტიპის ხვედრითი წონა საერთო-ქართველურ სისტემაში ერთნაირი არ იყო. მოვიყვანთ ამ სტრუქტურათა სიხშირულ მახასიათებლებს:

I ტიპი		II ტიპი	
1. გლოტალიზებული — მღერი	31	1. მღერი — გლოტალიზებული	17
2. ფშვინვეირი — მღერი	12	2. მღერი — ფშვინვეირი	10
3. გლოტალიზებული-ფშვინვეირი	12	3. ფშვინვეირი-გლოტალიზებული	4
სულ	55	სულ	31

პირველი ტიპის ძირთა რაოდენობა დიდად აღემატება მეორე ტიპის ძირთა რაოდენობას. ეს კვლავ მარცვლის აგების მზარდი სონორობის ტენდენციის გამოვლენად მიგვაჩნია, რადგან: პირველი ტიპი მზარდი სონორობისაა ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით, ხოლო მეორე — ლოკალური რიგის თვალსაზრისით, ამასთან ცნობილია, რომ სხვაობა სონორობის ხარისხის თვალსაზრისით ლარინგალური არტიკულაციის ნიშნით განსხვავებულ თანხმოვნებს შორის მეტია, ვიდრე ლოკალური რიგის ნიშნით განსხვავებულ თანხმოვნებს შორის. ამრიგად, პირველი ტიპის ძირები, რომელთა რიცხვი აღემატება მეორე ტიპის ძირების რიცხვს, შესაძლებელია განისაზღვროს როგორც მზარდი სონორობის მქონე ძირები. ამრიგად, მიღებულ სტრუქტურათა ფუნქციონალური დახასიათება ავლენს გარკვეულ მიდრეკილებას ძირის ბოლოკიდური თანხმოვნის მაღალი სონორობისაკენ.

ამას გარდა, სიხშირული მახასიათებლების ანალიზი ავლენს ფშვინვეირი-გლოტალიზებული ტიპის შეერთებათა უკიდურეს სიმცირეს. მკველვართა მიერ შემოთავაზებულია 4 დაკავშირება, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ამ ტიპის ძირების აღდგენა. ესენია:

- 1.* ფატ- — ქართ. ფატარი, გაფატრა: მგრ. ფუტურელი: სვან. ფიტ- მეფტა¹³.
- 2.* ფეტტ- — ქართ. ფეტტ-: მგრ. ფატ-: ჰან. ფატ-: სვან. ფეტტ-, ფბტტ-.
- 3.* ციკ — მგრ. ციკ ჰან. ციკ სვ. ციყ- „ჩარქობა“.
- 4.* ცხეკ — მგრ. ცხეკა: ჰან. ცხიკა- „ფიჩხი“: სვან. ცხეკა- „ტყე“¹⁴.

ბოლო ორი დაკავშირება არ ატარებს არც ერთ ისეთ ნიშანს, რომელიც მათ კანონზომიერად შესატყვის ფორმებად მიგვაჩვენებდა და ერთი ენიდან მეორეში სესხებას გამოგვარიცხვენდა. ამრიგად, მოყვანილი დაკავშირებების სიმცირე და პრობლემატური ხასიათი ეჭვს ქვეშ აყენებს საერთო-ქართველურში ფშვინვეირი-გლოტალიზებული სტრუქტურის მქონე ძირთა არსებობას.

ახალ ქართულში, როგორც ი. ჭობალავას გამოკვლევებიდან ჩანს, „სონორობის თვალსაზრისით ძირის თანხმოდანთა წონასწორობის წესმა“ შეწყვიტა ამოსავალი სახით მოქმედება, თუმცა ერთ კერძო შემთხვევაში ჩანს მისი მოქმედების კვალი: „თუ ძირის პირველ თანხმოდანთა გვაქვს მკვეთრი ხშული ან აფრიკატი, მაშინ მეორე თანხმოდანთა დასაშვები მკვეთრი შეიძლება იყოს მხოლოდ უფრო წინა წარმოებისა და არასოდეს უკანა“¹⁵. ახალ ქართულში ახალი სისტემის ჩამოყალიბება ასიმინციურ პროცესთა მოქმედების შედეგი უნდა იყოს.

საერთო-ქართველური ძირის სტრუქტურაში არაპრომოგენურ ხშულ თანხმოდანთა განაწილების ჩვენ მიერ მიღებული წესი პარალელს პოვებს საერთო-ინდოევროპული ძირის სტრუქტურაში. საერთო-ინდოევროპული ძირის სტრუქტურა ლარინგალური არტიკულაციის ნიშნებისა და ლოკალური რიგის ნიშნების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით შესწავლილი აქვს ვ. მაგნუსონი¹⁶. ვ. მაგნუსონის მიერ მიღებული წესების ინტერპრეტაცია ზოგად ფონოლოგიურ კანონზომიერებათა თვალსაზრისით ვერ ხერხდება¹⁷. ეს წესები ვერც ცოცხალ ენათა მასალაში პოვებენ პარალელს. ვფიქრობთ, რომ ვ. მაგნუსონის მიერ მიღებულ წესთა ყველაზე მწყობრი რიგი, რომელიც დადასტურებულ ძირთა დიდ ნაწილს მოიცავს, — წესები, რომლებიც ლაბიალური რიგის ფონემათა მიმართებას ასახავს სხვა ლოკალური რიგის ფონემებთან, იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება, რომელიც საერთო-ქართველური ძირის სტრუქტურას განსაზღვრავდა. წარმოვადგენთ ამ სტრუქტურებს ვ. მაგნუსონის აღნიშვნებით (1) — ეს არის ტრადიციული აღნიშვნა და შეცვლილი სახით: ტრადიციული მკვეთრი რიგის გლოტალიზებული ფონემებით შეცვლილი (2)¹⁸. მთავარი ნიშნები აღნიშნავს შესაბამისი სერიის ყველა არალაბიალურ ხშულს:

1		2
D—bh		T—bh
D—p		T—p
bh—D		bh—T
p—D		p—T

პირველ სვეტში მოცემული სტრუქტურების ინტერპრეტაციის გზას ჩვენ ვერ ვხედავთ, ხოლო მეორე სვეტში მოცემული სტრუქტურების (ტრადიციული მკვეთრი რიგის გლოტალიზებულად მიჩნევის შედეგად მიღებული სტრუქტურების) ინტერპრეტაცია ასეთი შეიძლება იყოს: თუ თანხმოდანთა აქცესიურად არის შეერთებული (ე. ი. კლებადი სონორობისაა ლოკალური რიგის თვალსაზრისით), მაშინ მათი შეერთება მზარდი სონორობისა იქნება ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით. გვაქვს მიმდევრობები გლოტალიზებული — მკვეთრი და გლოტალიზებული — ყრუ (ფშენივიერი): T — bh და T — p. პირიქით, თუ შეერთება დეცესიურია (მზარდი სონორობისაა ლოკალური რიგის თვალსაზრისით), მაშინ იგი კლებადი სონორობისა იქნება ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით: გვაქვს მიმდევრობები მკვეთრი — გლოტალიზებული და ყრუ — გლოტალიზებული: bh — T და p — T.

ვ. მაგნუსონის მიერ წარმოდგენილი სხვა სტრუქტურების გაერთიანება ერთი რაიმე წესის ფარგლებში არ ხერხდება. ავტორის მიერ მოყვანილი საილუსტრაციო მასალა გვარწმუნებს, რომ აქ უფრო ხშირად საქმე გვაქვს რთულ ფუძებთან და არა ძირებთან.

კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება პარალელიზმი საერთო-ქართველური და

საერთო-ინდოევროპული ძირის აგებულებაში ჰომოგენური ძირების განხილვისას. ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით ერთგვაროვან შეერთებათა განაწილება საერთო-ქართველურ ძირებს შორის ასეთია:

მჟღერი — მჟღერი	18
ფშვინვიერი — ფშვინვიერი	12
გლოტალიზებული — გლოტალიზებული	2

გლოტალიზებული — გლოტალიზებული ტიპის შეერთებათა სიმცირე საერთო-ქართველურში ბუნებრივად სვამს საკითხს: ხომ არ იყო ამ ტიპის შეერთება საერთო-ქართველურ დონეზე დაუშვებელი და ხომ არ შექმნეს ქართველურ ენათა შემდგომმა ცვლილებებმა საერთო-ქართველურში ამ ტიპის შეერთებათა არსებობის ილუზია? მოვიყვანთ იმ ორ ძირს, რომლებშიც თითქოს განხორციელებულია გლოტალიზებული + გლოტალიზებული ტიპის დისტანციური შეერთება საერთო-ქართველურ დონეზე:

1. *კაჰ- — ქართ. ნი-კაჰ, კაჰ-უნი, რუ-კაჰ-, ~მეგრ. ნგ-კჟ, ნი-კჟ-, ნუ-კჟ-~ჭან. ნუ(ნ)-კჟ- „პირი, სახე“ სვან. ნიკაჰ-, ნიკჟა(უშგ.), კაჰ-რაჰ „ნიკაპი“¹⁹.

გ. კლიმოვი თავის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ და გ. მაჭავარიანი „საერთო-ქართველურ კონსონანტურ სისტემაში“²⁰ ამ ძირს აღადგენენ თავიკიდური და ბოლოკიდური გლოტალიზებული თანხმოვნით, მაგრამ ფორმა ნიკჟა, დადასტურებული სვანური ენის უშუალო კილოკავში, კ. ჰ. შმიდტს საფუძველს აძლევს აღადგინოს ეს ძირი ბოლოკიდური ფშვინვიერთი და ვადასელა ფჷჰ ახსნას თავიკიდურ კ-სთან ასიმილაციით²¹. გამორიცხულად არ გვეჩვენება აგრეთვე ამ ძირის ეტიმოლოგიური კავშირი სიტყვასთან ჯბა. ამ შესაძლებლობაზე მიუთითებს ა. ჩიქობავა²². ამრიგად შესაძლებელია ამ ძირის აღდგენა ბოლოკიდური ფშვინვიერი ან მჟღერი ხშულით.

2. *კრტ- ძვ. ქართ. კრტნ-, ნი(ს)-კარტ, ~ მეგრ. კერტონ-, კირტონ ~ჭან. კირტონ, ~სვან. ნი-კრატ-, ნი-კრატ-²³.

ამ ძირისათვის მასალობრივად არ ხერხდება აუსლაუტის თანხმოვნის აბრუპტივიზაციის პროცესის ჩვენება, მაგრამ ჩვენ გვინდა მივუთითოთ იმ ფაქტზე, რომ ორივე ამ ძირში თანხმოვანთა დისტანციური მიმდევრობა აქცესიური ხასიათისაა. ეს მათ აახლოვებს ჩვენი ტაბულის პირველ ტიპთან: მზარდი სონორობით — ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით და კლებადით — წარმოების ადგილის თვალსაზრისით. აქ შემოდის გლოტალიზებული — მჟღერი და გლოტალიზებული — ფშვინვიერი სახის სტრუქტურები. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ, რომ ზემოთ განხილული ძირები სწორედ ამ სახის სტრუქტურათა ასიმილაციური ცვლის შედეგად არიან ჩამოყალიბებული²⁴.

გლოტალიზებული — გლოტალიზებული ტიპის შეერთებათა აკრძალვა ეთანხმება ცოცხალ ენათა შედარების გზით მიღებულ ტიპოლოგიურ კანონზომიერებებს. თუ მჟღერობისა და ფშვინვის ნიშნებს ასიმილაციური შეერთებისაკენ აქვთ მიდრეკილება, გლოტალიზაციის ნიშანი, პირიქით, დისიმილაციური შეერთებას აძლევს უპირატესობას²⁵. ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების წესი, რომელიც გ. ახვლედიანმა დაადგინა ოსური და სვანური ენებისათვის, ერთი სიტყვის ფარგლებში ხმოვნით გათიშული ორი გლოტალიზებულ თანხმოვნის დაძლევის ტენდენციას ასახავს²⁶.

ამ წესის მოქმედება ჩანს ძველ ქართულშიც, სადაც ხმოვნით ან სონორით გათიშული ორი ხშულიდან ორივეს გლოტალიზებული არტიკულაცია დაუშევ-

ბელია. ეს წესი უგამონაკლისოა, თუ CVC ან CRC. მიმდევრობაში თანხმოვანთა შეერთება დეცესიურია და აქვს რამდენიმე გამონაკლისი, თუ შეერთება პომორგანულია ან აქცესიური ხასიათისაა.

განსაკუთრებული ინტერესის ღირსია ძველ ქართულში დადასტურებული კომპლექსები, რომლებშიც **რ** სონორი წარმოდგენილია ჩქამიერ თანხმოვნებს შორის. ეს კომპლექსები მცირე გადახრით საერთო-ქართველური ტიპის ძირების სტრუქტურას იმეორებენ და საერთო-ქართველურ სონანტთა ფუნქციონირების ანარეკლს უნდა წარმოადგენდნენ ძველ ქართულში. ასეთი კომპლექსების რიცხვი ძველ ქართულში საკმაოდ დიდია. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსა და ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში წარმოდგენილი მასალის მიხედვით 70 ასეთი განსხვავებული კომპლექსი დასტურდება. ეს კომპლექსებია: **რ** მელერებს შორის — ბრდ, ბრდღ, ბრძ, ბრჯ, ბრჯგ, ბრგ, ბრგვ, ბრდ, გრდ, გრძ, გრძღ, გრჯღ, გრგ, ზრდ, ზრზ, ღრძ, ღრჯ; ფშვინეიერებს შორის — ფრქ, ფრთხ, ფრფ, ფრცხ, ფრცქ, თრთ, ქრთ, ქრცხ, შრშ; არის სამი კომპლექსი, რომლებშიც **რ** გლოტალიზებულ თანხმოვნებს შორის დასტურდება: კრკ (გამოკრკინვა „გამოკითხვა“, კრკოლა „მოგონებული თართოლა“), ქრტ (ქრტინვა, „ქუივილი“), წყრტ/წყლტ (წყლტუ/წყრტუ „ტიტველი, სწორი, უთმო“). როგორც ვხედავთ, ამ მასალაშიც **გლოტალიზებული—გლოტალიზებული** შეერთება ყველაზე იშვიათია ერთგვაროვან შეერთებებს შორის და ძირითადად ხმაბაძვით მასალაში არის დადასტურებული. არაერთგვაროვან შეერთებებს შორის ყველაზე გავრცელებულია მელერი და გლოტალიზებული ჩქამიერების კომბინაცია: „**მელერი — გლოტალიზებული**: ბრპ, ბრტყ, ბრწ, ბრწკ, ბრწყ, ბრპ, ბრკ, ბრყ, ღრტ, ღრტყ, ღრკ, გრტ, გრწყ, გრპ, გრკ, ძრწ, ღრტ, ღრკ; **გლოტალიზებული — მელერი**: წრდ, კლდ, კრძ, ყრდ; ნაკლებ ხშირია მელერ და ფშვინეიერ ფონემათა კომბინაცია: მელერი — ფშვინეიერი—ბრთხ, ბრჩ, ბრჯ, ძრც, ზრქ; ფშვინეიერი — მელერი: ფრდ, თრჯ, ჩრდ, სრბ, ხლდ; ყველაზე იშვიათია გლოტალიზებულ და ფშვინეიერ ფონემათა შეერთება: **გლოტალიზებული — ფშვინეიერი**: ტრფ, წრფ, კრთ, კრჩხ; **ფშვინეიერი — გლოტალიზებული**: კრწ/ხრწ (კრწნა/ხრწნა); ასეთი კომპლექსებში ჩქამიერი თანხმოვნების ადგილი ვ და მ სონორებმა (მათი სონორობის ხარისხი შესაბამის ბგერათა კლასში ყველაზე დაბალია) შეიძლება დაიჭირონ: ბრმ, ღრმ, ყრმ, კრმ; ვრდ, ვრც, ვლთ, ვლტ; თანამედროვე ქართულში მიმდინარეობს ამ ტიპის კომპლექსთა მოშლა. შესაბამის ფუძეებში **რ** სონანტი არამდგრად კომპონენტად იქცა. ზეპირ მეტყველებაში იგი, როგორც წესი, აღარ გამოითქმის, უშუალო კომბინაციაში მოხვედრილ ჩქამიერებს შორის კი, თუ მიმდევრობა დეცესიურია, ასიმილაციური პროცესები მიმდინარეობს²⁷. ამრიგად, ძველი ქართული ენის კომპლექსებს ჩქამიერი — **რ** სონანტი — ჩქამიერი ჩვენ საერთო-ქართული ვითარების გადმონაშთად ვთვლით, თუმცა სურათი რამდენადმე დაბნელებულია ასიმილაციური ცვლილებების შედეგად. საყურადღებოა, რომ სონანტის ფუნქცია ქართველურ ენებში ყველაზე დიდხანს შეინარჩუნა **რ** ბგერამ, რომელიც **რ—ლ—მ—ნ—ვ**-ს შორის სონორობის ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდება. დაბოლოს, ყურადღება მინდა მივაქციო იმას, რომ მელერი და გლოტალიზებული თანხმოვნების კომბინაცია ძველ ქართულში ახალი ქართულისაგან განსხვავებით დასტურდება არა მარტო **რ** სონორით გაითვის შემთხვევაში და აქცესიურ კომპლექსებში, არამედ დეცესიური მიმდევრობის შემთხვევაშიც. ასეთი კომპლექსებია: ბკ — დაბეპული, ბეპკი, ბუბკო,

ბკურება, საბკურებელი; ბტ — ბტული, ეგვბტე, კელაბტარი, ბკ—ბკე; ბყ—საბყრობილე, ჭკ—დაჭყკილი...²⁸ ამ რიგის მასალა უფლებას გვაძლევს წარმოვადგინოთ ვარაუდი, რომ ქართული ენის განვითარების უძველეს ეტაპზე და საერთო-ქართველურშიც გლოტალიზაციის ნიშანი როგორც დისტანციურ, ისე კონტაქტურ, როგორც აქცესიურ, ისე დეცესიურ მიმდევრობებში მკვლევრობის ნიშანთან დისიმილაციურ შეერთებებს აძლევდა უპირატესობას ყველა სხვა კომბინაციების წინაშე, ხოლო გლოტალიზებული — გლოტალიზებული ყველა სახის მიმდევრობა აკრძალულთა რიგს განეკუთვნებოდა. ამრიგად, არსებობს სრული საფუძველი იმისათვის, რომ საერთო-ქართველურში ვივარაუდოთ ძირეული მორფემის ფარგლებში ორი გლოტალიზებული თანხმოვნის არსებობის შეუძლებლობა. როგორც ვნახეთ, ეს შეზღუდვა განაგრძობს მოქმედებას ძველ ქართულსა და სვანურში.

ეს წესი პარალელს პოულობს საერთო-ინდოევროპული სისტემისათვის დადგენილ დისტრიბუციულ შეზღუდვებშიც. როგორც ცნობილია, ინდოევროპულ ხმულთა სამი სერიიდან ერთი, რომელიც ტრადიციულად მარტივ მკვლერ ფონემათა სერიად იყო მიჩნეული, ძირის სტრუქტურაში დისიმილაციური შეერთების ტენდენციას იჩენს: ძირში დაუშვებელია ამ რიგის ორი თანხმოვნის დისტანციური შეერთება (აკრძალულია გედ ტპის შეერთებები)²⁹. ფონემათა ამ სერიის გლოტალიზებულ ფონემებზედ მიჩნევის შემთხვევაში, რაც სავსებით ეთანხმება როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ტიპოლოგიის მონაცემებს, ვიღებთ საერთო-ინდოევროპულისათვის ძირის სტრუქტურის შეზღუდვის იმავე წესს, რომელსაც საერთო-ქართველურში ვადასტურებთ: ერთი ძირის ფარგლებში დაუშვებელია ორი გლოტალიზებული თანხმოვნის დისტანციური შეერთება³⁰.

მჟღერი — მჟღერი ტიპის სტრუქტურები საერთო-ქართველურში დომინანტურად დეცესიური მიმდევრობისაა. 18 დადასტურებული ძირიდან 14-ში თანხმოვნები დეცესიური რიგით არიან შეერთებული. რამდენადაც დეცესიური მიმდევრობა მზარდი სონორობისაა, ეს კანონზომიერება მარცვლის ბოლოკიდურისაკენ სონორობის ზრდის ტენდენციის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ თანხმოვანთა შორის სონორის გამოვლენის სიხშირე, ე. ი. ხმოვნის ფუნქციით სონორთა გამოყენება, ასევე დამოკიდებულია შესაბამის ბგერათა სონორობის ხარისხზე. C-C პოზიციაში სონორ ბგერათა გამოვლენის სიხშირე ასეთია: რ—31, ლ—2, ნ—2, მ—1, ეს კი შეესაბამება ამ ბგერათა ფარდობითი სონორობის რიგს: რ—ლ—ნ—მ. რაც უფრო სონორია ბგერა, მით მეტია მარცვლის მწვერვალის ფუნქციით მისი გამოვლენის ალბათობა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდი მსგავსება არსებობს თანხმოვანთა კონტაქტური და დისტანციური შეერთების წესებს შორის. ასე მაგალითად, თანხმოვანთა როგორც დისტანციური, ისე კონტაქტური აქცესიური მიმდევრობა ქართულ ენაში მოითხოვს მიმდევრობის მზარდ ლიაობას ლარინგალური არტიკულაციის თვალსაზრისით: ქართულში არსებული ხმულთა აქცესიური კომპლექსების მეორე წევრი ყოველთვის მკვლერია (იხ. თბ, ტბ, ცბ, წბ, ქბ, კბ, ცდ, წდ, ჩდ, ჰდ, კდ, ყდ... ტიპის კომპლექსები); საერთო-ქართველურ დონეზე აკრძალული აღმოჩნდა გლოტალიზებული — გლოტალიზებული ტიპის დისტანციური მიმდევრობა. ძველი ქართული ენის მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონტაქტური შეერთების თვალსაზრისითაც უპირატესობა

ეძლეოდა მყლერი-გლოტალიზებული (დეცესიური) და გლოტალიზებული—მყლერი (აქცესიური) ტიპის მიმდევრობებს გლოტალიზებული — გლოტალიზებული ტიპის მიმდევრობების წინაშე. ვფიქრობთ, რომ ეს მოვლენები უნდა გავაზაროთ ისე, რომ ერთი და იმავე რიგის კანონზომიერებები განსაზღვრავენ მიმდევრობათა როგორც დისტანციურ, ისე კონტაქტურ შეერთებათა სახეს. გლოტალიზაციის ნიშნის სირთულე განსაზღვრავს მის მიდრეკილებას დისიმილაციური სახის შეერთებებისაკენ. ის კი, რომ როგორც ძირის, ისე კომპლექსების სახე განისაზღვრება ამ რთულ ერთეულებში შემავალი ბგერების სონორობით და ამასთან ერთი და იმავე წესით, შეპირობებულნი უნდა იყოს იმით, რომ როგორც მარცვლის, ისე მარცვლის თავიკიდურ კომპლექსს ახასიათებს ტენდენცია მზარდი სონორობისაკენ (ლიაობისაკენ): არსებობს ტენდენცია, რომ CVC ტიპის მარცვლის ბოლოკიდური თანხმოვანი იყოს უფრო სონორი, ვიდრე თავიკიდური (ამის შესახებ იხ. ზემოთ); ასევე, არსებობს ტენდენცია, რომ თანხმოვანთა კომპლექსში ხმოვნის წინა პოზიციაში სონორობა იზრდებოდეს ხმოვანთან სიახლოვის შესაბამისად. სწორედ ეს უნდა განსაზღვრავდეს დისტანციურ და კონტაქტურ შეერთებათა ერთგვარობას CVC ტიპის ძირში და მარცვლის თავიკიდურ კომპლექსში.

შენიშვნები და დამოწმებანი

- * შაკითხულ იქნა მოხსენებად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესიაზე (1976 წ. ნოემბერი) და ენათა ტიპოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ საკავშირო სიმპოზიუმზე, რომელიც ჩატარდა მოსკოვში, 1977 წლის 10—13 იანვარს.
- 1. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტათა სისტემა და აბლუტიქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 304.
- 2. ი ქ ე ე, გვ. 305—306.
- 3. გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 80.
- 4. H. F ä h n r i c h, Zur Struktur der Wurzelmorpheme vom Typ CVC in der frühgemeinkartvelischen Grundsprache, Zlitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung, 1975, № 1, Bd. 28, გვ. 8—40.
- 5. G. J u c u o i s, La structure des racines en indo-européen envisagée d'un point de vue statistique, Linguistic research in Belgium, Universa Wetteren, 1966, გვ. 57—68.
- 6. გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 115—116.
- 7. ყოველი ტიპი ივლისსხება შედგენილად ქვეტიბებისაგან, რომლებშიც C წარმოადგენილია ცალი თანხმოვნის, ჩქამიერი კომპლექსის ან ჩქამიერი+ სონორი ტიპის კომპლექსის სახით.
- 8. E. S i e v e r s, Grundzüge der Phonetik, Leipzig, 1901 (მე-5 გამოც.), გვ. 199—210; O. J e s p e r s e n, Lehrbuch der Phonetik, Leipzig und Berlin, 1913, გვ. 191—205. ქრთული ენის ფონოტაქტიკის ფაქტების (თანხმოვანთკომპლექსების აგების წესების) ახსნის მიზნით არაერთ მკვლევარს მიუძღრათავს ბგერათა ფარლობითი სონორობის პრინციპისათვის. იხ. გ. ა ხ ვ ე ლ ე ი ა ნ ი, „გ“ ბგერის მეტათეზის ქართულში, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 358—360; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, პარმონიულ კომპლექსთა დიაქრონიული ინტერპრეტაციისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 4, გვ. 111—125; მ ი ს ი ე ე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტში სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, მეტყველების ანალიზის საკითხები, თბილისი, 1969, გვ. 122—189; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ის შრომებში ეს პრინციპი ფარლობითი ნაპრალოვნობის პრინციპის სახით ფიგურირებს; გ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, სალიტერატურო ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი და მისი აგების პრინციპები, თბილისი, 1974.
- 9. ი. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ე, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი, 1976, გვ. 86—101.

10. მარცვლის აგების ასიმეტრიულ პრინციპზე მიუთითებს, მაგალითად, ი. კ ლ ი მ ო ვ ი ს ი. იხ. მისი: *Вопросы теории слога, Очерки по лингвистике*, М., 1962, გვ. 269.

11. ამ ტიპის ფუძეები თამოყარილა პ. ფოგტის შრომაში: „ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში“, „მიმოხილველი“, 4/5, 1968, გვ. 284—314. აქცესურ მიმდევრობათა საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ფუძეები: კრებ-, კმელ-, წმედ-, წრედ-, წყუდე-, ტყებ-, ტყებ-, ჩხუებ-კედ-; როგორც წესი, აქცესიური ხასიათისა თანამედროვე ქართულში დადასტურებული გლოტალიზებული-გლოტალიზებული ტიპის ფუძედრეკადი ზმნების სტრუქტურაც: იხ. კვენტ-, კრეჭ-ყულეტ-, წვეპ-; გამოჩაქისის ქმნის ტლექ- ფუძე. საერთო-ქართველურ დონეზე გლოტალიზებული-გლოტალიზებული დისტანციური მიმდევრობის მქონე ფუძედრეკადი ზმნები, ვფიქრობთ, არ არსებობდა; ამ ტიპის ზმნები თანამედროვე ქართველურ ენებში, როგორც წესი, გლოტალიზებული-მეღერი ტიპის სტრუქტურათა ასიმილაციური ცვლილებების შედეგად არის წარმომდგარი (იხ. წყუდე->წყუეტ-, ტყებ->ტყეპ-, წრედ->წრეტ- ფორმათა ევოლუცია).

12. დეცესიურ მიმდევრობათა საილუსტრაციოდ მოვიყვანო ბრეტ-, ბრეწ-, ღრეტ-, ბრეტ-, ბლექ-, ბრეტ-, ფუძეებს.

13. K. H. Schmidt, *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache*, Wiesbaden, 1962, გვ. 135.

14. (2), (3), (4) დაკავშირებები წარმოდგენილია გ. კ ლ ი მ ო ვ ი ს მ იერ შედგენილ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში. იხ. Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, М., 1964, გვ. 188, 224, 226; (3) და (4) დაკავშირება ეკუთვნის გ. კლიოვს, (2) — უორლოპს.

15. ი. ქობალავა, CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, I, თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II, თბილისი, 1967, გვ. 191.

16. W. L. Magnusson, *Complementary Distributions among the Root Patterns of Proto-Indo-European*, *Linguistics*, 1967, 34, გვ. 17-26.

17. ვ. მაგნუსონი მიღებული წესების ინტერპრეტაციას არ იძლევა. ასეთი ცდა მოცემული აქვს ლ. გერცენბერგს ნაშრომში: *Морфологическая структура слова в древних индоевропейских языках*, Л., 1972, გვ. 135—138.

18. რეინტერპრეტაციის საკითხების შესახებ იხ. H. Pedersen, *Die gemeinindoeuropäischen und die vorindoeuropäischen Verschlusslaute*, *Det Kongelige Danske Videnskaberne Selskab*, Kopenhagen, 1951, 32, № 5. აგრეთვე ი. მელიქიშვილი, მარკირების პირობები მეღერობის, სიყრუის, ლაბიალობის და ველარობის ნიშნებისათვის, „მაცნე“, 5, 1970; ტრადიციული მეღერი სერიის გლოტალიზებულად მიჩნევისათვის იხ.: T. Gamkrelidze, V. Ivanov, *Sprachtypologie und die Rekonstruktion der gemeinindoeuropäischen Verschlüsse*, *Phonetica*, 27, 1973, გვ. 150—156.

19. ყველა ეს დაკავშირებული ფორმები წარმოდგენილია გ. კ ლ ი მ ო ვ ი ს „ქართველურ ენათა ლექსიკონში“ ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ე ზ ე (რომელმაც დააკავშირა ქართული და სვანური ფუძეები) და ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ზ ე (რომელმაც გამოავლინა ზანური ეკვივალენტი) მიითითებთ (გვ. 148).

20. გ. შ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველურ კონსონანტური სისტემა, გვ. 15, 18.

21. K. H. Schmidt, *Studien zur Rekonstruktion...*, გვ. 128.

22. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ზ ე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.

23. გ. კ ლ ი მ ო ვ ი ს, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, გვ. 116, 148; ქართული დამეგრული ფუძეები დააკავშირა პ. ფოგტმა, ქართული და სვანური ფორმები — უ ო რ დ რ ო პ შ ა.

24. ანალოგიური ცვლილებების შედეგად მივიჩნევ ჩვენი ზემოთ ახალ ქართულში გლოტალიზებულ თანხმოვანთაგან შედგენილი ფუძედრეკადი ზმნების არსებობა. ამ ზმნებშიც გლოტალიზებულ თანხმოვანთა დისტანციური შეერთება აქცესიური ხასიათისაა.

25. იხ. მაგ. Дж. Гринберг, *Некоторые обобщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных*, ВЯ, 1964, № 4, გვ. 57—58.

26. გ. ა ხ ც ე დ ი ა ნ ი, ხშულთა დისიმილაციური გამქდვებისათვის, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 62.

27. შტრ. პ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1961, გვ. 59—61.

28. მასალა ამოღებულია ძველი ქართული ენის ზემოთ დასახელებული ლექსიკონებიდან და

ზ. ს ა რ ჯ ე ე ლ ა ძ ი ს მონოგრაფიიდან: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1975, გვ. 74.

29. А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М., 1958, გვ. 191.

30. Т. Гамкrelidze, V. Ivanov, Sprachtypologie und die Rekonstruktion der gemeinindoeuropäischen Verschlüsse, გვ. 53.

31. ამ ნაშრომში ინდო-ევროპულ ძირთა მხოლოდ ერთი წყების—ლაბიალურ ფონემათა შემცველი ძირების ანალიზი არის წარმოდგენილი. დანარჩენ სტრუქტურათა ინტერპრეტაციისათვის იხ. ჩვენი ნაშრომი „Структура корня в общекартвельском и общиндоевропейском“. რომელიც იბეჭდება ჟურნალ «Вопросы языкознания»-ში.

И. Г. МЕЛИКИШВИЛИ

ОБЩИЙ ПРИНЦИП СТРОЕНИЯ СЛОГА И СТРУКТУРА КОРНЯ В ОБЩЕКАРТВЕЛЬСКОМ И ОБЩЕИНДОВЕРО- ПЕЙСКОМ

Резюме

В статье представлены результаты исследования консонантизма общекартвельских корней типа CVC, в которых начальный и конечный согласный являются шумными смычными. Выявлены следующие правила дистантной сочетаемости шумных: из гомогенных соединений допустимы сочетания типа **звонкий — звонкий** и **глухой аспирированный — глухой аспирированный**, а сочетания типа **глоттализированный — глоттализированный** так малочисленны (два проблематичных согласования), что на общекартвельском уровне их можно отнести к запрещенным соединениям. Это ограничение имеет параллели в живых языках (например, в сванском, осетинском (Г. С. Ахведнани), в древнегрузинском и объясняется тенденцией признака глоттализации к диссимилятивным, а не ассимилятивным соединениям (Дж. Гринберг). Если ограничения корня, установленные для общиндоевропейского языка, трудно поддающиеся интерпретации и не имеющие параллелей в живых языках, переформулировать таким образом, чтобы традиционные звонкие фонемы интерпретировать как глоттализированные, получим ограничения, тождественные с общекартвельскими: и в общиндоевропейском запрещенным оказывается соединение типа **глоттализированный — глоттализированный** (Т. В. Гамкrelidze, В. В. Иванов).

Типы соединения негомогенных смычных сводятся в одно общее правило, которое представляется возможным интерпретировать в качестве тенденции к равновесию по степени сонорности начальных и конечных смычных в структуре корня. Проявляется эта тенденция следующим образом: если конечный смычный является более сонорным по сравнению с начальным с точки зрения ларингальной артикуляции (соединения типа: глоттализированный — звонкий, аспирированный — звонкий, глоттализированный-аспирированный), то **последователь-**

ლნობა იმეოთ აკსესივნი ზარაქტერი, თ. ე. ზარაქტერიზირი უბივარობი სონორნობი ს თოქი ზრენი მესა არტიკულინი; ესლი ჯე, ნაობოროთ, კონეჩნი სოგლასნი მენეს სონორენ, ჯემ ნაჩარბნი ს თოქი ზრენი ლარინგალნი არტიკულინი (სოედინიანი თიპი: ზვონკი — გლოტალიზირირანი, ზვონკი — ასპირირირანი), თო სოსლოდარბობი ივარბიას დეკსესივნი, თ. ე. ზარაქტერიზირი ნარასოიბი სონორნობი სო პრიზნაკი მესა არტიკულინი. ნეტ სოედინიანი, ვ კოჩორი კონეჩნი სოგლასნი ზარაქტერიზირირი ბი ბოლბიშ ილი მენბიშ სონორნობი სო თოიოხიანი კი ნაჩარბნი სო პრიზნაკი ლარინგალნი არტიკულინი, თაკ ი პრიზნაკი მესა არტიკულინი. პოსკოლბი ვივარბიენი პრივოლ «რავნობესია» ნესკოლბი თოსოუარბი თო ზაკონი სოედინიანი სლოგა, კოჩორი ზაკლუბარბი ვ თენდენიი კი ბოლბიშ თოკრობი თი სონორნობი კონცა სლოგა, დოპოსკარბი, ჯო ზაკონი სოედინიანი კორნი სოლბილსი ვ რეზულბარბი პროცესოვ კომპენსირირანი ზარაქტერი.

ოთო პრივოლ თაკჯე ნარბოდი პარალელი ვ სოედინიანი თბენი დოეოროპეისკო კორნი. კონსონანტიზმი თბენი დოეოროპეისკო კორნი ს თოქი ზრენი ვიანოთოიოხიანი პრიზნაკოვ ლარინგალნი არტიკულინი ი მესა არტიკულინი ივოჩენ ვ. მაგნუსსონო. პოლუბენიანი იმ პრივოლა, სფორმულირირირანი ვ თერმინი თრადიციონნი რეკონსტრუქიი, ნე იმეოთ თიპოლოგიკესიკი პარალელი ი პრედსტარბიოთ თბენი ბოლბიშ ზარბუნდენიანი პრი იხ თბიასენიანი ნა თბენი ფონოლოგიკესიკი თეორიი. თბიკო პრი ინტერპრეტიანი თრადიციონნი სერიი ზვონკი ფონემ ვ კარბესთე გლოტალიზირირანი პოლუბარბი თბენი პარალელი ვ კარბელსკი ივარბი. სტრუქტური მაგნუსსონი, ვ კოჩორი პრინიმარბი თბენი ლაბიალნი რიდი სმეჩნი, პოლნობი სოვპარბიოთ ს თბენი კარბელსკი სტრუქტურანი, პოსოედინიანი სო პრინციპი რავნობესია სოგლასნი კორნი.

ივ თბენი თბენი სტრუქტურ თბენი მარბი ჯარბობიობი ბოლბიშ სოედინიანი თიპი ასპირირირანი — გლოტალიზირირანი (იმეოთ თბენი ჯეთრე პრობლემარბიკი სოპოსტარბიანი). თბენი პოვოლბი პრედპოლბიბი, ჯო ნა თბენი კარბელსკო თბენი თბენი თიპი ნე ბილ რეალიზირანი. ზარბესენიანი ნა თბენი კარბელსკო თბენი სოედინიანი სოგლასნი იმეოთ თბენი თბენი კონეჩნი თბენი — გლოტალიზირირანი სმეჩნი. პრივოლ, თბენი თბენი თბენი თბენი თბენი, ფორმულირირი სლედოიბი თბენი თბენი: ვ თბენი კარბელსკო კორნი ისკლუბარბი დისტანტი თბენი სოედინიანი თბენი თბენი თბენი, ესლი კონეჩნი სმეჩნი ბილ გლოტალიზირირანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათ-
მეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების
განყოფილება

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. შარაძენიძემ

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ტარიელ ბელენავა

ქართული ლიტერატურულ-მწიგნობრული კულტურის ისტორიიდან

ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორია საქმეში ჩახედულ პირთათვის საკმაოდ ცნობილია. როგორც ჩანს, ზოგიერთ მკვლევარს საეჭვოდ მიაჩნია ათონის ქართული ლიტერატურულ-მწიგნობრული კუბის არსებობის ფაქტი, საუკუნეების განმავლობაში ათონის მთაზე არსებულ საკრებულოს უბრალო ბერ-მონაზვნურ გაერთიანებად მიიჩნევს, ათონელ იბერთა სამშობლოდან მოშორებით მოღვაწეობა არ განიხილება როგორც მიზნობრივი, ისტორიული ასპექტით განპირობებული, ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ამგვარი კონცეფციის თანახმად კი ნამდვილად გაპირდებოდა ათონელთა („დიდ ათონელთა“ — როგორც უწოდებენ ჩვენში) ქართულ მოღვაწეებად მიჩნევა(!), მათი ეროვნული (ქართული) ინტერესებისა და ქართული კულტურისადმი სამსახურის ახსნა.

მკვლევარ ვ. არუთინოვას შრომა „გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი“¹ კვლევა-ძიების ვრცელ დიაპაზონს მოიცავს, თუმცა თავისთავად პრობლემების სიუხვად ნაშრომის ღირსების განმსაზღვრელ ფაქტორად არ მიიჩნევა. წამოყენებულ საკითხთა გადაწყვეტის ზარისხს ალბათ პირთუფელი მსჯელობა დაედება. ჩვენ მხოლოდ ერთ ასპექტს შევეხებით:

საშუალო საუკუნეებში საყოველთაოდ ცნობილი თხზულების, ჩვენში „ბალავარიანად“ წოდებულის ბერძნული რედაქცია ასზე მეტი ზღაპრითაა მოღწეული. ყველა მათგანს სხვადასხვა გარემოებათა კვლობაზე სახეცვლილი შესაბამისი ზედწერა მოეპოვება. მათგან ორში თხზულების ავტორად ეჭვითვე იბერი ი ა დასახელებული.

სიტყვა ი ბ ე რ ი, არუთინოვას გაგებით, კონტექსტში, ათონის იბერთა მონასტერთან კავშირში, ეთნიკურ მნიშვნელობას ვერ ითავსებს. ასეთი კონცეფციის საილუსტრაციოდ, სხვათა შორის, მკვლევარი ბალავარიანის ბერძნული რედაქციის ერთ-ერთ ლემას ასახელებს, სადაც იკითხება, რომ წინამდებარე თხზულება თარგმნილია ი ბ ე რ უ ლ ი ენიდან ექვაიმეს, იბერად წოდებულის მიერ. მკვლევრის ეთნოზაზმს იწვევს ტექსტში თავისთავად სიტყვა ი ბ ე რ ი ს დადასტურება, რომელიც ათონელ მოღვაწეს უკავშირდება (თუმცა, ლემაში ათონის მონასტერი ნახსენებაც არ არის, მაგრამ ეჭვითვე მკვლევრისათვის გარკვეულა პირია: არც ლემის შემდგენელი უნდა ყოფილიყო უმეცარი, რომ ეჭვითვე იბერის სახელს ათონის იბერთა მონასტრის ასოციაცია არ აღძვრა მისთვის!) და რითაც მკვლევარს საეჭვო კონცეფციის შემგარება გადაუწყვეტია: ზედწერის მითითება თხზულების ავტორის სადაურობის აღმნიშვნელა და საკითხი არც ისე იოლი გადასაწყვეტია, რომ იგი ქართველად მივიჩნიოთ... მკვლევრის აზრით, ათონელთა ცნობილი საენის იბერთა მონასტრად სახელდება, მონასტრის საკრებულოს იბერებად მოხსენიებას და ა. შ. (როგორც წესი) სპეციფიკური დანიშნულება ეძლევა: მსგავსი შემთხვევები ახდენენ ი ბ ე რ, სიტყვის ფუნქციურ შესაძლებლობათა ლოკალიზაციას და მის ტრანზიორტ განმარტებას იძლევიან. ერთი სიტყვით, ათონის მონასტერთან დაკავშირებული სიტყვა ი ბ ე რ ი, ერთგვარად ტრანზიორტურ ფუნქციას ასრულებს და არ წარმოადგენს ეთნონიმს, „იბერად წოდება“ ასეთ შემთხვევაებში („В такого рода источника“) იბერთა მონასტრის მკვიდრს ნიშნავს მხოლოდ და არა ქართველს.

ამგვარი ტენდენციით ბერძნული თხზულების ავტორის ქართველობა ექვეყნებ დგება, თუ არ დამტკიცდება, რომ ლემაში მოხსენიებული ეჭვითვე არის არა სხვა ვინმე, არამედ ეჭვითვე მთაწმინდელ-იბერი, ცნობილი ქართველი მოღვაწე (არა გვევანი, თვითონ მკვლევარს გარკვეული აღრესატის ნაცვლის ძიება საჭიროდ მიაჩნდეს), მაგრამ სხვა რომელი ეჭვითვე შეიძლება იყოს აქ მოხსენიებული თუ არა ის, ვისაც ბალავარიანის ბერძნული რედაქციის ავტორად აღიარებენ ქართული, ბერძნული და ლათინური წყაროები?

ი ბ ე რ ი ბერძნული რედაქციის ლემაში ორჯერაა ნახმარი. ერთგან იგი თხზულების წარ-

¹ «Типик Григория Пакуриана, Введение, перевод и комментарий В. А. Арутюновой Фидания, Ереван, 1978.

მომავლობას ეხება „... თარგმნილი იბერული ენიდან“, მეორე შემთხვევაში მისი ავტორის საცნობარო ატრიბუციას ვარაუდვენ „... იბერად წოდებულის მიერ“. სემანტიკური მნიშვნელობა ორივე შემთხვევისათვის ერთი და იგივეა.

ლექსში ნახშირი სადავო მნიშვნელობის სიტყვა იმდენად ცხად მითითებას იძლევა თხზულების წარმომავლობაზე, რომ გამორიცხავს მისი განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობის დადგენის საჭიროებას, არ იძლევა საბაზს ტრადიციულ წაკითხვაში აშკარად უმართებულო კონსტრუქციის შეტანისათვის. თუ კი იბერიის მნიშვნელობა სარწმუნოებრივი ორიენტაციისადმი მიმართების სფეროთი განისაზღვრება (ამაზე ქვემოთ), გვარდს როგორ აუვლით იბერული ენის არსებობის ფაქტს!

რა თქმა უნდა, დასაშვებია, მცირე ინფორმაციულ მინაწერში არ აღნიშნულიყო თხზულების ავტორის ეროვნება, მაგრამ შესაძლო ვითარების ფაქტად მიწოდება, კიდევ მეტი, იბერ სიტყვის ეროვნების აღნიშვნელად ხმარების შესაძლებლობის კატეგორიულად გამოიციხება—განმარტების მოსურნე მკითხველს რიგი მოსაზრებებისათვის განაწყობს: ან—ათონის იბერთა მონასტრიდან ვიღაც ექვთიმე თარგმნა თხზულება, მაგრამ მისი წარმოშობა ლემის შემდგენლისათვის უცნობია; ან —ექვთიმეს წარმოშობა ლემის შემდგენლისათვის ნაცნობია, მაგრამ ანგარში ეწევა საგანგებო ტრადიტს და ჩვეულებრივებზე მას იხსენიებს როგორც ათონის იბერთა მონასტრის წარმომადგენელს... მკვლევრის თავგამოდება ასეთი დასკვნის გამოტანის გარანტიასაც იძლევა: რადგან ექვთიმე ათონის იბერთა მონასტრში მოღვაწეობდა, კიდევაც რომ ქართველი ყოფილიყო (ან თუნდაც ცნობილი რომ ყოფილიყო მისი ქართველობა), უსათუოდ (როგორც წესი (!)) იბერთა მონასტრი: მკვიდრის სახით უნდა წარმომდგარიყო მკითხველთა წინაშე და არა როგორც იბერი-ქართველი («Важно было подчеркнуть не их этническую, а их вероисповедную принадлежность». დასახ. ნაშრ., გვ. 132).

ექვთიმე თავისი დროისათვის ცნობილი პიროვნება იყო. მისი წარმოშობის საკითხი სულაც არ ყოფილა ბურუსით მოცული და რატომ გვეგონია, ლემის შემდგენელს არ ეცოდინებოდა სწორედ ის, რაც ასე დაეინებოდა სწავლია არუთინოვას და თუ იცოდა, ვანა აქვს მეცნიერული ღირებულება იმის ვარაუდი თუ იბერ სიტყვის რომელ მნიშვნელობას მიანიჭებდა უპირატესობას ლემის შემდგენელი? ნაწვალუბი სიტყვის ორივე მნიშვნელობა ხომ ათონის მთის ქართველთა საკრებულოში მიგვიყვანს; ასეთ მტკიცებას ლოგიკურად საფუძველი არ გააჩნია, მაგრამ არუთინოვას დებულება უფრო გულუბრყვილო არგუმენტზე დაფუძნებული: ექვთიმე ათონის იბერთა მონასტრის მკვიდრია, ე. ი.(!) იბერი ათონის იბერთა მონასტრის წარმომადგენლის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახშირი, და თუკი ათონის იბერთა მონასტრის წარმომადგენლის მნიშვნელობითაა იგი ნახშირი (sic!), ქართველს არ ნიშნავს. სიტყვების ამგვარი საქონელა დამტკიცებლის დასამტკიცებელ საბუთად გამოყენების ცდაა, ერთი სიტყვით, ექვთიმეს, როგორც იბერთა მონასტრის მკვიდრს, ლემის შემდგენელი იბერ სიტყვით არ (ვერს) მოიხსენიებდა, როგორც ქართველს(!), მაგრამ საკითხავია, როგორც იბერთა მონასტრის წარმომადგენელი, არის თუ არა არუთინოვასათვის იგი ქართველი?

ათონის მონასტრთან კავშირში იბერ სიტყვას „ქართველის“ მნიშვნელობით არ იხმარდნენ, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ისინი ისედაც ქართველებს წარმოადგენდნენ? (და ეს იქნებოდა ერთადერთი „ახსნა“ არუთინოვას მიერ წარმოსახული უცნაური ვითარებისათვის). პასუხი, რომელსაც არუთინოვას დებულება მოითხოვს, ბუმერანგად იქცევა მისკული კონცეფციისათვის, ამიტომ პირობითი დამკვიდრება: ათონის იბერთა მონასტრის კონტრინენტი სომეხთა („სარწმუნოებით ქართველი“) და აგრეთვე ქართველთაგან („ეროვნებით ქართველი“) შედგებოდა.

სვენი კონტრავერსა რომ პირველ შევტრიალოთ, არუთინოვას სათქმელი ცხადი გახდება: გასაგები ვითარების გამო (!) იბერ სიტყვას რეალური გაგება დაკარგული აქვს. იგი (გარკვეულ სიტუაციაში) პირობით, კონსტრუქციულ მნიშვნელობის ტერმინადაა ქცეული! აქედან და ამ გზით შესაძლოა იმის ვარაუდლაც ჰქონოდა ვასაქანი, რომ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით (რადგან იბერი ვარკვეული პირობით ქართველსაც თუ ნიშნავდა, არც სომეხის მნიშვნელობას ყოფილა მოკლებული) ლემის შემდგენელი ავტორად წარმოასაჩინე პირის სადავრობის აღნიშვნით კლავიდილდება, რომ მკვლევრის თავგამოდება გამონაკლის შემთხვევას ანუ კონტექსტის იბერად წოდებულის მიერ“ გაშიფვრას გულისხმობდეს. როგორც ითქვა, იბერ სიტყვის თავისთავად მნიშვნელობაა საცილობლად გამხდარი, თუკი იგი ათონის იბერთა მონასტრთან იქნა დაკავშირებული.

მოკვანილი მგალითი მკვლევრის თვალსაზრისის სასარგებლოდ არაფერს ლაპარაკობს და, თუკი დასკრიდა მას დასესხებოდა, პირიქით, უნდა აღნიშნა, რომ სიტყვა იბერი, ამ

კონტექსტში მაინც, ორივე მნიშვნელობის მატარებელია, თორემ ხომ დაქტია, რომ ეკეთიმე, ვისუხვდაც ამ ლემზაში ლაპარაკი, წარმოშობითაც იბეკია იყო.

თხზულების ქართული ენიდან მთარგმნელი სხვა ვინღა უნდა ყოფილიყო, თუ არა ქართველი მოღვაწე, იმათავანი, რომლებიც აგ რ ე თ ე ე (!) იყვნენ ათონის იბერთა მონასტერში.

„იბერის“ გაგებისათვის არუთინოვას უჩვეულო მოსაზრება გააჩნია. მის აზრით, ეს სიტყვა ფართო მნიშვნელობისა და ნიშნავს: 1. ტაოს მკვიდრს, ფაქტურად სომეხს, (თეორიულად) შესაძლოა ქართველსაც; 2. ათონის იბერთა მონასტრის მკვიდრს (ამ შემთხვევაში იგი სადასურობის აღმნიშვნელად გამოიყენება); 3. სომეხ-ლიოფიზიტს („ქართული სარწმუნოებრივი ორიენტაციის მიმდევარს“); 4. ესპანელს; 5. ქართველს... მაგრამ „იბერი“, სადაც კი რაიმე მნიშვნელოვანს უკავშირდება, ამ ბოლო მნიშვნელობას („ქართველი“) არ აღნიშნავს, ამდენად სათვალავში არცაა ჩასაგდები. გიორგი მერჩულის სიტყვებში: „ქართლად დრიალი ქუეყანაა აღირაბების, რომელსაცა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის ის ლოცვა ყოველი აღესრულების“ («Чрезвычайно выразительное высказывание»), ქ ა რ თ ლ ი ზოგადი, კონკრეტულად კონფესიონალური მნიშვნელობის შემცველი ტერმინია. თურმე, გ. მერჩულის მიხედვით, სადაც კი ქამისწირვა ქართულად აღესრულების, (პირობითად) საქართველოა ანუ ყველა შუამავლურ-ქართული ორიენტაციის მიმდევარი — ქართველი (!). ე. ი. ქ ა რ თ ლ ი აბსტრაქტული ცნებაა და ქართული ეკლესიის ქვეშევრდომია (იღვურ) საკრებულოს წარმომადგენს (იქვე, გვ. 132).

დაეუშვათ, რომ ბერძნები იბერიის თემის მოსახლეთ განურჩევლად ეროვნებისა იბერებად იხსენიებდნენ (როგორც, ვთქვათ, კოლხეთის მკვიდრთათვის შეიძლებოდა ეწოდებინათ კოლხები), მაგრამ დიოფიზიტი სომეხებისათვის რად უნდა ეწოდებინათ იბერი? ჭერ ერთი, უფრო უპრაიანი არ იქნებოდა ისინი ბერძნებად მიეჩნიათ? მეორე, განა სარწმუნოებრივი ერთიანობის გამო ქართველებს ბერძნებად ბერძნებს უწოდებდნენ?

არუთინოვას კონცეფციის თანახმად, თუკი ქართული (რატომ ქართული და არა ბერძნული?) აღმსარებლობის მატარებელს დიოფიზიტები (უკლებლივ ყველანი?) სარწმუნოებით ქართველს უწოდებდნენ (ვიმეორებთ, ქართველებს რომ ასეთები თავიანთთვის მიუთვალათ, სხვა საკითხია, მაგრამ ბერძნებისაგან მათი უსათუოდ ქართველებისათვის მიკეთებდა მათივე სარწმუნოების აღიარებისათვის, — გაუგებარია), ასეთ შემთხვევაში, თითქოს ეს უნდა ყოფილიყო მათთვის (სომეხებისათვის) პატივის მიგება, ხოლო მონოფიზიტი სომეხებისაგან კი მათი ერთგვარი უსჯულოების აღმნიშვნელი... მკვლევარი წერს, ანტიოქიის ახლად არჩეულ პატრიარქს ეახლნენო მომჩივანი ბერები ათონიდან, რომელთა საკრებულოს შეადგენდნენო ბერძნები, სირიელები და „იბერები“ (ი ბ ე რ ი ბ რჭყალეებშია ჩასმული); ათონელ იბერთა კონფესიონალური საკითხი ყოფილა საპოლემიკო, მათს ჭეშმარიტ აღმსარებლობაში შეეჭვებულან, რასაც მხოლოდ დიოფიზიტობის (არუთინოვას ფორმულირებით: ქართული აღმსარებლობის) მიმდევარ სომეხთა მისამართით შეიძლებოდა ჰქონოდა თურმე აღვიღო. ეს არის და ეს.

თუ ეს ასეა, ამ თვალსაზრისის გამართლება ათონელი იბერებისადმი წაყენებულ ბრალდებებში უნდა ევეჩიოთ. რას საყვედურობენ იბერებს? ბერძნებს ივირონელთა სარწმუნოებრივ ორთოდოქსიაში ეჭვი არც ეპარებათ, ამდენად, საპოლემიკოდ ეს საკითხი არც დამდგარა.

ბაქტრობის ეპიზოდი გადმოცემული აქვს გიორგი მცირეს თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა შამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“. არუთინოვაც დაქტს იქიდან ესესხება. ჩვენც მას ვემოწმებით. იქ კი იკითხება, რომ ბერძნებს იბერიელთათვის ასეთი არგუმენტები წაუყენებიათ: საქართველოს ეკლესიები არც ერთ პატრიარქს არ ემორჩილებიან, რაც უქანონოა, რადგან საქართველოში არც ერთ მოციქულს არ უქადაგანია.

როგორც ვხედავთ, ივირონელთა ეთნიკური საკითხი არ არის დავის საგანი, არც მათი ჭეშმარიტი ქალეღონიტობაა სადავო. საქმე ეხება ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს, ოპორტივტიც სწორედ მისი დაცვის თავმდებია. აი, მისი კონტრარგუმენტები:

² ... მაგრამ, რამდენადაც ციტატაში, რომელსაც მკვლევარი ეყარება და იმორწმუნე (გიორგი მცირის ნაწერია დამოწმებული, მისივე (ქართული) თხზულებიდან!), სასაყვედურო ათონელებს მთლიანად ეხებათ, მთელ საკრებულოს ღმრ არ მიიჩნევს მკვლევარი სომეხებად? ისე კი წყაროში შემდეგი იკითხება: „რამეთუ არს მონასტრისა ამას ჩუენსა ვითარ სამოციკაცი, რომელნი ქ ა რ თ ე ე ლ ა დ სახელ-იდებენ თავთა თვისთა“ („ცხოვრება გიორგი ათონელისა“, გვ. 201; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., 1946.

³ თუმცა, რატომღაც წყაროდ „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას“ ასახელებს.

1. თქვენივე წიგნების თანახმად, საქართველოში ანდრია მოციქულს უქადანია; ერთ-ერთი 12 მოციქულთაგანი — სვიმონ კანანელი ჩვენს ქვეყანაშია დაკრძალულიო. 2. „იყო უამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოებოდა, და იოანე, გუთულ ებისკოპოსი მცხეთას იურთხა ებისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა“ (ცხ. გ. ათ., ქრესტომათია, გვ. 203).

საქართველოში იქადაგეს თუ არა მოციქულებმა, ემორჩილება თუ არა საქართველოს ეკლესია რომელიმე პატრიარქს — სომხების ქალკედონიტობას რაში წაადგებოდა. ვანა ეს საკითხი გაარკვევდა სომხების ქალკედონიტობას?

აქ ერთი მთავარი მომენტი ის გახლავთ, რომ ბერძნებს მოამბქრედ მოწვეული ჰყავთ გიორგი ათონელი⁴, ერთგნებით ქართველი (თვითონ ბრალმდებელი ბერძნები მასზე შემდეგს ამბობენ: „არს ერთი ვინმე მონაზონი ღრამპტიკოსი და ბერძნულთა წიგნთა ქართულად თარგმნის“; პატრიარქის მიმართუთა გიორგისადმი: „დადაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვითა ყელა ყოვლითა სწავლულუებითა სრულიად ბერძენი ხარ“) და ქართული ეკლესიისათვის ავტენტური პიროვნება. თუკი ბერძნებს გაქალკედონიტებული სომხების სააწმყნოებრივი პირმინდუ აუჭებდათ, რა ხელს მისცემდათ ოპონენტად ქართველი ბერის გამოახება. როგორც ვხედავთ, მას სწორედ ისეთი შეკითხვები დაუსვეს, რომლებზედაც მხოლოდ ქართველს და ქართული ეკლესიის მესვეურს უნდა გაეცა პასუხი. სომეხთა მართლმორწმუნეობის დამცველს კი რად მოეკითხებოდა ქართული ეკლესიის ავტორიტეტის დაცვა, ქართული ეკლესიის პირველსაწყისის ძიება და ამ ეკლესიის ორთოდოქსიის ისტორიული საბუთების ჩვენება; მას უფრო ლოკალური საკითხი უნდა გადაეწყვიტა: იყვნენ თუ არა ისინი, — ტომით სომეხნი — ნამდვილად ქალკედონიტური აღმსარებლობისანი. ხოლო ივირონელთა წარმომადგენელი რომ ნამდვილად ქართველი იყო, (!) ეს ჯერ მომჩივნათა სიტყვებიდან ირკვევა, შემდეგ პატრიარქის მიმართოდან მისადმი.

გაკვირვებული პატრიარქის კითხვაზე, როგორ შეიძლება ქართველები (ე. ი. ათონელი იბერები!) ქალკედონიტები არაქყენვნო, ნირშეცვლილი დამბეზღებლები ასეთ სიტყვას წამოისვირან, — ქართულენოვანია ისინი თუ სომეხები, ვერაფერს ვეტყვიოთ, რად არუთინოვას იმის პირდაპირ მინიშნებად უნდა მიიჩნიოს, რომ ათონელები ერთგნებით სომეხები არიან. ჯერ ერთი, ბერძნები ამბობენ, სომეხები არიან თუ ქართველები ა რ ვ ი ც ი თ ო, არუთინოვა კი იჩემებს — იცინა, რომ სომეხები არიან, და მათი ქალკედონიტობა აუჭებთო. მკვლევარი წერს: «Обозначение армянина-халкидонита как «армянина» могло вызвать недоразумение, как показывает (?) следующий эпизод из догматической борьбы между греками и грузинами (в XI в.), зафиксированный в «Житии св. Иоанна и Ефимия» (?) (დასახ. ნაშრ., გვ. 131)». ე. ი. პატრიარქის გაკვირვების მიზეზი ის ყოფილა, რომ სომეხი-ქალკედონიტები სომეხად მოუხსენიებიათ, მაგრამ ამ კონტექსტშივეა არუთინოვას დებულების საწინააღმდეგო პასუხი, როცა იგი უნებურად აცხადებს, რომ დავას ადვილი ჰქონია ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ს ა და ბ ე რ ძ ნ ე ბ ს შორის.

სომეხთა სააწმყნოებრივი საკითხი რატომ იყო სადავო ქართველებსა და ბერძნებს შორის? იქნებ იმიტომ, რომ მათ ჯეროვნად ვერ უპატრონეს თავიანთი ორიენტაციის მიმდევართ? ან ლავრაში მათი ჰეგემონური მდგომარეობის გამო? ამგვარ ვერსიას სასარგებლო კუთხით იქნებ რამდენადმე შეიძენ შეემარებინა ასეთი უცნაური ჰიპოთეზა, მაგრამ ეს თეზა არ დამსულა, რადგან იგი სულაც ყურადღების გარეშეა დარჩენილი. მკვლევარს აზრით, მონასტერი არ არის ქართული (ამ ვარაუდობით ლიტერატურულ სკოლაზე ლაპარაკი უნებმეტია), დავაც ბერძენთაგან სომეხ-ქალკედონიტთა კონფესიონალური სიწმინდისადმი ექვიანობის ნიდავზე მოხდარა, პრინციპში: სომეხებსა და ბერძნებს შორის. როგორ შევთაანსმთ ერთმანეთთან მისივე სიტყვების თაე და ბოლო?

⁴ ერთ-ერთ წერილში («нвер» в византийских источниках XI в., **РАСЛНН САНСЕНАУ-РАСНН СРНУАН**, 1974, № 11) ათონელთა უფლებების დამცველს ასე წარმოვიდგინეს ვ. არუთინოვა: «Некий образованный монах из этого племени» (გვ. 58). მკვლევარმა არ ახსენა ქიშპობის ნამდვილი მიზეზი, არც მომხდარი ინციდენტის შედეგს უფრო ყურადღება, რაც ათონელ იბერთაგან ქართული ეკლესიის ავტორიტეტის დაცვაში გამოიხატა და აღიარებულ იქნა პატრიარქის მიერაც. ნაცულად ამისა იმის აღნიშვნით დაკმაყოფილია, რომ ამ ტომის წარმომადგენელმა ვინმე მოწაზონმა დაიცვა თანამომეტა მართლმორწმუნეობაო, ე. ი. ის, რისკენაც მიაქცევდა მეთიხველთა ყურადღებას მკვლევარი.

⁵ მთითიხვეული ეპიზოდი გადმოცემულია არა «ოიანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში», არამედ «გიორგი ათონელის ცხოვრებაში»!

ბერძნული ეკლესია არ იწყნარებდა სომხურ ანტიქალკედონიტობას; სომეხ მორწმუნეებს არაფერი აიულებდათ თავიანთი მრწამსის შესაბამისად ეძებნათ სამლოცველო, ხოლო თუკი ისინი ბერძნული ყაიდის მართლმადიდებლურ ეკლესიაში იმსახურებდნენ, ეს ფაქტი ვერ გამოიწვევდა ბერძენთაგან მათს ათვალწუნებას! აბო ტვილელო წარმოშობით არაბი იყო, მაგრამ სარწმუნოებრივად მისი მოქცევა მართლმადიდებლური ეკლესიისათვის მისი წმინდანად შერაცხვის ფაქტორი გახდა. ასეთი ვითარება ბუნებრივია და მას ანალოგიც დაეძებნება.

მკვლევრის მიერ ნაგულისხმევი იბერები თუკი ნაციონალური თვითშეგნებით სომხები იყვნენ, რატომ ემსახურებოდნენ ქართულ კულტურას და თუ, განსხვავებით ქართველი იბერებისაგან, საკუთრივ ბერძნული კულტურისადმი მსახურებას ეწეოდნენ, რატომ ვერ პოულობდნენ მათგან თანაგრძობობას თვისტომთაგან კონფესიურად მოკვეთილი, ქართველთაგან განცალკევებული, ქართველობის სამოსელს შეფარებული სომეხი-იბერები, ან საამისო წყარო სად არის? რა მიზანს ისახავდა ათონის იბერთა მონასტერში მოკალათება ან ქართველთაგან მათს შერდომასა და შეწყნარებას რა ედო საფუძვლად? თავშეფარებული თანამომქინი თუკი კონფესიურად საეკვიპონო იყვნენ, ეს ხომ ქართველი იბერებისთვისა და პირველ რიგში მათთვის (თუ იბერთა მონასტრისათვის ქართველთა რაიმე პრიორიტეტს მაინც გულსხმობს მკვლევარი) მიუტყეველი იქნებოდა ცენტრალური სასულიერო ხელისუფლების მხრივ.

ერთი სიტყვით, მთელი სომხეთის ანტიქალკედონიტობის პირობებში ქალკედონიტი სომხები არ უნდა წაყლომოდნენ ბერძენების წინააღმდეგობას სწორედ მათი ქალკედონიტობის გამო, რაც, პირიქით, პატრიარქში ფაქტი უნდა ყოფილიყო მათთვის და არ უნდა განეკალკეებინათ ისინი ქართველებსაგან; სომეხთა სარწმუნოებრივად არასანდლობის გამო კი დანაშაულს ვაიხიარებდნენ ქართველებიც, ხოლო მოტივი ქართულთაგან ასეთი ნაბიჯის გადადგმისა მკვლევრის ვარაუდში არ არის წარმოდგენილი.

მომიხსნის ავტორი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მონასტერში სომხების არსებობას; ამის შემდეგ ვარაუდობს, რომ ისინი თავის დაფარვას შეეცდებოდნენ; ვარაუდს ვარაუდი მოჰყვება, — რომ რამდენადაც ეს ფაქტი ქართველთათვის უსათუოდ ცნობილი იქნებოდა, ამდენად, ისინიც დაიფარავდნენ თავიანთ თანამზახველებს. ბერძენებისათვის ყველაფერი ეს რომ ცნობილი გახდებოდა, — შემდგომი ვარაუდი და ყოველივე ამის გამო თურმე არ უნდა ვაგვებულოყო იბერ კ სიტყვა ქართველის მნიშვნელობით. თუმცა უხერხულობას არ გრძნობს მკვლევარი, როცა ვერა ხსნის, რა მნიშვნელობასაც საუკჰმანო სიტყვაში სდებდნენ, რატომ იმავე სიტყვებით არ იხსენიებდნენ ბერძენები საერთოდ იბერთა მონასტრის წარმომადგენლებს და რატომ უარს არ ეტყუოდნენ მათთვის უკვე გაურკვეველ იბერ სიტყვის ხმარებას?

ერთია, საკუთარი კონცეფციის შესაბამისად ივარაუდო იბერთა მონასტერში არა-ქართველი იბერების არსებობა, ამავე მონასტერში ივარაუდო ქალკედონიტი სომხების გაურკვეველი საქმიანობა (გარდა სამლოცველო ცერემონიისა), მაგრამ საკუთარი ვარაუდი მიაწერო ნარატიულ წყაროს, რომელშიც ათონელ იბერებთან ბერძენთა მეტოქეობის ერთი კერძო შემთხვევა ყოველგვარი შეფარვის გარეშეა გადმოცემული, მეტი რომ არა ვთქვათ, მეცნიერული არაკეთილსინდისიერების ნიმუშად შეიძლება მიგვეჩნია, წყაროებში გაურკვეველობისა და, რაც მთავარია, ხვათა შეცდომათა კვალობაზე შემუშავებული მცდარი შეხედულების შედეგი რომ არ იყოს.

მკვლევარი წერს: «Среди «ивиров» (მიაქცევი უწრადლება წინწყლებს) этого монастыря были, очевидно, армяне-халкидониты, которые именовали себя «ивирами». რა გო რც ხანს, «იბერად წოდებას უკვე ქართველად აღწევდა და ამასთანვე ქართული სარწმუნოებრივი ორიენტაციისადმი კუთვნილებას ნიშნავდა, თუმცაღა მკვლევარი ათონის ლავრასთან დაკავშირებით ბიზანტიურ წყაროებში სიტყვა «იბერის» — «ქართველს» მნიშვნელობით ხმარების დაშვებას მართებულად არ მიიჩნევს. ბერძენები დასმენილ იბერთა მართლმორწმუნეობაში ეჭვის შეტანას, «აბო იბერთა» ეროვნების გამოაშკარავებას ცდილობდნენო, — ირწმუნება მკვლევარი, რასაც თურმე საკულდავულო მალავდნენ ეს ფსევდოთებებო. საინტერესოა, იბერთა — ქართველ-სომეხთა ასეთ დაჯინებო მცდელობას შედეგი რომ ვერ გამოუღია. თუმცა ბერძენებისაგან ნავარაუდევ საშიშროებას ასრულება არ ჰქონია, მაგრამ ერთხელ დაშინებულ სომხებს თურმე მაინც არ აუღიათ ხელი მალვაზე, ხოლო სომეხთა ხელისშემწყობ ქართველებს თავიანთი ეროვნების გამოხატველი ტერმინის მნიშვნელობაც გაუთვასტრებიან ბერძენების თვალში (sic!). სომეხთა და ქართველთა მანიპულაციით დაშინებული ბერძენები ხომ უკვე შემარბიტ ქართველებსაც «იბერთა მონასტრის წარმომადგენლის» მნიშვნელობით მოიხსენიებდნენ, ასე რომ, მათი ქართველობა «ქართველი» ტერმინითაც არ ყოფილა გარჩეული!

მკვლევრის მოსაზრებათა ვათვალისწინებით, ლოგიკურად გასაგებია, როცა იგი გვეუბნე-

ბა — სომხები გაუბრუნდნენ თავიანთი ეროვნების აღნიშვნას და იბერად (ე. ი. ქართველად!) ასა-
 ლებდნენ თავსო, მაგრამ უცნაურია, როცა მათ ამგვარ მოქმედებაში ხელისშემწყობად ქართვე-
 ლებიც გამოჰყავს («Обычно (?) грузинские агиографы избегали называть своих единовер-
 цев армянами»); კიდევ უფრო გაუგებარია, როცა აცხადებს, რომ ეს ყოველივე თავად ბერძ-
 ნებისთვისაც საკმაოდ ცნობილი ამბავი ყოფილა (ბერძნებს სომხების ანგარიშგასაწევი რაოდენ-
 ნობა უნდა ვუღებოდათ იბერთა მონასტერში, იბერის მხოლოდ ქართველთა მნიშვნელო-
 ბით ხმაირება გაუშართულვალ რომ მიეჩნიათ...) ამგვარ პირობებში, საყოთხვია, ვის და ემა-
 ლებოდნენ სომხები? ან, თუ მთელი ბიზანტიისათვის ცნობილი იყო იბერთა მონასტ-
 რის ეროვნული კონგლომერატი, პატრიარქს არ ეცოდინებოდა ეს ამბავი? ავი შევლევარი გვეუბ-
 რება, რომ ბერძნებს „იბერების“ მიმართ უნდობლობა პატრიარქის გაკვირვებში, ანუ
 მათი ეროვნების გამოძღავენებით, უნდა გამოეწვიათო.

უცნაურია გამოთქმა: «Армян-халкидонитов — грузинского(?) вероисповедания; армя-
 не, исповедующие халкидонитов... грузинской ориентации», მაშინ, როცა რაიმე სპეციფი-
 კური ქართული აღმსარებლობის ფაქტი, ბუნებრივია, შევლევარს არ მოუპოვება.

ათონელ იბერთა სარწმუნოებრივი სიწმინდის გასარჩევად რა დამატებითი სიცხადის შე-
 ტანა შეეძლო იბერისათვის „ათონის იბერთა მონასტრის წარმომადგენლის“ განმარტების
 მიქცემას? რალა საჭირო იყო ამ მნიშვნელობის ცალკე ბუნქტად გამოყოფა, როცა შევლევარს
 ერთმანეთის ტოლფასი საბუთები ისედაც საკმაოდა აქვს წარმოდგენილი და ვერც ერთი მთ-
 ვანი მნიშვნეულ კვალზე სწორად ვერ აყენებს მკითხველს? სარწმუნოებრივი კუთვნილების
 საკითხი რატომ უნდა გადაწყვეტილიყო მინცდამაინც ეროვნული კუთვნილების საკითხის
 გარეშე? ათონელი იბერების ეროვნების ხაზგასმა ხომ იმვე დროს მათი სარწმუნოებ-
 რივი კუთვნილებისადმი ხაზგასმა იქნებოდა? თუ კი „ნაყოფიანად აღნიშნავენ არა
 მხოლოდ იბერთა მონასტრის, არამედ იბერთა მონასტრის წარმომადგენელი არ
 შეიძლება სარწმუნოებრივად საეკლესიო ყოფილიყო“

თუკი ბერძნებისათვის ათონელ იბერთა მხოლოდ სარწმუნოების აღნიშვნას ჰქონდა მნი-
 შვნელობა, ნუთუ მათი ეროვნების ტრადიციულ აღნიშვნაში იბერის გამოსავალი? ანდა სა-
 იდან უნდა სცოდნოდა ბერძნული ტექსტის წამკითხველს, რომ
 იბერი რალაც საგანგებო შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს
 „წარმომადგენელს“, „მიმდევარს“ და სხვა რამეს და არა თვით
 იბერს!

თავისი თვალსაზრისის ძალმოსილებას შევლევარი ქართული წყაროს საფუძველზე ცდი-
 ლობს, ნდობას უცხადებს მას, მაგრამ მასთან შეუთავსებელი დასკვნები გამოაქვს მისგან.
 ჩვენ მისი არასწორად გამოყენების ჩვენებით ვიფარგლებით. იქ ყველაფერი იმდენად ნათლად
 არის ნათქვამი, რომ არ იძლევა ვარაუდის გამოტანის საშუალებას, მით უფრო იმდენად სა-
 ილ ვარაუდისა, რომ ათონის იბერთა მონასტერში არაქართული ელემენტი ექმნებოდა და
 ნდობა იბერ სიტყვის მცდარი ინტერპრეტაციისა და ამა თუ იმ მოვლენასთან მისი მისადა-
 გების გამო იბერთა მონასტრის შეგხედოთ, როგორც უბრალო ბერ-მონაზვნურ გაერთიანებას
 და გაავივირდეს მისი განხილვა, როგორც ეროვნულ-საგანმანათლებლო სკოლისა.

დამტიციებულს ვანა მუდამ სჭირდება ხელახალი მტიციება, ანდა რა არის აქ დასამტიციე-
 ბელი და საჯარაულო. ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორია ხომ იმთავითვე ცნობილი
 იყო. მასზე მერ-ნავლებად ნორმალური გამოკვლევის ყოველი გვერდი საქართველოს ისტორიის
 წარსულში მიგვიყვანს.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ რევოლუციამდელ რუსულ, საბჭოურ, ქართულ თუ საზღვარგა-
 რეთულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ შეგხედრივართ არუთინოვანებური ინტერპრეტაციის
 შემთხვევას, ათონელთა იბერად სახელდება, ცალკეულ შემთხვევებში სარწმუნოებრივად ქარ-
 თველებისადმი კუთვნილებას რომ გამოხატავდეს და მათთან შეფარებულ სომეხთა ერთგვარი
 მისტიფიკაციის საშუალებად რომ იყოს მიჩნეული. თუნდაც ექვი შეგვეპაროს ქართულ წყა-
 როთა საწოდობაში, ბიზანტიური წყაროები ამის მსგავსს არაფერს იძლევიან. პირიქით, გვერდ-
 ში უღვანან და ადასტურებენ ქართული წყაროების სისწორეს. საზღვარგარეთულ მეცნიერება-
 ში იბერთა მონასტრის ისტორია სწორად მათი მეშვეობითაა გამოქვეყნებული.

ქართველები სიერწორევეს განიცდიდნენ ათონის მთაზე, რადგან მათ სხვის მონასტრებში
 უწყვედად მსახურება. ბარდა სკლერიოსის დამარცხების შემდეგ დავით კუროპალატის სარდალ-
 მა თორნიკემ ბიზანტიის ტახტისადმი გაწეული შემწეობის სანაცვლოდ მიიღო შეპირებული და

კუთვნილი სარგებელი. მოგებული სააღაფავით სიძირკველი დაუღო იბერთა მონასტრის აღმუ-
ნებას ათონის მთაზე, „რათა ქართულნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამას ყოველი“.

ათონის მთაზე მიმოიფანტული მშირი მეფოლიანტენი ვაერთიანდნენ და ახალი პირობების
შესაბამისად ქართული კულტურისათვის უფრო ინტენსიურ მსახურებას მიჰყვეს ზეი. „ქართ-
ლისა ქუეყანას დიდად ნაკლებეან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აქლან... აჲ, იღვაწე,
რათა განმარავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“, — მოძღვრავდა და ვასაკვალი გზის სათა-
ვესთან აყენებდა თავის შვილს ითანე — ერთ-ერთი პირველი ათონელი იბერთაგანი.

სარწმუნოებრივი ხაზით ბერძნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიასთან თანახმარ ქართუ-
ლი, ეროვნული ინტერესები ამოქარავებდათ, იმპერიის ქედმაღალ მესვეურებთან მუდმივ ქი-
დილში იმყოფებოდნენ. მათი საკრებულო არ კვალიფიცირდება მხოლოდ ოფიციალური ორთო-
დოქსალური სარწმუნოებისადმი მსახურებით, არცთუ განსაკუთრებულ ქართულ კორპორაციას
წარმოადგენდნენ ისინი ბიზანტიის იმპერიის წილში. ძილგატეხილნი სარწმუნოებით თანახმარ-
თა, მაგრამ არცთუ იმეათად მოქმედებდა ფოლიანტებს ეკლდებოზნენ, რათა მათთვის საინო,
სამერმისო მარცვალნი ამოვიზიდად დღის სინათლეზე; დაპირსიბრებულ ძალას ქუეყანათლე-
ბითაც დაპირსიბრებოდნენ. საქართველოდან შორს ღამის სიბნელეში პატრუქი არ ქრებოდა,
რათა ეტრატის შუქზე გაენათებინათ საქართველოს კულტურისწული გზა. ბერის სამშობლოდან
მოშორების დევექლი მისი რუდუნებით ფასდებოდა. საგულისხმო ფაქტი, რომ სანთლის ან-
თების უფლება მხოლოდ მას ეძლეოდა, ვინც წერდა ან კითხვოლბდა. აი, ეპოტეტები ქამდდა-
სული მანებლის მისამართით თქმული ათონელი საკრებულონი: „... განანათლა ქართველთა
ენა და ქუეყანა...“ „... არცა სცემდა განსუენებასა თავსა თუსსა, არამედ ყოვლადე იჭირვინ
და ღამეთა ათვენ...“ „... განანათლბდად ნათესავისა ჩუენისა...“ „... დადუმნეს ბავენი იგი
მცველი მჭულისა უფლისასა, შეიკრა ენა იგი ოქრო სიტყუა... დაყუენდა კელი იგი შენი-
ერად მწერალი... დაიფარა მიწასა შინა გუამი წმიდად, მოღუეწებისა შრომითა ვანლუელი...“

თვითონ ექვთიმეე და მისი ლიტერატურული სკოლა (და მთელი პლეადა წინამორბედ და
მომდევნო თაობისა) იმისათვის იღვწოდნენ, რომ ქართული ენა ბერძნულის სინამდლეზე მიეყვა-
ნათ, რათა თქმულიყო: „... დამარბულ არს ენა ქართული დღედდე მეორედ მოსულსა... რათა
ყოველსა ენასა ღმერთან ამხილოს ამით ენითა“ (რომ ისტორიის ქარტიული არა, უფრო ხმა-
მალ სიტყუასაც იტყოდნენ იმ ღვაწლმოსილ წინაპართა მესვეურების მომავალში), ამას ნიადაგი
და ეროვნული სული სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ უწოდებენ ათონელთა საკრებულოს (და
არა მარტო მათს) ლიტერატურულ სკოლას. „X და XI საუკუნეებში ქართველები
ფილოსოფიის სფეროში იმ საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებიც ფლობდნენ მა-
შინდელი კაცობრიობის მოწინავე ადამიანებს, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, იმ
ვანსხვაეებით დანარჩენებისაგან, მაგალითად, ევროპელებისაგან, რომ იმდროინდელი ქართვე-
ლები სხეებზე ადრე გამოიქვამდნენ თავიანთ აზრს მაშინდელი ფილოსოფიური აზრის ახალი
მიმდინარეობის შესახებ“ (ნ. მარი). ეს სწორედ ნაციონალური აქტიუობის, პატრიოტული სუ-

6 Σμαρτάνης, Τὸ Ἅγιον Ὅρος Ἐν Ἀθήναις 1903, გვ. 463.

თორნიეე ერისთავის ბიზანტიის წინაშე მხედრული დამსახურების გამო თვითმპყრო-
ბელი კონსტანტინე კეთილგანწყობით შეეგება ათონზე თვითმპრატეული, მხოლოდ კონს-
ტანტინეპოლის უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებას დაქვემდებარებული მონასტრის ანე-
ნებისათვის ქართველთა მოწადინებამს (ნიკიფორე ბოტანიატე). ამ ფაქტს ასე ვაღმოგვეცემს
თანამედროვე ბერძენი მეისტორიე (იგი ათონელი მოღვაწე): „*ὁ δὲ ἀποστολικῶς Βασιλεὺς
ἐθνηρῶν ἄριστος τῶν Τορῶν, προσημαῶς συνήρῶεν εἰς τὸν εὐσεβῆ ὑσιῶν πόθῳ 1 τῷ
Γεωργίανδῳ* (ს მ ბ რ ა კ ი, „ათენი, 1903, გვ. 463). აქ იბერთა ნაცვლად ექ-
ვრთიანები წერია, ევროპულ ენებში მისი შემდეგდროინდელი ტრანსფორაციით კვალობაზე. შრომის
ავტორს ევეი არ ვარება, რომ მონასტერი ქართულ საგანეს წარმოადგენდა დღიდან მისი დაარსებისა. ეს
მუნქტი ხანამდელი ეთა ნაშრომში (და არაერთხელ), რაც ამოწურავთ ინფორმაციის საშუალებას
აძლევს ისტორიის პერიეტეტებში ნაკვალად ვარკვეულ მეთხველს (... *Μονή τῶν Ἰβήρων*...
ἐκ τῆς πῶς τῶν ἀρχαίων καλοσημῶς λῶρας Ἰβηρίας (ქვედუბ Γεωგრიას). აქ
ასევე ერთმანეთს გვერდდევრედ და ერთი ნენებითი შინა რითი შეხედბით გამოთქმება: „იბერთა
მონასტერი“ (*ἡρὰ τῶν ἰβῶν* Ἰβητών), „ქართულთა მონასტერი“ (*Γεωგრიას τῶν Μονα-
σῆρων*... *Μοναῶν Γεωგრიას*), „იბერები“, „ევროპიანები“ და ა. შ. ბუნებრივია, რომ
შრომის ავტორს აი ვაჰნითა სურვილი იბერთსა და ქართველის დეფინიციებისა ათონის
იბერთა მონასტრის უსავნო ინკუინაქიანალიზების საბაბით.

შრომის ავტორი სომხეთსაც ასახელებს, მაგრამ როგორც ტერიტორიულად იბერიის
მოსახლვრე ქვეყანას. იბერიის ახალ ტერმინოლოგიასაც იძლევა. ბუნებრივია, ქართლი
გეოგრაფიული ტერმინია, მაგრამ ის იბერიის ფარდი ცნებაა გეოგრაფიული გაგე-
ბითვე.

ლისკვეთების ნიშანი გახლდათ, რომელიც იმ ლიტერატურულ-საგანმანათლებლო სკოლებმა მოამწიფეს, რომლის ერთ-ერთი დედაბურჯი იყო ათონის ლიტერატურული სკოლა. ამ საენის ბიბლიოთეკა თუნდაც ნაკლები დღემდე დაცულია. იგი აღწერილი აქვს რ. ბლიესს. მისი კატალოგიც კი ქართულ სავანის იარაღს წარმოადგენს. და თუ ამ სავანეში არუთინოვას სამეხთავიანი ეგულება ვინმე, რომელიც თურმე უარყოფს თავის ეროვნებას (მისი სარწმუნოებრივი ინტერესებით შემოფარგულა ათონური სკოლის პირიბებისათვის დაუშვებელია), მეტყველებს და წერს ქართულად, როგორც წესი — ქართული კულტურის მესვეურია (და არა უბრალოდ ქართული!) აღმსარებლობის მალიარებელი), იგი სომხად არც მიიჩნევა. ბევრი მოღვაწე იცის ბიზანტიის იმპერიამ ისეთი, რომლებიც ეროვნებით არ ყოფილან ბერძენებ, მაგრამ ბიზანტიურ ლიტერატურას წარმოადგენდნენ.

არავითარი საბუთი იმისა არ არსებობს, რომ ათონელ იბერთა და ბერძენთა ქიშპობა სომეხთა კონფესიონალური საკითხით ყოფილიყო გამოწვეული. მოქნიბობის დაქვს მკვიდვარი საიდნაც უზიდება, პასუხიც იქვეა მოცემული და მას სათო ინტერპრეტაცია რაში სკვრიდება?

ბიზანტიის ექსპანსიონისტიური პოლიტიკისათვის შოვინიზმი რეალური დაქტი იყო თუმცა ქრისტიანული სარწმუნოება, რომლის მისიონერობაც თავს ედვა ბიზანტიას, კაცთა მოღვმის თანასწორობას ქადავებდა. ღვთის წინაშე თანასწორობის იდეამ, საკულტო ლიტერატურის შობოლურ ენაზე საჭიროების საკითხმა დიდად შეუწყო ხელი იმპერიის ეროვეულ კულტურებს, თუმცა პატარა ერებისადმი ქედმალური მიმართება სხვადასხვა სოციალური ფენისათვის უცილობელი ნიშანი იყო, რასაც გარკვეულ წილად ალბათ ეკონოფილიზმი კვებავდა, რასაც უთოოდ შეუწყობდა ხელს იმპერიის ექსპანსიონიზმი და მონარქისტული პოლიტიკა.

ბერძენებს ათონელი სომეხებისათვის (!) იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ეწოდებნათ ქართველი, თუ ეს უკანასკნელნი თვითონ თვლიდნენ თავს ქართველებად, ანდა ქართულ მონასტერში მოღვაწეობდნენ, უმნიშვნელი პრეტენდენტი კი უცნობი იქნებოდა ბერძენებისათვის და არა იმის გამო, რომ «Было выхожено подчеркнуть не их этническую, а их вероисповедную (!) принадлежность». ასეთ ვითარებაში კი სომეხთა კონფესიონალური საკითხი არავითარ შემთხვევაში არ წამოიჭრებოდა, და კიდევაც რომ მომხდარიყო ასეთი რამ, ბერძენებს მაინც საბრეტუნო ქართველთა მიმართ უნდა პქონოდათ (და არა მათთვის გვერდის ავლით — ანტიოქიის პატრიარქთან), რომელთა სავანეებშიც იქნებოდნენ შეფარებულნი გამოხატვისი უმცირესობანი, რამეთუ არუთინოვას თვალსაზრისის თანახმად ქართველ ერთმორწმუნეთადმი ბერძენებს სადავო არაფერი უნდა პქონოდათ, ხოლო ლოკალური საკითხი გერ მათ წრეში უნდა განხილულიყო, იქნებ ქართველებსაც საეჭოდ მიეჩნიათ შვედრომილთა უქმარიტი თანამზრახველობა. ბერძენ-ათონელთა ქიშპობას გრძელი ისტორია აქვს და «ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი»⁷ ძირითადად ამისათვის დაიწერა, რომ იბერთა ქართველთა კვალი არ წარხობიციყო ათონის სავანეში, რომელიც თორნიკესა და ექვთიმეს მიერ იყო დაარსებული, რათა „ქართული ეყენენ მონასტერსა ამის მკვიდრნი ყოველინი“ (ცა იესი და ექთისი, გვ. 181). როგორც თავად გაღმოვეცემს გ. მცირე: „ბერძენთა ესე ვითარი ეამი პოვეს, კელყვეს ყოვლითა ღონისძიებითა, რათამცა ქართულნი ამის მონასტრისაჲთა აღმოფხურნეს, ... რომელი-ესე ფრიადითა წარსავებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთათა ჩუენ ქართულეთს აღშენებულ იყო და აღმართებულ... ამისა ყოვლისა-გან შეგუეშინა და მოსასქენებელი ესე დაეწერეთ და დაედევით შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათესავთათვის, რათთა არა დავიწყებოდ იქმნას და გარეწარ ესე ვითარი ესე მრავალფერი ლეღავა“ (ცა იესი და ექთისი, გვ. 186—189).

ბერძენთა და ათონელ იბერთა სადავო საკითხის გასარკვევად ყოველგვარი ვარაუდის საშუალებას სოზს ის გარემოება, რომ მთელი ისტორია ქართულ ენაზეა ქართველების მიერ დაწერილი!

მკვლევარი ვკავშირებს, რომ იბერთა მონასტერი XI ს. ბოლოს აშენებულა ათონის მთაზე. იქ ჩასახლებულთ თუ ჩაუსახლებილთ («Были собраны») ყველა ქართული სარწმუნოებრივი ორიენტაციის მიმდევარი ბერები, თუმცა «Совсем не всегда грузины»⁷. (მონასტერში თავ-

⁷ დამოწმებულ ციტატაში ნაგულისხმევ აზრს მკვლევარი ერთ-ერთ ჩვენს ლიგ უყვე მითითებულ წყაროში შემდგომდგომად უფრო ცხადად განაოტავს: «Достаточно сказать (sic), что у истоков основания этого монастыря стояли Иоанн Торник и его ближайшие родственники» (გვ. 58). მონასტრის მშენებელთა სახელის სხენებას იმიტომ თვლის საკმარისად გ. არუთინოვა, რომ მათი სომხური ეროვნება სადავოდ არ მიანჩნა: როცა მკვლევარს მონასტრის დამაარსებლები (თორნიე ერისთავი, იოანე — ვარაზეაჩე — მამა ექვთიმე მთაწმინდელისა) სომხებად ჰყავს მიჩნეული, ეს მისთვის ერთგვარი წინაპირობაა იმისა, რომ მონასტერში სომეხი იბერების უეპველი ანსებობა ივარაუდოს და ამდენად, მონასტრის დაარსებას და არსებობის

შეურილი იბერები ყოველთვის ქართველები არ ყოფილანო. როგორ გაიგოთ, დროდარო სულაც ქართველთა გარეშე ხომ არ იღწოდნენ ტრადიციის ძალით მაინც იბერებად წოდებულნი?». «А на знаменитой Черной горе находилась грузинская обитель, где велось богослужение на грузинском языке» (აქედანაც ჩანს, მკვლევარს ათონის იბერთა მონასტერი ქართულ სახენად რომ არ მიაჩნია).

ქართული კულტურის ისტორიაში ათონის ლიტერატურული სკოლის მნიშვნელობა სულ სხვაგვარ განზომილება იძლევა. სამწუხაროდ, გეწვევს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის კონსტატაცია: «ქართული ეროვნული თვითშემეცნებისა და გამოკვერვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში მდებარე მონასტრებს, სინსა ზთისას და პალესტინისას. შავი ზთისას და

სადუქველი რელიგიური კულტმსახურების სფეროში მოაქციოს. ასეთ ვითარებაში მონასტრის აშენებისათვის სომხების მოწოდებება ქართული საარწმუნოების აღიარებით უნდა ამოწურულყო და, რა საფიქრაობა, ეს გარემოება მათთვის ქართული კულტურის აღმავლობისათვის ზრუნვის საბაბი რომ შეიქმნებოდა... მკვლევარი, რათა ვერაულის ფარგლებიდან გამოიყვანოს თავისი მოსაზრება, ისევე უშიზებოდ და უმისამართოდ ვეღვ ქართული 'ავიო-გაძაფებს იმოწმებს, თითქოს მათგან აღიარებული ყოფილიყოს თორნიე ერისთავის სომხური წარმომავლობა: «Для грузинских агнографов Иоани Торник и члены его семьи армяне халкидониты» (გვ. 57).

ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ათონის მონასტრის ეხება მეთერთმეტე საუკუნის სომხი ისტორიკოსი ასოლიკი, მაგრამ, არუთინოვასათვის სასარგებლოს არაფერს ლაპარაკობს. თორნიე ერისთავის შესახებ მას შემდეგი აქვს ნათქვამი: «... Полковода Торника, родом иверийца» (Всеобщая история Степаноса Таронского; Асохика по прозванию, переведена с армянского и объяснена Н. Эминьым, М., 1864, გვ. 135.

წარმოშობით იბერობას კი სხვა მნიშვნელობა არ გააჩნია, გარდა — ქართველისა («ერაცი. აზ გაე»).

ვ. არუთინოვას რომ საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ეგარაუდა «ქალკელნი-ტობის ქართული ორიენტაციის» (?) მიმდევრობა (დადასტურებული, თუნდაც ნავარაუდევი), ფაქტისათვის ამგვარი კვალიფიკაციის მიცემა ქართულ ეკლესიაში მათი მსახურებით შეიძლება ადვილად, მაგრამ საზღვარგარეთ რად უნდა დაეკარსებინათ სომხებს ქართული საეანე (ე. ი. ეკვგარეშეა, იბერთა მონასტრის მკვლევარი ქართული ლიტერატურის კერად ვერ მიიჩნევს); რად უნდა ეწოდებინათ მისთვის ქართული სახელი. ჩანს, მკვლევარი მონასტრის სახელსაც ქართულ საშაროსთან არ აკავშირებს. მისთვის ეს პირობითი ტერმინია, ბიზანტიის ერთ-ერთი აღმინისტრაციული ტერმინის («იბერიის თემი») აღმნიშვნელი, რომელიც მკვლევარს ახვევ სომხურ რეგიონად მიაჩნია.

ჩვენს ხელთ არის ათონის იბერთა მონასტერთან დაკავშირებული არაერთი პერძნული წყარო. მკვლევარი მათ რიგინად იცნობს და საჭიროებისამებრ იყენებს კიდევ, მაგრამ რომელიც ცნობა შეიძლება წარუდგინო მკვლევარს, როცა ყველგან არაორაზროვანდ იბერებსა და იბერთა მონასტერზე იქნება ლაპარაკი და იგი გიპასუხებთ — წერდნენ «იბერი» და კითხულობდნენ «იბერთა მონასტრის წარმოამდგენელი»..

რამდენადაც მკვლევარს სადავოდ გაუხდია «ქართველი», «ივერის» და მათი სომხური შესატყვისის მნიშვნელობა, ზემოთ ნათქვამს დაუმატებთ შემდეგს: სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი პ. უსპენსკის მონუმენტური გამოკვლევა «История Афона». ნაშრომის მესამე ნაწილში (ც. III., отд. II, СПб., 1892) დაბეჭდილ სხვადასხვა პერიოდის პერძნულ ხელნაწერთა ფრაგმენტებს შორის ერთ-ერთში (№ 6, s. XVI), რომელიც ათონის მთასთან და კერძოდ იბერთა მონასტერთან დაკავშირებულ ამბებს ეხება, იკითხება: «*იხ თბ 'Ιβηρικον γένους*» — ეს კი იგეგვა, რაც ქართულ წყაროთა «ნათუეკით ქართულენო». ვეგვე ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ამგვარ გადაწყვეტას იძლევა: «Известно, что Грузины в конце десятого века построили на Св. горе... монастырь, существующий и в наши дни под названием Иверского. С той поры до 1353 года, или немного позже, в этом монастыре постоянно жили одни грузинские монахи» (დასახ. ნაშრ., გვ. 378); «... на многонародном Афоне испоконь веков богослужение совершали Греки на своем языке, Грузины на своем...» (იქვე, გვ. 5). როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ქართველთა მიერ მონასტრისადმი მუხრვეობა, სარესტავრაციო-იდენტითი სამუშაოები გვიან საუკუნეებშიც გრძელდებოდა.

* შავი ზთის მონასტრის მკვლევარი ამგვარ დახასიათებას აძლევს: «...Одна из... надписей гласила, что церковь эта предназначена для... армян» (გვ. 133).

განსაკუთრებით ათონის ივერთა ღიღებულ ლაგრას, მის დამაარსებლებს იოანესა და ექვთიმეს, და გიორგი შაჟინდელს... მათ მიერ დაარსებული მონასტრის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა სამშობლო ქვეყნისათვის არ შეწყვეტილა დამფუძნებელთა სიკვდილის შემდეგაც; იგი შეიქმნა მკვიდრ სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს მამინდელ განათლებულ ქვეყნებთან აერთებდა“ (ივ. ჯავახიშვილი). „თუ ქართული მწერლობა უღერესად განვითარდა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, ეს ივერიის მონასტრის მოხუბით, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები... აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო-საგარეამატოო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთს საგანმანათლებლო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენში მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტრის“ (კ. კეკელიძე).

ზემოთ ნახსენები თხზულება თავისი ისტორიით ათონის ივერთა მონასტრის მწიგნობრულ კერას უკავშირდება, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა სულაც არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. არც ქართული ენიდან (ეს ხომ ფაქტია) ქართულის მცოდნე არაქართველის მიერაა იგი გადაღებული ბერძნულად.

ქართულ-ბერძნულ ლიტერატურულ ურთიერთობას მტკიცე და მყარი ნიადაგი გააჩნია და, საერთოდ, „პატარა ერების“ კულტურული მოღვაწეობა ბიზანტიის იმპერიაში არ წარმოადგენს შემთხვევითობას. თვით ბიზანტიის ისტორია ამ არაბერძნული ერების გარეშე არ მოიპოვება. დღეისათვის ცნობილი ფაქტია, რომ სირიელებს, სომხებს, ქართველებს და სხვ. გარკვეული წვლილი მიუძღვით ბიზანტიის იმპერიაში. ჩვენც ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობის ყოველი ფაქტი ამ ასპექტით გვანტერესებს. წარსულის ამგვარი ფურცლები შეუქმნენ ხალხთა ისტორიებს, ათონის ლიტერატურული სკოლაც იმათიავე მკვიდრი ნიადაგი იყო ხალხთა შორის ამგვარი ურთიერთობისათვის.

ბიზანტიის წიაღში საუკუნეების განმავლობაში არსებულმა ამგვარმა ლიტერატურულმა ცენტრებმა შექმნეს მყარი ნიადაგი, რომელმაც ბიზანტიის კულტურის აღმავლობას შეუწყობი ხელი, გაითავისა იგი და მისეული ფასეულობითაც შეენიჭა მას, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის საჭირო რგოლი.

Т. Т. ГЕЛЕНАВА

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРНО-КУЛЬТУРНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Резюме

Афонский монастырь «Ивирия», существование которого насчитывает тысячелетие, играл исключительную роль в развитии грузинской национальной культуры. В стенах этого культурного центра переводились на грузинский язык памятники византийской литературы. Заслуживает упоминания и то, что посредством выполненного грузинскими деятелями перевода мир ознакомился с популярной повестью о Варлааме и Иоасафе. Словом, обитавшие в храме на Афонской горе грузины вели кипучую литературную деятельность. Этому литературному центру посвящено немало исследований как отечественных, так и зарубежных ученых.

Научная литература на Афонском монастыре пополнилась еще одной работой, принадлежащей перу В. А. Арутюновой-Фиданян (имеется в виду ее «Типик Григория Пакуриана», Ереван, 1978). Сам факт выхода в свет этой работы следует приветствовать, но некоторые из высказанных в ней соображений и выдвинутых положений вряд ли можно считать приемлемыми.

В. А. Арутюнова-Фиданян пишет, что армяне, исповедующие халкидонитство грузинской ориентации, назывались иверами. Во-первых, странно звучит «грузинская ориентация». Такой ориентации вообще не существовало. Во-вторых, в основу понятия «ивера» автор вкладывает не национальную принадлежность, а профессиональную. Автор стремится доказать, что иверами были не только грузины, но и армяне.

Известно, что греки не ладили с грузинами, и дело дошло даже до того, что греки пожаловались Антиохийскому патриарху. Афонским иверам пришлось прибегнуть к защите своих прав. Из этого факта В. А. Арутюнова-Фиданян делает вывод

причиной распри было не что иное, как то, что в иверах греки видели армян-антихалкидонитов. Возникает вопрос, если армяне-иверы были антихалкидонитами, что могло заставить их обитать в Иверском монастыре среди халкидонитов? Если армяне и в самом деле были халкидонитами, то греки не враждовали бы с ними, а приняли бы их с одобрением. На самом же деле, причиной, мягко выражаясь, недовольства явилось то, что грузины не соглашались с упразднением автокефалии грузинской церкви, чего усиленно добивались греческие монахи. Достоверность этого положения подтверждается и тем, что оппонентом был вызван не армянин, а грузин по национальности — Георгий Афонский.

Если иверами были армяне (частично или целиком) и, что главное, если их армянское происхождение вызывало негодование у греков и могло взволновать патриарха, то почему они задавали такие вопросы, на которые должен был ответить представитель именно грузинской церкви, а армянский вопрос вообще не ставился?

По словам В. А. Арутюновой-Фиданян, армяне скрывали свою национальную принадлежность. «Обычно (!) [и] грузинские агиографы избегали называть своих единоверцев (т. е. армян — Т. Г.) армянами»; также поступали и греки (из опасения — чтобы не спутать грузин с армянами?) и довольствовались лишь простыми указаниями — представитель Иверского монастыря, или же вкладывали такое понятие в слово ивер. Если смешанность состава афонских иверов была известна всей Византии, то почему это было бы новшеством для патриарха? Разве мог этот факт вызвать недоумение у него, как пишет В. А. Арутюнова-Фиданян? Перед кем так тщательно маскировались армяне, если грузины с той же целью (?) сами скрывали их, и грекам их национальное происхождение было известно даже настолько, что последние считали бессмысленным употреблять слово ивер в национальном понимании?!

Ясно, что греки не прибегнули бы к такой формулировке («представитель Иверского монастыря») без особой надобности (ведь все остальные деятели прошлого были такими же представителями той или иной местности). В. А. Арутюнова-Фиданян, как видно, предполагает наличие в Ивионе большого количества армян. Более того, по ее словам, собранные в Ивионе монахи «не всегда» (?) были грузинами, а лишь следовали грузинскому (?) православию. Такое высказывание не наводит ли на мысль, что были моменты, когда весь состав Иверонских монахов был представлен армянами? На наш взгляд В. А. Арутюновой-Фиданян афонская обитель представляется лишь простым монашеским объединением, и она старается оспаривать главное ее значение — значение литературно-просветительского центра, что неоднократно подчеркивали сами афонские иверы. Как можно лиц, движимых интересами развития грузинской, а не армянской культуры (фактов более, чем достаточно), считать негрузинами.

В лемме «Варлаама и Иоасафа», известного в научном мире как перевод с грузинского, написано: «перевел с грузинского Евфимий, называемый ивером». Приводя это место в указанном контексте суждений, можно предположить, что В. А. Арутюнова-Фиданян слово «ивер» и тут понимает как конфессиональный термин, но ведь речь идет о том Евфимии, который является выдающимся деятелем грузинской культуры, и грекам, несомненно, было известно его грузинское происхождение. Подобные примеры не могут служить аргументом для подтверждения тезиса В. А. Арутюновой-Фиданян.

В работе В. А. Арутюновой-Фиданян немало других погрешностей, но в данном случае мы ограничиваемся только одним конкретным вопросом, касающимся Афонского Иверского монастыря.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა

აპაკი ხინთიბიძე

გალაკტიონის რითმა თორმეტომეულში

I. რითმის მართლწერისათვის. გალაკტიონის რითმათა ლექსიკონის შედგენაზე მუშაობისას დიდი რაოდენობით დაგროვდა პოეტის რითმის მართლწერასთან დაკავშირებული მასალები, რაც საგანგებო შესწავლას საჭიროებს. როგორც ირკვევა, ამას მხოლოდ პრაქტიკული (ამ შემთხვევაში: სალექსიკონო) მნიშვნელობა არა აქვს. ზოგ შემთხვევაში პოეტის შემოქმედებითი პროცესის თავისებურებებზე თვალის მიდევნებაც ხერხდება.

რადგან ლექსიკონი არსებითად პოეტის თხზულებათა თორმეტომეულის მიხედვით დგება, უწინარეს ყოვლისა, ამ გამოცემაში წარმოდგენილი რითმების მართლწერა იქნა შემოწმებული. ლექსებისა და პოემების ძირითად ტექსტს შეუდარდა ვარიანტები, ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები, თითოეულ ტომზე დართული „ვარიანტებისა და შენიშვნების“ მიხედვით. ამასთან ერთად, ხშირად დედნის ნახვაც გვიხდებოდა, როცა სადავო და საეჭვო ფორმების დაზუსტებისას „ვარიანტები და შენიშვნები“ საჭირო პასუხს ვერ იძლეოდა.

თორმეტომეულის შემდგენლებმა და გამოცემელებმა გალაკტიონის რითმის არაერთი მცდარი წაკითხვა გაასწორეს. ჩვენი ნაშრომიც ამ მიზანს ემსახურება — კიდევ უფრო შემცირებულ იქნეს გალაკტიონის რითმის უმართებულო ფორმათა რიცხვი.

ლექსიკონის სპეციფიკა მოითხოვს, თითოეული რითმა დიდი სიფრთხილით და სიფაქიზით იქნეს გამოტანილი ლექსის ჩარჩოებიდან და თავისი წმინდა სახით შევიდეს ლექსიკონში. ამ მხრივ უმცირესი გადახვევანიც კი, რომლებიც ტექსტში შესაძლოა, ასატანი იყოს: არ სჭირდეს ყურს და არ ეუცხოებოდეს თვალს, ცალკე გამოტანილი რითმას, ლექსიკონში კონტექსტის გარეშე წარმოდგენილს, დიდად ვნებს.

ავტოგრაფებზე, მის მიერ წაკითხული წიგნების არშიებზე გალაკტიონს მრავალრიცხოვანი რითმა აქვს მიწერილი; რითმათა საგანგებო დავთრები აქვს შედგენილი, მაგრამ ლექსის გარეთ არსებული რითმა, ცხადია, ლექსიკონში არ შეგვაქვს. ხოლო ლექსის ორგანიზმს შეზრდილი რითმა რომ სალექსიკონო ერთეულად აქციო, მთლად იოლი საქმე არ არის.

გალაკტიონის რითმის ტექსტობრივი დაზუსტება იმიტომაც არის აუცილებელი, რომ ჩვენი ავტორი პოეტთა იმ იშვიათ კატეგორიას ეკუთვნის, რომლისთვისაც რითმის ყოველ ნიუანსს მნიშვნელოვანი ესთეტიკური ფუნქცია აქვს დაკისრებული.

არასოდეს, თავისი შემოქმედების არც ერთ ეტაპზე, მაშინაც კი, როცა თერთი და თავისუფალი ლექსების წერას მიჰყო ხელი, გალაკტიონი რითმის მიმართ გულგრილი არ ყოფილა. იგი მუდამ ეძიებდა ახალ და ახალ საართმო წყვილებს, რითმაში ორიგინალურ აზრობრივ-ემოციურ და მუსიკალურ მიმოქცევებს. ლექს „აპლოდისმენტის“ ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

რითმაც საქმეა, საქმეა, ვიდრე

სხვისი რითმების არა ხარ ქურდი,

რითმა ზოგისთვის არის სიმდიდრე,

ზოგისთვის კიდევ — მხოლოდ აბსურდი (IV, 263).

ავტორი ისეთი საეტაპო სტრიქონისა, როგორცაა „მე მილაღატეს ძველ-მა რითმებმა“, რითმის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.

გალაკტიონის ლექსთა თავდაპირველ ვარიანტებზე დაკვირვება ნათელს ხდის ერთს, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: შემოქმედებითს პროცესში, ლექსის შექმნის დროს ჩასახული მელოდიური განწყობა მაქსიმალურად აწესრიგებს რითმის მუსიკას. ტექსტში შემდგომი ჩარევისას, ლექსის გადამუშავების პროცესში, ცხადია, ზოგჯერ რითმაც იცვლება: სხვადასხვა ვითარების გამო, მუსიკალურად აწყობილი რითმები აღვიღს უთმობენ შედარებით უფრო მდარე ესთეტიკური ღირებულების რითმებს, მაგრამ ჩვენ არ ვიციით არც ერთი შემთხვევა, რომ თავდაპირველი რითმა გალაკტიონს მუსიკალური სრულყოფის მიზნით გამოეცვალა. ამ მხრივ ისინი არავითარ კორექტივს არ საჭიროებენ.

გავიხსენოთ ე. ზივერსის უღერის ანალიზის თეორია, რომლის მიხედვით ლექსის თავდაპირველ ტექსტში ყოველი შემდგომი ჩარევა მის მელოდიურ სისტემას არღვევს (განვლილი შემოქმედებითი პროცესის ზუსტი განმეორება შეუძლებელი ხდება) და მუსიკალური თვალსაზრისით ლექსს აზიანებს.

ლექსიკონის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა აღდგეს გალაკტიონის რითმათა თავდაპირველი მუსიკა.

ლექსი „შიში“ „არტისტულ ყვავილებში“ (გვ. 113) ასე იწყებოდა:

ქალაქი შიშია.
ქუჩებს და მოედნებს
ბურჟუა და მოღაქრად
მოედო ხოლერა.

1927 წლის კრებულში და ამის კვლობაზე თორმეტტომეულში (II, 58) თავდაპირველი რითმის მოღაქრად-ხოლერა ორთოგრაფია შეცვლილია: მოლიერად — ხოლერა. უმარცვლო მ-ს გადაყვანამ სრულ ი-ზე რითმის მუსიკა დაარღვია.

სონეტი „ათრობდა ხალხთა მწუხარება“ კატრენებში ორ ოთხჯერად რითმას გვაძლევს. ერთია: აუზი — ნიკოლაოზი — ქაოსი — სასაფლაოსი. ზოგიერთ ნაბეჭდ წყაროში (1954 წლის „რჩეული“) სახელი ნიკოლაოზი სწორედ ამ ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ გამოცემათა უმრავლესობა, კერძოდ, თორმეტტომეული (II, 8), გვაწვდის ფორმას: ნიკოლოოზი. ყოვლად შეუძლებელია, შემოქმედებით პროცესში, როცა ეს რითმა ყალიბდებოდა, გალაკტიონს ანგარიში არ გაეწია მისი საყრდენი ხმოვნისათვის (ა): აუზი — ნიკოლაოზი — ქაოსი — სასაფლაოსი, მაშინ როცა სახელი ნიკოლაოზი ამ ფორმით იხმარება კიდევ. მას ძველ ქართულ ტექსტებშიაც ვხვდებით¹.

უსათაურო ლექსი „ეხლა კი მშვიდობით“, რომელიც თორმეტტომეულში პირველად დაიბეჭდა (II, 122), შეიცავს რითმას: მხოლოდ ეს — გყოლოდეთ. ამჟამად, აქ სიტყვა გყოლოდეთ თავდაპირველად წარმოდგენილი იქნებოდა მისი ძველი ფორმით: გყოლოდესთ. მრავლობითობის ნიშანი სთ გალაკტიონისთვის უცხო არ ყოფილა. გავიხსენოთ მისი მიმართვა ახალგაზრდობისადმი:

გეაფოსთ, რაც უღრანია,
აგევსოთ, რაც ხარეზია,
სამშობლო არ დაივიწყოთ,
სამშობლო უმთავრესია. („ისევ ახალგაზრდობას“).

¹ „ქართლის ცხოვრება, IV, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ზ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი, 1973, გვ. 1052, 1053.

ბგერა ს-ანის გარეშე რითმა: **მხოლოდ** ეს — **გყოლოდეთ** დაყრუებულია და ვალაკტიონისეულად არ გამოიყურება. პოეტის არქივში ვერ მივაგენით ამ ლექსის ავტოგრაფს (თორმეტომეულში ავტოგრაფის ნომერი სწორად არ არის მითითებული). მაგრამ ჩვენი ვარაუდი უტყუარი უნდა იყოს. ლექსი 1923 წლით არის დათარიღებული და ამ დროს ვალაკტიონი არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ გაუშვებდა ამ მშვენიერი რითმის მუსიკას: **მხოლოდ** ეს — **გყოლოდეთ**. ეს სარიტმი სიტყვა ავტოგრაფში ს-ანის გარეშეც რომ აღმოჩნდეს, პოეტის კალმისმიერ შეცდომად უნდა იქნეს მიჩნეული.

ვალაკტიონის ენაში ხშირია ხალხური, სალაპარაკო მეტყველების კვალი. ზოგჯერ პოეტი შეგნებულად გაუბრბის ლიტერატურული ენის რთულ ორთოგრაფიულ ფორმებს, რაც შეიძლება ამარტივებს სიტყვებსა და გამოთქმებს. ამან რითმაშიც იჩინა თავი. მაგალითად, სიტყვას **ბავში** ვალაკტიონი თითქმის ყოველთვის **ში** თანდებულიან სიტყვასთან რითმავს და მას დასავლეთ საქართველოს კილოებისთვის დამახასიათებელი ფორმით გვაწვდის: **ბავში**² „არტისტულ ყვაილებში“ გვაქვს რითმები: „**ბავში** — **მალენიაში** („ი. ა.“), **ათამაშებს** — **ბავშებს** („სროლის ხმა მთაში“).

შემდეგდროინდელ გამოცემებში სიტყვა **ბავში** მხოლოდ აქა-იქ იჩენს თავს. მაგრამ ავტოგრაფებში, ჩვეულებრივ, დაცულია. პოეტის რითმაში უნდა აღდგეს ეს დიალექტური ფორმა:

არის მხოლოდ სინამდვილე,
რომ არა ვარ **ბავში**,
რომ რეინიც მდლუნუნებს,
გახვეული შავში („რინი“, IV, 119).

იგივე უნდა ითქვას სიტყვებზე: **ღრუბლი**, **ხიდე** და სხვ.

„ვინ იფიქრებდას“ თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც შემონახული არ არის ჩვენი, აზრით, რითმა ასე იქნებოდა გამართული: **შუბლი**—**ღრუბლი** და არა ისე, როგორც გამოცემებში, კერძოდ, თორმეტომეულის III ტომში: **შუბლი** — **ღრუბელი** (გვ. 313). ამ შემთხვევაში მარცვლის დამატებამ ლექსის საზომიც დაარღვია.

პოემა „ათასცხრაას ორმოცი წელის“ V თავში სიტყვა **ხიდი** რამდენჯერმეა ნახმარი („მახსოვს, ვიდექ ვერის ხიღზე“ და სხვ.), მაგრამ ერთგან რითმის ცალად გამოყენებულია ამ სიტყვის დიალექტური ფორმა — **ხიდე** (კიდზე — ხიდზე). ამ სახითაა იგი წარმოდგენილი პოემის რამდენსამე ავტოგრაფში და პირველ ნაბეჭდ წყაროში (კრებ. „ოცი წელი“, 1941). რვატომეულის მე-5 და თორმეტომეულის მე-8 ტომებში რითმა დაკოტლებულია: კიდზე — ხიღზე. ეს რითმა თავდაპირველი სახით უნდა აღვადგინოთ, მით უმეტეს, რომ **ხიდის** დიალექტური მოქცევა ვალაკტიონისთვის უცხო არ ყოფილა: „ათოვს **ხიდეებს**, ათოვს მაღათოვს“ („თბილისი“).

როცა ასე მწვავედ ვსვამთ საკითხს ვალაკტიონის რითმაში ცალკეული ბგერების ურთიერთშეხამებაზე, მხედველობაში გვაქვს პოეტის თხზულებათა მეცნიერული გამოცემა. სასკოლო სახელმძღვანელოში „მთვარის ნაამბობიდან“ **ბავში** ამ ფორმით უნდა შევიდეს:

² საგულისხმოა, რომ ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში ყველგან **ბავში** ფორმაა შენარჩუნებული.

რუსთაველი მახსოვს ზავში,
ოცნებობდა ოქროს ნავში.

მასობრივ გამოცემებშიაც ზოგჯერ შეიძლება ამ მხრივ გარკვეულ კომპრომისზე წასვლა, მაგრამ მეცნიერულ გამოცემაში მხარი არ უნდა დავუჭიროთ პოეტის რითმის სწორების არც ერთ შემთხვევას.

გალაქტიონმა თხ კომპლექსის ჰარმონიაზე ააგო რითმა მთხოვენ — ბეთხოვენს («მე კავკასიის ქედები მთხოვენ»). ასე დაიბეჭდა იგი კიდეცაც «მნათობში» (1943, № 7) და 1944 წლის «რჩეულში». მაგრამ 1947 წელს რვატომეულის IV ტომში ამ რითმის მეორე ცალი ახალი ორთოგრაფიით იქნა წარმოდგენილი: მთხოვენ — ბეთჰოვენს. ეს ფორმა გადავიდა თორმეტრამეულშიაც (V, 143).

1946 წელს „სხვა ბეთხოვენზე“ მუშაობისას პოეტის წინაშე დაისვა საკითხი — რომელი ფორმა აერჩია. ლექსის პირველ ვარიანტში რითმა ბეთხოვენის ორთოგრაფიაზეა გამართული; მთხოვენი — ბეთხოვენი. შემდეგ, როცა ამ ფორმის შეცვლა გადაწყვიტა, მასთან შეუღლებული სიტყვაც შეცვალა: მთოვენი — ბეთჰოვენი. რამდენადაც პირველ შემთხვევაში ბგერა ხანი რითმას ჰარმონიულსა და ენერგიულს ხდის, იმდენად დისჰარმონიას შეიტანდა იგი ამ რითმის მეორე ვარიანტში. ასეთი სიზუსტითა და სიფაქიზით არჩევს პოეტი ხმებს რითმისათვის.

უფლება არ გვაქვს პოეტის რითმა (და ლექსი) ვასწოროთ იმ ორთოგრაფიულ ნორმების მიხედვით, რომლებიც ლექსის დაწერის შემდეგ იქნა შემუშავებული.

„ძველი და ახალი ხიდის“ (III, 362) რითმები ზუსტ შესატყვისობებზეა აგებული (განსაკუთრებით ლექსის პირველ ნახევარში): დიდი — ხიდი, თვალი — კვალი, რომ ის — შრომის და სხვ. ამ გარემოცვაში, ბუნებრივია, იქნებოდა: ზაგეს — ზაგესს. მართლაც, ეს ასეა ავტოგრაფშიც და ადრინდელ გამოცემებშიც. 1954 წლის «რჩეულში» და ამის მომდევნო ნაბეჭდ წყაროებში შეიცვალა: ზაგეს — ზაჰესს. პოეტის 20—30-იანი წლების ლექსებში რითმის ყველა ცალი, რომელიც სიტყვა ზაჰესთან არის შეუღლებული, გ თანხმოვანს შეიცავს:

წინათ მეტეხის ბურჯი
და ნარიყალა აგეს.
ეხლა მძლავრი და ურჩი
სიტყვა ეკუთვნის ზაგესს.

20—30-იან წლებში სიტყვა რევოლუციური იხმარებოდა ამგვარი ფორმით — რევოლუციონური. სიტყვის ამ ფორმაზე გალაქტიონმა რითმა ააგო: რევოლუციონური — მონური. რვატომეულის II ტომში ლექსი „ეპოქა იშვა და გაიზარდა“ ამ რითმით არის წარმოდგენილი, მაგრამ შემდეგ გამოცემებში სიტყვა ვასწორდა, რითმა კი დამახინჯდა:

და მასზე ცაა გადასახული,
შენობა მძლავრი — არა მონური,
უზარმაზარი, ჯერ არ ნახული,
რევოლუციური.

ასევეა თორმეტრამეულშიც (III, 7).

ლექსების ფრანგულ ციკლში გალაკტიონს რითმის ცალად მრავალჯერ აქვს გამოყენებული სიტყვა **პარიზი**, იმ დროს ჩვეულებრივ სიტყვა-ხმარებაში გავრცელებული ფორმით — **პარიუი**:

უღვი, უანგარიშო,
შინის და ჟრჟოლის ამტანი,
შენს არე-მარეს, **პარიუო**,
აშუქებს კაფე შანტანი. („მონმარტრე“, IV, 227).

აქ, როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ რითმა, არამედ მთელი სტროფიც ამ ორი ბგერის (შ, ჟ) ქლერადობაზეა აგებული. მაგრამ რითმა **უანგარიშო** — **პარიუო** ამ სტროფს, რომელიც ხუთჯერ არის განმეორებული თორმეტტომეულის IV ტომში (გვ. 55, 90, 133, 227) მხოლოდ ერთგან აქვს შენარჩუნებული. ყველა სხვა შემთხვევაში ვკითხულობთ: **უანგარიშო** — **პარიუო**. **შ** და **ჟ** თანხმოვნები ერთმანეთს მხარს ვეღარ უზამენ და რითმის უღელი გაუმართავია. სიტყვა **პარიუი** შემორჩენილია ავტოგრაფებში. ლექსს „მაიაკოვსკი“, რომელიც ზემოხსენებულ სტროფს შეიცავს, რამდენსამე ავტოგრაფში სახელად **პარიუო** რქმევია კიდეც (IV, 292). გამოცემებში კი **პარიუი** **პარიზითაა** შეცვლილი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ დროს გალაკტიონი სიტყვა **პარიზს** ამ ფორმით არ ხმარობდა. ლექს „აპლოდისმენტის“ ერთ-ერთ ვარიანტში ასეთ სტრიქონებს ვხვდებით:

რითაც საქმეა, საქმეა მისი,
ვისაც მსუბუქი უყვარს **პარიზი** (IV, 263).

რითმის ცალმა **მისი** განაპირობა **პარიზის** სწორი ლიტერატურული ფორმა. ზოგჯერ პირიქითაც ხდება: სიტყვის სწორი ფორმა, რაზედაც თავდაპირველად რითმა იყო აგებული, გამოცემებში არასწორი ფორმითაა შეცვლილი.

სიტყვა **ვჰეჰოთ**, რომელიც ლექსში „სიმღერა“ ანაფორიდან ეპაფორაშია გასული, ადრე შეუღლებული იყო სიტყვასთან **ეჰო**: **ვჰეჰოთ** — **ეჰო** („მნათობი“, 1930, № 8—9; „რევოლუციურ საქართველოს“, 1931, გვ. 36). მაგრამ შემდეგ (რვატომეულის II ტომში და ამის შესაბამისად თორმეტტომეულის III ტომში) **ეჰო** გადაიქცა **ეხო**დ და რითმა დაყრუვდა: **ვჰეჰოთ**—**ეხო**.

ამრიგად, თავდაპირველი რითმა მუსიკალურად ყოველთვის დახვეწილია; რითმის ეფფონიური გაღარიბება გვიანდელია. ეს ჩასწორებები გალაკტიონისეული არ შეიძლება იყოს.

როგორც დავიგვროთ, რომ, მაგალითად, პოეტი თანახმა იქნებოდა, რითმაში **შეხლა** — **ეხლა** უკანასკნელი სიტყვა გასწორებულიყო: **შეხლა** — **ახლა**, როგორც ეს 1954 წლის „ჩეულშია“ (გვ. 160).

შესაძლოა, ზოგჯერ გალაკტიონი დასტურის ნიშნად თავს უქნევდა რედაქტორ-გამომცემლებს, რომლებიც მის რითმებში ორთოგრაფიულ-გრამატიკულ უზუსტობას ნახულობდნენ. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ თავადაც ცვლიდა ზოგიერთ უმართებულო ფორმას, მაგრამ ეს იყო იშულებითი აქტი, ხარკის გაღება იმ დროს ჩვენში ფესვგადგმული მცდარი ტენდენციის მიმართ, რომელიც მწერალს უკრძალავდა ხალხური ენით წერას და, რამაც ერთ დროს ვაჟა-ფშაველას ენის ოფიციალურ დაწუნებამდეც კი მიგვიყვანა.

გალაკტიონის რითმა თორმეტტომეულში ზოგჯერ მექანიკური შეცდომების გამოა დამახინჯებული.

- ა) პაერთ თუ რკინიდან
 ალი ღვივის ფერადი
 და ეცემა მიწიდან
 შუქი ათასფერადი („სალამო პარზში“, IV, 106).

აქ ნაცვლად სიტყვისა მიწიდან უნდა გვექონოდა მინიდან: „და ეცემა მი-
 ნიდან“. რითმაც გაიმართა: რკინიდან-მინიდან.

ბ) შარადს — ბარათს („შენს ფენილზე მიდი-მოდის“, IV, 62). უნდა იყოს:
 მარადს — ბარათს.

- გ) იმ ომის ღროს ჩვენ ყველანი
 გატაცებით ვთრთოლით დლით —
 რა კალამი, რა მელანი
 ასწერს, რასაც განვიცდილით (***) „იმ ომის ღროს“, V, 252).

უნდა იყოს: დლით — განვიცდილით.

დ) ჩამოვედი — ყოველი („ვარ ბრძოლის ველზე“, IV, 121).

უნდა იყოს: ჩამოველი — ყოველი.

ე) ფიქრით — მოვექრით („სხვისი სისპეტაქე უფრო აგვიებს“, II, 289).

უნდა იყოს: ფიქრით — მივექრით.

- ვ) გაღია, მე ზომ ღამის ლანდები
 მიგვიანებენ საყვარელ ნდობას,
 სიკვდილში როდი ვეჭვიანობდი,
 ეხედავ შეცდომას („მაგრამ მე რა ვქნა“, I, 345).

ჯვარედინი რითმის პირველი რიგი დარღვეულია. უნდა იყოს: ლანდები —
 ვეჭვიანდები („სიკვდილში როდი ვეჭვიანდები“).

ზ) დამახინჯებულია რითმის წვერად გასული არაბი ფილოსოფოსის გვარი
 ავეროესი: უახლოესი — ავეროსი („მყინვარი“, III, 285).

I, II, III ტომების აღნიშნული შეცდომები შეცდომების გასწორებაში,
 რომელიც IV ტომსა აქვს დართული, გასწორებული არ არის. ამასთან, მცდარია
 ერთი შეცდომის გასწორება. ტექსტში ვკითხულობთ:

სასახლე, რომელიც ჩანდა
 ჩაგრულის სისხლი და ოფლია...
 თანდათან, თანდათან, თანდათან,
 ახალის გახდება მსოფლიო („თანდათან, თანდათან, თანდათან...“,
 III, 289).

შეცდომების გასწორებაში გვაქვს: ჩანდა თან — თანდათან (IV, 471). უნ-
 და იყოს: ჩანდა და.

თ) სწყურია — დასაყრდენია. უნდა იყოს: სწყენია — დასაყრდენია:

ღელავს ჯარა მშრომელ ხელთა.
 რა სურს ან რა სწყუოია?
 ვერ მიმხედარა, რომ იმ ქსელთან
 სულ სხვა დასაყრდენია („ორმოცი წლის წინ“, V, 219).

- ი) აკვარიუმში ფერადი თევზი —
 ესაა რიცა,
 ულტრაისფერ სხივებით მთებზე
 აივსო ბინა (***) „აკვარიუმში ფერადი თევზი“, VI, 15).

ბოლო სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს: აივსო მიწა. სწორდება დამა-
 ხინჯებული რითმა: რიცა — მიწა.

კ) თორმეტრომეულს მიხედვით, პოემაში „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“ ერთი სტროფის ძირითადი რითმა ტავტოლოგიურია (იძულებითი ტავტოლოგია):

სერის და მშობლიურ ცხედრებს ეხება
ფარული გზებით,
ყელამდე სისხლში მიღის ფეხები
მოლიპულ გზებით (VIII, 86).

უნდა იყოს ფარული გზებით. ტავტოლოგია თავიდან იქნება აცილებული: გზებით — გზებით.

ლ) ასეთივე უაღვილო ტავტოლოგიას ვხვდებით პოემა „მწყემსის“ ვაჩიანტში (VIII, 332):

ოცნებანი დაჰქროდა სევდა,
დასრულდა ღზინი.
მხოლოდ სიჩუმის მარაოს სევდა
სოს სისინი.

რითმის მეორე წევრი, მეორე სევდა კონტექსტში უაზროდ გამოიყურება. თუ მის ნაცვლად გვექნება სიტყვა სდევდა, ტექსტიც გაიზარდება და რითმაც: სევდა—სდევდა.

მ) კორექტურული შეცდომა უნდა იყოს რითმაში გასული სიტყვა ორანგუტანი ნაცვლად სიტყვისა ორანგუტანგი. მითუმეტეს, რომ მასთან შეუღლებულია სიტყვა ფრანგი („წვიმის გრძელ-გრძელი დიავანალი“, IV, 44).

ნ) ერთგან, რითმის საჭიროებისათვის ავტორი არ კუმშავს სიტყვას მომავალის: ძალის — მომავალის. ასეა რვატომეულის V ტომში (გვ. 233). თორმეტრომეულში (VIII, 215) კი ეს სიტყვა შეკუმშულია: ძალის — მომავალის, რაც რითმის სიზუსტესაც არღვევს და ლექსის ზომასაც.

უმრავლესობა ამ კორექტურული შეცდომებისა ისეა შეთვისებული ტექსტთან, რომ საგანგებო დაკვირვების გარეშე ძნელი გამოსაცნობია. ამიტომ ვცანით საჭიროდ მათი აღწუსება.

ზოგჯერ თორმეტრომეულში მექანიკურად არის გადმოსული სხვა გამოცემათა დეფექტები.

ა) ლექსში „პოეტი და ოქტომბერი“ გარითმულია სიტყვები: ზენებს, ნამცეცებს.

ნაცვლად უაზრო ზენებისა ავტოგრაფი უჩვენებს სიტყვას — ზეცებს. რითმაც იზარტება: ზეცებს — ნამცეცებს. შეცდომა რვატომეულის II ტომში იქნა დაშვებული (გვ. 562) და იქიდან იქნა გადმოტანილი თორმეტრომეულში (III, 409).

ბ) ლექსში „ოქტომბრის გემი“ (IV, 167) კვითხულობთ:

სქლად დასდებია მის ტანს ნიჟარა
მრავალწლოვანის ნიშანი ცურვის!
სად არ უვლია, მაგრამ მშინარა
ის არ ყოფილა, არც მსხვერპლი არვის.

რითმა ცურვის — არვის აშკარად დეფექტურია. ავტოგრაფებსა და პირველ ნაბეჭდ წყაროში („მნათობი“, 1938; № 11) ნაცვლად სიტყვისა არვის ყოფილა ურვის (IV, 383): ცურვის — ურვის. სიტყვა არვის პირველად განჩნდა რვატომეულის III ტომში. იგი ასოთამწყობის მექანიკური შეცდომა უნდა

იყოს, რადგან გამოთქმა „ურვის მსხვერპლი“ სავსებით გამართულია და შეცვლას არ საჭიროებს.

გ) ლექსი „სხვა სტრიქონები“ არსებითად მაცამურ რითმაზეა აგებული: ააბი ბინა — ააბიბინა, ნადები — ნადები, და ხმა-დახმა და სხვ. ამგვარი რითმების გარემოცვაშია მოქცეული მაცამაც: შენა თვალი — შენათვალი („სად გაუსწორე ტყეს შენა თვალი“. „და სიმღერები დღით შენათვალი“). ამ სახითვე დაიბეჭდა იგი პოეტის ერთ-ერთ კრებულში („ეპოქა“, 1930 წ.). რვატომეულის II ტომში ნაცვლად სიტყვისა შენა გაჩნდა შენი, რაც ჩვენ კორექტურულ შეცდომად მიგვაჩნია (სხვათა შორის, აქვე მეორე შეცდომაც არის: თვალის ნაცვლად დაბეჭდილია თავლი). თორმეტომეულში (III, 44) თავლი გასწორდა, მაგრამ შენი დარჩა. მაცამა დაირღვა: შენი თვალი — შენათვალი.

ზოგჯერ გარდაუვალი ფაქტის წინაშე ვდგავართ: თავდაპირველი სტრიქონი და მისი თანმხლები რითმაც უნდა შეიცვალოს.

მეორე სტროფი ლექსისა „ლანკაშირში“ (IV, 77) პირველად (რვატომეულის III ტომში) ასე დაიბეჭდა:

იგი (ლაპარაკა ლანკაშირში მდგარ ცაცხეზე. — ა. ე. ხ.). ბოღმას იკავებდა,
როგორც ცრემლებს ემბაზი,
როცა მუშებს, ისეც მცირე,
აკლდებოდა ზელფასი.

ვარიანტიც ამ წაკითხვას უჭერს მხარს. მაგრამ მეორე სტრიქონი — „როგორც ცრემლებს ემბაზი“ — შემდეგ შეიცვალა. 1954 წლის „რჩეულში“ მისი ადგილი დაიჭირა სტრიქონმა — „ვარჯვაშლილი, ლამაზი“ (ცაცხვის დახასიათება). გასწორება, ცხადია, გალაკტიონისეულია. მაგრამ, ამავე დროს, ნაცვლად მშვენიერი სარიტმი წყვილისა — ემბაზი — ხელფასი ხელთ შეგვრჩა ნაკლული რითმა — ლამაზი — ხელფასი. რას იზამ, რითმის ამ დაკოჭლებას უნდა შევეურიგდეთ.

ზოგჯერ ამგვარი შეცვლის აუცილებლობა მოხსნილია. ლექსში „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ 1959 წლამდე პირველი სტროფი ამ სახით იბეჭდებოდა:

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! —
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.
მომენატრა მზე სინათლის მფენი;
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.

შემდეგ გამოცემებში ლექსის ბოლო სტრიქონი, სადაც აფხაზეთში ზღვის სიშორეზეა ლაპარაკი, შეიცვალა: „მომენატრა ზღვა, რომელიც ვრცელია“.

მაგრამ ავტორისეული ჩანაფიქრი კორექტივს არ საჭიროებს. ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

გამარჯობა შენი, სანატორია,
ზღვა აქედან უბოლოო შორია.

აქ გარკვევით არის თქმული, რომ ზღვის ბოლო არის შორსო. ამ აზრით, ხსენებული სტრიქონიც საორჭოფოს არაფერს შეიცავს და რითმაც — სანატორია — შორია თავის ადგილას უნდა დარჩეს.

თუკი პოეტისეული ტექსტი ამის საშუალებას იძლევა, დეფექტური რითმა თავიდან უნდა ავიცილოთ და რითმის ლექსიკონში მისი უკეთესი ვარიანტი უნდა შევიტანოთ.

ზოგჯერ გალაკტიონი საერთოდ უარს ამბობს რითმაზე. რითმიან ლექსში

გაურითმავად ტოვებს ცალკეულ სტრიქონებს. ამ შემთხვევაში პოეტმა რაღაც უფრო დიდსა და არსებითს მიაგნო, ვიდრე რითმა და მისი ჰარმონიული ქლე-რადობაა.

ბოლო სტროფი ლექსისა „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“ ავტოგრაფ-ებში ასე იყო წარმოდგენილი:

მარტობასაც ავიტან მწარეს,
 უმეგობრობას ავიტან მძიმეს,
 ოღონდაც თვალთ ვხედავდე მხარეს,
 ჩვენს ნათელ მხარეს შუქმოციმციმეს (IV, 273)

კრებულში „ოქრო აჭარის ლაქვარდში“ გალაკტიონმა შეცვალა ამ სტრო-ფის მეორე ნახევარი და გააუქმა კენტი სტრიქონების რითმა: **მწარეს — მხა-რეს**. ჭვარედინ რითმაზე აგებული ლექსი ბოლოს ინტერვალიანი რითმის ამა-რა დატოვა, მაგრამ ლექსის ახალ რედაქციაში ისეთი ძალა მიეცა სტროფს (თა-ნაც ისე ღრმად რწმუნდები, შემწსწორებელი უთუოდ გალაკტიონია), რომ რით-მის დაკარგვას იოლად ურიგდები:

მარტობასაც ავიტან მწარეს,
 უმეგობრობას ავიტან მძიმეს,
 ჩემი საშობლოს სანახავიდან
 ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს.

გალაკტიონი რითმის მადევარი პოეტი არ არის, რომ ყველგან, ყოველ ვი-თარებაში, გამოდის თუ არ გამოდის, რითმებით გველაპარაკოს.

ზემოთ მოყვანილ სტროფში თუ ადგილებს შეგუწაცვლებდით პირველი სტრიქონის ბოლო ორ სიტყვას — „ავიტან მწარეს“, ურითმოდ დატოვებული სტრიქონები გაირითმებოდა: **ავიტან-სანახავიდან**. მაგრამ დაიკარგებოდა სტრი-ქონების ეშხი, რასაც ერთსა და იმავე ადგილას დასმული განმეორებადი ზმნა ქმნის:

მარტობასაც ავიტან მწარეს,
 უმეგობრობას ავიტან მძიმეს.

ზოგჯერ რითმის არასწორი ფორმა ავტოგრაფის მცდარი წაკითხვის შედე-გია.

1. ჩვენი გაკვირება გამოიწვია შერეულმა რითმამ **იყოს-დაგივიწყო**, რო-მელიც გალაკტიონის ერთი აღრინდელი ლექსის სტრიქონებში აღმოჩნდა (I, 391). რითმაში ღია და დახურული მარცვლების მონაცვლეობა კადენციის ბო-ლოს იმ დროს (1911 წ.) გალაკტიონისთვის ანაქრონიზმია. ვნახეთ ავტოგრა-ფი (t 8749) და დავრწმუნდით, რომ იქ არ იკითხება სიტყვა **იყოს**. ვერც იმას ვიტყვი, თუ რა იკითხება, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ იქ ეს სიტყვა არ წერია. არ წერია, საერთოდ, თანხმოვანზე გათავებული სიტყვა. ხოლო თუ ვარაუდზე მიდგება საქმე, უფრო სავარაუდებელია სიტყვა **იწყო**, ეინემ **იყოს**: „უთხარ ნიავს, რა არის, რომ თამაშობა აქ არ იწყო“. შერეული რითმა ღია რითმაზე გადავიდა: **იწყო — დაგივიწყო**.

2. ო. ოკუჯავასადმი მიძღვნილი „მგზავრის სიმღერა“ თორმეტრომეულის მიხედვით ერთ-ერთ ავტოგრაფში გვაძლევს დფექტურ რითმას: **ვიდრე—მკვ-დარი** (II, 433). ავტოგრაფის (t 467) ნახვისას ჩინებული კონსონანსი გაბრ-წყინდა: **ვიდრე — მკვიდრი**.

3. უსათურო ლექსში „ტბა შრიალებდა“ (VII, 21), რომელიც ჭვარედინ-ნად არის ვართმული, ერთგან რითმა ჩაეარდნლია: **მოსაგონარად — ზეფირი**.

ავტოგრაფში (t 4958) ზეფირის ნაცვლად აღმოჩნდა სიტყვა ზონარი (მოსავონარად — ზონარი).

4. პოეტის არქივში ვერ მივაგენით ლექსის „მე არ ვიცი“ (VII, 57). ავტოგრაფს. ტომზე თანდართულ „ვარიანტებსა და შენიშვნებში“ მითითებულ ნომერზე (4684) სხვა ლექსია მოთავსებული. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ რითმა: იმდარი — მინდორი — ნასიმიდარი — დანადინარნი გალაკტიონისეული არ უნდა იყოს. ბოლო წევრი არღვევს ამ დიდებული რითმის ჰარმონიას. სიტყვა დანადინარნი არც კონტექსტს ეთანხმება

მე არ ვიცი იმდარი ელისის მინდორი,
კრული პეიზაჟები, ცივი ნასიმიდარი...
შორით — კავკასიონი, ახლო-მკაფრი რიონი.
ზეცა და ორიონი — ღრუბლით დანადინარნი.

ვფიქრობთ, დანადინარნის ნაცვლად ავტოგრაფში იქნება სიტყვა დანაბინდარი: ზეცა და ორიონი — ღრუბლით დანაბინდარი. აზრიც იმართება და რითმაც: იმდარი — მინდორი — ნასიმიდარი — დანაბინდარი.

5. ლექსის „საყვარელი მამულის“ ვარიანტში (VII, 274) წარმოდგენილი რითმა: არსადა — არარადა (VII, 274) ხელნაწერიდან სწორად არ არის ამოკითხული. პოეტს უწერია: არსადა — არსადა („სხვა არაა არსადა... ჩანდეს არსი არსადა“).

6. ასეთივე გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს რითმა — მხატვად-მიუხედავად:

იარე გზაზე, სადაც ნისლია,
არსებობისთვის მტვერის მხატვად.
იარე, სანამ კი შეგძლია,
ყოველ სიშორის მიუხედავად (***) „იარე გზაზე“, VII, 159).

თუ მხატვის ნაცვლად გვექნება მხვეტავი (მტვერის მხვეტავად), რითმა გაიმართება: მხვეტავად — მიუხედავად.

7. უსათაურო ლექსის „სდუმს არემაზე“ ავტოგრაფისეული სიტყვა მომხიბლავი (t 8782) თორმეტომეულში (I, 88), სადაც ის პირველად დაიბეჭდა, შეცვლილია სიტყვით მომხიბვლელი, რაც რითმის ჩავარდნას იწვევს:

მოჭრის ნიავი,
რომ მომხიბლელი.

II. დ ა კ ა რ გ უ ლ ი რ ი თ მ ე ბ ი. ერთია რითმის მართლწერა და მეორე თვით რითმა, რომელიც გალაკტიონის თხზულებათა გამოცემებში ზოგჯერ იკარგება კიდევ.

პოეტის თხზულებათა ტექსტის კითხვისას, როცა გაურითმავ სტრიქონებს წვაწყლებით, ზოგჯერ ვამჩნევთ, რომ სტრიქონში სიტყვები მექანიკურად გადაადგილებულია, სარიტმო სიტყვა სტრიქონის შიგნით არის შემალული.

ორიოდე ასეთი შემთხვევა თორმეტომეულის გამოცემლებსაც შეუნიშნავთ და შეცდომების გასწორებაშია გატანილი (მაგ., ლექსში „ჩვენ გავიარეთ სოხუმი, გალი“ (III, 401) I სტროფის III სტრიქონის ბოლოს გვაქვს: „ქალი და კაცი“, უნდა იყოს: „კაცი და ქალი“. სარიტმო სიტყვა ქალი (გალი — ქალი) სტრიქონის ბოლოდან შიგნით არის გადანაცვლებული).

ამ გზით დაკარგულ რამდენიმე რითმას ჩვენც მივაგენით.

ა) ლექსში „ძირს ცინიზმი“ (III, 401) ბოლო სტროფი ძირითადი რითმის გარეშეა დატოვებული:

არაფერი აქ არ არის სასაცილო (ციინი კი),
ეს დრამაა, მწარე დრამა,
მოხიბვითი, მოხარხარე და ცინიკი —
ძირს! გვაკმარეთ! ო, გვაკმარეთ!

ამ ლექსის ვარიანტში („ჩვენ მოვდივართ“, IV, 184), რომელიც გამოშვებულია მიერ დამოუკიდებელ ლექსადაა მიჩნეული, სტრიქონი „ეს დრამაა, მწარე დრამა“ ასე იკითხება: „ეს დრამაა, დრამა მუდამ“. ხოლო ხელნაწერში ნაცვლად სიტყვისა მუდამ თავდაპირველად წერებულა მწარე: „დრამა მწარე“ (IV, 396). თუ ამ ხელნაწერის მიხედვით გავმართავთ ტექსტს, გადავსვამთ სტრიქონის ბოლო სიტყვებს („მწარე დრამა“); რითმა თავის ადვილს დიქტერს: მწარე — გვაკმარეთ.

ბ) „პრესის“ ავტოგრაფში ვკითხულობთ:

დაკარი, დაკარ! ის სომეხია,
ეს ქართველია, ის თათარია,
იქნებ მუშაა, იქნებ გლეხია.
რა გქნათ? რა რჯულის ბინადარია (III, 614).

მაგრამ ნაბეჭდ წყაროებში გამოთქმები: „ის სომეხია“, „ეს ქართველია“ — გადაჯვადებულია. ამ შემთხვევაში რითმა არ იკარგება: სომეხაა — გლეხია შიდარითვის კვალიფიკაციით შევა ლექსიკონში.

გ) „ჩემს ლექსებში“ (VII, 187) პირველი სტროფის ძირითადი რითმა, რომელიც II—IV სტრიქონებს უნდა აკავშირებდეს, არ ჩანს, ეს სტრიქონებია: „შენი თვალების, შენი გულის, შენი ოცნების“ და „ეს ლექსებია მწუხარების და გაწვალების“. თუ სინტაგმას „შენი თვალების“ სტრიქონის ბოლოს გავიტანთ, რითმა გამოჩნდება: თვალების — გაწვალების.

ალარ გვაგვრძელბთ მსგავსი ნიმუშების ამოწერას. მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია. მაგრამ საკითხი არც ისე იოლი გადასაწყვეტია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

რამდენიმე ლექსის ავტოგრაფმა არ დაადასტურა ჩვენი ვარაუდი სიტყვების გადაადგილების შედეგად რითმის წარმოჩენისა.

ა) ორმაგი, ჯვარედინი რითმით დაწერილ ლექსში „მოხუცი ქალი“ მეორე სტროფი მთლიანად ურითმოდაა დატოვებული:

ახლა არაღის არ უცქერს იგი,
თითქოს ვერ ხედავს ვერაღის ჯახზე,
თითქოს არც ხმა აქვს, არც გული უძგერს,
ან ეშინია და ან ვერ ბედავს (III, 220).

ამ სტროფში სრულიად უმტიყენეულო ოპერაციის შედეგად გალაკტიონის რითმათა ლექსიკონს ორი რითმა შეემატებოდა: უცქერს — უძგერს, ხედავს — ბედავს. მაგრამ ავტოგრაფი არ იძლევა ამ ოპერაციის ჩატარების უფლებას.

ბ) უსათაურო ლექსში „ურობებს, გრდემლებს“ (III, 187) ამავე წესით სამი რითმაა დაკარგული. ამათგან ერთი — ძირითადი რითმა. თუკი სტრიქონები ასე გაიმართებოდა: „ჭიანურს უტევეს ბლოკის ქრიალი“, „რა აღმაფრენა, რა შთავგონება“ და „აქ თვითეული ხელსაწყო მღერის“, გამოჩნდებოდა რითმებიც: ქრიალი — ძგრიალი, შთავგონება — გაგონება და მღერის — ამონაღერის. მაგრამ ამ ლექსის ავტოგრაფიცა და მისი ასლიც დაბეჭდილისაგან სხვაობას არ გვაძლევს.

გ) ბოლო ავტორად ჩინებული ლექსისა „ქვეყანა ვაცვდა, ვით ძველი გრო-

ში“ (VII,10) ცალფა რითმითაა დატოვებული (abc). წინა სტროფებში კი ყველა სტრიქონი გართმულია. ამავე დროს, ეს ბოლო სტროფი ასეთ საინტერესო რითმას მალავს: **სიბნელე — გამომნელე.**

მაგრამ ავტოგრაფში სიტყვა **სიბნელე** სტრიქონის ბოლოს არაა გასული: „საშინელეზა, სიბნელე, გესლი“.

სხვა მაგალითებზე აღარ შევჩერდებით.

ამ ვითარებაში არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რითმათა წარმოჩენის მიზნით, პოეტის სტრიქონები ხელყვით, მათში სიტყვები გადავადგილოთ (თანაც ამ ლექსებიდან ზოგიერთი პოეტის სიცოცხლეშივეა გამოქვეყნებული). მაგრამ, ამავე დროს, ნუ დაგვაფიყნდება, რომ შემოქმედებითი პროცესი რთული ფსიქოლოგიური აქტია. პოეტური ზეშთაგონების რეალიზაციის დროს მოსალოდნელია ზოგი ტექნიკური ხარვეზი. შესაძლებელია, მაგალითად, რომ გართმულმა სტრიქონებმა ქაღალდზე გადატანისას რაიმე დეფექტი დაიყოლოს. გალაკტიონი, როგორც მელოდიური პოეტი, პანგით შეპყრობილი, ხშირად კალმის ხელში აღებამდე თხზავდა სტრიქონებსა და სტროფებს, რომლებიც საწერ-ფურცლებზე, შესაძლოა, სხვა გალაკტიონს გადაჰქონდა; შემოქმედებითი განწყობა მთავრდებოდა და ლექსის გადაწერა იწყებოდა. ამიტომაც, რომ პოეტის ავტოგრაფები შედარებით სუფთაა (ზოგი ნაწარმოების ვარიანტების სიმრავლე იმის შედეგია, რომ პოეტი ხელახლა მიუბრუნდებოდა ლექსს, ახლიდან იწყებოდა შემოქმედებითი პროცესი). ეს ნახევრად ტექნიკური საქმე — მელოდიად ქცეული ლექსისთვის თვალთ დასანახი, გრაფიკული სახის მიცემა, ალბათ, ყოველთვის უნაკლოდ ვერ სრულდებოდა, მითუმეტეს ისეთი თავისებური პერსონის მიერ, როგორც გალაკტიონი იყო.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვაძლევს ლექსი „ელექტრონული თოვლი“, რომელიც ავტოგრაფში ამ სახით არის წარმოდგენილი:

მზის ჩასვლის წამი აგვისტოს ჰგავს,
ჩასვლის მომენტი კი ენკენისთვის;
ჩამობნელება იანვარს რგავდა,
თითქო დაზმირდა წარმოდგენისთვის.
სწრაფლ ელექტრონის მოვიდა თოვლი,
არე აივსო მისი სისოვლით.

ამ ლექსში ლაბარაკია არა იმაზე, თუ როგორია საზოგადოდ მზის ჩასვლა, რას მოგვაგონებს იგი საერთოდ, არამედ წარმოსახულია რეალური სურათი მზის ჩასვლისა, თუ როგორი იყო ერთ კონკრეტულ მომენტში ჩამავალი მზე, რას წაგავდა იგი. აქედან გამომდინარე, ლექსის პირველ სტრიქონს ამგვარი სახე უნდა ჰქონოდა: „მზის ჩასვლის წამი აგვისტოს ჰგავდა“. მითუმეტეს, რომ ქვემოთ ყველგან ნამყო დროშია საუბარი: „ჩამობნელება იანვარს რგავდა“, „მოვიდა თოვლი“, არე აივსო“.

თუ სიტყვა ჰგავს შეიცვლება სიტყვით ჰგავდა, ურითმოდ დატოვებული მეორე და მესამე სტრიქონებიც გაირითმება: ჰგავდა — რგავდა. აშკარაა, აქ პოეტს რითმის ხიბლი ამოძრავებდა, თორემ ასეთ მოულოდნელ სიტყვა-სახეს არ მიმართავდა: „ჩამობნელება იანვარს რგავდა“. მაგრამ ავტოგრაფში არ ჩანს სიტყვა ჰგავდა. იქ თვალნათლივ წერია: „ჰგავს აგვისტოს“, რომელიც შემდეგ დანომრვით გადაადგილებულია“ (VII, 334).

ჩვენ წინ არის მეტყველი მაგალითი: ნაცვლად იმისა, რომ დაეწერა ჰგავდა, ავტორმა დაწერა ჰგავს. ეს კალმისმიერი ლაფსუსია, რომელიც უნდა ვასწორდეს.

გრიგოლ აბაშიძემ და მურმან ლებანიძემ პოეტის თხზულებათა საიუბილეო გამოცემაში („რჩეული“, 1973), ხოლო შემდეგ რევაზ თვარაძემ „რჩეულში“ (1977 წ.) კონიექტურის წესით გაასწორეს „შავი სვეტების“ ერთი ადგილი. ლექსის ავტოგრაფსა და ნაბეჭდ წყაროებში გვექონდა:

ასკეტი, ბრძენი, პოეტი, მუშა
სიცივის ბრწყინვით განათებული,
როგორც იღვებს ხანდახან შუშა,
აფეთქებული ცეცხლით და ყინვით.

მეორე სტრიქონის ბრწყინვით სტრიქონის ბოლოს იქნა გადატანილი — „განათებული სიცივის ბრწყინვით“ და გამოჩნდა რითმა: ბრწყინვით — ყინვით. ვრცელი, 150-სტრიქონიანი ლექსი „კოსმიური ორკესტრი“ (II, 209), გარდა ექვსმარცვლიანი საზომით გამართული მცირე მონაკვეთისა, მილიანად ჰვარდინად არის გართმული. გამოწაკლისს შეადგენს მხოლოდ ერთი ადგილი — გაურითმავადაა დატოვებული სტროფის პირველი და მესამე სტრიქონები: „შენი, შოტლანდია, სული სრულხმოვანი“ და „მეფურ უგონობით ახლაც ის ლანდია“. თუ პირველ სტრიქონში სიტყვები გადაადგილდებოდა, რაც ლექსის შინაარსს არ აზიარებს („სული სრულხმოვანი შენი, შოტლანდია“), რითმაც თავის ადგილს დაიკურდა **შოტლანდია — ლანდია**.

ლექსის ავტოგრაფი შენახული არ არის, ნაბეჭდი წყაროები განსხვავებულ წაკითხვას არ იძლევა, მაგრამ პოეტის ახალ „რჩეულში“ (1977, გვ. 244) ტექსტი სწორედ ამგვარად იქნა ჩასწორებული.

დიდი ხელოვნების წყალობით, გალაკტიონის ლექსში დაფარულია რითმის სავანებო ძიების კვალი, თორემ პოეტის არქივის გაცნობა გვიდასტურებს, რომ გალაკტიონის შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი წარმმართველი კომპონენტი რითმა იყო. ხოლო თუკი ეს ასეა, ძნელი დასაჯერებელია, რომ პოეტი შეგნებულად ვანრიდებოდა რითმებს: სიბნელე—გამიძნელე, მღერის — ამონაღერის, ბრწყინვით — ყინვით, ლანდია — შოტლანდია; უყურადღებოდ მიეტოვებინა ისინი სტრიქონებში, არ ეგრანო მათი შემოქმედებითი ძალა და არ ეზრუნა, ამ ესთეტიკური ტკობის თანამოზიარედ მკითხველიც ჰყოლოდა.

გამომდინარე აქედან, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, რომ გალაკტიონის რითმის ლექსიკონში ამ წესით აღდგენილი რითმებიც შევიტანოთ.

რითმათა დაკლება ზოგჯერ იმის შედეგია, რომ ავტორისეულ ტექსტში სტრიქონებია არეული. ლექსს „აკაკის გარდაცვალების გამო“ პირველი პუბლიკაციისთანავე (ყურნ. „განთიადი“, 1915, №3) ამ მხრივ დეფექტი დაჰყვა, რაც თორმეტტომეულშიც ვაღმოჩანთ იქნა (I,260): სამ შემთხვევაში სტროფების წყვილადი რითმა ჩავარდნილია, ერთი სტრიქონის ნაცვლად მეორეა ჩასმული. რითმის აღდგენა ავტოგრაფის მეშვეობით ხერხდება.

„უცნაური სასახლე“ „არტისტულ ყვავილებში“ თორმეტტომეულისაგან (II,73) განსხვავებით, შეიცავს რითმებს: ამიდის — ამიდის — ამიდის, ზარებით — ზარებით — ზარებით, მიქარვა — მიქარვა — მიქარვა, ანაზდა — განაზდა, შირაზი — სისშირეზე, ტარება — მომეკარება, დარეკა — ჰარიქა.

თორმეტტომეულში მითითებული არ არის ლექსის ამ ვარიანტის არსებობის შესახებ. გალაკტიონის რითმათა ლექსიკონი 7 ახალი რითმით მდიდრდება. ლექსში „ღამევ, რა მოგივიდა“ რითმის მხოლოდ ერთი ცალია დაკარგული, მაგრამ დარღვეულია ავტორისეული სისტემა გართიმვისა.

ოთხსავე ნაბეჭდ წყაროში: 1927 წლის კრებულიდან 1959 წლის კრებულის ჩათვლით (ავტოგრაფი შემონახული არ არის) ლექსი ამ სახით იბეჭდებოდა:

ო. ყოველდღე მზებში
ქიმერებში ვარდება,
ქარავანი ღღებების
მძიმედ მიემართება.
ის ოცნებაც ქაოსის
ნაპირამდე მივიდა,
ღამევ, რა მოგივიდა?
ქარო, რა გემართება?

თორმეტომეულში (II, 260) ამ ლექსის ვარიანტების პრინციპი უმართებულად იქნა მიჩნეული. „ვარიანტებსა და შენიშვნებში“ ვკითხულობთ: „პირველი პუბლიკაციის დროსვე უსათუოდ აირია 8 — 9 სტრიქონები, რასაც უცვლელად იმეორებს ყველა შემდგომი გამოცემა. სტრიქონები, რითმის შესაბამისად, უსათუოდ მოითხოვს გადაადგილებას, რაც ჩვენ გავაკეთეთ.

იყო: ღამევ, რა მოგივიდა?
ქარო, რა გემართება?

დაეტოვეთ: ქარო, რა გემართება?
ღამევ, რა მოგივიდა?“ (II, 461).

ლექსის ავტორისეულ ვარიანტში გამოყენებულია აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი ვარიანტის სისტემა, რომლის მიხედვით ლექსის მეორე სტროფის ბოლო სტრიქონი რითმით პირველ სტროფს უკავშირდება. ვარიანტის ეს ხერხი სპარსულში ნიშანდობლივია, როგორც მუსამამათური ლექსწყობისათვის (ხუთსტრიქონიან სტროფებს რომ შეიცავს), ისე ოთხსტრიქონიანი სტროფებით დაწერილი ლექსებისთვისაც, რასაც არაბულ-სპარსული ტერმინოლოგიით მორაბბაყ ეწოდება³.

გალაკტიონის ეს ლექსი ვარიანტის წესის მიხედვით სწორედ მორაბბაყს ტიპისაა (ababcddb); I სტროფის რითმა (ვარდება-მიემართება) II სტროფის ბოლოშია გადასული (გემართება). ვარიანტის იმავე პრინციპზეა აგებული გალაკტიონის მეორე ლექსი „გულო, რა გემართება“ (II, 295). აქაც პირველი სტროფის რითმა მეორე სტროფის ბოლოშია გადასული: abcdbdeeb (მოტივიდან — მოგივიდა). თუ თორმეტომეულის ვარიანტს დავემყარებით, ირდევვა ვარიანტის ცნობილი სისტემა, რომელიც პოეტს ამ ლექსში აქვს გამოყენებული და სამჯერადი რითმის ბოლო ცალი (გემართება) რითმის საერთო ფერხულიდან ითიშება.

გალაკტიონის რითმათა ლექსიკონის შემდგენელთა ჯგუფმა (ე. კვიციანი, თ. დოიაშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ა. ხინთიბიძე) პოეტის თხზულებათა გამოცემებში რითმის სხვა დარღვევებსაც მიაგნო (რითმის ცალგზად გასული რთული სიტყვების, კომპოზიტების ორთოგრაფია და სხვა).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება აუცილებელია გალაკტიონის რითმის სიზუსტის დადგენისათვის, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პოეტის თხზულებათა შემდგომი გამოცემისას.

³ დ. კ. ბ. ი. ძ. ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბილისი, 1969, გვ. 354.

НОВЫЕ РАБОТЫ ЛЕНИНГРАДСКИХ КОЛЛЕГ

За последнее время сотрудники Сектора древней русской литературы ИРЛИ АН СССР (Пушкинский дом) и члены Кафедры истории древнегрузинской литературы Тбилисского университета установили тесные деловые и дружеские контакты. Ярким свидетельством этого явились дни литератур, проведенные в Ленинграде и Тбилиси, итоги которых подведены в издающемся совместно сборнике статей.

Непрерывность контактов выражается также в постоянной переписке и обмене новыми изданиями. В данной небольшой заметке нам хочется поделиться радостью за наших ленинградских коллег и их научные успехи и достижения, ярко проявившиеся в ряде новых книг, которые мы в общих чертах попытаемся представить читателю.

Свыше тридцати лет занимается шедевром древней русской литературы «Словом о полку Игореве» акад. Д. С. Лихачев. И все-таки его новая монография «Слово о полку Игореве и культура его времени» (Л., 1978, 360 с.) — это еще один большой вклад в дело изучения знаменитого памятника. Как отмечает автор, «основная цель этой книги — показать глубокие корни всей художественной и идейной системы «Слова о полку Игореве». Особую роль играют в данном случае внелитературные связи и связи с устной речью, с феодальной символикой, с историческими представлениями, с представлениями о своем времени, с верованиями, наконец, просто с исторической действительностью и историческим прошлым Руси».

Все эти вопросы с присущей Д. С. Лихачеву глубиной и размахом рассмотрены в первой части книги («Слово» и особенности русской средневековой литературы; «Слово» и эстетические представления его времени; Исторические и политические представления его времени; Устные истоки художественной системы «Слова» и др.).

Вторая часть — полемика. В ней представлена острая критика тех авторов, кто, по мнению Д. С. Лихачева, неправильно истолковывает историю и содержание «Слова» (А. Данти, Дж. Феннелл, О. Сулейменов, С. Н. Азбелев). По образному выражению исследователя, «Слово» можно не только срубить на корню, но и подточить его отдельными исправлениями многочисленных «старателей», пытающихся добыть в нем «золотую руду» эффектных гипотез. Поэтому эта часть является органичной и необходимой не только для данной книги, но и для всей литературоведческой науки наших дней. Ведь очень часто эту область считают легкодоступной, в результате чего появляется множество легковесных, дилетантских работ. Вторая часть книги Д. С. Лихачева — урок и предостережение для всех, кто считает возможным несерьезно отнестись к литературоведению, пытаясь заменить его потоком серого штампа, либо воинствующим невежеством.

Уже отмечалась в печати такая достоинство книги, как культура полемики, отношение к научной традиции, забота о сохранении нравственности науки (Ю. Малин, ЛГ, 20, 6, 79). Тенденциозность почти всегда признак некомпетентности и безнравственности, притом не только научной. «Наука и нравственность неразрывны. Нравственность в науке — это прежде всего научная честность, научная осторожность, отсутствие предвзятости, одностороннего стремления навязать изучаемому памятнику заранее постулируемые качества» (с. 327).

Книга Д. С. Лихачева снабжена весьма необходимой библиографией работ ученого по «Слову о полку Игореве» (составитель М. А. Салмина).

Плодотворно исследуют разные аспекты древнерусской литературы многочисленные ученики Д. С. Лихачева, с благодарностью отмечающие добрую помощь и тепловое руководство Учителя.

Монография Г. М. Прохорова посвящена одному из малозученных памятников XIV в. «Повести о Митяе» (Повесть о Митяе, Л., 1978, 238 с., редактор Д. С. Лихачев). Небольшой летписный рассказ дал возможность исследователю нарисовать яркую картину общественной и политической жизни эпохи Куликовской

битвы. Книга Г. М. Прохорова написана живо, необычайно просто и увлекательно. Это научное исследование, действительно, представлено как жанр интеллектуальной прозы: «Автор этой книги предлагает читателю вместе неторопливо, вдумчиво прочесть Повесть, сопоставляя по ходу чтения ее сведения с сообщениями других имеющих отношение к делу произведений и документов, и приглядывая к ней как к литературному произведению с целью определить ее место в современном ей литературном процессе, а лежащих в ее основе событий — в процессе историческом» (с. 4).

И в самом деле, читатель с удовольствием следует за автором, как бы вместе с ним наблюдая развитие бурных событий при столкновении светских и духовных сил. Исторический подход автора вполне оправдан и целесообразен, однако проблемы истории не являются для него самоцелью и поэтому, естественно, не рассматриваются во всей полноте. Здесь история служит литературоведению, и в этом плане книга Г. М. Прохорова является образцовой (во второй части рассмотрены вопросы истории текста, время создания, жанровые и художественные особенности повести и др. В приложении публикуются тексты).

«Повесть о Петре и Февронии» (подготовка текстов и исследование Р. П. Дмитриевой, Л., 1979, 338 с., редактор А. М. Панченко) как бы продолжает исследование Г. М. Прохорова. Р. П. Дмитриева всесторонне изучила интереснейший памятник русской и мировой литературы XV—XVI веков — историю любви крестьянской девушки из Рязанской земли и муромского князя. В исследовании рассматриваются вопросы структуры «Повести», отношение автора к рассказам о крестьянке Февронии из деревни Ласково, к повести о рязанском епископе Василии, проблема авторства и времени создания памятника, дан археографический обзор списков. Затем представлены тексты «Повести» по всем доступным, ранее известным и вновь обнаруженным редакциям. В приложении публикуются тексты «Повести о рязанском епископе Василии» и «Моления к царю».

Для читателя особенно важны наблюдения Р. П. Дмитриевой о связи «Повести» с местными русскими фольклорными сюжетами. В то же время типологическая близость с западноевропейскими произведениями («Тристан и Изольда») может быть дополнена грузинским материалом (Сказание об Абесаломе и Этери, поэтическое на аналогичном конфликте — неравном социальном происхождении героев). Очень интересные выводы исследователя относительно жанровых особенностей повести: «Повесть выходит за рамки житийной тематики: в ней рассказывается о жизни Петра и Февронии в основном в аспекте их взаимоотношений. Таким образом, содержание памятника находится в противоречии с законами агнографического жанра, которые предписывали изображение идеализированных стереотипных героев без какой-либо их психической характеристики» (с. 7.).

Следует отметить, что аналогичные тенденции прослеживаются и в некоторых древнегрузинских агнографических памятниках (К. С. Кекелидзе).

Монография «Николай Спафарий», Эстетические трактаты (подготовка текстов и вступительная статья О. А. Белобровой Л., 1978, 160 с., редактор А. М. Панченко) также продолжает традицию научного изучения и публикации древнерусских текстов. На этот раз О. А. Белоброва поставила целью исследовать трактаты Николая Спафария Милеску (1636—1708), переводчика Посольского приказа и автора многих исторических и географических сочинений. Во вступительной статье обстоятельно рассмотрена биография Спафария, его посольская и переводческая деятельность. Затем представлены тексты четырех просветительских трактатов (Книга избранная вкратце о девятих мусах и седмих свободных художествах; Книга о сивиллах; Арифмология; Книга иероглифийская...).

Трактаты эти наряду с изложением элементарных основ той или иной науки, содержат рекомендации этического характера, рассчитанные на формирование идеального правителя (напр. третья часть «Арифмологии»), а также позицию критика литературных произведений, вопросы теории перевода и т. д. Обращает на себя внимание типологическая близость с восточными и грузинскими дидактическими произведениями (Саади, С.-С. Орбелиани).

О. А. Белоброва исследует источники трактатов, дает их критический разбор и высоко оценивает эти образцы русской прозы XVII века. Здесь же отметим, что тема одного из трактатов была весьма популярна и в древнегрузинской литературе. Мы имеем ввиду сведения о Сивилле и Сивиллиных книгах, которые встречаются как в оригинальных, так и переводных (в частности, и с русского языка) памятниках (К. С. Кекелидзе).

В заключение следует упомянуть монументальное издание серии «Памятники литературы древней Руси», первый том которой опубликован под названием «Начало русской литературы (XI—начало XII века)», М., 1978, 463 с. (составление и общая редакция Л. А. Дмитриева и Д. С. Лихачева, вступительная статья Д. С. Лихачева). Особое значение данного издания состоит в параллельной публикации древнерусских текстов и их переводов на современный русский язык. В книгу вошли «Повесть временных лет» (подготовка текста О. В. Творогова, перевод Д. С. Лихачева); «Сказание о Борисе и Глебе» (подготовка текста и перевод Л. А. Дмитриева); «Житие Феодосия Печерского» (подготовка текста и перевод О. В. Творогова) и «Поучение Владимира Мономаха» (подготовка текста О. В. Творогова, перевод Д. С. Лихачева).

Издание текстов снабжено обширными комментариями Д. С. Лихачева, Л. А. Дмитриева и О. В. Творогова и прекрасно подобранными иллюстрациями (подбор О. А. Белобровой).

Наша заметка была уже в издательстве, когда из Ленинграда пришел еще один драгоценный подарок — новое, третье дополненное издание известного труда акад. Д. С. Лихачева «Поэтика древнерусской литературы» (Москва, 1979, 357 с.). Это большое событие для каждого медиевиста-литературоведа, ибо два первых издания (1967 и 1971 гг.) давно уже стали библиографической редкостью.

Мы не будем распространяться об огромном научном значении книги (в 1969 г. ей была присуждена Государственная премия СССР), отметим лишь ее важность и необходимость при изучении также ряда проблем древнегрузинской литературы.

А. Г. БАРАМИДЗЕ, А. А. ГВАХАРИЯ, Л. В. МЕНАБДЕ

ВКЛАД В ГРУЗИНСКУЮ ФОЛЬКЛОРИСТИКУ

Этери Николаевна Арджеванидзе, Вопросы изучения грузинского фольклора в дореволюционной русской периодике Грузии, изд. «Мецниереба», Тбилиси, 1978 (на грузинском языке)

Книга доктора филологических наук, заведующей кафедрой новой грузинской литературы Тбилисского государственного педагогического института им. А. С. Пушкина проф. Э. Н. Арджеванидзе действительно является большим вкладом в историю изучения грузинской фольклористики. Этот капитальный труд является итогом многолетних исследований автором разнообразных архивных, газетных источников, а также результатом ее участия в фольклористических экспедициях по районам Грузии.

Этой книгой вновь подтверждается тот высокий научный уровень, которого достигла грузинская фольклористика наряду с другими литературоведческими науками.

Как известно, в дореволюционной периодике, выходящей в Грузии почти в течение целого столетия (1828—1917), публиковались образцы грузинского устного народного творчества как на языке оригинала, так и в переводах на русский язык; кроме того, помещались интересные исследования по проблемам грузинской фольклористики. Эти материалы, как справедливо отмечает автор исследования, имеют важное значение для изучения не только грузино-русских фольклористических связей, но и ряда вопросов истории грузинской фольклористики, поскольку некоторые материалы грузинского народного творчества, опубликованные на страницах русской периодики, являются первыми печатными публикациями этих образцов.

В предлагаемой работе дается характеристика тех периодических изданий, которые заслуживают особого внимания в изучении грузино-русских фольклористических связей. Среди них: Акты, собранные Кавказской археографической комиссией (1866—1904); «Закавказский вестник» (1836—1864); Записки Закавказского отдела императорского Русского географического общества (1852—1919); «Кавказ» (1846—1918); «Новое обозрение» (1884—1905); «Обзор» (1878—1883); Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (1881—1927) и другие, всего около 50 периодических изданий. Выявлены интересные факты делового, благожелательного сотрудничества прогрессивных русских и грузинских деятелей прошлого века на научном поприще; освещена проблема взаимосвязей грузинской общественной жизни с русской культурой.

В труде на основе анализа многочисленных фактов показано, что передовая, прогрессивная часть русской интеллигенции как на Кавказе, так и в России с большим интересом относилась к жизни и истории грузинского народа. Вместе с грузинскими деятелями она весьма остро выступала против искажения фактов истории и быта грузинского народа и требовала от сотрудников периодической печати более серьезного подхода к делу.

Великий революционер-демократ Н. Г. Чернышевский писал: «Из трех статей, напечатанных в III книге «Записок кавказского отдела географического общества», именно: «О талишниках» — г. Росса, о «Тушино-пшаво-хевсурском округе» — кн. Эривова (поэт Р. Эривани) и «Поездка в Вольную Сванетию» — г. Бартоломея, каждая имеет капитальное достоинство, представляя много новых и важных материалов для этнографии Кавказского края... Обращаем главное наше внимание на статью кн. Эривова, содержащую общенеприятное описание быта двух из числа племен, населяющих тушино-пшаво-хевсурский округ, именно о пшавцах и хевсурах» (Поли. собр. соч., т. III, М., 1947, с. 483).

На страницах дореволюционной русской периодики, выходящей в Грузии, в разное время сотрудничали акад. А. Веселовский, проф. Вс. Миллер, проф. П. Вискова-

тов, проф. Р. П. Пятанин, проф. А. Дирр, проф. Н. Державин и другие. Особенно следует выделить И. А. Сливичко, который на протяжении ряда лет редактировал газету «Кавказ» и был большим ценителем и любителем грузинских народных преданий, легенд и песен.

Исключительно плодотворной также является деятельность проф. А. С. Хаханашвили (Хаханов). Будучи профессором Московского института восточных языков, он играл весьма благотворную роль в деле сближения грузинской интеллигенции с передовыми научными кругами культурных центров России.

В русских периодических изданиях дореволюционной Грузии публиковались, а иногда и анализировались образцы русской народной словесности. Эти материалы, представленные сравнительно большим количеством текстов, подробно рассмотрены в предлагаемой работе.

Трудно в небольшой рецензии перечислить все вопросы, которые проанализированы и рассмотрены в указанной нами работе. Мы вполне разделяем выводы автора книги о том, что русская периодика, издававшаяся на Кавказе, и, в частности, в дореволюционной Грузии, выполняла благодарную и почетную задачу по фиксации и исследованию фольклорных материалов почти всех народов и народностей Кавказа. Эти материалы по своей научной ценности вполне заслуживают самого пристального внимания специалистов.

В труде Э. Арджеванидзе рассмотрены именно эти важные и ценные материалы, которые помогут всем ученым и читателям, интересующимся вопросами грузино-русских культурных взаимосвязей.

А. ЦАНАВА, П. ЗАНДУКЕЛИ.

ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში *

1978 წ. 3 თებერვალი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 872 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანი, ნ. ავალიშვილი, ლ. გუგუშვილი, ლ. თუმბალიშვილი, ნ. კოტეტიშვილი, ნ. ციციშვილი); 873; 874; 875; 876 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზია, გ. არაბულა, ე. გვრიტიშვილი, ლ. კიკნაძე, ბ. მასხარაშვილი, ე. ტურაბელიძე).

872 ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,
მინდორს სტირ და მკეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთუის ჰქულები, ვერ მიხუდები, თუ სოფელსა მოიძულებ,
და თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყულულებ?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 866) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ბრძენი ხარ და აწონ-დაწონა (საქმისა) არ იცი ბრძენთა ნათქვამის შესაბამისად, მინდორში ტირი და მხეცებთან ხარ, (ასე) რა წადილს აისრულებ? ვისთვისაც კვდები, ვერ შეეყრები, თუ წუთისოფელს მოიძულებ, მრთელ (სად) თავს რატომ იკრავ (აუტყვიარ თავს რად იტყივებ), წყლულს ისევ რად იწყულულებ?

873 ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ საგმილნი სდებია?
ვის არ უნახვან პატენი, ვისთუის ვინ არა ბნდებია?
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგვდებია?
და არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუყრებია!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 867) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ მოსდებია (სიყვარულის) ცეცხლი? ვინ არ ტანჯულა (ტანჯვა ვის არ განუცდია), კინ არის, ვისთვისმე რომ არ დაბნდილიყოს? მითხარი, არაწვეულბერივი (უმავალითა) რა მოხდა, სული რატომ გხდება (რატომ კვდები)? არ იცი, უეკლოდ ვარდი არავის მოუყრებია!

874 ვარდასა ჰკითხეს: «ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკუირს, რად ხარ ეკლიანი? პოენი შენი რად არს ჰირად?»
მან თქვა: «ტეპილსა მწარე ჰპოეებს, სჯობს, იქმნების რაცა ძჰირად;
და ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 868) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით მეორე ტაბების შიგნით კითხვითი ნიშანი შეიცვალა მითით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვარდს ჰკითხეს: «რამ შეგქმნა ტანად და სახით (შესახედვად) ასეთი მშვენიერი? მიკუირს, ეკლიანი რატომ ხარ, შენი მოპოვება რატომ არის ძნელი?» მან თქვა: «ტეპილს მწარე მოიპოვებს (ღიხინი ჰირის დამღვეით მოიპოვება), უმჯობესია, რაც იშვეთია; რაცა მშვენიერი (რამ) გახშირდება, ჩირადაც აღარ ღირს».

875 რათვან ვარდი ამას იტყუის უსულო და უსაყო,
მამა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჰირთა უმუშაყო?
უბოროტო ვის ასმია რაცა საქმე საეშმაყო,
და რად ემღურვი საწუთროსა? რა უქნია უარაყო?!

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. «მ ა ც ე ნ ი, ენიხა და ლიტერატურის სერია», 1974.

№№ 3, 4; 1975, №№ 1, 3, 4; 1976, №№ 1, 3, 4; 1977, №№ 3, 4; 1978, №№ 1, 2, 3, 4; 1979, №№ 1, 2, 3.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 869) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: საქმე (კარგი).

რედაქციამ აღადგინა წაკითხვა: რაცა კ ა რ გ ი საეშაყო.

სტროფის შინაარსი: რადგან ამას ამბობს უსულყო და დღემოკლე ვარდი, მაშ ლხინს ვინ მოიმეოს წინასწარ ჭირთა გადაუხდელი? უბოროტო ვის გაუგონია, რაც საეშაყო რიგისაა, რატომ ემდური წუთისოფელს? რა უქნია უმაგალითო (გაუგონარო)?!

876 ისმინე ჩემი თხრობილი, შეგე, წავიდეთ ნებასა,
ნუ მიჰყოლიხარ თავისსა თათბირსა, გაგონებასა,
რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წაილითა ნებასა,
და ასრე არ სჯობდეს, არ გეტუქი, რად მეჭუ არსაცა თნებასა!*

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 870) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაეპის ბოლოს მძიმე შეიცვალა წერტილ-მძიმით.

სტროფის შინაარსი: მოესმინე ჩემი ნათქვამი, შეგევე (ცხენზე), წავიდეთ ნება-ნება, ნუ აჰყვები (მხოლოდ) საკუთარ გადაწყვეტილებასა და აზრს, რაც არ გასურს, ის გააყეთ, ნუ აჰყოლიხარ (საკუთარ) ნება-სურვილს; ასე რომ არ ჯობდეს, არ გეტყოდი, რატომ გგონია, რომ სიცრუეს გეუბნები (გეპირფერები)?!

1978 წ. 10 თებერვალი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 877; 878; 879; 880; 881 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვირიტიშვილმა, ლ. კინაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ).

877 მან უთხრა: „ძმომ, რა გითხრა, ძრვაცა არ ძალმიც ენისა,
ძალი არა მაქუტხ ხელქმნილსა შენთა სიტყუათა სმენისა;
რად ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა?
და აწ მიესწურვივარ სიყუდილსა, დრო მომეახლა ლხენისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 871) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გიჩნს (გიჩს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მან (ტარიელმა) უთხრა: „ძმომ, რა გითხრა, ენის დაძვრაც არ შემძლია, გაშმაგებულს შენი სიტყუების მოსმენის ძალა არა მაქვს; რატომ მივაჩნია ადვილად (ჩემგან) ჩემი ტანჯვის მოთმენა? ახლა სიყვდილს მივახლოებივარ, სიხარულის დრო დამიძვავა (მომიახლოვდა).

878 ამას მოკუტდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:
აქა გაყრილი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კელა ვნახეთ, კელა რამე გავიხარენით,
და მო, მოყუარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 872) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. მესამე ტაეპის ბოლოს მძიმე შეიცვალა წერტილ-მძიმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამას მომაკვდავი ვლოცულობ, სიტყუით არასოდეს ვითხოვ: აქ გაყრილი მიჯნურები იქ (იმ ქვეყნად) შევიყაროთ, იქ კელა ვნახოთ ერთმანეთი, კელა გავიხაროთ; მოდი, დამმარხეთ მეგობრებმა, მიწა მომაყარეთ!

879 საყუარელმან საყუარელი ვით არ ნახოს, ვით გაწიროს!
მისკენ მივალ მხიარული, მერმე იგი ჩემკერძ იროს,
მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატროს.
და ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაჭიროს!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 873) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ჩემ-კერძ (ჩემ კერძ).

გ. კარტოზიას აზრით, მეორე ტაეპში უმჯობესია წაკითხვა: მერმე მ ა ნ ც ა ჩემკერძ იროს.

ი. გიგინეიშვილის აზრით, მეოთხე ტაეპის მეორე ნახევარი ასე უნდა შეიცვალოს: რა გინდ რა გინ გივაზიროს.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

სტროფის შინაარსი: მიჯნური სატრფოს როგორ არ ნახავს, როგორ მიიტოვებს! მისკენ მივდივარ მზიარული, მერმე ისიც ჩემკენ წამოვა. მივეგებები, მომეგებება, ატირდება, ამატირებს. ასს დაეკითხე, (მანიც) გულის ნაყარნახევი გააკეთე, რაც უნდა გარჩიოს ვინმემ (ვინც რა უნდა გირჩიოს)!

880 მართ გარდაწყუტედით იცოდი, გეტყუი მართალსა პირასა:
სიკუდილი მახლავს, დამეგსენ, ხანსაღა დავპუომ მცირასა;
არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნეე? რა დავრჩე, ველსა მქედი რასა?
და დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 874) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ნამდვილად (გადაწყვეტილად) იცოდე, მართალ სიტყვას გუეუნები: სიკვდილი მომდგომია, დამესხენი, მცირე ხნის სიცოცხლე დამრჩენია (მცირე ხანსა ვიცოცხლებ); თუ ცოცხალი არ ვიქნები, რად გინდივარ? თუ (ცოცხალი) დავრჩი, რაში გამოგადგები? დაშლიან ჩემი კავშირები (შემადგენელი ელემენტები), შევერთვივარ სულთა რივას (წყებას).

881 რა სთქუი, რას იტყუი, არ მესმის, არც მცალს სმენად ამისად,
სიკუდილი მახლავს ხელქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად;
აჲ გამიარდა სიცოცხლე მეტად ყოვლისა ჟამისად,
და მუნ მეცა მივალ, ცრემლისა მიწად საღ გამდის ლამი, საღ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 875) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით მეოთხე ტაეპში მიწა და გამოიყო მძიმეებით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რა თქვი, რას ამბობ, არ მესმის, არც მცალია ამის მოსასმენად, სიკვდილი მომდგომია ხელქმნილს, ერთი წამის სიცოცხლე დამრჩენია; ახლა ყველა სხვა დროზე მეტად (ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე) გამიმწარდა სიცოცხლე, მეც იქ მივივარ, მიწაში, სადაც ცრემლის ღვარი მდის.

1978 წ. 17 თებერვალი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 882; 883; 884 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 885 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

882 ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქს ბრძნობასა!
ეგ საუბარი მაშინ გამს, თუცაღა ვიყო ცნობასა;
ვარდი ვერ არის უშხეოდ; იყოს, დაიწყებს ჰნობასა;
და მაწყენ, დამეგსენ, არა მცალს, არცაღა ვახლავ თმობასა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 876) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იქს (იქმს).

ი. გიგინეიშვილი: ხელნაწერთა ნაწილი მეორე ტაეპში ასეთ წაკითხვას იცავს: თუ მ ც ა ლ ა ვ ი ყ ა ვ ც ნობასა. მცა ნაწილაკით კავშირებითი კილოს ვადმოცემა უფრო ძველი მოვლენაა და პოემის ტექსტშიც ეს ფორმა უნდა აღდგეს. თუ მ ც ა ლ ა ვ ი ყ ა ვ > თუ ც ა ლ ა ვ ი ყ ა ვ გასაგები პროცესია, პირიქით კი ვერ ვივარაუდებთ.

ა. ბარამიძესა და ე. მეტრეველს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ თუ მ ც ა ლ ა ვ ი ყ ა ვ პირველადი წაკითხვაა.

რედაქციის სხვა წევრთა აზრით, თუ მ ც ა ლ ა ვ ი ყ ა ვ და თუ ც ა ლ ა ვ ი ყ ა ტოლფასოვანი წაკითხვებია, მაგრამ რადგან ზმნის კავშირებითი ფორმა უფრო მეტ რედაქციულ-12. მააცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 4

ლად განსხვავებულ) ხელნაწერშია, მას უნდა მიეცეს უბრაატესობა. არ არის გამორიცხული, რომ მცა-ნაწილაკიანი წარმოება გვიანდელი სწორების შედეგი იყოს.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: თუ ცალა ვიყო (წინააღმდეგნი: ა. ბარამიძე, ი. გვიგინევილი, ე. მეტრეველი).

სტროფის შინაარსი: ბრძენი, რა ბრძენი, რომელი ბრძენი! გახლებული როგორ გასწევს ბრძნობას, ეს საუბარი მაშინ იქნებოდა შესაფერისი, გონებაზე რომ ვყოფილიყავი; ვარდი უმზეოდ ვერ ძლებს, უმზეოდ თუ იქნა, ჭკნობას დაიწყებს; თავს ნუ შემაწყენ, დამეხსენი, დრო არ მაქვს, მოთმენაც არ ძალმძის.

883 კჳლა ეუბნების ავთანდილ სიტყუითა მრავალფერითა,
ეტყუის: „რა მოკეტდე, ვერგების სიტყუითა რა ოკერიოთა?
ნუ იქ, არა სჯობს, საქმითა ნუ ხარ თავისა მტერთა!“
და ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყუითა, ვერა, ვერთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 877) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ნუ იქმ, არა სჯობს, საქმითა ნუ ხარ (ნუ იქმ, არა სჯობს საქმითა, ნუ ხარ).

ი. გვიგინევილი: არ არის გამორიცხული, რომ მეოთხე ტაეპში ვერა ვერთთა კომპოზიტი იყოს, და უნდა განვიხილოთ სიტყუითა-ს მსაზღვრელად: ვერა ქმნა სიტყუითა ვერავერითა.

ე. მეტრეველი და შ. ძიძიგური იზიარებენ ამ მოსაზრებას.

რელაქციის დანარჩენი წევრები მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას. მიაჩნიათ, რომ აქ გვაქვს რუსთველის ენისათვის დამახასიათებელი განმეორება უარყოფითი ნაცვალსახელისა.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: ვერა ქმნა სიტყუითა, ვერა, ვერთა (წინააღმდეგნი: ი. გვიგინევილი, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური).

სტროფის შინაარსი: კვლავ ეუბნება ავთანდილი მრავალგვარ სიტყვას, ეუბნება: „რომ მოკვდე, რას ვარგებს ფუჭი სიტყვა? (ამას) ნუ შერები, არ ვარგა, ნუ ჩაღიხარ თავის სამტრო საქმეს!“ ვერ წაიყვანა, სიტყუით ვერაფერი გააწყო (ვერაფერი ქნა ვერავითარი სიტყუით).

884 მერმე უთხრა: „აჰა, რათან არ მომისმენ არსს, არა,
აღარ გაწყენს ენა ჩემი, აქამდისცა ცუდად მცთარა;
თუ სიკუდილი გიჯობს, მოკუტე, ვარდი დაქნეს, და-ცა-მშნარა!
და ერთსა რასმე გევაჭები, მიყავ!“ — ცრემლი ამდღურა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 878) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინევილი: მეორე ტაეპში უმჯობესია წაკითხვა: აღარ გაწყენ, ენა ჩემი აქამდის-ცა ცუდად მცთარა.

ა. ბარამიძე: მშვენიერი წაკითხვაა, მაგრამ არაფრით სჯობია პროექტის ტექსტს. თანაც გაწყენ ხელნაწერთან მხოლოდ C4-ში გვაქვს. სხვანაგვ ყველგან გაწყენს იკითხება.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ტექსტი (წინააღმდეგნი — ი. გვიგინევილი, ე. მეტრეველი).

სტროფის შინაარსი: მერმე უთხრა: „აჰა, რადგან არაფერს არ მისმენ, აღარ შეგაწყენს თავს ჩემი ენა, აქამდისაც ამაოდ გარჯილა: თუ სიკუდილი გირჩენია, მოკვდი, (შენი) ვარდი დაქენს, კიდევ დამქნარა! (მხოლოდ) ერთ რამეს გთხოვ (გემუღარები), შემისრულე!“ — (უთხრა და) მდღურად ცრემლები დაღვარა.

885 „სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სარითა,
მას მოვეშორვე, წამოვე სიჩქარით, არ სიწყნარითა;
ვერ დამიქრა მეფემან მშობლურად საუბარითა,
და შენ არ შემეყრი, გამეყრი, აწ ჩემი ლხინი ვთქუა რითა?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 879) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რელაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ საესებით გასაგები არ არის პირველი ტაეპის სადა კავშირის კორელატ სიტყვად მეორე ტაეპში მას ნაცვალსახელის ხმარება.

ა. ბარამიძისა და ი. გვიგინევილის აზრით, მას გულისხმობს თინათინს, შ. ძიძიგურის აზრით, მას=თინათინის სახეს. I—II ტაეპის აზრია: სადაც ინდონი (წამწამები) სარს ავლებენ თინათინის ბროლ-ვარდს (სახეს), იმ ადგილს მოვეშორდი.

სტროფის შინაარსი: სადაც ინდოელები (=წამწამები) ბროლ-ვარდს (=პირისახეს) გარს ავლებენ (ღობავენ) გიშრის (=შავ) სარებს (იგულისხმება თინათინის სახე), მას მოვეშორდი,

წამოვედი აჩქარებით (სწრაფად), არა წყნარად; ვერ შემაჩერა მეფემ (როსტეანმა) მამაშვილური საუბრით, შენ არ მიკარებ, მიშორებ, აწ როგორ გავიხარო?

1978 წ. 24 თებერვალი

სტომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 886; 887; 888; 889 (პროექტი მოაზნადეს ც. კვიციანი, ნ. ავალიშვილი, ლ. გუგუშვილი, ლ. თუშმალიშვილი, ნ. კოტეტიშვილი, ნ. ცქიტიშვილი).

886 ნუ გამგზავნი გულმოკლულსა, ერთი მიყავ საწაღელი, ერთხელ შეგე, ცხენოსანი განხო ჩემი სულთა მკვდელი, ნუთუ მაშინ მოვიქარვო სევდა ესე აწინდელი; და მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი!"

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 880) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ს უ ლ თ ა მ კ დ ე ლ ი დაიწერა შერწყმულად.

სტროფის შინაარსი: ნუ გამაბრუნებ გულმოკლულს, ერთი სურვილი შემისრულე, ერთხელ შეგვე (ცხენზე), ცხენოსანი დაგინახო ჩემი სულის ამოხმდელი, ეგებ მაშინ გავიქარვო ახლანდელი ჩემი სევდა; მე წავალ და შენ დაგტოვებ, ასრულდეს შენი დანაპირები.

887 ეხუწებოდა: „შეგეო“, აჯას ხუტუნითა არებდა, იცოდა, რომე შეგდომა კეშანს მოაქარებდა, ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარებდა. და დამორჩილა, ეამა, არ ივაგახა, არ ეებდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 881) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძისა და ც. კვიციანის აზრით, მესამე ტაეპი აზრობრივად აგრძელებს მეორეს: ავთანდილმა იცოდა, რომ ცხენზე შეგდომა კეშანს გაუქარებდა ტარიელს და ტარიელი ლერწმის სარს დასდრეკდა, გიშერს დააკარებდა, ე. ი. ტარიელი ამოძრავდებოდა, დაწყნარდებოდა, ტარიელს შეწყვეტდა (მას სიცოცხლის ენერგია დაუბრუნდებოდა).

შ. ძიძიგური: მესამე ტაეპი პირველის გაგრძელებაა: ავთანდილი ეხუტებოდა მიწაზე მკდომ ტარიელს, ცხენზე შეგვექით, თავის ტანს (ლერწმის სარს) ხრიდა, გიშერს (წააწამებს) აკარებდა.

რედაქციის წევრთა უმრავლესობამ გაიზიარა ეს უკანასკნელი მოსაზრება. მესამე ტაეპის ბოლოს წერტილის ნაცვალად დაისვა მძიმე, მეოთხე ტაეპში პირველი სიტყვის შემდეგ მძიმე შეიცვალა წერტილ-მძიმე.

სტროფის შინაარსი: ეხუტებოდა: „შეგვექით“, თხოვნას მუდარით ამრავლებდა (თხოვნას რვაგზის იმეორებდა), იცოდა, რომ (ცხენზე) შეგდომა კეშანს გაუქარებდა, ლერწმის სარს (=ტანს) ხრიდა, გიშერს (=წააწამებს) აკარებდა, დამორჩილა (ტარიელი); ეამა, არ ოხრავდა, არ ეებდა (ტარიელი).

888 ცხადად უთხრა: „შევკვდებიო, მომიყვანე ცხენი წინა“. მან მოკვტარა, წყნარად შესტა, არ სიჩქარით ააქშინა; მინდორთაქენ წაიყვანა, ტანი მჭევრი აძრვევინა, და ხანი წავლეს, სიარულმან მოჭობება დააჩინა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 882) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მინდორთაქენ (მინდორთაქე).

პირველ ტაეპში მო მიყვანე-ს ნაცვალად მიღებულ იქნა მო მიყვანე (წყაითხვისათვის იხ. ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის საკითხების შესახებ, I, თბ., 1975, გვ. 264).

მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვალად დაისვა წერტილ-მძიმე.

სტროფის შინაარსი: გარკვევით უთხრა: „შევკვდები, ცხენი წინ მომიყვანეო“. მან (ავთანდილმა) მოკვტარა (ცხენი), დონჯად შესვა, აჩქარებით ქშენა არ დააწყებინა (სუნთქვა არ გაუძნელა); მინდვრებისკენ წაიყვანა, ახოვანი ტანი ამოძრავებინა; ერთხანს იარეს, სიარულმა მოამჭობინა (ტარიელი).

889 შეაქცევს და ეუბნების საუბართა შტენიერთა, მისთქის სძრვიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწისფერთა,

მისი სმენა გააყმობდა მსმენელისა ყურთა ბერთა;
და მოიშორა კაეშანი, დათმობავე შეაერთა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 883) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ათობს და ტყილად ესაუბრება, მისთვის (ტარიელისთვის) სასაუბროდ ამოძრავებდა ძოწისფერ ბაგეებს, მისი (ავთანდილის) მოსმენა გააახალგაზრდადებდა მსმენელის მოხუც ყურებს (=მოხუცს სმენას დაუბრუნებდა); მოიშორა კაეშანი (ტარიელმა), მოთმინებით აღიჭურვა.

1978 წ. 3 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 890; 891; 892; 893; 894 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

890 რა შეატყო მოჯობება მან, სეედისა მუფარახმან,
განათლა პირი-ვარდი სიხარულმან დაუსახმან,
ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობთა ოხრვა-ახმან;
და ცნობიერი სიტყუა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 884) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გაანათლა (განანათლა).

მეორე ტაეპში პირი ვარდი დაიწერა ორ სიტყვად, ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასვა წერტილ-მძიმე; მესამე ტაეპის ბოლოს სასენი ნიშანი (წერტილ-მძიმე) მოიშალა.

სტროფის შინაარსი: მოჯობინება რომ შეატყო სეედის გამიქარვებლმა (ავთანდილმა), უმაგალითი სიხარულმა გაანათა (მისი) ვარდის მსგავსი პირისახე; გონიერთა მკურნალმა, უგონითა წუხილმა (შემაწუხებელმა), უგუნური რამის დამპრახავემა გონიერი სიტყვა უთხრა.

891. შე-რასმე-აყვეს საუბარსა, სიტყუა ჰადრა არმალული:
„ერთსა რასმე მოგაქენებ, გამიცხადე დაფარული:
ეგე სამკრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,
და რაგუარ გიყუარს, რაგუარ გიღირს? თქუი, დავილო მერმე სულ“.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 885) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: შეპყენენ საუბარს, (ავთანდილმა) დაუფარავად ჰქითხა: „ერთ რამეს გეტყვი, გამიძლავენ საიდუმლო: ეგ სამხრე მისეული (ნესტანისა), ვისგანაც შენ დაჭრილი ხარ, როგორ გიყვარს, რად გიღირს? თქვი (და) მერმე დაეჩუმდები“.

892 მან უთხრა: „სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა!
ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,
მჯობი ყოელისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ხისა;
და არასმენლისა მოსმენა არს უმჯავესი წმახისა“.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 886) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაეპის ბოლოს წერტილ-მძიმე შეიცვალა წერტილით.

სტროფის შინაარსი: მან უთხრა: „რა მაგალითი გითხრა იმ შეუდარებელი (უმაგალითი) ნივთის შესახებ! ეს არის ჩემი სიცოცხლე, ჩემი ოხვრის გამომწვევე, მთელი სამყაროს, წყლის, მიწისა და მცენარეულის მჯობი (ყველაფერ ამქვეყნიურზე უკეთესი). არმოსმენი (ცული) რამის მოსმენა წმახზე უმჯავესია“.

893 ავთანდილ უთხრა: „ელამოდი მართ მაგისისა თქმევასა;
აწ რათან გითქუამს, პასუხსა გჟადრებ და ნუ მეშუთ თხევასა:
სჯობს ასმათისა არლევა მავა სამგრისა ლევასა,
და ამად არ გიქებ საქმისა უარესისა რჩევასა.“

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 887) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. გ. კარტოზიას წინადადებით პირველ ტაეპში მაგისისა თქმევასა შეიცვალა წყაითხით — მაგისისავე თქმევასა (ოთვი შეიკავა ი. გიგინეიშვილმა).

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპში უნდა მივიღოთ აკ. შინიძის კონიექტურა: სჯობს ას-
მათისა არღევა მაგა სამკრის არღევასა. უამისოდ ტაეპის აზრი გაუგებარია.

გ. კარტოზია მხარს უჭერს ამ წინადადებას.

ს. ცაიშვილი: ტაეპის აზრი ამ შესწორების გარეშეც გასაგებია: სჯობს ასმათს არ შეე-
ლოო, სამხრეს კი შეელოო.

ც. კიციქიძე: წაკითხვა მაგა სამხრის არღევასა ლექსთწყობის თვალსაზრი-
სით მიუღებელია: არღევას რიტმს.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა (წინააღმდეგენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: ავთანდილმა უთხრა: ეცდილობდი მაგისსავე თქმევენებას; ახლა რად-
გან თქვი, პასუხს გეტყვი და ნუ იფიქრებ, რომ ვპირფერობ: სჯობს ასმათის არ შეღევა მაგ
სამხრის შეღევას (სჯობს ასმათს არ შეელოო, ვიდრე სამხრეს), ამიტომ არ გიქვებ უარესი საქ-
მის არჩევანს.

894 სამკრე ვაბია ოქროსა, ოქრომქედლისა დნობილი.

უასაკო და უსულო, არ სიტყუიერი, ცნობილი;

აღარად გინდა ასმათი, — ნახე მართალი ბრჭობილი! —

და პირველ, გლახ, მისი ნაჭტრეტი, თუთი მერმე შენი დობილი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 888) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ოქროს სამხრე ვაბია, ოქრომქედლის ნაღნობი, არაცოცხალი და
უსულო, არა მეტყუელი და გონიერი (ე. ი. უენო და უკონო); აღარაფრად გინდა
(მიგაჩნია) ასმათი, — ნახე მართალი განსჯილი! — თავდაპირველად მისი (ნესტანის) ნაჭე-
რეტი (ახლოებელი), მერე თვით შენი დობილი.

რედაქციის ზოგ წევრს (ა. ბარამიძეს, ც. კიციქიძეს) მიაჩნია, რომ მესამე ტაეპის მეორე
ნახევარი (ნახე მართალი ბრჭობილი) ირონიით ნათქვამი სიტყვებია (შდრ. მომდევნო სტროფ-
ში: „შაბაშ მართლისა ბრჭობისა!“), ზოგიერთ წევრს (ი. გიგინეიშვილს, გ. კარტოზიას) ნახე-
ვარტაეპი ასე ესმის: ნახე, გაიგონე მართალი განსჯილი!

1978 წ. 10 მარტი

სტომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციქიძე, ე. მეტ-
რეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 895; 896 (პროექტი მოამზადეს ც. კიციქიძემ, ნ. ავალიშვილმა,
ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 897; 898; 899
(პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. ვერტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარა-
შვილმა, ე. ტურაბელიძემ).

895 თქვენს შუა მქმნელი საქმისა, შენგან ნაწმობი დობისა,

თქვენი შემყრელი, მსახური, შენგან ღირსქმნილი ჯმობისა,

მისი გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიძილილი ცნობისა,

და გლახ, დავიგდია, აჲ ნახავ, შაბაშ მართლისა ბრჭობისა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 889) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: შემ-
ყრელი, მსახური (შემყრელი მსახური). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თქვენს შორის საქმის მომგვარებელი, შენ მიერ დაღწეული,
თქვენი შემყრელი, მსახური, შენ მიერ (დამზარედ) მოხმობის ღირსად მიჩნეული, მისი (ნეს-
ტანის) გამზრდელი, გაზრდილი, მისთვის გონებაწართმეული, დაგითრევი, არ ნახავ, შაბაშ
(აშ) სამართლიან მსჯავრს!

ა. ბარამიძის აზრით, მესამე ტაეპში ვ ა ზ რ დ ი ლ ი = ზ რ დ ი ლ ი.

896 მან უბრძანა: „რაცა გითქვამს, უმართლეს ხარ მეტისმეტად:

საბრალოა ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭტრეტად;

შე სიციოცხლე არ მეგონა, შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად.

და რათგან დავრჩი, გშალე, ვნახოთ, თუცავე ვარ ჭერთვა რეტად.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 890) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მან უთხრა: „რაც გითქვამს, მართალზე უმართლესი ხარ: შესაბრა-“

ლისია ასმათი, მასზე (ნესტანზე) ფიქრით შეპყრობილი და ჩემი შემყურე; მე სიცოცხლეს არ ვფიქრობდი, შენ მომისწარი (ტანჯვის) ცეცხლის ჩასაქრობად, რადგან (ცოცხალი) დაგრი, მიდი, ვნახოთ, თუმცა ჭერაც ისევ ვაოგნებული ვარ.

897 დამორჩილდა. გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი.

ვერ მივია ქება მათი, ვერა ქება საქებარი:

კბილნი — ვითა მარგალიტნი, ბაგე — ვარდი ნაპობარი.

და გუელსა გურელით ამოიყვანს ენა ტყბილად მოუბარი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 891) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დამორჩილა (ტარიელი ავთანდილს). გაემართნენ ავთანდილი და ამირბარი (ტარიელი). ვერ გამომოქვამს (მომიხერხებია) მათი ქება, ვერავითარი საქებარი სიტყვა (ქება): კბილები — როგორც მარგალიტები, ბაგეები — ვაპობილი ვარდი. გველს ხერელიდან ამოიყვანს ტყბილად მოლაპარაკე ენა.

898 ამას ეტყუის: „შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა, მაგრა შენცა ნუ ავრე ხარ, ნუ იწყულუღებ ახლად წულულსა; არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა: და არ იწმარებ, რას გელსა ჰკლი საუნჯესა დაფარულსა?“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 892) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იქ (იქმ), ჰკლი (ხდი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამას ეუბნება (ავთანდილი): „შენთვის გაეწირავ გონებას, სულსა და გულს, მაგრამ შენც ნუ ხარ ასე, ხელახლა ნუ იმხუნებ კურილობას; არაფერში გამოვადგება სწავლა, თუ არ აასრულებ ბრძენთა ნათქვამს: თუ არ მოიხმარ (გამოიყენებ), რად გინდა დამალული საუნჯე (სიმდიდრე)?“

899 არას გარგებს შეპირება, რომ სკმუნვიდე, რა გერგების! არ თუ იცი, უგანგებოდ არათ ცაიცი არ მოქულების?

მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაქნების.

და ბედი ცდაა, გამარჯდება, ღმერთსა უნდეს, მოცა-გხტლების“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 893) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: არათ ცაიცი (არა ცაიცი).

რედაქციამ მეორე ტაეში არ თუ იცი (=განა არ იცი?) შეცვალა წაკითხვით: არ თუ რ იცი (=თურმე არ იცი). ტაეის ბოლოს კითხვითი ნიშნის ნაცვლად დისკვა წერტილი. წინააღმდეგნი: გ. კარტოზია და ს. ცაიშვილი.

ს. ცაიშვილმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ კატეგორიული არ თუ რ იცი ამ კონტექსტში (ტარიელისადმი მიმართვაში) გაუმართლებელია.

ამვე ტაეში რედაქციამ აღადგინა წაკითხვა არ ა კ ა ც ი. წინააღმდეგნი: გ. კარტოზია და ც. კიკვიძე.

ც. კიკვიძის აზრით, აქ, ამ კონტექსტში, უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თუ არა ვანგებით, ისე სხვა არაფრით მოკვდება ცაიცი, ვიდრე იმის თქმა, რომ უგანგებოდ არავინ არ კვდება.

ა. ზარამიძე და ს. ცაიშვილი ფიქრობენ, რომ მეოთხე ტაეში უნდა აღდგეს გამოცემათა ტრადიციული (1966 წლამდე) წაკითხვა: ბედი, ცდა და გამარჯდება.

რედაქციამ უცვლელად დატოვა ამ ტაეის პროექტისეული წაკითხვა.

სტროფის შინაარსი: არაფერს გარგებს მწუხარება, რომ იწუხო, რა სარგებლობას პოევებ! თურმე არ იცი, უგანგებოდ არავინ არ მოკვდება. მზის შუქის მომლოდინე ვარდი სამ დღეს არ ქანება. ბედი ცდაა, თუ ღმერთს უნდა, გამარჯდება გერგება კიდევ.

1978 წ. 17 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ზარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მერტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 900; 901; 902; 903; 904; 905 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკანაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

900 მოაკენა: „ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს, — გონიერთა მწუბრთელი უყუარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს, — მაგრა რა ექმნა, რაგუარა ვაესძლო, მეტისმეტი რა მიმჭირდეს! და შენცა გპირან ჰიანი ჩემნი, არ მამართლო, არ მიკუბირდეს!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 894) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მერე ტაეში გონიერთა და უგუნურთა უმჯობესია მხოლოდობითი დავსვათ (გონიერსა, უგუნურსა), როგორც რიგ ხელნაწერსა და გამოცემაშია. აფორიზმში მხოლოდობითი რიცხვი უფრო გამართლებულია.

ა. ბარამიძე: აფორიზმში მრავლობითის ფორმა არ არის უცხო. ამასთან ამ ტაეში ხელნაწერები უფრო მრავლობითს უპირენ მხარს.

გ. კარტოზია: B რედაქციის რიგ ხელნაწერში მრავლობითის მხოლოდობითად ქცევა უყუარს და ჰგმირდეს ზნათა ვაგუნას უნდა მიეწეროს: უგუნურთა უყუარს > უგუნურსა უყუარს.

ი. გიგინეიშვილი: XVII საუკუნეში მიცემითი დასმული სახელის რიცხვში შეთანხმების ძველი წესი ჯერ კიდევ არ ვრეოდათ.

ც. კვიციანი: XVII საუკუნისათვის ძველი ნორმა უკვე მოშლილი იყო და ამგვარი დარღვევის მრავალი მაგალითი დასტურდება.

დაადგინეს: დარჩენ სახელის მრავლობითის ფორმები (წინააღმდეგნი — ი. გიგინეიშვილი და ე. მეტრეველი).

სტროფის შინაარსი: უთხრა (ტარიელმა): „ეგ სწავლა ჩემთვის მთელ ქვეყნად ღირს, — გონიერებს დამრიგებელი უყვართ, უგუნურებს გულს ვაუგმირავს, — მაგრამ რა ექნა, როგორ ვაეძლო, მეტისმეტად რომ გამოვირდება! შენც გპირს ჩემი ჰიანი (ე. ი. შენც მიჭნური ხარ), რომ არ მამართლებ, არ უნდა გამიკვირდეს!“

901 ცტილსა ცეცხლის სიმჭურვალე უგავს, ამაღ აენთების,
მაგრა წყალსა არსით ახლავს, თუ ჩავარდეს, და-ცა-შრტების;
რაცა ვისცა საქმე, თუთი სქიის, სხუათათუისცა ვეარგების,
და თავიდაღმა რად არ იცი, გული ჩემი რაგუარა დნების!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 895) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ცვილს ცეცხლის სიმჭურვალე შეფერება, ამიტომ ენთება, წყალს კი არაფრით არ ეგუება, თუ ჩავარდა (წყალში), ჩაქრება; ვისცა რა საქმე სქიის, სხუებისთვისაც (ეგვევ საქმე) შესაფერისად მიანიჩა, თავიდანვე რად არ იცი, ჩემი გული როგორ დნება.

902 „რა წამეკიდა, ყუბელია წჭრილად გიამბო ენითა,
მერმელა გაბრუეე მართალი მაგა გულითა ბრძენითა;
შენ მოგელოდი, მიმჭირდა მოლოდინითა შენითა,
და ქუბას ველარ ვაესძელ, მინდორთა მოვლა მომინდა ცხენითა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 896) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რაც დამემართა (გადამხდა), ყველაფერს დაწერილებით გიამბობ, მერმელა განსაჯე სიმართლე მეგ ბრძენი გულით; შენ მოგელოდი, შენი ლოდინით შეგწუხდი, გამოქვაბულში ველარ ვაეძელი, ცხენით მინდვრების მოვლა მომინდა.

903 იმა ქედსა ვარდავადეგ, შამბნი ისი მომეარნეს;
ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს,
ჰვეანდეს რათმე მოყუბარულთა, მათი ნახუა გამეხარნეს,
და მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამიკუბირდეს, შემეხარნეს.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 897) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ის შამბნი მოვიარე, იმ ქედს გადავადექი; ერთი ლომი და ერთი ვეფხი შეხედნენ ერთმანეთს, ერთად შეიყარნენ, შეყვარებულებს ჰვეანდნენ, მათი ნახუა გამეხარნენ, მათ ერთმანეთს რაც უყვეს, გამიკვირდა, შემეხარდა.

გ. კარტოზიას მიანიჩა, რომ პირველ ტაეში მომეარნეს ზმნის შინაარსი თურმეობითის ფორმით უნდა ვაღმოიცხეს: იმ ქედს გადავადექი, ის შამბნი მომეველო.

904 ჭედსა გარდავდევ, ლომ-ვეფხნი მოვიდეს ორგნით რებულნი, — სახედ ვამგავსენ მიჯნურთა, ცეცხლნი დამეცნეს რებულნი, — შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი, და ლომი სდევს, ვეფხი მიუტრბის, იყენეს არ ჩემგან ჭებულნი.

პროექტიდ სტროფი ჩანართად არის ჩათვლილი. 1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1089) შედარებით პროექტიშე შემდეგი ცვლილებაა: ლომ-ვეფხნი (ლომ-ვეფხი), ვამგავსენ (ვა[მ]სგავსენ).

ა. ბარამიძე: სტროფი უმჯველად ძირითადი ტექსტის კუთვნილებაა. იგი სინიმუშო მაგალითთა რუსთველისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხისა — ეპიკურ-სიუჟეტური გამართობისა. ადრეც აღმინიშნავს, რომ განმეორება არ გამოდგება სტროფის ჩანართობის საბუთად.

გ. კარტოზია: მე სარწმუნოდ მიმაჩნია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი სტროფის ჩანართობის შესახებ. სტროფში განმეორებულია წინამავალი და მომდევნო სტროფის ცალკეულ ტაქტთა შინაარსი რაიმე ახალი ნიუანსის დამატების ვარაუდზე.

შ. ძიძიგური: მხოლოდ განმეორება არ შეიძლება ჩანართობის ნიშანი იყოს. თუ აშკარა წინააღმდეგობა არ არის ძირითად ტექსტთან, თუ განსაკუთრებული შემთხვევა არ არის, სტროფის ჩანართად ჩათვლა არ შეიძლება. ნამეტნავი „ანატომიური“ ჩარევა არ შეიძლება, ამით ჩვენ ვაველარებებთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს. ამ კონკრეტულ მაგალითში სტროფის ჩანართობის შესახებ მსჯელობა ჩემთვის დაუკერებელია. კერძოდ, მე ვერ ვხედავ ფრაზეოლოგიურ განმეორებას, ტავტოლოგიას.

ი. გიგინეიშვილი: „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული ნაწარმოებია და ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული ტექსტის ანალიზისას. არ შეიძლება მხატვრული ნაწარმოების განხილვა სამეცნიერო ნაშრომის დონეზე. პოემაში 20-ზე მეტი სტროფი მოიძებნება, სადაც მსგავსი შემთხვევაა განმეორების: თავდება ამავეი და ავტორი ისევ უბრუნდება მას, მაგრამ ზუსტად კი არ იმეორებს ნათქვამს, არამედ რაღაც ნიუანსებს უმატებს. განმეორება დღევანდელი სასაუბრო მეტყველებისთვისაც დამახასიათებელია, რუსთველს კი ვირტუოზობამდე აქვს აყვანილი ეს ხერხი.

კ. მეტრეველი: „ვეფხისტყაოსნისთვის“ განმეორება დამახასიათებელია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეტად დამაფიქრებელია, რომ სტროფი აერთებს წინამავალი და მომდევნო სტროფების (903 და 905) მასალას. ამ სამი სტროფის ფაქტურა იმდენად მსგავსია, რომ არ შეიძლება გარკვეული ეჭვი არ აღძრას. თუმცა 904-ე სტროფის ნამდვილობას მეც მზარს ეუჭერ, მაგრამ ვფიქრობ, სტროფის ჩანართობის თაბაზე გამოთქმულ მოსაზრებათა ხელაღებით უარყოფაც არ შეიძლება.

ც. კიკვიძე: განახილველი სტროფი რაიმე ახალს (შინაარსობრივად) არ იძლევა: იმეორებს მეზობელი სტროფების ცალკეულ მონაცემებს, რაც ინტერპოლაციისათვის არის დამახასიათებელი. რასაკვირველია, სრული დამთხვევა ლექსისასა და ფრაზეოლოგიაში აქ არა გვაქვს, მაგრამ ეს არც სხვა რომელიმე ინტერპოლაციაში დასტურდება.

ს. ცაიშვილი: გარდა იმისა, რომ 904-ე სტროფში შინაარსობრივი და ლექსიკური განმეორებებია, იგი არღვევს თხრობის დინამიკას, დარღვეულია ის სურათი, რაც 903 და 905 სტროფებშია გადმოცემული. შეიცავს წინააღმდეგობასაც. გამოთქმა — „ცეცხლნი დამეცნეს რებულნი“ — არ ვარა. ტარიელს, პირიქით, კიდევ უფრო ანთებოდა ცეცხლი მიჯნურთა ნახვით.

დადგინეს: სტროფი ჩაითვალოს ძირითადად (წინააღმდეგინი — გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი).

ი. გიგინეიშვილი: პირველ ტაქტში უმჯობესია რიგი ხელნაწერისა და გამოცემის წაკითხვა: მოვიდეს ერთგან რებულნი (=ერთად მოსიარულენი წამოვიდნენ, ე. ი. მომიახლოვდნენ).

გ. კარტოზია და ს. ცაიშვილი აღნიშნეს, რომ შეიყარნეს ეს გულისხმობს, რომ ლომი და ვეფხი სხვადასხვა მხრიდან მოვიდნენ. ხელნაწერთა ნაწილში ო რ გ ა ნ ი თ > ე რ თ გ ა ნ წინა სტროფის (შეკრბეს, ერთად შეიყარნეს) გაეღუნით უნდა აიხსნას.

დადგინეს: მიღებულ იქნეს ე რ თ გ ა ნ (წინააღმდეგინი — გ. კარტოზია და ს. ცაიშვილი).

სტროფის შინაარსი: ქედს გადავადექი, ერთად მოსიარულე ლომი და ვეფხი წამოვიდნენ, შესახედად მიჯნურებს ვამსგავსე, მოდებული ცეცხლი ჩამიჭრა. შეიყარნენ და შეიბნენ, გამწარებულები იბრძოდნენ, ლომი მისდევს, ვეფხი გაუტრბის, არ იყენენ ჩემგან ჭებულნი.

905 პირველ ამოდ ილალობს, მერმე მედგრად წიკვიდნეს;
თუითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკუდილსა არ დარიდნეს;

გამორიდა ვეფხიან გული, — დედათამცა განა რიდნეს! —
და ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერინ დაამშუიღნეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 898) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: განა რიდნეს (განარიღნეს).

გ. კარტოზია: პროექტის მიხედვით განა რიდნეს ორ სიტყვად არის გაყოფილი. განა დადასტურებით ნაწილადად არის გაგებული. ნახევარ ტაეის აზრია: სწორედ ქალები განერიღებთან.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: დედათამცა განა რიდნეს (ი. გიგინეიშვილ-მა თავი შეიცავა).

სტროფის შინაარსი: პირველად საამოდ იალერსეს, მერმე სასტიკად წაიჩხუბნენ: თითო თათი დაქრეს ერთმანეთს, (ერთმანერთის) სიკვდილს არ მოერიღნენ: (ერთმანეთი საიკვდილოდ გაიმეტეს) ვეფხი გამოერიდა, — სწორედ ქალები გაერიღებთან (ქალების წესია გაერიღება!) — ლომი მედგრად გაეკიდა, მათ ვერავინ დაამშუიღებდა („დაამშუიღებს“).

1978 წ. 24 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 906; 907; 908; 909 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. ვერიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მახარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 910; 911; 912; 913; 914 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ციტიშვილმა).

906 ლომსა დაუგმე ნაქმარი, ვარქუი: «არა ხარ ცნობასა,
შენ საყუარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!»
კრამლაგამოწდილი გაუწე, მივეც ლახტართა სობასა,
და თავსა გარდავკარ, მოცა-ვკალ, დავკენ სოფლისა თობასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 899) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დაუგმე (დაეუგმე), გაუწე (გაეუხე). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ლომს საჭიელი დაეუგმე, ვუთხარი: «არა ხარ გონებაზე, შენ შეყვარებულს რატომ აწყენ? ფუ მაგ კაცობას!» ხმალამოწდილი გამოვედევნე, ლახტარი დავასვი, თავზე გადავკარი, მოვკალი კიდეც, წუთისოფელს მოვაშორე (წუთისოფლის თმენისაგან გაავთვისუფლე).

907 კრძალი გავტყორცე, გარდეიქერ, ვეფხი შევიყარ ჯელითა;
მის გამო კოცნა მომიინდა, ვინ მწტავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრქალითა სისხლთა მღტრელითა,
და ველარ გაუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 900) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბრქალითა (ბრქალითა), გაუძელ (გაეუძელ).

გ. კარტოზია: პროექტში შეტანილი ცვლილება იმით აიხსნება, რომ ბრქალი ძველი და საშუალო ქართლის ძეგლებში არ დასტურდება. გვაქვს ბრქალი, რომელსაც გვიან ბრქული ეწოდებოდა.

სტროფის შინაარსი: ხმალ გავტყორცნე, (ცხენიდან) ჩამოხტი, ვეფხი ხელით დავიჭირე; კოცნა მომიინდა იმის (=ნეტანის) გამო, ვინც ცხელი ცეცხლით მწვავს; მიღრინდა და მაწყენდა (ზიანს მყავებდა) სისხლის მღვრელი ბრქალით, ველარ გაუძელი, ისიც მოვკალი გახლებული გულით.

908 რაზომსაცა ვამშუიღებდი, ვეფხი ვერა დავამშუიღე,
გავგულისდი, მოვიქნიე, ვკარ მიწასა, დავაწყუიღე;
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყუარელსა წავეკიდე;
და სულნი სრულად არ ამომკდეს, რას გიყვირს, თუ ცრემლსა ვღტრიდე!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 901) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: რას (რად). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რამდენსაც ვამშუიღებდი, ვეფხი ვერ დავამშუიღე, გავგულისდი, მო-

ვიწინე, მიწას დაეანარცხე, დაეაწყვიტე; მომაგონდა, როცა ჩემს სატროფოს წავეციდე; სული მთლად არ ამოხსნა (ეს არ გიკვირს და) რას გიკვირს, რომ ცრემლს ვღვრი.

909 აპა, ძმავ, მითხრობია ჭირი ჩემი, რაცა შეირდა;
სულთა დგამაცა არა მმართვეს, ასრე გასლვა რას გიკვირდა!
სიცოცხლესა გავეყარე, სიკუდილიცა დამიძჭირდა“.
და ესე სიტყუთა დაასრულა, ყმაჲან სულთქუთა, ა-ცა-ტირდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 902) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: რას (რად). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აპა, ძმავ, მიტყუამს ჩემი გასაჭირი (რა ჭირიც მჭირს): სიცოცხლე არ შემეფერის (ცოცხალიც კი არ უნდა ვიყო), (ჩემი) ასე გახდომა რას გიკვირს! სიცოცხლეს მოვეშორდი, სიკვდილიც დამიძჭირდა“. ეს სიტყუა დაასრულა, მოყემე (ტარიელმა) ამოიხრა და ატირდა.

910 ავთანდილიცა მასთანავე ტიროდა და ცრემლსა ღვრიდა;
უთხრა: „ღამემ, ნუ მოპყუდები, გულსა სრულად ნუ დასკრი, ღა-!
ღმერთი მაგას მოწყალეობს, თუცა ჭირმან არ გაგრიდა;
და თუმც უნდოდით გასაყრელად, პირველ ერთად არ შეგყრიდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 903) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ავთანდილიც მასთან ერთად ტიროდა და ცრემლებს ღვრიდა; უთხრა: „მოთმინე, ნუ მოკვდები, გულს მთლად ნუ დაიჭრი! ღმერთი მაგას (მოთმინებას) წყალობით უყურებს, თუმცა გასაჭირმა (თავი) არ მოგარიდა (თავი არ დაგანება); გასაყრელად რომ ნდომოდით, თავიდან ერთად არ შეგყრიდათ.

911 სღვეს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანავლეებს,
მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს;
მიჯნურობა საჭიროა, მით სიკუდილსა მიგუთახლებს,
და განსწავლელსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლეს“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 904) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მიჯნურს ფათერაკი თან სღვეს, წუთისოფელს გაუმწარებს, მაგრამ ბოლოს ლხინს მისცემს (მას), ვინც პირველად გასაჭირს გაუძლებს; მიჯნურობა ჭირის მომგერელია, ამიტომ სიკვდილს მიგვახალეებს, ბრძენს გააშმაგებს, უსწავლელს ბრძნად აქცევს.

912 იტირეს და გაემართნეს, ქებასიკენ თავნი არნეს;
რა ასმომან დინახა, განაღამცა გაეხარნეს!
მოეგება, მოტიროდა, ცრემლმან მისმან კლდენი ღარნეს,
და აკოცეს და ა-ცა-ტირდეს, ქულა ცნობანი ააჩქარნეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 905) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იტირეს და გაემართნენ, ქებასიკენ წაიღნენ, ასმომთა რომ (ეს) დინახა, დიდაც გაუხარდა! მოეგება, მოტიროდა, მისი ცრემლები კლდეებს დღარავს, აკოცეს და ატირდნენ კიდევ, ისევ ავლდნენ.

913 ასმათ თქუა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ საესება ყოველთა, აღგუავსებ მზენებრ ფენითა;
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არსაქებულო სმენითა!
და დიდება შენდა, არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 906) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ასმათმა თქვა: „ღმერთო, ადამიანთა ენით გამოუთქმელო (შენ, რომელიც ადამიანთა ენით ვერ გამოითქმის), შენ ხარ საესება ყოველთა, მზესავით გავსებ (სრულგვეოფ) მოღენით; გაქო, როგორ გაქო, რა ქება გითხრა, სმენით (სიტყუით) შეუქმბელო! დიდება შენდა, არ მომკალი ამათთვის ცრემლების დენით!

გამოთქმისათვის ს ა ვ ს ე ბ ა ყ ო ვ ე ლ თ ა დ აწვირლებით იხ. კომენტარში.

914 ტარიელ ეტუტის: „ჰე დაო, მით ცრემლი აქა მდინია, საწუთრო ნაცვლად გუბირებს, რაც ოდენ გაუჭინია. ძქელი წესია სოფლისა, არ ახლად მოსამინია. და ვამ შენი ბრალი, დავ, თუარა სიკუდილი ჩემი ლხინია!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 907) შედარებით შემდეგი ცვლილებაა: ვამ შენი ბრა-ლი, დავ, თუარა (ვა შენი ბრალი და, თუარა).

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში უმჯობესია ზოგი ხელნაწერისა და გამოცემის (D³ D⁴ D⁵ filop) წაკითხვა: ვამ შენი ბრალი, თუარადა (იხ. აგრ. D¹ D² თუარემ და, A³ თუარე და).

გ. კარტოზია: აღვადგინოთ საიუბილეო გამოცემის წაკითხვა, რომელსაც ხელნაწერთა მეტი წილი უჭერს მხარს. ოღონდ მძიმე და-ს წინ დავესათ: ვამ შენი ბრალი, და თუარა. და თუარა=თუარადა.

რედაქციის სხვა წევრები მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას. ს. ცაიშვილმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ მეოთხე ტაეპში და ვ ფორმის არსებობას ამართლებს პირველი ტაეპის ჰე დაო.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა (წინააღმდეგნი ი. გიგინეიშვილი, გ. კარ-ტოზია).

სტროფის შინაარსი: ტარიელი ეუბნება: „ჰე, დაო, ცრემლი აქ (ამჟვეყნად) იმიტომ მდე-ნია, წუთისოფელი სანაცვლოდ (იმდენს) გვატირებს, რამდენიც გაგვიცინია. სოფლის (ცხოვ-რების) ძველი წესია, ახლი მოსასმენი არ არის. ვამ შენი ბრალი, დაო, თორემ ჩემთვის სიკედილი სიხარულია.

1978 წ. 31 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრე-ველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 915; 916; 917; 918 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალი-შვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კორტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

915 სწყუროდეს, წყალს ვინ დაღტრის კაცი უშმაგო, ცნობილი?
მე თუალთა ჩემთა მით მიკუბრის, რად ვარ ცრემლითა ლტობილი!
უწყლობა ჰკლავს და წყალი სდის, აროდეს არ გაყვობილი!
და ვამ, წაქდა ვარდი პობილი, ვამ, მარგალიტი წყობილი!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 908) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვამ (ვა).

ა. ბარამიძე: მესამე ტაეპში უწყლობა უნდა შეიცვალოს უწყლობა-თი და ნა-ხევარტაევი ასე გაიმართოს: უწყლობა ჰკლავს, წყალი სდის, როგორც ეს ზოგ ხელნაწერსა და გამოცემაშია.

ი. გიგინეიშვილი: რიგი ხელნაწერი და გამოცემა უწყლობა-ს კითხულობს, რაც უფრო მართებული ჩანს. წყალ-ფუძის უქუმშველობა „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც დას-ტურდება.

ც. კიკვიძე, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას. მათ აღნიშ-ნეს, რომ კუმშვადი ფუძის უქუმშველობა პოემაში, როგორც წესი, სარიტომო სიტყვებში დას-ტურდება. ამასთან, და კავშირი ტაეპში საჭიროა დაპირისპირების გამოსახატავად (უწყლობა კლავს და წყალი კი სდის).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: უწყლობა ჰკლავს, წყალი სდის (წინააღმდეგნი— გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი).

სტროფის შინაარსი: რომ სწყურია, რომელი არაშმაგი, გონიერი კაცი დაღვრის წყალს? ამიტომ მიკვირს მე ჩემი თვალებისა, რატომ ვარ ცრემლებით დასველებული უწყლობა (უნესტანობა) კლავს (მას) და ცრემლი (წყალი) სდის, რომელიც არასდროს არ შესრება! ვამ, დიკარგა გაპობილი ვარდი (=ნესტანის ბაგეები), ვამ, მიწყობილი მარგალიტი (=ნესტა-ნის კბილები)!

916 აეთანდისცა მოგონა მისი მზე და საუტარელი;
იტყუის: „ჩემო, ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მდგმელი?

შენ არ გახლავ, ჩემი ჩემთვის სიცოცხლეა სანანელი,
და გიფხრამეც ვინ, რა მჭირს ანუ რა ცეცხლი მწვავს, როგორ ცხელი!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 909) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეოთხე ტაგში როგორ შეიცვალა რაგუტარ ფორმით. ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია აღნიშნეს, რომ როგორ გვიანდელი ფორმა და რუსთველის დროისათვის მოულოდნელი. ამასთან, ი. გიგინეიშვილი მიუთითა, რომ რაგუტარ ალიტერაციის თვალსაზრისითაც უკეთესი წაიხსნება.

სტროფის შინაარსი: ავთანდილსაც მოაგონდა თავისი მზე და სატრფო (თინათინი); ამბობს: „ჩემო, უშენოდ როგორ ვიქნები ცოცხალი? შენთან არა ვარ, ჩემთვის სიცოცხლე სანანებელია, ვის შეუძლია გიფხრას, რა მჭირს ან რა და როგორი ცხელი ცეცხლი მწვავს!“

გ. კარტოზიას აზრით, გ ი თ ხ რ ა მ ც ა ვ ი ნ ნ ი შ ნ ა ვ ს : ვინმე გეტყოდეს.

917 ვარდი ამას ვით იაზრებს: მზე მომშორდეს, არ დავკნეო,
ანუ ჩვენ, გლახ, რა გუერგების, რა ჩაბუნდეს გორსა მზეო?
გულო, გიჭობს, გაუმარადე, თავი სრულად გაიკლდეთ,
და ნულთ მოგხუნდეს ნახვა მისი, სულთა სრულად ნუ დაღუო“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 910) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვარდი ამას როგორ იფიქრებს: მზე მომშორდება (და) არ დავკენებო, ან ჩვენ, ვაგლახ, რა მოგვევა, მზე რომ გორს (იქით) ჩაესვენება? გულო, გირჩენია, გაუმარადე (გასაჭირს), თავი მთლად გაიკლდეთ (კლდედ გადაიქცე), ეგების გეღირსოს მისი ნახვა, სულს მთლად ნუ დაღუე (ნუ მოკვდები).

918 სული დაიდეს, დადუმდეს, ორთვე ცეცხლი სდებოდა;
ასმათი შეჰყვა, შევიდა, ცეცხლი მათებრვე ჰგებოდა,
დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კულა მიწყვიე ჰგებოდა;
და ორნივე დასხდეს, უბნობდეს, რაცა მათ ეამებოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 911) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ცეცხლი მათებრვე (მათებრ სახმილი).

ც. კიკვიძემ განმარტა ცვლილების შეტანის საფუძველი: მათებრ სახმილი მხოლოდ B რედაქციის ნუსხეში იკითხება.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ხმა გაჟინდეს, დადუმდენ, ორივეს ცეცხლი ჰქონდა მოდებული; ასმათი შეჰყვა, შევიდა, ცეცხლი მათებრვე წაკიდებული ჰქონდა, დაუგო (მათ) ვეფხის ტყავი, რომელიც მუდამ ვეო (ტარიელს), ორივენი დასხდენ, საუბრობდენ, რაც მათ ეამებოდათ.

1978 წ. 7 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგორი.

განიხილეს სტროფები: 919; 920; 921 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმანიშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 922; 923 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერიტიშვილმა, ლ. კიკვიძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

919 წყალი შეიწუტეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა,
მუნ უპურობა, პურობა, არსილიდე ჟამისა,
მას შეეხტუნეს: „ჰამეო“, ძალი არ ჰქონდა ჭამისა,
და გასცოხნის, ლუკმა გასტყორცის, წონა ძლივ ჩანთქის დრამისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 912) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მუნ უპურობა, პურობა (მუნ უპურობა პურობა).

ც. კიკვიძე: მეორე ტაგის აზრი ასე უნდა ვავიგოთ: იქ ნაღიშობა არ იყო, მაგრამ პურობის ჭამა იყო, სასმისები ცოტა ჰქონდათ.

ი. გიგინეიშვილი: უ პ უ რ ო ბ ა - ს შემდეგ მძიმის დასმა გამართლებულია. არ სილიადე

ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს. ტაეპის აზრია: იქ იყო უპურობა, არ იყო ჯამის სიმრავლე, მაგრამ იყო პურობა.

- ა. ბარამიძე: უპურობა პურობა უპურო პურობას ნიშნავს.
- გ. კარტოზია: უპურობა პურობა ფრაზეოლოგიზმი ჩანს (=არანამდვილი პურობა).
- ე. ი. პურობა იყო კიდევ და არც იყო. სიტყვათა შორის მძიმის ნაცვლად დედისის დასმა უფრო მართებულია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მუნ უპურობა, პურობა, არ სიღაღე ჯამისა. ტაეპის აზრი ასე გაევიფთო: იქ იყო უპურობა, არ იყო ჯამის სიმრავლე, მაგრამ პურობდნენ (წინააღმდეგი: გ. კარტოზია).

ს. ცაიშვილის აზრით, ტაეპის შინაარსი ასე უნდა ვაღმოიფხვრო: პურობა პურობას არ ჰვავდა და არც სასამისთა სიმრავლე იყო.

შ. ძიძიგური და ე. მეტრეველი ტაეპს ასე თარგმნიან: ჰამდნენ, მაგრამ პურს არა, არც სასამელი ჰქონდათ.

სტროფის შინაარსი: მწვალი შეიწვეს, შეიქნა (ამ) დროის შესაფერისი პურობა, იქ იყო უპურობა (პურო არ ჰქონდათ), არ იყო ჯამის სიმრავლე, მაგრამ პურობდნენ. მას (ტარიელს) შეეხვეწნენ: „ჰამეო“, ჰამის ძალა არ ჰქონდა, დაღეჰვავდა, ლუქმას ვადმოავღებდა, დრამის წონისას (მცირედდნენ) ძლივს ვადაყლაპავდა ხოლმე.

- 920 ამაო, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს!
- მან გაუგონოს, რაცა თქჳს, არ ცუდად წაუტღებოდეს.
- ცოტად ეგრეცა დაუესება, ცეცხლი რაზომცა სედებოდეს.
- და დიდი ლხინია ჰირთა თქმა, თუ კაცსა მოუტღებოდეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 913) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სასიამოვნოა, რომ კაცი კაცს სასიამოვნო რამეს ეუბნებოდეს! მან დაუგეროს, რაც თქვას, ამოდ არ ჩაუვლიდეს (ლაპარაკი), ცოტათი მაინც გაუჩუქდეს, რაც ცეცხლიც უნდა ჰქონდეს მოღებულს. დიდი შეებაა ვასაჰირის თქმა, თუ ადამიანს (ამის) შემთხვევა ექნება.

- 921 მას ლამესა ერთვან იყვენს იგი ლომნი, იგი გმირნი,
- იუბნეს და გააცხადნეს თავის-თავის მათნი ჰირნი.
- რა გათენდა, კჳლა დაიწყეს საუბარნი სიტყუაჳშირნი;
- და ერთმანერთსა გაუგონენს ფიცნი პირეულ დანაპირნი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 914) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ ლამეს ერთად იყვენ ის ლომები, ის გმირები, ისაუბრეს და გაუგონენს თითოეულად თავისი ვასაჰირი. რომ გათენდა, ისევ დაიწყეს ვაგბული საუბარი; ერთმანეთი დააჯერეს (დაარწმუნეს) პირეულად მიცემულ ფიცში.

- 922 ტარიელ ეტუჳის: „რად უნდა სიტყუისა თქმა მრავალისა?
- რაცა შენ ჩემთჳის გიქნია, ღმერთი მზღველია ვალისა;
- კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მთრვალისა,
- და არდავიწყება, მოყურობა მოყურისა წამავალისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 915) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: წამავალისა (წარმავალისა).

რედაქციამ ა. ბარამიძის წინადადებით მეოთხე ტაეპში არდავიწყება, მოყურობა შეცვალა წაკითხვით არდავიწყე მოყურობა. წინააღმდეგნი — გ. კარტოზია და ე. მეტრეველი. ე. მეტრეველმა აღნიშნა, რომ მესამე და მეოთხე ტაეპი ერთმანეთთან გრამატიკულად დაკავშირებულია. ტაეპების შინაარსია: რად უნდა ამდენი ფიცი, რომ მთვრალის ნაქმარი არ არის მიმავალი მოყურის არდავიწყება, მოყურობა.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით მეოთხე ტაეპში წამავალისა შეიცვალა წარმავალისა ფორმით (წინააღმდეგი გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: ტარიელი ეუბნება: „რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი (ბევრი სიტყვის თქმა)? რაც შენ ჩემთვის გიქნია, (იმას) ღმერთი ვადაგზნდის (გზილავს ვალს); ფიცი ფიცად კმარა, მთვრალის ნათქვამი არ არის, არ დაივიწყე (ამ ქვეყნიდან) მიმავალი მეგობრის მეგობრობა.

923 აწ შემიხტეწე, ნუ დამწეავ კაჭა წუთითა უცხელესითა;
მე რომე ცეცხლი მეღებეს, არ ნავზებია კუეცითა,
ვერ დამწრეტ, შენცა დაიწუთი სოფლისა ქმნისა წესითა.

და წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნიოფე, შენი მზე სითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 916) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დამ-
წრეტ (დამწრეტ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ახლა ისმინე ჩემი ვედრება, კიდეც ნუ დამწეავ უცხელესი ცეცხლით
(წვით); მე რომ ცეცხლი მეღება, კვესით დანთებული არ არის, ვერ ჩამიჭობ, შენც დაიწვი
სამყაროს წესისამებრ. წადი, დაბრუნდი, იქითკენვე შეიქეცი, საითაც შენი მზე (თინათინი)
არის.

1978 წ. 21 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,
შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 924; 925; 926; 927; 928; 929; 930; 931 (პროექტი მოამზადეს
გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვერტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

924 ვინ დამბადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად,
ვისცა გესმის, გაიგონეთ, მით გაჭრილვარ ხელი ველად;
რაცა მართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ შეცა მქმნელად,
და აწ ნობათი ხელობისა მომხტლომია, მით ვარ ხელად“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 917) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვინც შემქმნა, მასაც (ე. ი. ღმერთსაც) საძნელოდ მიაჩნია ჩემი გან-
კურნება, ვისაც გესმით, გაიგეთ, ამიტომ გაჭრილვარ შმაგი ველად; რაც გონიერთა შეეფერე-
ბა, (იმას) ერთ დროს მეც ვიქმოდი, ახლა შმაგობის რიგი მომსვლია (მრგვბია), მითომაც ვარ
შმაგად.

925 ავთანდილ ეტყუის: „რა გიზხრა პასუხი მაგა თქმელისა?
შენვე სოქუთი, ეგე სიტყუაა კაცისა ბრძნად სწავლულისა?
ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კაჭა განკურნება წყლულისა?
და იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესილისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 918) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილე-
ბაა: სოქუთი, ეგე სიტყუაა (სთქვი ეგე სიტყვაო); მეორე ტაპის ბოლოს ორწერტილის ნაცვლად
დასმულია ითვისისა და ძახლის ნიშნები. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ავთანდილი ეუბნება: „რა გიზხრა მაგ სიტყუების (ნათქვამის) საპა-
სუხოდ? შენ თვითონ თქვი, (განა) ეგ ბრძენი (ბრძნად განსწავლული) კაცის სიტყვაა? ღმერთს
როგორ არ შეუძლია (როგორ არ შეეძლება) წყლულის კვლავ განკურნება? ის არის ყოველი
ცოცხლის (დანერგულ-დათესილის) მზრდელი.

926 ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ეგეთნი დაებადენით,
ალარ შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნა ცრემლთა დადენით!
სდევს ფათერაკი მიჯნურსა, გასჭურტეთ, გაიცადენით,
და თქუენ ერთმანერთი არ მოგხტედს, მე სულნი ამომჰადენით!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 919) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გას-
ჭურტეთ (გაჭურტეთ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ღმერთი ამას რად იზამდა, თქვენ ასეთნი გაეჩინეთ, (შემდეგ) ალარ
შეეყარეთ, გაეყარეთ, ცრემლის ღენით გაეხელებინეთ! მიჯნურს ფათერაკი თან სდევს, განჭურ-
ტეთ, ნახეთ, (თუ) თქვენ ერთმანეთს არ შეხედეთ, სული ამომხადეთ!

927 ნეტარ, მამაცი სხუა რაა, არ გასძლოს, რაცა ჰირია!
ჰირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია!
ნუ გეშის, ღმერთი უხტია, თუცა სოფელი ძჭარია,
და რაცა მიწურთიხარ, იწუართე; გყადრო, უწურთელი ვირია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 920) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექ-
ტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ნეტავ მამაცი სხვა რა არის, თუ არ გაუძლებს, რა ჰირივ უნდა
იყოს! ჰირს (გასაჰირს) რად უნდა შეუდრკე (გასაჰირს რად უნდა შეუშინდე), რა სალაპარა-
კოა! ნუ გეშინია, ღმერთი უხტია, თუცა სოფელი ძჭარია, რაზეც დამირიგებია, შეის-
მინე (გაიგონე); გაიგებდავ (და გეტყვი): შეუსმენელი ვირია.

ბ ს ა ლ ი წ ი ბ ნ ე მ ბ ი

გ ა მ რ მ ე მ ლ ო ბ ა „ მ ე ც ე ნ ი რ ი ა ბ ა “

**მხატვრული ლიტერატურა ქართულ ბოლშე-
ვიკურ პრესაში (მასალების კრებული, 1901—
1920 წწ.).**

შეადგინა, გამოკვლევა და ბიბლიოგრაფია და-
ურთო შ ა ლ ვ ა გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა .

რედაქტორი: აკად. შ. ძიძიგულიძე.

ნაშრომში წარმოდგენილია რევოლუციური
მხატვრული ლიტერატურა, რომელიც არალე-
გალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში
იბეჭდებოდა 1901—1902 წწ.

ტექსტები დაეჭვებულია სამ მთავარ გა-
ყოფილებაში: პოეზია, პროზა, ფელეტონები,
თხზულებები ზღაპრულია ქრონოლოგიური
თანმიმდევრობით.

კრებულს ახლავს გამოკვლევა და დართული
აქვს ბიბლიოგრაფია.

300 გვ., ფასი 1 მან. 95 კაპ., ტირაჟი 2500.

**ქართული ხალხური პოეზია, VIII, საყოფა-
ცხოვრებო ლექსები.**

მთავარი რედაქტორი მ. ჩიქოვანი.

ტომი შეადგინეს ვარიანტები და შენიშვნები
დაურთეს: ჯ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე მ, გ. ბ ა რ-
ნ ო ვ მ ა, დ. გ ო გ ო ჭ ო რ მ ა, ე. ვ ი რ ს ა-
ლ ა ძ ე მ, ფ. ზ ა ნ დ ლ ე ჯ ლ მ ა, ვ. მ ა ც ა ბ ე-
რ ი ძ ე მ და აბ. ც ა ნ ა ვ ა მ.

ქართული ხალხური პოეზიის VIII ტ. შედგე-
ბა ორი ძირითადი ნაწილისაგან: ა) ტექსტები,
ბ) შენიშვნები და ვარიანტები. ლექსები დაეჭვ-
ვებულია თემატური პრინციპით: 1. საოჯახო,
2. მწყემსური, 3. კუთხეთა და მხარეთა დახა-
სიათება, 4. საბავშვო ლექსები. მეორე ნაწილში
წარმოდგენილი ტექსტების ვარიანტები დალაგე-
ბულია მხარეების მიხედვით.

ტომს დართული აქვს საძიებლები და ლექსი-
კონი.

542 გვ., ფასი 3 მან. 40 კაპ., ტირაჟი 15000.

**რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატუ-
რა, I.**

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყ-
ვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო
ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე მ.

რედაქტორი ს. ცაიშვილი.

კრებული შეიცავს 1712—1887 წლებში ქარ-
თულ ენაზე გამოქვეყნებულ რუსთველოლოგი-
ურ რჩეულ ლიტერატურას.

აქ მკითხველი გაეცნობა შოთა რუსთაველის
ბიოგრაფიის და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლე-
მებისა და საკითხების შესწავლის თანმიმდევ-

რობას, თვალს გადავინებთ ქართული ფილო-
ლოგიის ახალი დარგის — რუსთველოლოგიის
ჩასახვისა და განვითარების ისტორიას.

წიგნი გამოადგებათ ფილოლოგებსა და ის-
ტორიკოსებს და დაინტერესებს მკითხველთა
უფრო ფართო წრესაც.

155 გვ., ფასი 1 მან., ტირაჟი 2000.

**ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტე-
რატურის ისტორიიდან, III.**

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი
„ნარკვევები“ წინამდებარე კრებულში გაერ-
თიანებული წერილები XIX საუკუნის ქართუ-
ლი რომანტიზმისა და რეალიზმის ცალკეული
საყურადღებო საკითხების განხილვას ეძღვნება.
კრებულში დასმულია და განხილულია საკითხი
გარდამავალი პერიოდის ქართულ მწერლობას-
თან XIX საუკუნის ქართული რომანტიკული
პოეზიის მიმართების შესახებ; განხილულია
გრიგოლ ორბელიანის მხატვრული სტილის თა-
ვისებურებანი; მოცემულია ცდა გიორგი ერის-
თავეის მხატვრული მეთოდის ახლებური გააზ-
რებისა; გაშუქებულია აკაკი წერეთლის საზო-
გალოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის ზო-
გიერთი საკითხი და სხვ.

„ნარკვევები გამოიწველია როგორც ლიტერა-
ტურის სპეციალისტების, ასევე XIX საუკუნის
ქართული მწერლობის პრობლემებით დაინტე-
რესებულ მკითხველთა ფართო წრისათვისაც.

190 გვ., ფასი 1 მან. 20 კაპ., ტირაჟი 1500.

ქართული ჟურნალისტიკის ნარკვევები, I.

რედაქტორები: ალ. კალანდარიძე, შ. რა-
ტიანი.

ნარკვევებში გაშუქებულია ქართული ჟურნა-
ლისტიკის და კრიტიკის პრობლემები, აგრეთვე
მასთან დაკავშირებული ლიტერატურის ისტო-
რიის საკითხები. აქ საგანგებო ყვლევის საგა-
ნია ჟურნალ „ივერიის“ კრიტიკული მეცკიდ-
რეობა და ჟურნალ „ჩენი თაობის“ როლი ლი-
ტერატურულ-მხატვრული აზრისა და მწერლუ-
ბის განვითარებაში. ნარკვევები ემყარება ფაქ-
ტობრივი მასალის შესწავლას, ეხება ჟურნალის-
ტიკის, კრიტიკისა და მწერლობის აქტუალურ
საკითხებს, ხელს უწყობს ზოგიერთი სადავო
პრობლემის გაშუქებას. თავიანთი შეხედულებე-
ბი ავტორებს არგუმენტირებული აქვთ ახალი
საბუთებით.

კრებული დაეხმარება როგორც მკვლევრებს.



ის ამ დარგით დაინტერესებულ მკითხველებსა და სტუდენტებს.

87 გვ., ფასი 50 კაპ., ტირაჟი 800.

სტრუქტურა და პოეტიკა, ქართული ფოლკლორი, IX (მასალები და გამოკვლევები).

რედაქტორი პროფ. მიხ. ჩიქოვანი.
„სტრუქტურა და პოეტიკა“ პრობლემური კრებულია. მასში განხილულია ქართული ხალხური შემოქმედების ქანრები და მათი თვალსაჩინო ნიმუშები მხატვრული სტრუქტურისა და პოეტიკის თვალსაზრისით. ტიპოლოგიური და შედარებითი ძიებების დროს ქართულ მასალას ავტორები უდარებენ ქართველურ და კავკასიურ ენებზე ფიქსირებულ ფაქტებს, აგრეთვე უფრო შორეულ ხალხთა ფოლკლორს.

ნაშრომი ნაერაუდევია ფოლკლორისტიკისა და ფილოლოგიური დარგის სხვა სპეციალობის მკითხველთათვის.

166 გვ., ფასი 90 კაპ., ტირაჟი 1000.

ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანი XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

რედაქტორი დ. ლაშქარაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების მიერ მომზადებული კრებული „ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ მოიცავს გამოკვლევებს ინგლისური, ფრანგული, გერმანული, პოლონური ლიტერატურის ქართულ თარგმანებზე.

კრებულში შესულია ტიპოლოგიური ხასიათის გამოკვლევები ამავე ეპოქის ქართულ-ევროპულ ლიტერატურული ურთიერთობებიდან.

150 გვ., ფასი 75 კაპ., ტირაჟი 1500.

საენათმეცნიერო კრებული.

რედაქტორი შოთა ძიძიგური.

კრებული ეძღვნება გივი მამაკვიციანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე.

კრებულში მოთავსებულია გამოკვლევები იბერიულ-კავკასიური ენების, ზოგადი ენათმეცნიერებისა და ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის საკითხებზე. მასში მონაწილეობენ ცნობილი სამბოთა და უცხოელი მკვლევრები.

238 გვ., ფასი 1 მან. 80 კაპ., ტირაჟი 1000.

სენაური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო.

ტექსტები შეკრიბეს: არსენა ონიანმა, მაქსიმე ქალდანამა და ალექსანდრე ონიანმა.

რედაქცია გაუყეთეს მაქსიმე ქალდანამა და ალექსანდრე ონიანმა.

წიგნი წარმოადგენს სენაური ენის ლაშხური კილოს პროზაულ ტექსტთა კრებულს. იგი შეიცავს სათანადო რეგიონის მცხოვრებთა ყოფის, საქმიანობის, ზნე-ჩვეულებების, ისტორიული წარსულის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და ფოლკლორის ამსახველ მდიდარ მასალას. აქვეა მოცემული საინტერესო ცნობები გეოგრაფიული პუნქტებისა და მათი სახელების, ფლორის, ფაუნისა და სხვათა შესახებ.

293 გვ., ფასი 1 მან. 75 კაპ., ტირაჟი 1000.

Акакий Васадзе, Проблема художественного чувства. Вопросы психологии художественного творчества.

Научные редакторы: В. Г. Норакидзе, А. Ф. Бегиашвили.

В книге исследуется эмоциональное переживание, действующее в художественном, в частности поэтическом, творческом процессе. Определяя природу и специфические свойства художественного чувства, автор делает попытку доказать его отличие как от обычных, так и от эстетических чувств. Исследование художественного чувства производится в тесной связи его с фантазией и установкой художника. Наряду с проблемой художественного чувства в книге рассматриваются вопросы перевоплощения, специфического отражения действительности, прайобразы, а также основ и первичности импульсов художественного творческого процесса. Теоретические рассуждения обосновываются конкретным анализом поэтических произведений.

174 стр., цена 1 руб. 30 коп., тираж 1600.

მ. ნედოხპასოვა, უცხო წარმოშობის ლექსიკა არაბულ ოთხთავში.

რედაქტორი კ. წერეთელი.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია არაბულ ოთხთავში დადასტურებული უცხო წარმოშობის ლექსიკა. არაბული და ევროპული ლექსიკოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე მითითებულია წყარო — ენა და სესხების გზები. მთელი რიგ შემთხვევაში მოცემულია საკუთარი ინტერპრეტაცია. გამოვლენილია, რომ ნასესხები სიტყვები ძირითადად არამეული და ბერძნული წარმოშობისაა, კონსტატირებულია აგრეთვე ნასესხობანი სპარსული და ეთიოპური ენებიდან.

შესწავლილია სემანტიკური კალკები, მიღებული სხვა ენების გავლენით.

შესაძლო შემთხვევებში მოტანილია სათანადო ქართული ეკვივალენტები.

95 გვ., ფასი 50 კაპ., ტირაჟი 600.

6²/20



ფასი 1 მან.

Индекс 76 198